ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა-ფშაველა

კრებული (პროზა)

ვაჟა-ფშაველა

კრებული

პროზა

ბათურის ხმალი

(თქმულება)

I

ბათური ფშავში, თავის სამშობლოში, საკაცით მოიტანეს ბრძოლის ველიდან თანამოძმეებმა და დიდის ამბით მიაბარეს მშობელ მიწას. მოზარეთა ზარი დედამიწასა სძრავდა, მთებს ქედს აბრევინებდა და ცრემლს ადენდა. ბევრმა ლამაზმა ქალმა და რძალმა მოიჭრა ხშირი, ყორნის ბოლოსავით შავი თმა, თორმეტ ნაწნავად დაწნული, ნიშნად ღრმა მწუხარებისა. საკაცეს თან მოაყოლებდენ ბათურის ცხენს, - რახტში ჩამჯდარს; ცხენსაც-კი ჯავშანი ეცვა, ზედ არავინ არ იჯდა. უნაგირის ტახტებზე იყო დაკიდებული გმირის რკინის სამოსელი: პერანგი,

ჩაჩქანი, საფუხრეები, სამკლავე-საჩერნეები, ხანჯარი, მშვილდი რქისა და საისრეები. თავად ბათურსაც მტრის ისარმა მოუღო ბოლო. გააფთრებულს ბრძოლაში, ხმლის ქნევის დროს, ისარი დაჰკრეს იღლიის ძირში, რადგან იმას არ უფარავდა ჯაჭვი.

თუმცა ემძიმებოდა ოროლ კაცს საზიდავად, მაგრამ მისი სახელოვანი ხმალი მოწიწებით გულზე დაასვენეს და ამგვარად მიიტანეს. ხმალი თუ გულზე ესვენა ვაჟკაცს, ცხენი თავით იყო დაყუდებული; პირუტყვიც თითქოს ჰგრძნობდა პატრონის უბედურებას და სწუხდა, ერთ ალაგას ვერ ისვენებდა.

მაგრამ ხალხი ხმალზე უფრო ბევრსა ლაპარაკობდა. ბათურის ხმალზე: ქარქაშიდან ამოდის და ქარქაშიანი სწუხს, მიცვალებულის მკერდიდან აქეთ-იქით გადად-გადმოდისო.

მოზარენი ხომ ამ ხმალზე დაბჯენილნი დასტიროდენ მიცვალებულს, ყველა ერთად აღიარებდა: ხმალი თითქოს კვნესის, სულს იქცევსო.

ამის შემდეგ ბათურის ხმალმა უფრო სახელი გაითქვა. ამ ხმალზე ხალხი მაღალი აზრისა იყო, რაღაც ღვთაებრივს ძალას აწერდენ: თუ ხატი, ღმერთი, რჯული და დროშა გაიყიდება, ბათურის ხმალიც მხოლოდ მაშინ შეიძლება გაიყიდოსო. ომშიაც დიდად სახელგანთქმული იყო ეს ხმალი: რამდენჯერ უნახავთ, რომ მის პატრონს თავის ძლიერის მკლავით შემოექნიოს მტრისათვის და ცხენი თავის მხედრიანად გაეწყვიტნოს, შუა გაეპოს და თანაც ხმლის წვერი მიწიდან ამოეწვადოს. რამდენჯერ ჰქონიათ შემთხვევა, გზა-კვალ, დაბნეულს მტერს დაჰრეოდენ და, როგორც ანწლი, ისე ეკაფოსთ. ყველას ხმალს ადამიანის სისხლის და ქონისაგან, როგორც ადამიანს თვალებზე,

ფხაზე ლიბრი გადაჰკვრია. ხმლები ჯოხებად-ღა ქცეულა, მხოლოდ ერთი ბათურის ხმალი დარჩენილა ფხაზე სისხლ-მიუკარებელი.

დასაფლავების დროს დიდი კამათი გაიმართა ხალხში შესახებ იმისა, -ჩაეყოლებინათ თუ არა ბათურისათვის ხმალი საფლავში. უმრავლესობა თითქმის იმ აზრისა იყო, რომ ხმალსაც იქ უნდა ჰქონოდა ბინა, საცა ეს უცვალებელი ბინა დაიდვა მისმა პატრონმა, რადგან ეს მკვდარსაც ესიამოვნებოდა და მისი ხმალიც მოსვენებით იქნებოდა.

ბოლოს წამოდგა წინ მხცოვანი რაინდი ხეტე, დიდი დაჯღანული, დაკეჭნილის ცხვირით, სახეზე ორგან თუ სამგან სხვაგანაც ეტყობოდა ნაჭრევები. მის დიდს ულვაშებს სქელი წარბები დასჩერებოდა, ისე დიდი, თითქმის ერთი საბელი დაიწვნებოდა, და ციხე-

გალავანივით ჰსაზღვრავდა გმირის დაბალს, ხმლისაგან გადასერილს შუბლსა. ხეტემ მოკლედ სთქვა: ეეე, კაცებო, ფშავლებო! ჩვენ ახალს ვერც არას მოვიგონებთ, ვერც არას ვიტყვით. რაც ძველებს უთქვამს, ჩვენც იმაზე დავდგეთო. და ამ დროს წარმოსთქვა ლექსი:

ნეტავ რად უნდა კარგს ყმასა
სამკლავე, საფუხარია?
მეც გამყვა სამარეშია,
მაგრამ ვერ მოვიხმარია:
არ დამანებეს ღთიშვილთა
ჩემი ხმალი და ფარია.
იქ არც მგზავრობა დამჭირდა,
არცვინ შაყარა ჯარია.
ტყუილად ცოცხლებს დავაკელ,
შვილები გავამწარია.

ამ ლექსმა ყველა ჩააფიქრა. განა თუ გაგონილი არა ჰქონდათ წინათაც ეს ლექსი, მაგრამ ამჟამად როდი აგონდებოდათ. ეხლა ხეტემ მოაგონა და არც უნაყოფოდ ჩაიარა იმისმა ცდამ. ხეტე დანჯღრეულის, მაგარის ხმით ლაპარაკობდა, ცოტა თავდახრით იდგა, მარჯვენა ხელი სრულიად ჩამოშვებული ჰქონდა, ხოლო მარცხენით ხმლის ვადასა ჰბღუჯავდა. თავს როდი სძრავდა საუბრის დროს, კისერიც მგელივით გაშეშებული ეჭირა, მხოლოდ თვალებს აგელებდა, აძვრენდა იქით-აქეთ. საშინელი, საზარელი იყო ხეტეს თვალები: ცეცხლივით ენთებოდა და ამ თვალების მნახველი ყველა სხვა თვალები უნდა დამწვარიყო, ჩამქრალიყო. ძალაუნებურად მის წინაშე უნდა თავი მოგეხარა. უსიტყვოდ დაგიმონებდა, გაგტეხდა, დაგალაჩრებდა ხეტეს მარტო ერთი შეხედვა. “ჩვენს ძმას ბათურს იქნება ან შვილი გამოადგეს, ან შვილიშვილი გამოუჩნდეს იმის ხმალს ღირსეული მხედარი, კარგი პატრონი, აიღოს ხელში და დადგეს

საქართველოს დარაჯად, უპატრონოს რჯულ-საქრისტიანოს... საფლავში კი მიწამ უნდა შეჭამოს, ეს რას ეგვანება?!”

ამ სიტყვის შემდეგ ხალხმა უარჰყო თავის განზრახვა, აღარავინ ამბობდა, ხმალი ბათურს თან ჩავაყოლოთო. მას აქეთ დარჩა ეს ხმალი სამზეოზე და მას აქეთია კიდეც, როგორც ხალხი ამბობდა, ბათურის ხმალი დაღონებული იყო, მოუსვენრობდა, ჰგლოვობდა თავის ერთგულ პატრონს, ტიროდა.

დიდებული, საკვირველი სურათი იხატებოდა ადამიანის თვალწინ, როცა ხეტე დასტიროდა თავის ძმობილს ბათურს. გმირის ტირილი გამწარებული ვეფხვის რუხრუხსა ჰგვანდა, რომლისთვისაც ვიღაც თავხედ მონადირეს ლეკვები მოუპარავ. შვილების მაძებარი აწყდება აქეთ-იქით, ადუღებული სისხლი ყელში

ებჯინება; რომ ნამდვილი მტერი ვერ უპოვნია, ხესა და ქვას-ღა ჰღრღნის, მიწას ღადრავს კლანჭითა. ეს ტირილი უფრო წყევლა-კრულვა იყო მტრისა, ბრაზში და ნაღველში ამოვლებული, ცრემლით გაბანალი. მაგრამ ეს ცოტაა ხეტეს გლოვის დასასურათებლად: ეს ვეფხვი უნდა იქცეს ცრემლის მფრქვეველ სალ კლდედ თავის სიმტკიცით და შეუდრეკელობით, მხოლოდ მას შეჰრჩეს მსგავსება ვეფხვისა. ეს ორი საგანი შეაზავეთ ერთად ოცნებაში, ადინეთ ცრემლი, ალაპარაკეთ; მხოლოდ ამ გლოვისა და ვაების დროს სრულიად, უკლებლად შეჰრჩეს სიმტკიცე, გაუტეხელობა, დიდებულება კლდისა. ეს იქნებოდა სრული სურათი ხეტეს გლოვისა, მისი მოზარეობისა. ხეტეს ქვითინის დროს დანარჩენი მხედარნიც ბანს ეუბნებოდენ.

II

დიდი გლოვა-ტირილის შემდეგ მიცვალებული მიწას მიაბარეს, დიდი აღაპი გადაუხადეს, მრავალი შესანდობარი დაილია ბათურისა. დედაკაცებს ნატაბლი ქვაბებით, ჯამებით შინაც კი მიჰქონდათ.

ერთის კვირის შემდეგ ბათურის ცოლმა მკითხავს რომ აკითხვინა, ამ უკანასკნელმა გამოუცხადა, ცხენი ბათურისა ხეტესათვის მიეცათ საჩუქრად. ხოლო ხმლის შესახებ არაფერი პასუხი არ ისმოდა მიცვალებულისაგან და ამიტომ ხმალი სახლში დარჩა.

სამი წლის განმავლობაში ხმალი თავის საყვარელი პატრონის ლოგინს ამკობდა. მუდამ შაბათს დღეს, ან კვირას, მოზარე დედაკაცები იყრიდნენ თავს ბათურის ოჯახში, სატირელი გამოჰქონდათ ეზოში და ყველა მოტირალი მის ხმალზე დაბჯენით ტიროდა ბათურს, იგონებდა მის ვაჟკაცობას, გმირობას...

სამი წლის შემდეგ გლოვა გათავდა, ბათურის ლოგინიც აიღეს, ხოლო ხმალი მოწიწებით ჩამოჰკიდეს სხვა იარაღთან ერთად დედაბოძზე მიკრულ ირმის რქაზე. შვილები ბათურისა თავიანთ მამის ხმალს სწმენდდენ, ჰფერავდნენ, დუმას უსვამდენ, ჟანგი არ მიჰკარებოდა. ოჯახი ამ ხმალზე ლოცულობდა, იგი სალოცავ ხატად მიაჩნდათ, მით უმეტეს, რომ მთელი ქვეყანაც ასე ფიქრობდა. შვილები, თუმცა მამის ხმალი ძალიან მოსწონდათ, უყვარდათ და დედაც ეტყოდათ: არა, უნდა მამის ხმალი შემოირტყათო, - მაინც ისინი ვერა ჰბედავდენ, თავისთავს ღირსად არა სთვლიდენ სახელოვანი მამის ხმალი ტანზე ეტარებინათ. ამიტომ ლაშქარში თუ მგზავრობაში თავ-თავიანთ ხმლებს ირტყამდენ წელზე. სხვა ვინ გაჰბედავდა ეთქვა, მათხოვეთო. ბათურის ხმალი მუდამ ერთ ალაგას ეკიდა და ყველა მომსვლელი ბათურის ოჯახში დიდ

ბედნიერებადა სთვლიდა, თუ ვინმე ნებას მისცემდა, სახელოვანი გმირის ხმალი ამოეღო ქარქაშიდან და თვალით დაენახა. ნახვის ნება ყველასაც ჰქონდა, ხოლო შევაჭრებისა, რა თქმა უნდა, არავის. ეს დიდი შეურაცხყოფა იქნებოდა ოჯახისა, თითქმის კაცის კვლასთან შესადარებელი. უნდა გენახათ, ხალხი რა სახეგაბრწყინებული ჰსინჯავდა ამ ხმალს და რამდენ ომსა და ამბავს იგონებდენ ბათურის ხმალ-ქვეშ გამოვლილს. “რა ლამაზი, რა მშვენიერი ყოფილა, თქვენი ჭირიმეთ!” - იყო უკანასკნელი სიტყვები ყველა მნახველისა...

ხოლო რამდენადაც ბედნიერი იყო ეს ოჯახი ამ ხმლის წყალობით, იმდენადვე უბედურნი, რადგან ბოლო ხანებში ისეთ სურათებს აკეთებდა, ყველა ოჯახის წევრს დიდ საგონებელში აგდებდა, თავში გამოურკვეველ აზრებს ჰბადებდა, ამასთანავე შიშსა.

ბევრჯელ უნახავთ, მაგალითად, ღამით, როცა ყველას ღრმა ძილით ეძინა, ცეცხლიც ღველფზე შეხვეული, ნაცარმიყრილი, მთელ დარბაზში წყვდიადი გამეფებული, ხმალი თავისთავად ამოწვდილა ქარქაშიდან და დაუწყია ჰაერში ნავარდი, პრიალი ისე, როგორც მას ბრძოლის დროს ატრიალებდა ბათური. შემდეგ თავისთავადვე ჩაგებულა ქარქაშში. ამა ამბის მნახველი რამდენიმე წევრი იყო ოჯახისა ცალ-ცალკე, ხოლო მაგალითი არა ყოფილა ხმლის ნავარდი ორს ერთად ენახა.

ხმლის ნავარდი ერთ ღამეს ბათურის უფროსმა შვილმა ელიზბარმაც ნახა და მეორე დილას ხმლის პირდაპირ სკამზე მჯდომარე მოთქმით სტიროდა.

- დავსილო ხმალაო, დავსილო! დასწუხდი განა მამაჩემისაკე, ბეჩავო, განა?! ტყუილია, იმისთანა პატრონს

შენ ვეღარ იშოვნი, ჩვენ შენის მხედრობის თავი არა გვაქვს. ომში რომ წაგიღოთ, მტერს გადაგცემთ, ტყუილად თავს შევირცხვენთ. ლაშქარს ხმლიანად წასულნი შინ უხმლოდ დავბრუნდებითო. - ელიზბარმა, რაც იმ ღამეს მოიხილა, ყველაფერი ძმას, ქურსიკას, და დედას, სეთურს, უამბო.

- ვინ იცის, შვილებო, იქნება არ იყოს კარგი, ხმალი რო ყველაის სახელად გვიკიდავ, ყველას ვასინჯვინებთ. ვინ იცის, ვინ რა გულითა და სულითა ჰსინჯავსო. ხმალი უნდა კიდობანში ჩავდვა, არ შეიძლებაო.

- ძალიან კარგი იქნება, დედავ, არა სტყუი. მთელმა ქვეყანამ, სხვაც არა იყოს, ხმალი თვალითა და გულით შეჭამაო. - უპასუხეს შვილებმა: - აიღე და ეხლავ კიდობანში შეინახეო.

სეთურმა ხმალი კიდობანში მოათავსა და თანაც ჩუმად რამდენიმე ცრემლი ჩააყოლა, მაგრამ...

III

მაგარი ის არის, რომ კიდობნიდან იწყო ღამ-ღამობით საუცხოვო ამბებმა მოდენა. ხმალი არ ისვენებდა: კიდობნიდან ისმოდა აბჯრის ჩხერა-ჟღარუნი, დაჭრილთა კვნესა, ხმა ლოცვა-მუდარებისა, ცოდვათა მიტევება. ვინა ლოცულობდა ან ვინა კვნესოდა, არავინ იცოდა, ხოლო ყველაფერი ხმალსა ჰბრალდებოდა.

ბათურის ოჯახი კვალად დაღონებული და დაძმარებული იყო. ჩარა არ იყო, უნდა მკითხავისათვის მიემართა სეთურს. მკითხავმა შემდეგი გამოუცხადა:

- ხმალს ლაშარის-ჯვარი თხოულობსო. ხმალი ძალიან

დაღონებულია, რომ უქმად არი და ომში წამღები არავინ უჩნდებაო; ლაშარის-ჯვარი ბრძანებს, თავად მე ვუპატრონებო. უნდა ლაშარის-ჯვარის დროშასთან ესვენოს შენის პატრონის ხმალიო და ლაშქრობის დროს ვისაც ქადაგი დაასახელებს, ხმალი იმას უნდა ერტყას ლაშქრობის დროსაო.

რაღა ეთქმოდა ან ცოლს ბათურისას, ან შვილებს? - როგორ შაეძლოთ წინააღმდეგობა გაეწიათ ხატისათვის?! მაშინვე კმაყოფილება გამოაცხადეს:

- რა გვეთქმის, მიირთვას, დაილოცოს იმის მადლი და სახელიო, - წარმოსთქვეს ერთხმად დედაშვილებმა. აცნობეს ლაშარის-ჯვარის ხევისბერს და ისიც მალე გაჩნდა დროშით ხმლის წასასვენებლად.

ეს ამბავი მთელმა ქვეყანამ შეიტყო. კვალად შეიკრიბა

ხალხი ბათურის ოჯახში, ქალი და კაცი, დიდი და პატარა. გაიმართა ხელახლად გლოვა და ზარი, თითქოს ბათური დღეს იმარხებოდა.

მთელი ხალხი ხმალს გოდებით ისე მისდევდა, როგორც ბათურის კუბოს, და ასე მიაცილა ლაშარის-ჯვარის სალოცავამდე. ხოლო იქ ხევისბერმა ხმალი დროშასთან ერთად მოათავსა და ხალხს გამოუცხადა:

- ხალხო, ნუ სტირით და ნუ სჩივით, სატირელი, ღვთისა ძალით, აღარაფერი გვაქვს. სატირელი აქამდისა გვქონდა, რო გამოჩენილს ხმალს ღირსეული პატრონი არ უჩნდებოდა. დღეს-კი გამოუჩნდა და იცით ვინა? - ჩვენი დიდებული ლაშარის-ჯვარი. მაშ გაუმარჯოს იმის ძალს, იმის სამართალს და მის ახლად შეძენილს ხმალსა!

- გაუმარჯოს, გაუმარჯოსო! - დაიღრიალა ხალხმა.

იმ დღესვე ხატში დაიკლა რამდენიმე საკლავი, როგორც ბათურის სულის მოსახსენებლად, ისე მის ხმლის სადიდებლად და გულის დასაამებლად. ხალხი ჰსვამდა როგორც ბათურის, ისე სხვა გარდასულ გმირთა შესანდობარს და უმადლიდა ღმერთს, რომ ბათურის ხმალი ხატმა მიიღო თავის მფარველობის ქვეშ. დიაღ, მიიღო და ამიერიდან ხმლის მწუხარება არავის გაუგონია, რადგან მას ომში ყოფნა ხშირად უხდებოდა და მუდამ ღირსეული გმირის ტანს ამშვენებდა.

ხოლო ხალხში ხმა იყო: ბევრჯელ უნახიათ ლაშარის-ჯვარის მიდამოებში ჯაჭვ-ჩაჩქნიანი ბათური გადამდგარიყოს სერზე, წელდამშვენებული თავის სახელოვანის ხმლითა, ეძახოდეს, ხელს უქნევდეს სალაშქროდ ბიჭებს.

უნახიათ აგრეთვე, შუაღამის დროს ათასწლოვან მუხა-
იფნების ქვეშ შემოეკრიბოს თავისი ლაშქარი, ჰქონდეს
თათბირი გალაშქრებაზე, ხელში ეპყრას თავისი ხმალი და
მაზე რაღაცას ფიცულოდეს, - ხოლო იფნების, მუხის,
არყის ტოტები, კენწეროები ციდან ჩამოსული
კელაპტრებით ყოფილიყოს განათებული.

1913 წ.

მთის წყარო

არაფერი ცოდვა არ მიქნია ჩემს სიცოცხლეში. ვერც ერთი სულიერი, თუნდ უსულო, ჩემს ცოდვას, ჩემს სიავეს ვერ იტყვის. ღმერთს ესე დაუწესებივარ: უნდა ვიდინო, ვიდინო; ყველამ ჩემით უნდა მოიკლას წყურვილი. გახურებულს ზაფხულის დღეში რამდენი ნადირი მოდის, სვამს ჩემს წყალსა. რამდენი დაღალულ-დაქანცული მუშა მოვა, მოიტანს ცელს, ნამგალს გასალესად. კაცნი მსმენ და ათასში ერთი თუ იტყვის: “დაილოცე, ცივო მთის წყაროვ, რომელი ღვინო შეგედრებაო?!” უმრავლესობა ზედ მაფურთხებს. რა ვქნა, მე ვერავის მივაფურთხებ. დეე, ისევ მე მაფურთხონ! რა ბედნიერადა ვგრძნობ ჩემს თავსა, ღმერთო! რა კარგი მეგობრები მყვანან გვერდსა! აი ჯერ ეს ლოდები, სქლად მწვანე ხავსი რომ გადაჰკვრია; აი კიდევ ჩემს თავზედ პირყვითელი კლდე რომ

დაყუდებულა და დამცქერის, მეხურება თავზედ მუზარადივით. ეს დევებივით ქორაფები როგორ აწვდილან ზეცად და მზის სხივსაც არ უშვებენ ჩემამდის! სქელი, გველებივით დაკლაკნილი ფესვები ჩემს უბეკალთაში ჩაუწყვიათ. ორისა თუ სამის ვერსის სიგრძეზე ვარ მხოლოდ ბედნიერი და უცოდველი, მერე დამლევს, ჩამნთქავს უზარმაზარი მდინარე, დაიკარგება ჩემი სახელი, ჩემი ვინაობა. როგორც უნდა, ისე მათამაშებს. თითონ ხომ ღრიალებს, ბორგავს, აწყდება აქეთ-იქით, ანგრევს დედამიწას, გლეჯავს ხეებსა და მიათრევს, მეც იმასვე ჩამადენინებს. მაგრამ მაშინ მე ის აღარა ვარ, რაც ეხლა, ამ წამში, როდესაც პირველად კლდიდამ ვიბადები. ოჰ, ამ მდინარისაგან გული მაქვს გახეთქილი! რამდენჯერ აქ მესმის ხოლმე ხალხის ჟივილ-ხივილი: “დაარჩო წყალმა კაცი, უშველეთ, ღმერთი არავის გწამსთო!” ცოტა არ არის, მეც ბრალი მედება. ვაჰ, ჩემო თავო!

ნეტავი დამბადებელს ესე არ დავეწესებინე და სულ დაუსრულებლად მედინა, მერწყო მცენარენი, დედამიწის ლამაზი გული, მომეკლა კაცთა და ცხოველთათვის წყურვილი! რა ბედნიერად ვგრძნობ ხოლმე ჩემს თავს, როცა მე ჩავუვლი გასახმობად დამზადებულს ბუერასა და იგი თავს დამიკრავს, სალამს მაძლევს, თან თავისის ფოთლებისას კაბას მიკერავს. მერე რომ ჩადუნიანში ჩავრაკრაკდები და ისინიც გარს შემომერტყმიან და ტრფიალით მომძახიან: “გაუმარჯოს მთის წყაროს, გაუმარჯოსო!” ახლა ზვავისაგან წამოთელილს თხილებსა და ყურძნებს დავულობობ დამჭკნარს ფესვებსა და მაღლა ავახედინებ... ოჰ, ღმერთო, ღმერთო, ჩემს ამაგს რად აფუჭებინებ იმ ტიალს, აბეზარს, დაუდეგარს, მოუსვენარს მდინარეს! წუხელის რა ცუდი სიზმარი ვნახე!.. ღმერთო დამბადებელო, ჩვენო პატრონო, ჩვენო შემნახველო, კარგად ამიხდინე!.. ვნახე, ვითომ ვიღუპებოდი. გვალვა, დიდი გვალვა დამდგარიყო;

ბალახნი, ხენი, ჩემნი მშობელნი, დამჭკნარიყვნენ, მეც დავმშრალიყავი თითქმის. ღაბუა, ლამაზი “წიფლისჩიტა” ჩამოფრინდა ვერხვის ტოტიდამ და უნდოდა ჩემს გუბეში ბანაობა, მაგრამ ვეღარ დაისველა მხრები და დაიწყო ტირილი. ვხედავდი ამას და გული მიკვდებოდა: ``სად წახველ, ჩემო მადლო-მეთქი”, - ვდუდუნებდი. დამჭკნარნი დიყი, შუპყა, შამბი, არყი, ცაცხვი და ურძანი, - ყველანი ერთად შფოთავდენ: - ``მივაშველოთ წყაროს წყალი, არ დაგვიშრესო!” მაწვდიდენ ფოთლებიდამ, ტოტებიდამ, ფესვებიდამ თითო-ოროლა ნამობით, მაგრამ ვეღარასა მშველიდენ. თანაც ვითომ მიწამ პირი მიყო და დაუსრულებელს უფსკრულში უნდა დავღუპულიყავ. შემეშინდა და გამომეღვიძა. გული მიკანკალებდა, შუბლზე ოფლი დამსხმოდა. ავიხედე, ნისლებით გაჭედილიყო ხევ-ხუვი. ქორაფმა ტოტები დამკრა, აკვანი დამირწია და დამდუდუნა: “ნუ გეშინიან, პატარავ, არ დაშრები, არ დაიკარგებიო!” ამ დროს, დღისით ფრთხილი

და წინდახედული, ზურგზე რქებგადაყრილი, “ყელყურლამაზიანი” ირემი მოვარდა გაჩქარებით, დაეწაფა ჩემს წმინდა წყალს, დალია და გაძღა. მაშინ გულდამშვიდებულმა ვსთქვი: - ``არა ვარ გამშრალი, არაო!”.

1888 წ.

გასამართლებული ჩიბუხი

(სურათი ფშავლების ცხოვრებისა)

I

გაითქვა. ღვაწლით შემოსილი, დიდებული, სახელოვანი იყო ეს ჩიბუხი. პატრონს, ღვთისუნელს, კიდეც იმიტომ უყვარდა და ეტრფოდა, პირიდან არ იშორებდა, მძინარეს გამოღვიძება უხაროდა, ადგომა ეხალისებოდა - ჩიბუხს მოვწევო. ისე საგანგებო ტკბილეულობა, სურნელოვანი თაფლიანი ყვავილი - სასუტელა - როგორ დაატკბობდა, ასიამოვნებდა მწყემს ბალღს, როგორც ღვთისუნელს ჩიბუხი ანეტარებდა... ჰსუტავდა ჩიბუხს და თან თვალებსა ჰკულავდა. ყრილობაში, სახლში, გარეთ საქმეში, ყველგან და ყოველთვის, საცა ჩიბუხი იყო,

ღვთისუნელიც იქ იყო თავის ტყავის, კინკრიხოზე დაკრულის ქუდით და სადაც ღვთისუნელი - იქვე ჩიბუხი თავის ავლადიდებით.

“ბიჭო, გამახარე, არიქა, მამა-შვილობას, ცეცხლი მომიტანე!” - შვილიც დაუზარებლად მოურბენინებდა მუგუზალს... “დედაკაცო, ცეცხლი!” რა ექნა ან დედაკაცს, მის ცოლს ხვარამზეს, ქმრის ბრძანება არ აესრულებინა? დიაღაც ასრულებდა, ხოლო, როცა ცეცხლს მოუტანდა, თან ამ სიტყვებსაც მიაყოლებდა, ზედ დაატანდა: “აჰა, ჩაიწვი და ჩაიბუგე უარესად, როგორც ჩამწვარი ხარ და ჩაბუგული!”

- ჰმ, ვერ უყურებ მაგ სულელს! - წაიბუტბუტებდა ღვთისუნელი თავისთვინ. ამის მეტს არც ავს ეტყოდა, არც კარგს. გააჩაღებდა ჩიბუხს... ადის ბოლი, იკლაკნება, იშლება, იფანტება, იძაბება. ნეტარობს ღვთისუნელი, ათასიც რომ ეთქვა ცოლს, ჩიბუხს ვერ უღალატებდა,

თუმცა-კი, მართლაც, ჩამწვარ-ჩაბუგული იყო. ახალოხის წინა-კალთები, ჩოხა, შალვარი ცეცხლისაგან ჰქონდა დაცხაული ჩიბუხის წევის დროს. ბევრჯელ კინაღამ არ დაიწვა კაცი. მაინც თავისას არ იშლიდა: ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, ნათქვამია. ერთხელ მგზავრად მიმავალს ტანისამოსზე გაუჩნდა ცეცხლი და - თქვენს მტერს დაემართოს, რაც იმას დაემართებოდა. არაგვი რომ არ დასწრებიყო, მაშინათვე წყალს ეცა.

ხალხში ბევრი თქმულება იყო გავრცელებული ღვთისუნელსა და იმის ჩიბუხზე. სხვათა შორის იმასაც კი ამბობდენ: მკის დროს ღვთისუნელს ხელეურში ყალივნის ცეცხლი ჩაჰვარდნია და ხელეური დასწვიაო, - ღვთისუნელი დამწვარაო და სხვა, მაგრამ თქმა თქმად დარჩა, ამბავი - ამბად, ღვთისუნელი ჩიბუხს შეჰრჩა, ჩიბუხი - ღვთისუნელს. დღესაც ისევ ცოცხალია და ცხოვლად ასრულებს თავის მოვალეობას ჩიბუხის წინაშე.

მეტისმეტად ესიამოვნება მგზავრად წასულს, შეჰხვდეს ვინმე, რომ ჩვეულებრივი გამარჯვება-გაგიმარჯოს, სალამ-ქალამის შემდეგ მიაგებოს ასეთი სიტყვა: “მოდი, ჩამოვსხდეთ, თითო ყალიონი მოვწიოთ!”

- ტალკვესი ხო გაქვის? - ეკითხება მგზავრს შინაურულად, ძმურად. რაკი ყალიონს გაჰმართავს, რამდენიც გნებავთ ელაპარაკე და ალაპარაკე, წასვლას ვეღარ გაიგებს. ხიდთან რომ მივიდეს. უეჭველად ხიდის ყურზე უნდა დაისვენოს, თუნდა დაღალული არ იყოს, და ჩიბუხი მოსწიოს. ეწევა ჩიბუხს და თან მდინარის ტალღებს ადევნებს თვალსა. რას ფიქრობს ამ დროს, ღმერთმა უწყის, მხოლოდ ეს ცხადია, ესიამოვნება.

მიდის დილით გარიჟრაჟზე ყანაში სამკალად. შესჩერებია თავთავებს, ჰხედავს ფხაზე ნამი პატარძლის ცრემლივით დაჰკიდებია, ესეც კაი საბუთია, შეისვენოს, ჩიბუხი გააკეთოს “მოდი, ბარემ ერთს ყალიონს გავაკეთებ,

მანამდე ყანაც შეიბერტყება, შეშრება, მჭელეურს ნამი აღარ შეჰყვება და მეც კარგა, გულიანად შეუტევ", - ფიქრობს ღვთისუნელი თავის გუნებაში. თავზე კი ამ დროს ტოროლა დასტრიალებს, დაჰკივის, თუმცა ღვთისუნელი იმას ყურს არ უგდებს, არც ესმის გაბრუებულს მისი ჭიკჭიკი: "ადე, ღვთისუნელო, ადე, ძმაო, რა დროს ჩიბუხია, ნამი არ უშლის ყანას, გალესე ნამგალი და მოუსვი გულიანად; მომკილს ყანას არაფერი უშავს, აგერ ცხრათვალი მზე მოდის, დაჰხედავს, შეაშრობს; მერე უფრო დაცხება, მუშაობა გაგიძნელდება; ჩიბუხი არსად გაგექცევა, ყანა კი, შეიძლება, გაიქცეს: ხომ იცი, ცა თავზე დაჰყურებს!"

ერთხელ ღვთისუნელს დიდი უბედურება დაატყდა თავსა. თქვენთვის იქნება არაფერია, იმისთვის-კი - დიდი უბედურებაა მიჰხვდით? ვერა... ღვთისუნელმა ტყეში, ფიჩხის ჭრაში, ჩიბუხი დაჰკარგა, სადღაც ჩაჰვარდნოდა ის

ვერანა. ეძება ღვთისუნელმა ბევრი, მაგრამ ვერას გახდა.

- ბიჭო, დავითო, გოგო, მარიამო, - უთხრა ღვთისუნელმა ვაჟს ცამეტი წლისას, ქალს ცხრისას, თავის შვილებს: - აბა, ერთი, მამაშვილობას მიიარ-მოიარეთ, იქნება მომიხელოთ ის ოხერი ყალიონი, გამიჭირდა, ვკვდები უყალივნობით. თქვენ უფრო თვალს აჭრევინებთ, გაჰყევით ამ ბილიკს, რაზედაც ე ფიჩხი გამოვატარე, იქნება მანდ სადმე ჩამივარდა. მაშ რა იქნა? ცამ ჩანთქა თუ დედამიწამ?

ბალღები მაშინვე ჩიბუხის ძებნას შეუდგნენ.

- რა საქმე გიჭირს ნეტავ, ბეჩავო, რაში გარგია, კაცმა იცოდეს, რაც საქმეს არ გაცდენს და არა გშრეტს, რო მისტირი იმ ოხერს ყალიონს? - უთხრა ბუზღუნით ცოლმა ხვარამზემ.

- შენ მაგისას არა გკითხავ, ე პური არ დასწვა, ნაცარი

გადაუგრილე. შენც ახლა მე უნდა დამარიგო შენს ჭკვაში, დედაკაცობაში წილი უნდა ჩაიდვა და ის კი დაგვიწყებია: “ზოგსა კაცსა კაცი ჰქვიან, ზოგსა კაცსა კაცუნაო, ზოგს დედაკაცს - დედაკაცი, ზოგსა - დედაკაცუნაო?!” - მიუგო ქმარმა და თანაც თავზე ჩაჩი გვერდზე მოიგდო.

ხვარამზეს ბარემ უნდოდა პასუხზე პასუხის გაცემა, მაგრამ დასთმო, თანაც შაეცოდა ქმარი, ჩიბუხს მოკლებული, და თავადაც ღვთისუნელის დაკარგულ სიამოვნების ძებნას შეუდგა.

- ჰმ, ყალიონი და რა ყალიონი, ის ოხერი, ისა! - ბუტბუტებდა თავისთვის ღვთისუნელი და თან თვალი შვილების მოსასვლელ გზისაკენ ეჭირა. ბალღები მირბი-მორბოდენ ტყეში, გულმოდგინედ ეძებდენ მამის ჩიბუხს, მაგრამ ამაოდ, იმათ ისევ დედამ აჯობა. ხვარამზემ კარგად იცოდა ქმრის ხასიათი: როცა ღვთისუნელი ჩიბუხს მოსწევდა, უკან წელში ჩაიტანდა.

მაშასადამე, მოისაზრა, თასმას, რომელიც ჩიბუხს ჰქონდა მობმული და კისერზე ჰქონდა გადაგდებული ღვთისუნელს, სხვა არაფერი გასწყვეტავდა, თუ არა ფიჩხი, ღვთისუნელის მოტანილი, ზიდილ-ჯაჯგურში. ამიტომ ხვარამზემ პირდაპირ ქმრის მოტანილს ფიჩხს მიჰმართა და იმას დაუწყო ჩხრეკა. იმედი არ გაუმტყუნდა: მართლაც, ფიჩხში აღმოჩნდა ღვთისუნელის ბედნიერება. მხოლოდ ხვარამზემ ჩიბუხი ქმარს მაშინვე არ გამოუჩინა.

- მაშ, ეს მითხარ, კაცო, - ეუბნებოდა ხვარამზე ღვთისუნელს, - ჩიბუხი რო მოგიხელო, რამდენს გზას მოიტან ფიჩხს კიდევ?

- იქნება მაჰხელე? - სთქვა ღვთისუნელმა და სახეგაბრწყინებული წამოიჭრა ზეზე. - მაიტა, სადა გაქვს, რა უყავ?

- შენ რა გინდა, რაც უყავ? სთქვი, რამდენს გზობას მაიტან კიდევ?.. - ჰკითხა ცოლმა.

ღვთისუნელმა თავი ჩაჰკიდა და ჩაფიქრდა.

- რამდენსა? - სთქვა ბოლო დროს, - ერთსა.

- მაიტან სამსა? - განუმეორა ცოლმა.

- მოვიტან, მოვიტან, ოღომც ნუ მკლავთ უყალივნობით, სთქვა ღვთისუნელმა.

- კარგი, მაშ, ეხლა ეს მითხარ, შენის მკვდრების ცხონებასა, ყალიონი უფრო გიყვარს, თუ ჩვენა, შენი ცოლ-შვილი? - ეკითხებოდა კვალად ცოლი.

ღვთისუნელს წვერებში ჩაეცინა, ტუჩებზე ღიმილი შეუთამაშდა.

- ყალიონი. - უპასუხა ცოტა სიჩუმის შემდეგ, - ეგ მასიამოვნებს და თქვენ-კი ჭირისა და ვაების მეტი არაფერი მაჩვენეთ; წინ მარტი მიჩან, უკან აპრილი, თავზე ქუდი აღარ შამრჩა და ფეხებზე - ქალმები. ბევრს ნუღარ მაყბედებ, მაიტა ჩქარა ი ოხერი ყალიონი, თორო, ხო იცი, მე ცოტა ნაფქვავი მაქვ, კიდეც გავჯავრდები.

- ოღომც შენ ნუ გაჯავრდები მაგაზე მეტად, აჰა! - უთხრა ხვარამზემ და თანაც ჩიბუხი გადასცა. - ჯვარი გეწეროსთ შენა და შენს ჩიბუხსა, ერთმანეთს შეგაბეროსთ, ტკბილად დაგაბეროსთ.

- ამინ და ეგრე იყოს! მაგას რა სჯობია! ღმერთმა შენც გიშველოს, დედაკაცო, და მუდამ ხალისიანად ცეცხლი მოგატანინოს, როცა შაგიკვეთო, - მიუგო ღვთისუნელმა და თან შეუდგა ჩიბუხის მართვას: სირაში რამდენჯერმე ჩაჰბერა და შეისუტა; მერე სათამბაქოდან ამოიღო წეკვის ნაგლეჯი და დაუწყო ხელისგულზე სრესა... ამ დროს

ქშენით, პირზე ოფლგადამდინარი ბალღებიც მოვიდენ და გულმტკივნეულად განუცხადეს მამას: “ვერ მოვხელეთ, მამავ, ვერა! სუ დავიარეთ ეგ ტყე, ვეძებეთ გზა-გზის პირებზე და არსად იბადება!”

- გიშველოთ ღმერთმა, შვილებო, ნუ შასწუხდებით, დედათქვენმა მოიხელა, აქ არი! - და უჩვენა უკვე გამზადებული ჩიბუხი. - თქვენ ეხლა ერთი ნიგზური (მუგუზალი) მომიტანეთ, სხვა არაფერი მინდა. - უთხრა მამამ შვილებს და ისინიც ბრძანების ასასრულებლად გაექანენ სახლისაკენ, ხოლო ღვთისუნელს თვალი კარებისაკენ ეჭირა და პირით ყალივნის სირას აწვალებდა.

ცეცხლიც მალე მოუვიდა და გაიჩარხა იმის საქმე. დაადო ჩიბუხს ცეცხლი. გააჩაღა ჩიბუხი. გაეხვია თამბაქოს ბოლში. ისე ჰგრძნობდა ამ დროს თავსა, თითქოს ღვთისუნელზე სული წმინდა გადმოსულაო.

II

საყდრის გალავანში კომლის კაცს მოეყარა თავი. დიდი ყატყატი იდგა: ზოგნი ფეხზე იდგნენ, სხვანი მხარ-თეძოზე შემოწოლილიყვნენ. სათათბიროდ დიდმნიშვნელოვანი საქმე გამოსჩენოდა ხალხსა და ეს საქმე უნდა გაერჩია, მისთვის თავის მსჯავრი დაედო. თებერვლის შუა-რიცხვები იქნებოდა, გალავნის ძირზე მინაქრული თოვლის გროვა მოსჩანდა. ღვთისუნელს ზურგი შაექცია ხალხისთვის, გაბუტული იჯდა ხმაამოუღებლად და თვალებით თოვლს მისჩერებოდა, პირში ჩიბუხი ეჩარა და ნელ-ნელა ჰსუტავდა.

- ეხლა თქვენ იცით, როგორც გაასამართლებთ. მე ამის მეტს ვერას ვიტყვი: დავიღუპე, დავიქე. თქვენს მტერს დაადგეს ის დღე, რაც დღე მე მადგა: რამოდენა საქონლის საჭმელი - ჩალა და თივა - ჩამეწვა-ჩამებუგა. კიდევ კარგი, საქონელი მაინც გადავარჩინეთ... საბძელში გოდორი

იდგა, ერთი ცხრა-ათი კოდი ქერი ეყარა შიგ, ისიც ჩაიწვა. უღლებს, გუთანს, ფიწლებს, ნიჩბებს ვინღა ჩივის! სუყველა გაადნო ცეცხლმა. რა უყვა ამ ცივ ზამთარში? ან საქონელი სად მოვათავსო და ან რა ვაჭმიო? მართალია, მამასახლისს ელით, მაგრამ ტყუილად, მე მამასახლისი არაფერს მომიტანს და ვერც გზას მამცემს უთქვენოდ. - ეუბნებოდა ფარაჯაში გახვეული, ბანლის გარსაკრით შემოსარტყული, თავზედ ხელსახოცწაკრული, ჯოხზე დაბჯენილი, ტირილის ხმაზე მოუბარი ბუთლია. - არ მინდა არავის შეწუხება, არც თქვენი, არც კიდევ მეზობლისა, მაგრამ რა ვქნა, ამ წყალწაღებულმა, რო არა ვთქვა და არ ვიჩივლო, მეც ერთი საწყალი კაცი ვარ, ცოლ-შვილის პატრონი!..

- განა მაგას კი უნდოდა! მოუხდა ფათერაკი საქმე, მოუხდა! ახლო ხო არ დავარჩობთ, ან არ ჩავაქვავებთ? საწყალს თავადაცა სცხვენიან, აგერ პირდაპირ ვეღარ

გვიყურებს, როგორ გვერიდება. უფრო სასმლის ბრალი იქნება. - გაისმა რამდენიმე ხმა გროვიდან.

- იმდენი ბრალიც არ იყო სასმლისა, თქვენი ჭირიმე, არა! სასმლის ბრალი კი არა, იმის ბრალია, რომ ეგ ბეჩავი მეტისმეტად ებრძვის მაგ წყეულს ყალიონს: დღე არ გააჩნია და ღამე, თორო დალევით იმდენიც არ დაგვილევია, გონი დაგვეკარგა. აღების ღამე იყო, ბერიკეები მომივიდენ სტვირით, ფანდურით, ლხინით, ჰაიჰუით. ღვთისა წინაშე, ძალიან მიამა, ბებრები, ბალღები სუ ერთმანეთში არეულიყვნენ. დავპატიჟე შინ, ვასმიე არაყი, ვაჭმიე პური, რაც ჩემი საწყლობა იქნებოდა. ღვთისუნელი აღარ გავუშვი, ჩემი ბრალია, მიმაჩნია, მინდოდა ერთად დრო გაგვეტარა, ამაძრახებს, ან ავს მეტყვის, ან კარგსაო, ვიფიქრე. ღვთისუნელმაც ხათრი არ გამიტეხა, დარჩა ჩემთან. როგორც ვიცით, ხინკალი მოვხარშეთ, ვახშამი ვჭამეთ. კარგა ხანს ვისხედით.

დასწყევლოს ღმერთმა ის დღე და ის საათი! მოვიდა ძილის დრო, ღვთისუნელს შინ დავუგე ლოგინი. არაო, დაინიჟა, საბძელში ჩალა (ბურდო) იქნებაო, იქ წავალ, იქ დავიძინებ, თბილად ვიქნებიო. მეც აღარ ავუხირდი. დავაწვინე საბძელში და ბოლოს ეს გამოვიდა. - დაამთავრა ბუთლიამ სიტყვა და თანაც ღრმად ამოიოხრა.

ხალხს გულში წინათვე გადაწყვეტილი ჰქონდა, დავა როგორც უნდა გადაეწყვიტა, მაგრამ მიღებულ ძველადგანვე წესს საქმის გარჩევისას არა ჰღალატობდა.

- აბა, ერთი, ღვთისუნელს დავუძახოთ, იმასაცა ვკითხოთ, ვნახოთ ის რაღას იტყვის, იქნება - ბრალს არა კისრულობს, კაცებო? - გაისმა კვალად ხმები ხალხის გროვიდან. - ”ღვთისუნელო, ღვთისუნელო! მოდი აქ ცოტა ხანს”. - ღვთისუნელი ადგილიდან არ იძვროდა, მინამ რამდენჯერმე არ დაუძახეს. როგორც იყო, ადგა წელში და მუხლებში მტვრევით ღვთისუნელი და

წარსდგა ყრილობის წინაშე. დარბაისელთ ღიმილი მოსდიოდათ სახეზე ღვთისუნელის დანახვაზე და ჯეილები, რომელთაც ცალკე ჯგუფი შაედგინათ, სიცილით იხოცებოდნენ. ღვთისუნელი თავჩაქინდრული იდგა კრების წინაშე და დიდხანს ხმას არ იღებდა, ყალიონს ეხლა ხელში ატრიალებდა. ახალოხის, ჩოხის და ტყავის წინა-კალთები სულ შემოსწვოდა, წამწამებ-წარბ-ულვაში სულ ატრუსული ჰქონდა. ამის გამო ყველას სიცილსა ჰგვრიდა.

- მიკვირს, ძმობილო, რო სუ არ ჩამწვარხარ? - ჰკითხა ვიღამაც ხუმრობის კილოთი.

- განა გიჟი იყო, ჩამწვარიყო, დღესაც კიდევ. ეტყობოდა თოვლზე მაგის ნაგორავალი. - გაიხუმრა მეორემ.

- დაილოცა ღმერთი, დაილოცა იმის სამართალი! - იძახოდა მესამე. - რაზე შავრცხვებოდით მთელი სოფელი

და კაცი დაგვეწვებოდა?!

- ნეტავი ჩავმწვარიყავ, ისა სჯობდა, - წარმოსთქვა, როგორც იყო, ბოლო დროს ღვთისუნელმა: - მოვრჩებოდი ამოდენა დავიდარაბას და ვაი-ვაგლახს, აღარც თქვენ დაჰღონდებოდით, აღარც მე და აღარც ეს საწყალი ბუთლია. მე ერთს რასმე გთხოვთ, ჩემო ძმებო და მეზობლებო, კარგა იფიქროთ, აიღ-დაიღოთ. მართალია, მე მივაყენე ზარალი ბუთლიას, იმ ღამეს რომ მე იქ არ მივხისფეხე-ბულიყავ, ამ კაცს საბძელი და ბოსელი არ დაეწვებოდა. მაგრამ ბუთლიას ბრალიც-კია, რა უნდოდა, წავხირებულიყავ შინა; აღარ მამეშვა, არ შაიძლება, თუ ძმა ხარ, დარჩიო. ან მაგას რა აბრძოლებდა, მაგ დალოცვილსა? როგორც მოვხისფეხდი, ისევ ისრე წავხისფეხდებოდი - ეს საქმე არ მოხდებოდა. აღარ მამეშვა. და ბოლოს კი ასე გამოვიდა საქმე. ღმერთმაც იცის, თქვენც კარგად იცით, ბუთლიასაც ეჭვი არა აქვს, რომ მე ეგ ჯიბრით და

შურისძიებით არ დავწვი. ათასჯერა ვწოლილვარ საბძელში, ჩალაში, ყალიონიც მამიწევია, მაგრამ იქ ცეცხლი არ გაჩენილა. რაღა მაგის საბძელში გაჩნდა ცეცხლი, თუ ერთი რამ მიზეზი არ იყო, თუ წერა არ იყო. - ღვთისუნელმა როცა სიტყვა "წერა" ახსენა, ხალხმა ყურები ჩამოყარა, ღვთისუნელმა ეს ცხოვლად შეამჩნია, გული მოეცა, უფრო გამხნევდა, იქამდის გამხნევდა, რომ ჩამოჯდა კიდეც, სათამბაქოვე ამოიძრო ქამრიდან და ჩიბუხს მართვა დაუწყო; თანაც განაგრძო: - ახლა ესეც იფიქრეთ, თქვენ გენაცვალოსთ ღვთისუნელი, მე რო მართლა ჩამვწვარიყავ, ვის უნდა ეზღო ჩემი თავსისხლი? ხო უნდა დაჰბრალებოდა ბუთლიას, რადგანაც მაგან დამაბრუნა ძალად შინა. მაშინ ხომ ყველას უნდა გეთქვათ: სუ ბუთლიას ბრალია! იმ აღების ღამეს ღვთისუნელი რო არ დაებრუნა, არ დაეთრო, კაცი არ დაიწვებოდაო. მაგრამ ესეც უსამართლობა იქნებოდა. მე, დაილოცა ღმერთი, არ დავიწვი და რის ბრალია? ესეც

იმავე “წერისა”. აბა კარგა იფიქრეთ, თუ ასე არ არი?

ხალხი უფრო ღრმად ჩაფიქრდა და ღვთისუნელიც სრულიად გამარჯვებულად გრძნობდა თავსა, მაგრამ უცებ აღმოჩნდა ხელის შემშლელი “გარემოება”, ეს “გარემოება” ადამიანი გახლდათ, გლეხკაცი სამოცის წლისა, ზურაბი, კაცი პირდაპირი, მოურიდებელი, პატიოსნებით გათქმული. ვისთანაც უნდა ჰქონოდა საქმე, დიდთან თუ პატარასთან, თავის გრძნობას, თავის აზრს მოურიდებლად, მოუფერებლად წარმოსთქვამდა მუდამ. თავის ჯეილობაში ბევრი უწვნევია ზურაბს თუ მოხელეებისაგან, თუ მეზობლებისაგან, მაგრამ თავისი ზნე ვერარამ და ვერავინ მოაშლევინა. მისი დანჯღრეული ხმა, სწორედ ვეფხვის რუხრუხის მსგავსი, მეხივით გაჰკვეთდა გასაკვეთს და გასაწყვეტ საქმეს.

ვიდრე ხალხი ფიქრში იყო და გუნებაში სწონავდა, ნასმენ-ნახულს, ღვთისუნელმა დრო იხელთა, ყალიონში

თამბაქო ჩაყარა, ტალკვესი, აბედი ამოიღო, დააკვესა, ყალიონს აბედი დაადო და დინჯად ბოლება დაუწყო. გამარჯვებული ვარო, თან გულში ამას ფიქრობდა. აი სწორედ ამ დროს გაისმა მოხუცის ვეფხვის რუხ-რუხი.

- ჩვენ გავიგოთ, ბიჭო, ვისი და რის ბრალია? - წარმოსთქვა ზურაბმა და თან ეკლის კონების მსგავსი ულვაშები და ჩამობარდნილი წარბები შეათამაშა: - რა უნდა გავიგოთ? გაგებული მაქვ და ძალიან კარგა ვხედავ, ჯერ არ დავბრმალვარ. ვისი ბრალია? ე მაგის ბრალია, პირში რომ გჩრავ და, როგორც ძაღლი ვერ ეშვება ძვალს, რაც უნდა გამოხრული იყოს, ისე შენ ვერ მაჰშვებიხარ, შე გადაყრუებულო! - უთხრა ეს ზურაბმა და თან ჯოხი დაუკრა ჩიბუხს ისე მარჯვედ, რომ ჩიბუხი ხალხში გადავარდა, ხოლო ღვთისუნელი პირს კატა-ნაცემი დარჩა და დიდხანს ვერ გამორკვეულიყო, თუ ეს რა საქმე დაემართა. - წერა. წერა! წერა-მწერელი, თუ არ დაგიშლია,

შენ ნუ მამიკვდები, წერა-მწერელს შენ და შენის ჩიბუხის თვალყურის საგდებლად მოუცლია?!. აი ეგ არი ჩემი სამართალი. გესმის თუ არა? ყალივნისთვი კი არა, შენთვი უნდა დამეკრა ეს ჯოხი თავში, შე ძაღლო! - ამბობდა ზურაბი და თან ცეცხლის მგზნებარე თვალებით შასჩერებოდა ღვთისუნელს.

ხალხი აჩოჩქოლდა, ეცნენ საბრალო ღვთისუნელის ჩიბუხს და დაუწყეს წეწა, ზოგი მუშტსა სცემდა, სხვა ფეხქვეშ იგდებდა, სირა (ჩიბუხის ტარი) დააქუცმაცეს და აქეთ-იქით გადაყარეს. ისმოდა ჟრიამული, სიცილ-ხარხარი.

გამტკნარებულმა, განაცრებულმა ღვთისუნელმა როდის-როდის წარმოსთქვა: - ვაჰმე, ჩემო ყალიონო, აბა, უყუროს კაცმა, რასა სჩადიან, ე!? ღმერთი იწამეთ, ყალიონი არ გამიტეხოთ! - მიჰმართა ბოლო დროს ხალხს ღვთისუნელმა, მთელი გული და გონება მისი მიმართულ

იქმნა ჩიბუხისაკენ და ზურაბის საპასუხოდ მხოლოდ ორის სიტყვის თქმა მოასწრო: - “გაგიხმეს ხელი და დაგიდგეს ენა, აჰა!” მიეშველა თავის საყვარელ ჩიბუხს. უნდოდა დაეხსნა წამებისაგან, მაგრამ ამაოდ, ვერაფერს გახდა, ვერაფერი უშველა პატრონმა, აღმზრდელმა აღზრდილს: ხალხმა ჩააქვავა ღვთისუნელის ჩიბუხი, მოუსპო სიცოცხლე, მოუსპო...

III

როცა იყო და არ იყო, ხალხი დაშოშმანდა, დაჯარდა, ცოტად გული მოიოხა. ხოლო სადავო საქმისა არ იყო ეს სრული გადაწყვეტა, - ამით ვერ დაკმაყოფილდებოდა დაზარალებული ადამიანი და ვერც ხალხის სინდისი. ჩიბუხის დასჯა ვერ გააძღობდა უსაჭმელოდ დარჩენილს ბუთლიას ძროხებს, ვერც გომურსა და საბძელს აუშენებდა დაზარალებულს, ნივთიერი დახმარება იყო საჭირო, ამას ყველა ჰგრძნობდა, ყველას გული

ძალადაუტანებლად დუდუნებდა: - “უნდა უშველო დაზარალებულს მეზობელსაო!” მხოლოდ ერთი ენის დაძვრა იყო საჭირო, ერთი მოწოდება, რომ ხალხს “ჰოს” თქმით მოეშორებინა ის მოთხოვნილება, რასაც გული და ჩვეულება ავალებდა. ეს ხმაც გაისმა.

- კაცებო, - წარმოსთქვა ზურაბმა, - რო შაძლება და ღონე ჰქონდეს, თუ მთელი ზარალი არა, იმის ნახევარი მაინც უნდა ღვთისუნელისათვის გვეზღვევინა, რადგან იმის გაუფრთხილებლობის ბრალია ამ კაცის ზარალი. მაგრამ რადგან ღვთისუნელიც საწყალი კაცია, ჩვენი ვალია ყველასი დავეხმარნეთ ჩვენს ძმას, ჩვენს მეზობელს. ნუ ვუმტყუნებთ მამა-პაპის წესსა და ჩვეულებას, რითაც ვის შეგვიძლიან, იმით შევეწივნეთ. გავიყვანოთ ეს კაცი იოლად. ამისთანა საქმე დღეს ამის თავს არი, ხვალ ჩვენს თავზე იქნება. მე ამის მეტი არ შემიძლიან: მიჩუქებია ერთი თივა და ერთი ტვირთი ჩალა; როცა გინდა, მოდი,

ძმაო, და წამაიღე; როცა საბძელ-გომურის მასალას მოიტან და კეთებას დაუწყებ, ერთს შაბათს დღეს ბალღსაც გაშველიებ.

- გიშველა ღმერთმა! - გაისმა ხალხში ხმა: - მეც მიჩუქებია ერთი თივა. მეც, მეც... მეც... მეც ერთი ტვირთი ჩალა... "მეც მიჩუქებიაო", ამ სიტყვებმა, როგორც მილით გაყვანილმა წყალმა, მორწყო მთელი გუნდი ხალხისა. ხოლო ღვთისუნელს, იმის გარდა, რაც თავის პირით აჩუქა, ხალხმა დაავალა ორიოდე დღე ხარით და კაცით მიჰშველებოდა ბუთლიას ხე-ტყის ზიდვაში. ბუთლია ხალხს მადლობას უხდიდა, ხოლო ღვთისუნელი არ იყო ხალხის მადლობელი მის საყვარელ ჩიბუხის დასჯის გამო.

მოჩივარი და მოპასუხე იქვე ყრილობაზე შერიგდენ, ერთმანეთს პირზედ აკოცეს და სახლში, როცა ხალხი დაიშალა, ერთად წავიდენ. ბოროტ ენათა ის ხმაც კი

გაავრცელეს ბოლოს, რომ აღებისღამინდელი ჩარექაში დარჩენილი არაყი ღვთისუნელს და ბუთლიას ერთად ესვათ, გამოეცალათ, ერთმანეთი ედღეგრძელებინათ, მკვდრებისთვის შენდობა ეთქვათ თურმე და ერთმანეთისათვის შაეფიცნათ ისევ ძმობა და სიყვარული.

1910 წ.

ზვინია თივისა - 6 - 7 ფუთამდე.

ჩხიკვთა ქორწილი

ეს ამბავი დიდს, შავს, დაბურულს ტყეში მოჰხდა, სოფლებსა და ქალაქებზე ძლიერ დაშორებით. რა ამბავიაო? იკითხავთ. ჩხიკვთა ქორწილზე მოგახსენებთ. ჩხიკვი ზაქარა იწერდა ჯვარს ლამაზს, სიტურფით განთქმულს და მეტისმეტად ეშმაკ ჩხიკვს ქეთევანზე. ამ ორ ახალგაზრდა ფრინველს ჯვარსა სწერდა მხცოვანი ჩხიკვი თომა.

თომამ გულმოდგინედ აღაპყრო თვალნი ზეცად და წარმოსთქვა: “აკურთხე, უფალო, გვირგვინი ამათი, შთაუნერგე ამათ ერთმანერთის სიყვარული და ერთგულება, განამრავლენ ესენი, ვითარცა წყალში თევზნი, ცაში ვარსკვლავნი, ჰქმენ შეუბღალავი სარეცელი მონისა შენისა ზაქარასი და მხევლისა შენისა ქეთევანისა.

ამინ”. სთქვა რა ეს, ორივეს ტურფა ყვავილების გვირგვინი დაადგა თავზე. “ამინ!” “ამინ!” - გაისმა გვრგვინვით ხმა აქეთ-იქიდან. ამას იძახდნენ სტუმრად მოწვეულნი ფრინველნი: ჩხიკვნი, ქერონები, წიპრიები, ნიბლიები, კაკბები, გნოლები, ღობემძვრალები, ბოლოცეცხლები, ჭივჭავნი, გვრიტნი, ტრედნი და სხვანი მრავალნი. ტევა აღარ იყო, იმოდენა სტუმრებს მოეყარათ თავი. საქეიფოდ მშვენიერი ადგილი ამოერჩიათ: ერთი ტაფობი ხშირყვავილიანი, ბალახით დაფენილი და უზარმაზარი ხეებით დაჩრდილული. ყვავილებსაც უხაროდათ, ისინი ქორწილში იყვნენ დაპატიჟებულნი. იქვე ცივი, ანკარა წყალი გამოდიოდა. სუფრა გრძლად იყო დაფენილი და ზედ ათასნაირი საჭმელები და ხილეულობა ელაგა. რა ჯურის ჭიას და ბუზს იტყვით, აქ არ მოეტანათ, - ბალახთა თესლი ათასნაირი...

ნეფე-დედოფალი მიიწვიეს ყვავილებით დაფენილს

ტახტზე და წვეულნიც წამოსხდენ მწკრივად. გაიმართა დიდი სმეულობა და ჭმეულობა. ათასნაირი სასმელები ისმეოდა: კახური ლალისფერი ღვინო წყალივით მოდიოდა სუფრაზე... ყველამ ადღეგრძელა ნეფე-დედოფალი და ყველამაც ძღვენი მიართვა.

იქვე კოდალა მჯდარიყო ერთ ყუნწზე ფუღუროში და იმან "მრავალ-ჟამიერი" დაიძახა.

- შენ, ეი, მყვირალავ, ღვინოს-კი არა სვამ, შვილონიავ, და რა იქნება? ღვინო დალიე, და! - შეუძახეს კოდალას ერთხმად ფრინველთა.

- მოიცათ, კაცებო, ცოტა ხანი დამაცადეთ, ღმერთი გადღეგრძელებთ: აქ ერთი კაი მსუქანი ჭია ვიპოვნე, ის მინდა გამოვთხარო და მერე, რამდენიც გინდა, ღვინო მასვით, ფიქრი აღარა მაქვს, გულდამშვიდებით ვიქნები, - მიუგო მათ კოდალამ და თან ნისკარტით დაუწყო

ფუტურო ხეს ჩიჩქნა. ყველამ თვალი კოდალას მიაპყრო.

- აბა, შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ, - მისძახოდენ კოდალას ფრინველნი. - თუ არ გამოგიყვანია, ვაი შენს ტყავს, პურს აღარ გაჭმევთ, იცოდე.

კარგა ხანს გაუდიოდა ფუტურო ხეზე კოდალას ნისკარტს და ფეხებს ფხაკუნი და არც ტყუილად: კოდალამ გამოათრია კარგა მოგრძო ჭია, გველის ჭარის მსგავსი, და ნისკარტით მიართო ნეფე-დედოფალს.

- გაუმარჯოს ნეფეს და დედოფალს! - დაიყვირა კოდალამ მაღალის ხმით. - კამპანიასაც გაუმარჯოს, ურა!

- გაუმარჯოს, გაუმარჯოს! ურა! ყოჩაღ, კოდალა! ბარაქალა, რომ არც თავი შეირცხვინე და არც ჩვენ, - ჰყვიროდენ ფრინველნი. თამადამ "საკარგყმო", რადგანაც ვაჟკაცობა გამოიჩინა კოდალამ, ღვინით სავსე ჯიხვი

მიაწოდა; იმანაც სულუქცევრად გადაჰკრა და გადაუგდო თამადას ცარიელი ჯიხვი. თამადად იგივე მოძღვარი ჩხიკვი თომა ამოერჩიათ.

- პურსა სჭამენ და ღვინოს სმენ, სიმღერას არ იტყვიანო. - სთქვა ყვავმა და თავის მშვენიერის ხმით შემოსძახა სუფრული. ყვავს მისცეს აქეთ-იქიდან ბანი და გაძლიერდა მღერა ისე, რომ ტყეს ჭახჭახი გაჰქონდა. მთა-ბარი ზანზარებდა. ყვავილები სიცილით იხოცებოდენ. აქვე ახლოს ერთს თაგუნასა ჰქონდა სორო. ხმაურობაზე საღერღელი აეშალა და გამოიხედა სოროდან გარეთ. დიდხანს უცქირა ფრინველთა ნადიმს, შექცევას, ჰხედავდა მსუქანს, ნოყიერს საჭმელებს, ფერად-ფერადს, ნაირ-ნაირს და ხარბად ჰყლაპავდა ნერწყვს ნერწყვზედ. ითმინა დიდხანს და ვეღარ მოითმინა: რაც მომივა მომივაო, სთქვა; მიცუნცულდა ახლოს, ისკუპა და პირდაპირ ნეფე-დედოფლის წინ თხილიანს სუფრაზე

დასკუპდა.

- ვინც მოვიდეს, გაუმარჯოს! გაუმარჯოს წრუწუნას! - გაისმა საერთო ხმა ფრინველთა. - ჰოი, შენი ჭირიმე, რო დაგვხედე, ბიჭო! - ეუბნებოდენ თაგვს შეზარხოშებულნი ფრინველნი.

- გაგიმარჯოთ, გაგიმარჯოთ, გენაცვალეთ, იცოცხლეთ და იხარეთ, მუდამც ლხინი და კაი საქმე ნუ მოგიშალოსთ უფალმა დამბადებელმა, - ამბობდა თაგვი და თან ერთს გულიანს თხილს ჩასციებოდა, კბილით აკნაწურებდა ნელ-ნელა.

- ღვინო მიართვით წრუწუნას, ღვინო, - დაიძახა თამადამ, - მაგას ჩვენოდნობამდის ბევრი აკლია.

- ღვინოს არ გიახლებით, გენაცვალეთ, თხილი ჩემის თვალის სინათლესაც მირჩევნია, თქვენ გაატარეთ

დროება; მე თხილს ვაკნაწურებ, არაფერი მიშავს.

- არ გიახლებით, რა სიტყვის პასუხია! ჰა, დალიე, თორემ თავზე დაგასხამთ ღვინოს, - უთხრა შეტევით თამადამ თაგვს და ჯიხვი კოდალას მიაწოდა. კოდალამ ჩამოართო თომას ჯიხვი და მიუჯდა წრუწუნას ახლოს.

- დალიე, ე, ძმობილო, ქორწილია, განა ის ხომ არ არის! თხილი აკნაწურო, რა ბრძანებაა! ჰაი, თუ აკნაწურებ შენცა, ჰა, ჩამომართვი ჯიხვი-მეთქი, - უთხრა კოდალამ და თან ჯიხვი მიაწოდა.

- ვერ დავლევ, თუ ძმა ხარ, თავი დამანებე, არ შემიძლიან და რა ვქნა, რა წყალში გადავვარდე, - მიუგო მას თაგვმა და პირი მოარიდა.

- დაასხით, თავზედ დაასხით მაგ ვირიშვილს, მაგას! - დაიყვირა თამადამ, - მაშ, ნეფე-დედოფალი არ უნდა

ადღეგრძელო, შე ბრიყვო, შენა!?

- ჩემს დღეში ღვინო არ მისვამს, კაცებო, ეხლა უნდა დამაჩვიოთ ღვინის სმასა?! როგორ იქნება, რა ახირებაა მაინც და მაინც!? პატიოსანი, დარბაისელი ხალხი ბრძანდებით. აი, ნეფე-დედოფლის სადღეგრძელოდ ერთს რკოს გიახლებით.

- დაალეინე, დაალეინე მაგ რაზბონიკს, მაგას, ძალათი უნდა დალიოს, არ შაიძლება. აქ რისთვის მოეთრეოდა, თუ ღვინოს არა სვამდა, დაალეინე, დაალეინე, - ისმოდა ფრინველთა ხმა.

კოდალამ დასტაცა წრუწუნას ცალის ხელით კისერში, მეორე ხელით პირში მიაგება ღვინით სავსე ჯიხვი და დაუწყო ძალათი სმევა.

- შენი ნება თუ იქნება, კი ვიცი, არ მიირთმევ, ვაჟბატონო,

მაგრამ აქ თამადის ნებაა. უყურებ ამოდონა დუნიას, ერთი არ არის, აქ ღვინოს არ სვამდეს, ერთი შენ გამოსჩნდი აქ ახირებული. ჰა, გაუბედე, გაუბედე, ცოდო არ არის დედის რძესავით ღვინოს პირს არიდებდე, შე უჯიშოვ, შენა?

თაგვმა რის წვალებით ჩაყლაპა რამდენიმე წვეთი და თან წრუწუნებდა, ეტყობოდა, არ ესიამოვნებოდა ღვინო.

- გაუბედე, წრუწუნავ, გაუბედე! აბა და ჰა! ემანგრე, მანგრე! ა, ყოჩაღ, ბიჭო! - დაჰკიჟინებდენ თაგუნას ფრინველნი.

თაგუნამ დაიწკიპა, დაიჭიმა ყელის ძაფები, შეებრძოლა ღვინოს და გადაჰკრა, დასცალა. ხოლო ხავერდის ქულაჯაზე გადაესხა ცოტაოდენი ღვინო.

- ქულაჯაზე ნუ მასხამ ღვინოს, ე, ჩერჩეტო, განა შენს

ხაჩანის ფაფანაკსა ჰგავს, რომ აგრე ბრიყვად ექცევი?! - შეუტია კოდალას. მერე ღრმად ამოიხვნეშა. სულ უკანასკნელი ყლაპი-ღა აკლდა და დაიყვირა: გაუმარჯოს ნეფეს და დედოფალს! გაუმარჯოს, ეჯიბო, შენს ნეფეს!..

- გაუმარჯოს, გაუმარჯოს! მოცალა, მოცალაო! - ისმოდა აღტაცებული ხმა.

წრუწუნას მალე მოედო ღვინო და მოჰყვა ბაიათებს. ისე მღეროდა, რომ წრიპინით ყველას ყურები გამოუჭედა. მერე ცეკვაც დაიწყო. ხალხს სიცილით ჰხოცავდა. იმას კაჭკაჭი აჰყვა და დავლურს უვლიდენ ორივენი. ყვავებს მუცლები ხელით ეჭირათ, იმდენს იცინოდენ ამ სურათის მნახველნი.

- უჰ, დავიღალეო, - სთქვა ბოლოს თაგვმა; მართლაც პირზე და გულ-მკერდზე ხვითქი გადასდიოდა. იქვე სუფრის ახლო წამოწვა. გამობურთული ფაშვი ზეცას

მიაპყრო და ისე ჰქმინავდა.

სულ ბოლოს სუფრაზე ბულბული იჯდა; მგალობელი ჩიტი არა ლხინობდა, არ იცინოდა; დაღონებულ-დაფიქრებული უცქეროდა სეირს.

- მშვენიერო ბულბულო, რატომ შენს მშვენიერს ხმას არ გაგვაგონებო? - შესთხოვეს ბულბულს ფრინველთა.

ბულბული უარზე დადგა; განა ყოველთვის ვარ სიმღერის იშტაზე, უგუნებოდ გახლავართო, - სთქვა მან.

როგორც იყო, ფრინველთა ხვეწნა-მუდარამ გასჭრა და ბულბულმაც დაიწყო. ფრინველთ ხმა გაკმინდეს, ბუზების ფრენა ისმოდა, ყვავილთ სული განაბეს და მოტრფიალე თვალებით შესცქეროდენ მგოსანს. ბულბულმა დაამღერა:

დიდება შენდა, ცათა მპყრობელო,
დიდება შენდა, ბუნების ძალო, -
დიდება, მეფევ გვირგვინოსანო,
და გადღეგრძელოს შენც, პატარძალო!
სიყვარულისას დავსწნავ გვირგვინსა,
სათნოებითა მოვქარგავ გარსა,
არ დავინანებ, ყველას შიგ ჩავქსოვ,
თუ ქვეყნად რასმე კი ვპოვებ კარგსა.
და წრფელის გულით გამეტებულსა
იმას დაგადგამთ, ქალ-ვაჟო, თავსა.
სიყვარულია თვით ჩემი გული,
სხვისაც თუ ვნახე, მომიდებს ალსა,
დღეს თქვენი ტრფობა უდიდესია,
და ამით იპყრობს ჩვენს გულს და თვალსა.

ამ დროს შორი-ახლოს ხარი-ირემი გამოჩენილიყო და გულმოდგინედ უგდებდა ყურსა ფრინველთა მღერას,

ბულბულის სტვენას. ბულბულის სტვენამ ნაღველი აღუძრა გულში. რაღაც მოაგონდა, თვალებზე ცრემლი მოუვიდა, ამოიოხრა და გაბრუნდა, მიეფარა უღრანს ტყეს.

ფრინველთ გააბეს საერთო მღერა. ერთს სიმღერას ამბობდენ ყველანი, ხოლო თავ-თავიანთს ხმაზე-კი. ამ სიმღერაში ბუნების ქება იხატებოდა, ტყისა და დედამიწის მადლი. ამ მადლს მადლობას უძღვნიდენ ფრინველნი. ამ დროს თვალის ვლებით გადმოიარა არწივმა; "არწივი!" "არწივი!" გაისმა ხმა: "მეფე მობრძანდებაო!" ერთბაშად ყველას ჩაუვარდათ მუცელში ენა, ხმის ამოღებას ვეღარ ჰბედავდენ; ყველანი ცახცახმა, კანკალმა აიტანა.

მართლაც და საშინელი სანახავი იყო ამ დროს არწივი: რა უნდოდა? ერთის დატევების მეტი კი არ მოუნდებოდა, რომ მთლად ბურნუთად ექცია ფრინველთა ბრბო.

- რად შეჰკრთით, ხალხნო? ხმა ამოიღეთ. განა მეფე ჩვენს შემუსვრას იკადრებს, მოიწადინებს?! - ეტყოდა ფრინველთ ჩხიკვი მოძღვარი: - თუ მეტყვით, ამ წუთას აქ მოვიწვევ მეფეს.

ზოგნი უარზე დადგნენ; იმის თვალების ბრიალს ვინ გაუძლებსო. ამბობდნენ: ჩვენ კი ველარას ვისიამოვნებთ და რა იქნებაო. სხვებმა მოუწონეს, მოვიწვიოთ, მოვიწვიოთო.

მოძღვარი ჩხიკვი წავიდა სრიალით აღმა და გაუთამაშა წინ ფრინველთა მეფეს. არწივმა სიარული არ შეშალა, თითქოს ბუზი უფრინავდა წინა.

- გაუმარჯოს შენს დიდებულებას, ჩვენო მეფევ, - მისცა ქუდმოხდილმა ჩხიკვმა სალამი არწივს.

- გაუმარჯოს ჩხიკვსაც, - სთქვა მან დინჯად.

- ჩვენო დიდებულო მეფევ, გთხოვთ ქორწილში გვეწვიოთ. გთხოვთ გულით და სულით; მუხლმოყრით გევედრებით მთელი შენი საყმო; თუ გვიკადრებს შენი დიდებულება, დიდად მაღლობელნი დაგრჩებით, თავს შემოგევლებით.

- შეიძლება, რატომ! - სთქვა არწივმა. - გამიძეღ წინ!

ჩხიკვი დაეშვა თავქვე და არწივმაც შემოიკეცა თავისი მძლავრი ფრთები და დაეშო თავქვე. ეს სურათი ცის მოგლეჯას ჰგავდა.

მთელი ფრინველთა გუნდი წამოიშალა და ჟივილ-ხივილით მიეგება წინ თავის მეფეს. არწივმაც თავისებური სალამი მისცა ფრინველთა კრებულს.

მოიწვიეს მეფე და დასვეს თავში. ყველანი ფეხზე იდგნენ ქუდმოხდილნი. ბულბული არა სჩანდა მხოლოდ აქ.

- შეგიძლიათ დასხდეთ, - უთხრა მათ არწივმა და ფრინველნიც უფროს-უმცროსობის წესზე დალაგდენ.

ეს ამბავი ორშაბათს დღეს მოჰხდა. ტყეში წასული ხალხი, თუ სამუშაოდ, თუ სანადიროდ, გაოცებული რჩებოდა. ამბობდა ყველა: ეს რა ამბავია, რამ გააწყო ჩიტები, რომ ერთის ხმაც აღარსაიდან ისმისო.

ხალხმა რა იცოდა, თუ ფრინველნი ჩხიკვთა ქორწილში იყვნენ, - განცხრომასა და ქეიფში.

არწივს მიართვეს ღვინო ჯიხვებით. იგი დაუზარებლივ სვამდა და ძლიერაც გამხიარულდა; შემოსძახა თავისი საზარელი ხმით რაღაც საგმირო სიმღერა; ყველას ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

- ღმერთო, - ეხვეწებოდენ ყველანი ღმერთს, - ღმერთო, ნუ გააჯავრებ ნურაფრით ჩვენს მეფეს, თორემ გაგვჟუჟავს

ერთს წამშიო.

არწივი მაინც არა ჯავრობდა, სთხოვდა ფრინველთ ემხიარულათ, ემღერათ, ეცეკვათ, მაგრამ ფრინველთ რაღაც გუნება გადაუბრუნდათ. არ იცოდენ, რა დაემართათ. რომ ფრინველებისთვის გაბედულება მიეცა, არწივმა უბრძანა შთაებერათ ბუკ-ნაღარისათვის.

ბრძანება იმავე წუთას ასრულდა და არწივმაც დაიწყო ბობღვა თავის მძლავრის კლანჭებით: სულ გათელა თითქმის ის ყვავილიანი ადგილი.

მაინც კიდევ ვერავინ ჰბედავდა თამაშობას. ბოლოს ისევ წრუწუნამ გაჰბედა: ისეთი ლეკური დაუარა, ისეთს ბუქნაში ამოდიოდა, რომ მტვერი ცასა სწვდებოდა.

ერთხელ გატაცებული და გაცხარებული არწივსაც-კი გადაახტა თავზე. ცოტა არ იყოს, მეფეს ეწყინა ყმის ასეთი

ბრიყვული ქცევა, მაგრამ ზრდილობისა და შემთხვევის გამო, არაფერი უთხრა, მხოლოდ შეუბღვირა კი ერთხელ ისე, რომ თაგუნამ შიშისაგან კინაღამ სული განუტევა. მაინც ამ შებღვერის შემდეგ წრუწუნა კაცად აღარ ვარგოდა, გახდა ავად, წავიდა და დაწვა ერთის ხის ძირას. ზედ ერთი ხმელი ვერხვის ფოთოლი წაიხურა.

ფრინველებში ყველაზე თამამად კოდალა იქცეოდა. კარგა გადაკრულიც გახლდათ და ისეთს ბაიათებს გაჰკიოდა, რომ მთელი მთა-ბარი ინძრეოდა. კოდალა ეხლა იქამდის გათამამდა, რომ მეფესაც აუხირდა.

- შენ მეფობა ვინ მოგცაო, - უთხრა მან არწივს. - ჩვენ როდის ამოგირჩიეთო.

- ბიჭო, შე ოჯახქორო, სუ, გაჩუმდი, რას ამბობ, შე თავხედო? - წასჩურჩულეს ფრინველთა.

- არც გავჩუმდები და არცა! რად უნდა გავჩუმდე, რაო ჩემო?!.. - ამბობდა კვლავ შეზარხოშებული კოდალა. - თქვენ რა ხალხი ხართ? გული-გულში ყველას გეჯავრებათ, შვილოსან, და პირში-კი ვერაფერს ეუბნებით. ბიჭობა პირად თქმაა.

არწივმა ბევრი იცინა კოდალას ახირებაზე, მაგრამ ფრინველთა ითაკილეს მეფის შეურაცხყოფა, შეიპყრეს კოდალა, ნისკარტში წბილა გაუყარეს და იქვე ხეზე მიაკრეს. დაღონდა კოდალა, აღარ იღებს ხმას. არ ესმის, რისთვის დასაჯეს ასე სასტიკად.

ფრინველნი რომ ამ გაზიდულობაში იყვნენ, მელა მოჰპარვოდათ ახლო. დიდხანს უთვალთვალა ცბიერმა ცხოველმა ტყის პირიდან და უცდიდა დროს, ფიქრობდა, ჯერ კარგად დათვრნენ, მაშინაა ჩემი დროვო. მელა იმ დროს დაინახეს, რომ ის-ის იყო უნდა ნეფე-დედოფლისათვის ეტაცა პირი. ატყდა ხმა, ყვირილი,

აიშალა ფრინველთა გუნდი, ხოლო ნისკარტდაღებული არწივი ეძგერა მელას და ერთს წამს სული გააფთხობინა. ფრინველნი გაიფანტნენ: ზოგი ხეებზე შესხდა, სხვა მაღლა ტრიალებდა. დაბლა არწივი და კოდალა-ღა დარჩენ; ავადმყოფმა თაგვმაც განგაშის ხმაზე სორო მოძებნა. არწივმა კოდალაც გაათავისუფლა და უთხრა: ეგ მიქარვა მიპატიებია, რადგანაც ნასვამი იყავი, და მერე აღარ გაბედო, თორემ ვაი შენს ტყავსო. თითონაც აფრინდა, აფრინდა მაღლა, თითქოს ცას მიეკრაო, და იქ ირგვლივ დაიწყო ტრიალი. ქეთევანი და ზაქარაც მიეფარნენ უღრან ტყეს: ერთმანერთის ალერსში და კოცნა-ხვევნაში გაატარეს ის დღე და საღამოთ ერთის წიფლის ტოტზე დაეძინათ გვერდის-გვერდ.

1893 წ.

გველის წანაყარი ტყავი.

შვლის ნუკრის ნაამბობი

I

პაწაწა ვარ, ობოლი. ბედმა დამიბრიყვა: ცუდ დროს დავობლდი; ტანზედ მაცვია პატარა, მოკლებეწვიანი, თეთრის თვლებით მოწინწკლული თხელი ქათიბი. ჯერ რქები და კბილები არ ამომსვლია, ჩლიქებიც არ გამმაგრებია.

გზადაკარგული დავდივარ. აი დახედეთ ჩემს სისხლიან ფეხსა, - ეს წყლის დასალევად რომ ჩავედი ხევში, მაშინ ვიტკინე... გული მიწუხს... გული... საბრალო დედაჩემი! მანამ დედა მყვანდა ცოცხალი, სულ ალერსში ვყვანდი: ძუძუს მაწოებდა, მიალერსებდა, მაფრთხილებდა. რაღა მეშველება მე საბრალოს ეხლა! ძუძუს აღარა ვწოვ,

მხოლოდ ბალახის ნამსა ვსუტავ დილით და საღამოთი, როდესაც ნამია, და რძის ნდომას იმითი ვიკლავ. უპატრონო რომ ვარ, სულ მეშინიან, ვკანკალებ, მუდამ დღე სიკვდილს ველი, გზაარეული დავეხეტები... ღმერთო, რამდენი მტერი გვყავს!

წეღან ველის პირად გავედი დაღონებული... იქით-აქეთ თვალს ვავლებდი. უცებ ჩემს თავზედ ჭექა გაისმა. ავიხედე მაღლა: მხრებ-შეკუმშული, ნისკარტდაღებული, უზარმაზარი ლეგა ფრინველი მოდიოდა პირდაპირ ჩემკენ. მე, შეშინებული, ტყეში გადავხტი. წამოვიდა ის წყეული ფრინველი, ტანი ველარ შეიმაგრა და ჩემს ნადგომ ადგილს დაეცა. ჟრუანტელი მივლის, როდესაც იმისი მოკაკული ნისკარტი და ალმასივით ბრჭყალები მაგონდება. პირდაპირ მოვიდა და, იქ რომ არ დავხვდი, ბალახებზედა და მაყლოვანზედ მხრებით ტყლაშუნი გაადინა. მიავლ-მოავლო საზარელი ყვითელი თვალები,

ეწყინა ჩემი გაქცევა, აიწია, ძლივს განთავისუფლდა, კინაღამ მაყვლებში ჩაება. მე ერთს ხეს ვეფარე და იქიდან გულის ფანცქალით ცალის თვალით გავყურებდი.

გენაცვალე, ტყეო! შენ ბევრს მშველი, თორემ აქამდის ჩემის ქათიბის ბეწვიც არ იქნებოდა! გული მეუბნება, რომ მტრის მსხვერპლად გავხდები. ჯერ მე გამოუცდელი ვარ, მხოლოდ ერთი კვირა ვიყავი დედასთან. ის მასწავლიდა, ვინ იყო ჩემი მტერი და ვინ მოკეთე. ეხლა ვინღა მასწავლის? სულ შამბში ვწვები, ვიმალები, მუმლისა და კოღოებისაგან მოსვენება აღარა მაქვს. დედასთან კარგად ვცხოვრობდი, თავისუფლად ვსუნთქავდი...

მე და დედაჩემი, აგერ ტყიანი სერი რომ წამოწოლილა და აქეთ-იქით ხევები ჩაუდის, იქ ვცხოვრობდით, მუდამ დაჩრდილულნი გაბურულის ტყით; უხვედრი იყო ჩვენი ბინა. დედაჩემი დაწვებოდა ხოლმე გორაკზე, მე გვერდით მოვუწვებოდი. სამივე მხრიდამ ხეები გვეფარა, მეოთხეს

თვითონ გაიყურებოდა. ხანდახან ყურებს დააცქვეტდა, მე შევყურებდი და ვბაძავდი იმის ქცევას, ჩემს პატარა ყურებსაც ავცქვეტდი. სამჯერ უჩვეულებრიო ხმაურობა შემოგვესმა: ის არა ჰგვანდა არც წყლის ჩხრიალს, რომელიც მუდამ მესმის, არც შაშვის ფაჩუნს, არც კოდალას რაკუნს, არც კიდევ ხმელის ხის წვერიდამ ჩამოვარდნილ ტოტის რახუნს და არც ნიავისაგამ გაშრიალებულ ფოთლების ხმას... ეს შევნიშნე მე: რა წამს ამ უცხო ხმას გაიგონებდა დედაჩემი, ზე წამოვარდებოდა და მეტყოდა: “შვილო! მომყე, მე მომყეო!..” გაიქცეოდა და მეც მივხტოდი, რაც ძალი და ღონე მქონდა; არც ვიცოდი და არც მესმოდა, თუ ვის უფრთხოდა. ეხლა-კი ვიცი... ოჰ! რამდენი მტერი გვყავს! ოჰ, ადამიანო!.. რატომ არ გებრალები მე, პატარა? რატომ არ მაძლევ თავისუფლებას, რომ გულდასვენებულმა თავისუფლად ვიარო, ვთელო ლამაზი მწვანე ბალახი, გადავდგე სერზედ და დავსტკბე საღამოს ნიავის სიოთი?!

ვერ გავცილებივარ ტყეს. თუ გავედი ველად, უნდა ტყის პირს არ მოვცილდე, - მაშინაც ნახევარი სიცოცხლე მაკლდება! სულ აქეთ-იქით უნდა ვიყურო, ვეფარო ხეებს, კლდეებს, ბალახებსა და კანკალით ვჭამო საჭმელი, შიშისაგან ზეზეურად უნდა დავდნე!.. რას გიშავებ, ადამიანო, მითხარი, რას? რა დაგიშავა საბრალო დედაჩემმა, რა შეგისვა, რა შეგიჭამა, რომ მოჰკალი და უპატრონოდ დამაგდე, დამაობლე?! ოჰ, ადამიანებო! თქვენ ხერხსა და ღონეზე ხართ დაიმედებულნი და ჩვენი ჯავრი არა გაქვსთ... არა ჰგრძნობთ, რომ ჩვენც გვიყვარს თავისუფლება, არა ჰგრძნობთ თქვენის შეუბრალებელის გულით, რომ ჩვენც გვიყვარს სიცოცხლე, ბუნება: ფოთლის შრიალი, წყლის ჩქრიალი, რომელსაც სულგანაბული ეგრე ხშირად ყურს ვუგდებ ხოლმე, ბალახის ბიბინი და ტყის ცხოველებთან ერთად ნავარდობა... შენ-კი, ოჰ, ადამიანო!.. თვალებდასისხლიანებული, გაფაციცებული დამეძებ მე

და ჩემს ფერს სუსტსა და უპატრონოს ათასს სხვას... იარაღი გაქვს, მოგვეპარები, მუხთლად გკვრავ ტყვიას და გამოგვასალმებ წუთისოფელს...

II

როგორ არ უნდა მეშინოდეს?.. ჯერ სულ ერთი კვირაა, რაც მე წუთისოფელს ვხედავ, და რამდენი შიში და ვაება გამოვიარე! გუშინწინ წვიმიანი დღე იყო. სიცოცხლითა და სიმშვენიერით აღსავსე დედაჩემი წიფლის გვერდზედ იდგა და გემრიელად იცოხნებოდა... მეც გვერდით ვუდექი, მიხაროდა დედასთან დგომა, მტერი და სიკვდილი არც-კი მაგონდებოდა დედის იმედით. ხშირის ფოთლებიდამ წვიმის ნამი კამკამით ჩამოდიოდა... მე თავს ვუშვერდი, რომ სასიამოვნო წვეთებს გავეგრილებინე.

- არ გიამა, შვილო? - მკითხავდა დედა.

მე თავს ვუქნევდი და ვხტოდი, ხან ძუძუებში ვბურჩქნიდი.

ჩვენს წინ ერთ ხმელ ხეს გარშემო კოდალა ევლებოდა და ისე მაგრა უკაკუნებდა, რომ მიკვირდა, - დედაჩემი ამოდენაა და არ შეუძლიან ეგრე ტყის გახმაურება, როგორც ამ პატარა ჩიტს მეთქი! უვლიდა გარშემო ხეს ფეხების ფხაკუნით და ხან ერთსა და ხან მეორე ადგილას ჩაჰკრავდა ნისკარტს... კოდალას ცელქობას მე სიხარულით შევყურებდი; უცებ "ჩხი!" "ჩხი!" მომესმა. მივიხედე გვერდზე: თავზედ ერთი ჩხიკვი გვევლებოდა. "თავი მომაფარეო, - მითხრა დედაჩემმა, - თორემ ჩხიკვი თვალებს დაგთხრისო!.." მე თავი მოვაფარე. დედაჩემი იგერებდა თავით ამ საძაგელს. ჩხიკვი ჩემკენ იწევდა; ბევრი იცოდვილა, მერე დაგვანება თავი, თავმოკატუნებული წიფლის ტოტზე შესკუპდა და მოჰყვა კნავილს. იმისი ხმა სწორედ ჩემს ხმასა ჰგვანდა.

დედას გაეცინა და მითხრა:

- დიდი ეშმაკი რამეა, შვილო, ეგ ჩხიკვი, გაუფრთხილდი!.. შენისთანა პატარა ნუკრებს ძლიერ ემტერება, შვილო... კრუსუნსა და კნავილს მოჰყვება და ახლო-მახლო რომ შენისთანა ბრიყვი და გამოუცდელი ნუკრი შეხვდეს, ბანს მისცემს, გადაეძრახნება, მაგასაც ის უნდა: მიახტება და თვალებს გამოსჩიჩქნის!..

მე ტანში ჟრუანტელმა დამიარა...

- ხმასაც არ გავცემ, დავემალები მაშინათვე!

- ჰო, ეგრე, ეგრე, შვილო! მანამ დედა ცოცხალი გყავს, ნუ შეგეშინდება; როცა მე აღარ გეყოლები, მაშინ სიფრთხილე გმართებს!

ოჰ, რამდენი გამოცდილება მაკლია ჯერ კიდევ მე,

საცოდავსა!..

III

ერთხელ ძლიერ დაცხა. დედაჩემი საწოლიდამ ადგა და მითხრა, წყალზე წავიდეთო. წავედით, დავყევით წვრილიანს სერს, ჩავიარეთ შამბზე და ჩავედით ხევში. ხევი ღრმა იყო, მზის სხივები ვერ ჩასწვდომოდა, აქეთ-იქით ნაპირებზე ხეები ერთმანერთზე გადაკვანძულიყო წვერებით. ხის ძირებზე, იქვე ხევის პირად, ჟოლის ფესვები იყო ამოსული, წითლად თავი დაეხარათ და გადმოჰყურებდნენ წყლის დენას. ცივი ანკარა ხევი მოჩუხჩუხებდა გალიპულს ქვებზე, ერთის კლდიდამ მეორეზე გადადიოდა და გუბდებოდა. დედაჩემი მივიდა და ჩადგა შიგ გუბეში. მე ძლივს დავდიოდი ქვებზე, ჩლიქები მტკიოდა.

- მოდი, შვილო, ჩადექ წყალში, საამურია სიცხეში წყალში

დგომა.

მე მივედი და კრძალვით ჩავსდგი ჯერ ერთი ფეხი; წყალი საშინლად ცივი იყო და გადმოვხტი ისევ უკან.

- ცივია, არ შემიძლიან დგომა.

- არაფერი გიშავს, უნდა ეხლავე შეეჩვიო, შვილო!

ცოტა ხანი დავდექი წყალში, და მერე გამოვბრუნდით უკან. ჩვენს ზევით ნაკაფიანებში ხმაურობა ისმოდა.

ეგ საშიში ხალხი არ არის, მითხრა დედამ. ერთი დედაკაცი და პატარა ბალღია. ჩვენი მტერი ეგრე არა ყვირის. ჩვენ მაინც სიფრთხილე გვმართებს: ისე წვრილიანზე ავიაროთ, ველის პირად ნუ გამოუჩნდებით, ნუ დავენახვებით.

დედაჩემი წინ წავიდა. მე გულმა არ მომითმინა და გავხედე; ტანი დავმალე, მხოლოდ თავი გამოვაჩინე. ამ დროს ქვეიდამ ხმა მომესმა: “ვაი, ვაი, დედილო, მგელი, დედილოჯან, მგელი!”

- ნუ გეშინიან, შვილო, გენაცვალე. აბა სად არის, დამანახვეო? - ჰკითხავდა დედა. - აგე, ყურები არ გადმოუცქვეტია, ადამიანო, ტყიდამ! - თვალცრემლიანი უჩვენებდა ბავშვი თითით ჩემზე.

- უი, შენ კი გენაცვალოს დედა, მგელი-კი არ არის, შვლის ნუკრია, შვილო! ქა, რა ლამაზია!

- დავიჭიროთ, შენი ჭირიმეო, - ეუბნებოდა პატარა დედას და თან მოუთმენლად ემზადებოდა ჩემკენ გამოსაქცევად.

- არა, გენაცვალოს დედა, ცოდოა, შვილო, როგორ იქნება,

განა მაგას არა ჰყავს დედა! ხომ უნდა იტიროს იმან თავის შვილზე!

მე სულგანაბული ყურს ვუგდებდი და მიამა, რომ გავიგონე ერთადერთი სიტყვა ჩვენის შებრალებისა. მე კიდევ მინდოდა ყური მეგდო, მაგრამ დედაჩემი დაბრუნებულიყო, მოირბინა და მითხრა:

- ჰაი, შე ბრიყვო, გჯერა, რასაც ეგენი ამბობენ?! რას უყურებ იქა? წავიდეთ ჩქარა, მომყე! ეგენი წავლენ, ასწავლიან მონადირეს ჩვენს ბინას და გამოგვასალმებენ სიცოცხლეს.

საბრალო დედაჩემი წინადვე ჰგრძნობდა, რომ ისე იქნებოდა.

IV

შეკუნტრუშდა დედაჩემი, შევკუნტრუშდი მეც და გავსწიეთ ზეითკენ სკუპ-სკუპით. სულ ბოლო დროს მხოლოდ ეს-ღა გავიგონე: “უი, დედაც იქა ჰყოლიაო!”

შევუდექით შამბიანს, ბუერიანს გვერდობს, ბუერის ძირები ცივის წყაროებით იყო მორწყული. აქა-იქ ლაფზე ეტყობოდა ჩემსაებ პატარა ნუკრის ნაფეხურები. საშინლად ცხელოდა. ვწუხდით. დავწექით ბუერებში. იმისი განიერი ფოთლები არ გვაკარებდნენ მწვავე მზის სხივებს. უცებ გარშემო შემორტყმულ მთების წვერებიდან ამოცვივდნენ ღრუბლები, შეიყარნენ ერთად. ცამ დაიგრიალა, იჭექა, ელვა გაიკლაკნა.

წვიმა სვეტ-სვეტად ჩამოდგა გაღმა სერებზე, მალე ჩვენს გარეშემოც ხის ფოთლებსა და ნამეტნავად ბუერებზე დაიწყო ტლაშა-ტყლუში. ისეთი ხმაურობა დადგა, თითქოს ტყე და მთა-ბარი იქცეოდა. ყველა სულდგმულმა ხმა გაკმინდა: ჩიტები ვეღარ ჰბედავდენ ჭიკჭიკს,

ცელქობას... საძაგელი ჩხიკვი, რომელიც ისე მაშინებდა წინათ, ეხლა სრულებით არ მეჩვენა ისე საზარელი; დამჯდარიყო წიფლის შიმელაზე, მიეხუჭა თვალები და ნისკარტიდამ ცინგლი ჩამოსდიოდა, მხრები საცოდავად ჩამოეშვა. იმის ახლოს იჯდა გულწითელი ჩიტი, "წიფლის-ჩიტა" უწყინარი, უვნებელი, ღაბუა. მშვენიერად მიეხუჭა თვალები! მოფრინდა "წიპრანა" და "წრიპ, წრიპ!" შესძახა. ჩხიკვს შეეშინდა, გაახილა თვალები, გაუსკდა გული, მიასკდა ხან იქით, ხან აქეთ, უშნო "ჩხიი, ჩხის!" ძახილით. მე გამეცინა. წინათ ყველაზედ ღონიერი ის მეგონა, ეხლა-კი გავიგე, რაც შვილი ბრძანებულა.

გადაიქუხა. ჩიტებმა მორთეს ერთხმად სიმღერა. ბალახებმა და ხის ფოთლებმა სიხარულის ცრემლს დაუწყეს ფრქვევა. დედაჩემს ნაწვიმზე სიარული უყვარდა... წავიდოდა ველად და მეც თან გამიყოლიებდა.

ეხლაც წავედით, შევუდექით ველის პირებს, გავსწიეთ მთისკენ, ტკბილი ხმა ისმოდა სალამურისა. მთის ძირზე გაშლილიყო ცხვარი და ტკბილად სძოვდა ახლად დანამულს ბალახს. მზე გორის პირას იყო ჩამალული ნახევრამდე. იმისი მკრთალი სხივები მხოლოდ მთებისა და ტყის წვერებს ეთხოვებოდა.

გორის პირზე ზევით მხრივ იჯდა ნაბადწამოხვეული მეცხვარე და შეექცეოდა სალამურს. იმის გვერდით წამოყუნტებულიყო ბანჯღვლიანი, საზარელი შესახედავი ძაღლი; ცოცხლად აყოლებდა თვალებს ცხვრის ფარას და ხანდახან აჩერდებოდა ალერსიანად თავის პატრონს.

- ცუდს ადგილას მოვედითო, - მითხრა დედაჩემმა, - მეცხვარე უიარაღოა, იმისი ნუ შეგეშინდება, მაგრამ ის ძაღლი დაიყრის ჩვენს სუნს და იქნება გამოგვეკიდოსო. მობრუნდი უკან. თვალი გეჭიროს: თუ ჩვენსკენ გამოიქცა, მე დავენახვები და შენ ბალახებში ჩაიმალეო.

ჩვენს დანახვაზე ცხვარი წაფრთხა და დაიწყო ჩვენკენ ყურება. მე ხშირსა და დაბერებულის არჯაკელის გროვაში ჩავიმალე და არ ვაშორებდი თვალს იმ კუდბუთქვა ძაღლს... ცხვრის დაფრთხობა და ძაღლის წკმუტუნი ერთი იყო. სცქვიტა ყურები და გამოექანა ჩემკენ...

მეცხვარემ დაგვცა კივილი. მე ავკანკალდი. დედაჩემს შეასწრო თვალი და გაექანა იმისკენ. დედაჩემი გასრიალდა და ერთს წამს დამეკარგა თვალიდამ. ცრემლი მომერია, გული მომიკვდა: ვაიმე, დედავ, თუ დაგიჭიროს მაგ წყეულმა! დიდი ხანი მესმოდა ბრაგა-ბრუგი და ხევიდამ ქვების ჩხრიალი.

ვაიმე თუ დაიჭირა დედაჩემი და თავის ალმასის კბილებით სწეწს! დაბინდდა. მეცხვარემ მოუსტვინა ცხვარს და შეაყოლა ბინისაკენ. გულის ფანცქალით ვადევნებდი თვალს იმის მოძრაობას. საწყალს ცხვრებს სცემდა ზოგს დიდის კომბლით და ზოგს ქვებს ესროდა.

ერთს პატარა ჩემოდენა ბატკანს მიარტყა ქვა, საბრალო წაიქცა და საცოდავად დაიწყო ფეხების ქნევა. მეცხვარე ავიდა ზევით და დაუწყო ძახილი "ყურშიას". ცოტა ხანს შემდეგ, ცის ტატანზე დავინახე, რომ იმისი ყურშია, წითელ-ენაგადმოგდებული, ედგა პატრონს გვერდით.

მე მეშინოდა; ვინ იცის, ჩემის დედის სისხლით აქვს-მეთქი გამურული ლაშ-პირი. დაბნელდა, დაუკუნეთდა. ხმაურობა აღარსაიდამ ისმოდა. რა იქნა დედაჩემი? იქნება ველარ მიპოვოს, თუ ცოცხალია?

ცოტა ხანს შემდეგ ხავილი შემომესმა. დედიჩემის ხმასა გვანდა. მეც გავეხმაურე. საბრალო აფორთქლებული მოიჭრა ჩემთან.

- აქა ხარ, შვილო? ნუ გეშინიან, შენი დედა ცოცხალია. ძაღლი და მგელი ვერაფერს დააკლებენ... ცოცხალი ხარო? - მკითხავდა.

- ცოცხალი ვარ, - ვუპასუხე მე.

მიალერსა დედამ... ნეტა ვის შევსტირო, ვის შევეხვეწო, ვინ არის ისეთი ძალუმი, რომ დედიჩემის თვალებში ჩამახედოს, დამატკბოს იმისის ალერსით.

როგორ უნდა მოვინელო ეს ჯავრი? ნეტა სისხლის მსმელ მტერს მეც მოვეკალი! რისთვის დავრჩი მე ცოცხალი!?

წინა დღეს ცოცხალს, მშვენებით სავსეს ჩემს ნუგეშს შევსტრფოდი, და რა მომაგონებდა, თუ მეორე დღეს დამეკარგებოდა სამუდამოდ!

V

მთელი ღამე დავდიოდით ველზე, აღარ გვეშინოდა; გავედით სვილში და ტკბილად შევექცეოდით. თენება დაიწყო, მივიქეცით ტყეში. წყეული იყოს იმ დღის

გათენება. ველზედ სქლად იწვა ბალახი. ველში იდგა ორი-სამი ძირი ბალი; ჯგუფ-ჯგუფად ეხვეოდენ ჩიტები, შაშვები; ჟივილ-ხივილი ისმოდა; ზოგნი მოდიოდენ და ზოგნი მიდიოდენ, მიეზიდებოდენ შვილებისათვის საზრდოს. დედამ გამაფრთხილა და მითხრა: საშიშია ამ დროს სიარული, ჩვენი მტერი ნაწვიმზე დაგვეძებს, აქეთ-იქით თვალი გვეჭიროსო.

ეს იყო უკანასკნელი გაფრთხილება დედიჩემისაგან, დედაჩემი სწუხდა, თითქოს სიკვდილსა ჰგრძნობდა. მოჰკვნეტდა ერთს ფოთოლს და გაუყუჩდებოდა.

ჩვენ ზევით იყო დგნალები, ერთმანერთზე მიწყობით ამოსული. იმათ წინ იდგა სამი თუ ოთხი შეკუმშული და აწურწუტებული არყი.

უცებ, როგორც ცის ჭექამ, იგრიალა თოფმა. იმის ხმამ დაიარა მთები და კლდეები, ხის ფოთლებმა და

მცენარეებმა კანკალი დაიწყეს, ბოლი გაერთხა ნამიანს ბალახზე. დედაჩემმა ერთი-კი ამოიკვნესა და წაიქცა. ვაიმე! მე იქვე გავისხიპე. დედაჩემი მიგორავდა, ვხედავდი, თავქვე და სისხლიანს კვალს სტოვებდა ბალახზე. არყების უკანიდამ გამოხტა ახალგაზრდა ბიჭი, ლეგა ჩოხის კალთები აეკვალთა. "გაუმარჯოსო!" დაიძახა და სასწრაფოს წკრიალით გამოეკიდა დედაჩემს უკან. საწყალი დედაჩემი ცდილობდა ადგომას, წამოიწევდა ხოლმე, მაგრამ ისევ ჩაიხვეოდა მუხლებში. დაეცემოდა და გაგორდებოდა. მე მოვკვდი, ტანში დავიშალე, როდესაც შეჩვენებულმა მონადირემ ამოიძრო პრიალა ხანჯალი და გამოუსო დედას ყელში. სისხლმა იფეთქა და გადაერწყია ხეებზე. ვაჰმე! სულ ცხადად ვხედავდი, მაგრამ რითი ვუშველიდი მე, საცოდავი?! აგერ ძუძუებზე, იმ ძუძუებზედ, რომლებსაც მე ვწოვდი, დაუსო ხანჯალი და გამოშეშხა. შეიდო კისერზედ და გასწია. მე დავიწყე ტირილი. გული შემიწუხდა. მას აქეთ ცოცხალ-მკვდარი

ვარ; ვტირი და ეს არის ჩემი ნუგეში; დავდივარ და შევსტირი ხეებს, მთასა და კლდეებს, დავსტირი წყალსა და ბალახს, მაგრამ ჩემთვის დედა არა ჩნდება, დედაჩემს ვეღარა ვხედავ, ვარ ობოლი და, ვინ იცის, ვინ დამეპატრონება, ვინ შეიღებავს ჩემის სისხლით ხელებს?!

1885 წ.
ჰორიზონტს ეძახის ხალხი.

ხმელი წიფელი

ყველას და, მათ შორის, მეც მიყვარს მაღალი, მწვანით, ყვავილებით მორთული მთა; გაზაფხულის სუნი, ახლად ამომავალი ბალახი, ახლად დამდნარის ყინულისათვის რომ უჯობნია, უცოდველად, უვნებლად ამოუჩენია თავი და შეჰყურებს მზეს, ქვეყანას, იჩქმალება, ინაბება, მაგრამ ნაზს, მიბნედილს სახეზე გამოუთქმელი ტრფიალება გადაჰფენია: - გავცოცხლდი, მადლი ჩემს გამჩენსაო, - თითქოს დუდუნებს. საამურია, გაყინული ხეები გაზაფხულის სითბოთი ზოგნი რომ გაიფოთლებიან და სხვანი აყვავდებიან. მიბუნდებულს, უღრანს, ბნელს, დაბურულს ტყეს ხომ არა შეედრება!..

მაგრამ ამჟამად ყველაფერი მავიწყდება და თვალთ-წინ მიდგება მხოლოდ ერთი ხმელი წიფელი. ისიც უღრანს

ტყეში დგას, ერთის კლდის თავზედ. ამ კლდესაც ხავერდივით მწვანე ხავსი გადაჰკვრია. ხმელს წიფელს სხვა ხეები შორს უდგანან, თითქოს განგებ გაჰშორებიან და ამაყად დასჩერებიან თავზე. ხმელის წიფლის ახლო რამდენიმე ჟოლის ფეხია მოსული, შველისა და ირმის ნაკვნეტის ფოთლებით. ისინი გადმოძაბულან და გადმოსცქერიან დაბლა მდინარეს, მის ფესვებში რამდენიმე ფეხი ძირტკბილა მოდის, ზამთარ-ზაფხულ მწვანე, დაკბილულ-ფოთლებიანი. ხმელს წიფელს წასვლია სიცოცხლის ნიშანწყალი: სამი ტოტი-ღა შერჩენია შუა წელს ქვევით, ზედა ტანი მოტეხილია და ხევში ჩაჩხატულა, გახიდულა. ამ სამს ტოტში წელიწადში მარტო ერთს გამოუვა ხოლმე სამი თუ ოთხი ფოთოლი, ისიც ფერწასული, დამჭკნარი, გაყვითლებული. სხვა ხეებს-კი რომ უყუროთ, დატვირთულნი დგანან ბუნების მინიჭებულის სარჩოთი. არაფრად აგდებენ ხმელს წიფელს, ყურადღებას არ აქცევენ, მხოლოდ ზამთრობით,

როცა თითონაც შემოეძარცვებათ ხოლმე საპატარძლო ტანისამოსი და, ცოტად თუ ბევრად, დაუახლოვდებიან სიხმელეს და დაემსგავსებიან ხმელს წიფელს, მაშინ თუ შეაცქერდებიან, ისიც გაკვრით... ეს მოხდება სწორედ მაშინ, როდესაც პირბადრი, სახენათელი, თმაგაშლილი "ადგილის დედა" ბუნების სანუგეშოდ სიყვარულზე, სიწმინდეზე და სიცოცხლეზე ზღაპარს უამბობს. მაშინ შეუბუზღუნებენ ხმელს წიფელს: "რას გაშტერებულხარ, საწყალო? ყური დაუგდე, დედა რას ამბობსო!".

ხმელი წიფელი ამოიკვნესებს ღრმა კვნესით და არც ავად, არც კარგად ყურს არ ათხოვებს ამ ამაყ მცენარეთ, მაგრამ "ადგილის დედის" ზღაპარს-კი ყურს უგდებს; თითოეული მისი სიტყვა ლახვარივით გულზე ესობა და უჩუმრად ცრემლსა ჰღვრის.

საბრალო წიფელი! ერთი დრო იყო, რომ ესეც ამაყად გაბარჯღული იდგა, სხვა ხეებს ბევრით მაღლა

ასცილებოდა და თავის დიდრონ ტოტებითა და ფოთლებით ქოხივით ეხურებოდა თავს მთელს ტყეს. მთიდამ ბარად მომდინარი არწივი მის კენწეროზე ისვენებდა, მოჰყვებოდა ამაყად ყეფას. ეხლა კი სულთმაბრძოლს დაჰფერებია. წაქცევ-წაქცევაზეა მიმზადული. ტანზე რამდენსამე ადგილს საცოდავს გამხმარი ქერქი ასძრობია და ტიტველი გვერდები უჩანს. ერთს ალაგს უფრო გრძლად აჰყრია ქერქი და დედამიწისკენ გრძლად გადმოშვერილა; გეგონებათ, ხანჯალი დაუცია და ნაწლევები გადმოუყრევინებიათო. ჭიაც ბევრი თუ აქვს ამ წიფელს, რომ რამდენჯერაც მის ახლო გავლა მომიხდება, ზედ მუდამ კოდალასა ვხედავ. ეს დასაქცევი ერთთავად ზედ აზის და, რაც ძალი და ღონე აქვს, ურაბუნებს იმ გასახმობს, გასავერანებელს ნისკარტს; თან კიდეც დასჭყივის, დაჰკივის, თითქოს ნიშნს უგებსო. აგერ რამდენს ადგილას ამოუღრუტნია წიფელი გულამდის. საცაა გულსაც ფქვას დაუწყებს.

წიფელი დგას, დგას შეუშფოთრად, წარბშეუხრელად; არც ავს ამბობს, არც კარგსა.

როცა ქარი უბერავს, სხვა ხეები ერწევიან, მხოლოდ ხმელი წიფელი არ ინძრევა; წინათ-კი, როცა იგი ჯანსაღად იყო, სიცოცხლით სავსე, ქარის ბერვაზე დაიწყებდა ზღვასავით ღელვას; მისი ტოტები და ფოთლები ჭექა-ქუხილივით ხმაურობას ასტეხდენ. ხმელის წიფლის ტოტები ამაყად დედამიწას სცემდენ, ასკდებოდენ, დიაღ, ეხლა ქარს ვეღარ მიჰყვება ხმელი წიფელი სხვა ხეებივით, ძველებურად, შეუპოვრად გულ-მკერდს ვეღარ უპყრობს ქარიშხალს. არ მოიდრიკება-კი ხმელი წიფელი და, თუ მოსტყდება, იმისი რა ვსთქვათ... მოსტყდება, წაიქცევა, გვერდზე წაწვება, ფესვები გამოჩნდებიან, აღმა თავაჭერილები, თითქოს ლოცულობდენ, ღმერთს ევედრებოდენ, შველასა სთხოვდენო. ზაფხულობით უფრო შესაბრალისია ხმელი წიფელი: სხვა ხეები

მორთულან მწვანის ფოთლით, უვნებელნი, უდარდელნი; მათზედ ათასი ფრინველი სხდება საგალობლად, ქედნები ღუღუნებენ იმათ ტოტებზე, ქერონა ჩიტი დაჰკრავს დაუსრულებელს გალობას, წიპრია იკლებს სტვენით იმათ არე-მარეს და მოუსვენრად გადახტ-გადმოხტის; ყელმოღერებული შველი და ირემი იმათ იჩრდილავს. ეს გაფოთლილი ხეები ამაყად დასცქერიან ბეჩავს ხმელს წიფელს, იმისი ეჩოთირებათ და ამბობენ: “ნეტავი შენ არ გვაუშნოებდეო!” - არ იციან, რომ ხმელი წიფელი იმათზე მეტად იხსენიება, და არიან, იპოვებიან ისეთნი კაცნი, რომელთაც მოსწონთ და უყვართ უბედურებაში ჩავარდნილი ხმელი წიფელი... სოფელში დღეში სამჯერ მაინც მოიგონებენ ხმელს წიფელს, - სადა გყვანდათ დღეს საქონელიო? - მამამ რომ ჰკითხოს თავის შვილებს, ისინი უჩვენებენ ხმელის წიფლის მიდამოს, გაღმითს ან გამოღმითს, თავს ან ბოლოს.

- ხმელ წიფლის ძირს, კლდეში, ვეფხი დაბუდებულაო, - ხმა არის სოფელში: - ლეკვები დაუყრიაო. მონადირეებს ენახათ ხმელ წიფლის გარეშემო დედა-ვეფხის და იმის ლეკვების კვალიო.

- ეს საბედე სოკო ხმელს წიფელს ავაჭერო, - ამბობს მეორე.

დიაღ, არ იციან უგუნურმა ხეებმა, რომ ხალხს ჯერ არ დაუვიწყნია ხმელის წიფლის სახელი, კიდევ ახსოვს იმისი სიდიადე.

განა ყველა, რაც ხმელია,
კაცისგან საწუნარია!?
ათასს ცოცხალსა ბევრჯელა
ათჯერ სჯობს ერთი მკვდარია.
შენის დანახვით, ტიალო,
გულს დარდი მაწევს ცხარია,

რაკი გხედავ, რო ბეჩავად
და უპატრონოდ ხარია, -
თითქოს დაჰკრესო განგაში,
სამგლოვიარო ზარია.
მინდა, რომ დიდხანს ნახარში
და გულში ნადუღარია
გაგიზიარო ვარამი,
მდიოდეს ცრემლის ღვარია.
რისთვის მოსულხარ, ბეჩავო,
არ იგლოვები მკვდარია?!
შენთვის არც წაწყმედა არი,
არსად ცხონება არია!
ვინ რა შაგიკრავს კუბოსა,
ვინ რა აგინთოს სანთელი?..
ვაჰ, რა ძნელია, კვდებოდეს,
იკარგებოდეს სახელი!

ღამ-ღამობით ათასში ერთხელ ხმელს წიფელზე ბუ შეჯდება და დაკოდილის ხმით მოჰყვება გულმოკლული ძახილს: “ვერ იპოვეო?” და, როცა ძახილით დაქანცულს შემოესმის: “ვერა, ვერაო”, მოსაწყლებული თავს დაჰკიდებს და “ღრუ, ღრუო”, ხმადაბლა გულს ჩასძახებს.

ზამთრობით მგელი ესტუმრება ხოლმე ხმელს წიფელს, აიტუზება იმის გვერდით და ღმუის, შიმშილისაგან შეწუხებული. ხმელი წიფელი შეუშფოთრადა დგას, არც ავს იტყვის, არც კარგს, დგას გაშტერებული; იმან არც სიბრალული იცის, არც სიმძულვარე; არც სამტროდ აუდუღდება გული, არც სამოკეთოდ; ფიქრობს ხმელი წიფელი თავის თავზე, წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე; გულში თითქო ღრმად ჩასჭდევია მწუხარება. ხანდახან გადმოაცქერდება მის ერთს ფესვის ბოლოზე ამოსულს პატარა დასახულს ყლორტს, რომელიც მზეს და

წვიმას უცდის, რომ გაიზარდოს. ეს-ღაა იმისი ნუგეში...

1889 წ.

ქუჩი

ბალახი ვარ მთისა, ერთის დიდის სალის კლდის შუა გვერდზედ მოსული. ჩემს გვერდით სხვა მცენარე ვერა ხარობს. განგებას მხოლოდ ჩემთვის დაუწერია: ქუჩო! კლდე იყოს შენი დედ-მამა, შენი ბედი და იღბალი, შენი წარსული და მომავალიო!

- კლდეო! განა, რომ შენა ხარ ჩემი დედ-მამა, ჩემი მცველი და პატრონი?

- მე ვარ, ნუ გეშინიან, შავ-ბნელო.

გარშემო მარტყია მაგრად დაჭედილი ლოდები. ვინ იცის, სადამდე აქვთ გადგმული ძირი; ზოგი ამათგანი ყურსაც არ მიგდებს, თითქოს არც კი ვარსებობდე; ისინი

თვალდაშტერებით დასცქერიან უფსკრულს. რას ეძებენ, რა დაუკარგავთ იქ? მე არ მეტყვიან, ათასჯერაც რომ ვკითხო, რაღასაც ფიქრობენ, უსაზღვროა იმათი ფიქრი, გამოუცნობელია იმათი გულის წადილი. ხანდახან კლდე ოხრავს, ალბათ, დარდი რამ აწუხებს. სხვაფრივ შეუდრეკელი და გულმაგარია ჩემი დედა; იმას როდი აშინებს ზვავი, რომელიც ზამთრობით ჭექა-ქუხილით თავზე დაგვაწვება ხოლმე, მოვა და გრიალით ჩავარდება უფსკრულში, დაეცემა და, თითქოს დაისვენაო, მძიმედ ამოიოხრებს. კლდე ხანდახან კიდეც სტირის. მეც ვსტირი მაშინ, დედის ცრემლებსა ვხედავ და იმიტომ. დედაჩემი თავის დახოცილს შვილებსა სტირის, რომლებიც მუდამ თვალ-წინ უწყვია; ბევრიც რომ უნდოდეს, თვალს ვერსაიდამ მოაცილებს. კლდის შვილები ლოდებია, დაბლა რომ ჰყრია ერთი-ერთმანერთზედ, კლდის ძუძუთგან მონაწყვეტი, იმის მკერდის ანაგლეჯი...

აგერ, დაბლიდამ როგორ გულსაკლავად შემოსცქერიან თავის მშობლებს, თითქოს ეხვეწებიან, რატომ მანდ არ აგვიყვან, რატომ შენს ახლოს არა ვართო. ამაო იქნებოდა იმათი თხოვნა, იმათი ვედრება, კიდეც რომ შეეძლოთ ამის ნატვრა; მაგრამ რა შეუძლიანთ. მეც იმათ დავსცქერი თავზე და თითო-ოროლ წვეთობით ნამს ვასხურებ. იმათთვის ეს მეტად სასიამოვნოა.

ნეტა ერთიც არის მეგობარი მომცა, ხანდახან მაინც გამოვესაუბრებოდი. ღმერთმა ყვავილებს უშველოთ, გალმა მთის ფერდიდამ რომ გამომცქერიან. ტკბილად დუდუნებენ, ტკბილად მღერიან ნაზის, დაბალის ხმით; ისინიც, როგორც მე, ბედკრული, შესტრფიან პირიმზეს. ლამაზო პირიმზევ, როგორ შორსა ხარ ჩემზედ, მაგრამ მაინც როგორ მიკოდავ გულსა!

მე როგორ შევსტრფი, თვალგულდამშეული შევსცქერივარ, თვალს ვერ ვარიდებ ერთს წუთას, ისე

მიყვარს, და ის-კი ერთხელაც არ გადმომხედავს, რომ ჩემი მოკლული, დამწვარი გული გაცოცხლდეს; ის მზეს შესცქერის, იმას ეტრფის. პირიმზე მზის მოტრფიალეა. აღმოსავლეთიდამ დასავლეთამდე თვალს და პირს იმას აყოლებს; როცა მზე ჩავა, დაიქვითინებს, იწყენს სატრფოს განშორებას. პირიმზეს ტირილი მეც ამატირებს. გუშინ, ვგონებ, მეც გადმომხედა. არა, ის წმინდაა, უცოდველი, მე-კი უშნო და ცოდვილი. მე განა სისხლითა და ბურტყლით უნდა ვიყო შემურული?! ეს სულ იმ ბებერის არწივის ბრალია, ჩემს გვერდით რომ ბუდობს. გაიღვიძებს თუ არა დილით, მოჰყვება საზარელს ყეფას, ვიღაცას ემუქრება, აბრიალებს ი დიდრონს, სისხლის მოყვარულს თვალებს და მერე გასწევს სადავლოდ; ყველა ფრინველები გზას უთმობენ. მოიტანს ნანადირევს, დაჯდება ჩემს ზემოდამ ერთს ამოჩემებულს ლოდზედ, სწიწკნის, სისხლი ჩამოსდის და მე დამდის. საიდამ მოვერიდები? სისხლით წითლად ვილესები, მერე

მზე დამხედავს და ახმობს ჩემს ტანზე ამ სისხლსა. იკურთხოს წვიმის გამჩენი! ხანდახან ის გამბანს ხოლმე. უთუოდ ამ სისხლის გამო მარიდებს პირიმზე თვალსა, თორემ ერთხელაც იქნებოდა დამიძახებდა: ქუჩო! კლდის შვილო, გამარჯობა შენიო!

მიყვარს ეს ყვავილი... იმას კაცები პირიმზეს ეძახით, რადგან პირი და თვალები მუდამ მზისკენ აქვს მიპყრობილი, მზის მოტრფიალეა; როგორც შვილის თვალები თან დასდევს დედას და სცდილობს არსად დაემალოს დედა, ისე ამისი. მზე დედაა, პირიმზე - შვილია მზისა.

ვინ იცის, თუ მე პირიმზე მიყვარს? მაინც რაა ასეთი სიყვარული? მე იმასთან ვერ მივალ, ის ჩემთან, ერთმანერთს ვერ ვაკოცებთ. ასეთი სიყვარული სასიამოვნო ტანჯვაა. მოუთმენლად ველი განთიადს, მაშინ დავინახავ ხოლმე ჩემს სატრფოს. როცა ზამთარი

დადგება, ჩემი გულიც მაშინ ჩაშავდება და პირიმზეც მიწაში ჩადნება. ნეტავი მეც ჩავდნებოდე, რომ ეგებ ერთი ჩემი ნაწილი შეხვდებოდეს იმისას პირისპირ. დადგება გაზაფხული, პირიმზე ცოცხლდება და მეც მაშინ ვცოცხლდები. მავიწყდება ჩემს ქედზედ მოკიდებული ხავსი და ობი, თავი პირიმზე მგონია და გიჟივით ვამბობ: შენი ჭირიმე, ლამაზო, შენი!

ნეტავ ვიცოდე, სად მიდიან ზამთრობით ყვავილნი? ვგონებ, ამას სიკვდილი ჰქვიან. ვინ მასწავლა მე სიტყვა სიკვდილი? აი ამ ლოდმა, ჩემს გვერდზე რომ ცხვირი წამოუშვერია და მრისხანედ დასჩერებია ქვეყანას. ამან და იმ ორასის წლის ბებერმა არწივმა. არა, სიკვდილი კარგი არ უნდა იყოს. გუშინ რომ მაგ დაუსვენარმა ბებერმა ერთი როჭო შეყლაპა. ჩემს თავზე, რამდენსა ჰკვნესოდა საბრალო და ის-კი შეუბრალებლად სწიწკნიდა, ჰგლეჯდა თავისის ალმასის ნისკარტით.

- ქუჩო, ბენტერავ, მაგასა ჰქვიან სიკვდილიო! - წამომჩურჩულა ლოდმა. მე კაკბის სიბრალულით ვსტიროდი. თუ მართლა ესაა სიკვდილი, კარგი არ უნდა იყოს...

ერთხელ საზარელი სანახავი ვნახე, ისიც სიკვდილსა ჰგავდა. აგერ დაბლა, შორს რომ დიდი მინდორი მოჩანს, იმ მინდორზედ მოჰხდა ეს ამბავი. ორპირად, ორის მხრითგან გამოჩნდა ხალხთა გროვა. ყველანი ლამაზები იყვნენ, ლამაზად ჩაცმულ-დახურულები; ცხენებზედ ისხდენ ტურფად, მოხდენით და ერთმანერთისკენ მიდიოდენ სისწრაფით. სიშორის გამო არ მესმოდა, რას ამბობდენ. დაერივნენ ერთმანერთს, იარაღის ბრჭყვიალს თვალს ვერ ვუსწორებდი, მწვავდა. ერთმანერთს ცხენებიდამ ჰყრიდენ, ჰქელავდენ, მახვილსა სცემდენ.

ბოლოს დროს, თითქოს ჯანღი დაეხვიაო, დაიმალნენ ყველანი. ჯანღი რომ გადიკრიფა, საღამოხანიც

მოახლოვდა. ვნახე, რომ მხედარნი თავის ცხენებითურთ ეყარნენ მინდორზე უსულოდ, როგორც აი ეს ლოდები. ეს სურათი ჩემთვის სატირელი სურათი იყო და ვიტირე კიდეც. სილამაზე, შვენება დაჰკარგოდათ. ეს მეწყინა და ამან ამატირა.

მზეო, დამხედე! წვიმავ, დამნამე! კლდეო მაღალო, შეინახე ჩემი ფესვები, სიცოცხლეს ნუ დაუკარგავ, ნუ ამომთხრი, ნუ ამომაგდებ!

პირიმზევ, ტურფავ, ლამაზო! შენის სილამაზის მზეს, ათასში ერთხელ მაინც გადმომხედე, მაღირსე შენი ღიმილი! საწყალი, ბეჩავი ქუჩი ვარ, შემიბრალე! ნიავო მთისავ, ბუნების მაცოცხლებელო სულო! დამბერე, გააგრილე ჩემი მხურვალე გული!

არწივო, მედიდურო ფრინველო! თუ გწამს ღმერთი, ეცადე, რომ ჩემს თვალებს არ აჩვენო, როცა უცოდველად

სულდგმულთა სისხლს აქცევ; ჩემს ყურებს ნუ გააგონებ იმათს კვნესას, რადგან იმათი კვნესა ჩემი კვნესაა, ჩემი გულის ოხვრა და ვაებაა. დამბადებელო, დამიფარე, შემინახე უნაყოფო კლდეზე დაკიდებული ქუჩი!..

1892 წ.

ცრუპენტელა აღმზრდელი

I

ტანზე თხის ტყავი ეცვა, თავზე წოწლოკინა თხისავე ტყავი ეხურა, სახე მოღუშული ჰქონდა, არადროს არ გაიცინებდა. რამდენიმე თხა-ცხვარი ჰყვანდა, იმათა ჰმწყსიდა. ჩვენკე მოდიოდა, თან მოლაპარაკობდა თავისთვინ: “შვილები, შვილები, ჩემი შვილები! შენის შვილების დარდი მაქვს? არ გაგიშვებთ, არა, ჩემთან უნდა იყო. არა, ყურცქვიტავ, თავს ნუ იწუხებ”. რამდენიმე ტოლი ბიჭები ერთადა ვთამაშობდით. ციხელის სიტყვები კარგად, გარკვევით გვესმოდა.

- ვინ გაგაჯავრა, ძიავ, ვინ? - ვკითხეთ ჩვენ ციხელს.

- ვინა? - მოიბრუნა იმან პირი ჩვენკენ, თითქოს ეხლა-ღა დაგვინახა:

- ოჰო, ბიჭებო, თქვენც აქა ჰყოფილხართ? ოთხმოცის წლის კაცი ვარ და ჯერ ეგრე არაფერს, არავის დაუღონებივარ, როგორც იმან დამაღონა - გამიშვიო და გამიშვიო, მეხვეწება. - წარმოსთქვა ციხელმა და მწვანეზე შემოწვა.

- რა არის? ვინ არის? - ვკითხეთ ჩვენ უფრო გულმოდგინედ.

- არაფერი, განა დიდი ვინმეა! კურდღელმა გამაჯავრა. - წარმოსთქვა ციხელმა და თან სახე უფრო მოიღუშა.

- სად არის კურდღელი? ვინ მოგცა? - ვკითხავდით ჩვენ კვალად.

- იმ დღეს ყანაში განაბულს წავადეგ თავზე. დამინახა და უფროც გაინაბა. როგორც ფიცარს ტყლაპი, ისე გაეკრა დედამიწას. იმას ეგონა, ვერ დავინახავდი, მაგრამ ჯერ ისეც არ დავბერებულვარ. ბალახი, ქვა, მიწა და კურდღელი ერთი მეორისგან ვერ გავარჩიო. დავტაცე ხელი, დაიჩხავლა, გაიფხლაკნა. უნდოდა გამსხლტომოდა ხელიდან, მაგრამ ვერ მიართვეს. წავიყვანე და ეხლაც შინა მყავს. არავის კი არ უთხრათ. ეხლა მეხვეწება, მემუდარება: “შენი ჭირიმე, გამიშვიო, შვილები დამრჩა ობლადაო, ელიან ჩემსა მისვლასაო”. წუხელისაც იჯდა კერის პირას დაყუნთებული და მოსთქვამდა, მწარედა ტიროდა:

სად ხართ, შვილებო,
კარგო, ტკბილებო,
პაწაწკინტელა, ფუნჩულეებო?!
ვაი თქვენს დედას,

თქვენ ვერა გხედავს,
ჯერ უმეცარნო, ყურცქვიტეებო!
ძუძუს ჰკითხულობთ,
უცქერთ ჩემს გზასა,
ჩემს ხმასა...
დაგბრუნავთ თავზე,
დაგიჭერსთ ქორი.
დამეკარგება
შვილები ორი.

- უი საწყალი, საცოდავი! - წამოვიძახეთ თითქმის ყველამ ერთად.

- აი ამისთანა ლექსით მოსთქვამდა და ვერ გამიბედნია გაუშვა, მინდა შინა მყვანდეს. არ ვიცი, თქვენ რას მირჩევთ? - სთქვა ციხელმა. - თქვენ რას იტყვით? გაუშვა, თუ გავასუქო და დავკლა?

- ნუ, ნუ, დაკვლა ცოდოა, მე მაჩუქეო, - სთქვა ერთმა. სხვანი ერთმანერთს შევჩერებოდით და ველოდით ერთი მეორისაგან პასუხს. შაგვეცოდა ყველას კურდღელი, შაგვეცოდა იმის შვილები, ობლად დარჩენილნი, მაგრამ გაშვება, განთავისუფლება მაინც ვერ ვურჩიეთ ციხელს.

- გვაჩვენეთ, ძიავ, ვნახოთ და მერე გეტყვით, რაც უნდა უყო. - ეს იყო საერთოდ ჩვენი განაჩენი.

- ძალიან კარგი, პატიოსანი, - წარმოსთქვა კვალადა ციხელმა: - განა კურდღელი მყავს მარტო? ერთი კაკაბიც მყავს. ისიც იმას მეხვეწება, რასაც კურდღელი: გამიშვი, ჩემი წიწილები ვნახო, ვინ იცის, გადამიჭამა ალალმა; ვინ იცის, სად წივიან და ტირიანო. ორივე რომ გავუშვა, ხომ დავიღუპე? თქვენ რომ მითხრათ გაუშვიო, მე არ გავუშვებ. რადა და ამადა, რომ ავაზაკები არიან: გაპარვა უნდათ. წუხელის ჩუმად ყური დავუგდე და იცით რას ლაპარაკობდნენ? მე ნისკარტით თოკს გავწყვეტო, -

ეუბნებოდა კაკაბი კურდღელს, - და, როცა გაგანთავისუფლებ, შენ კიდე კალათას, რომელშიაც მე ვზივარ, ფეხებით ფლასი გადააგდებინე და გავკურცხლოთო. კიდევ კარგი, რომ ყური მოვკარი იმათ თათბირს, თორემ ნამდვილად გაიპარებოდენ. ავდეგ მეც და რა მოვუხერხე: კურდღელი ჯაჭვით დავაბი, კაკბის კალათა ზევიდან წნელით გავწან-გამოვწან ისე, ბუზიც ძლივს გაძვრება შიგა. მააამ!.. მე ვერ მიცნობენ ისინი კარგად... დიაღაც ჩემი ალი რო მყვანდეს, ორივესაც გავათავისუფლებდი, მაგრამ, ეჰ, სადღა მყავს, გამიწყრა და გამექცა ჩემი ძვირფასი შვილობილი. - სთქვა რა ეს ციხელმა, ცრემლები მოიწმინდა. ალი რომ ახსენა, ჩვენ ყველამ ყურები ვცქვიტეთ, ხოლო, რაც ციხელმა გვიამბო ალზე, ბევრით განსხვავდებოდა იმისაგან, რაც ჩვენ გაგვეგონა მშობლებისაგან. ვეხვეწებოდით, ყელს ვუწევდით, ეამბნა ალის ამბავი. იმანაც დაიწყო.

II

მე გამოჩენილი მონადირე ვიყავი, რაც ნადირი დამიხოცნია, იმდონი თმა არა მაქვს თავზე: დათვი, ღორი, ირემი, ჯიხვი, მგელი, ტურა, ჯერანი და სხვ. ერთი ზამთრის განმავლობაში ასი მგელი მოვკალი. ყველას უკვირდა, გაოცებულები იყვნენ. სხვებს განა არ უნდოდათ მოეკლათ, მაგრამ არ შაეძლოთ და რატომ? იმიტომ, რომ ოსტატობა აკლდათ. ბრიყვი, გამოუცდელი მწყემსი, როცა მგელი გამოერევა ცხვარში, ყვირილს მოჰყვება, კივის, ძაღლებს უტევს. ნადირიც გარბის. მე მუდამ გავჩუმდებოდი, დავაცლიდი, ვიდრე ცხვარს არა სტაცებდა პირს და თუ სტაცებდა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ ტყავსაც გასძაბავდა, თოფს მოვიმარჯვებდი, მივეპარებოდი ახლოო, მგელი ნადავლს არ აშორებდა თვალს, მე საიდან უნდა დავენახე? ამ დროს - ჯაახ! მგელი დაბლა ეგდო.

ერთხელ სანადირო დ წავედი. ხარ-ირემს თოფი ვესროლე. დაჭრილი წამივიდა, გამოვუდექი, იმის დევნაში ერთს დათვს წავაწყდი. დაიწყო ბურტყუნი, შედგა ყალხზე, უნდა მცემოდა, მაგრამ ყოჩაღად დავუხვდი, დავეცი გულში თოფი; დაიღრიალა საშინლად, უზარმაზარი იყო, ადგა და დაეცა, რაც მოხვდა, ტოტით ჰლეწავდა, კბილებით ჰგლეჯდა. იმისი ტყავი ორმა კაცმა ძლივ-ძლივობით მოვიტანეთ სახლში, ჩემი სახლის ბანზე გავფინე, მთელი ბანი დაფარა. დათვს თავი გავანებე, ან კი სად-ღა გამექცეოდა? ირემს გამოვეკიდე. ცოტა აღაჯი გავიარე, ახლა უზარმაზარი გარეული ღორი, ტახი იყო, არ შემეხეჩა! ეშვები მტკავლის სიგრძედ ეტყობოდა გარეთ და ისე ანათებდენ, როგორც ბნელ ღამეში კელაპტრები. კბილებს ილესავდა, პირიდან მუშტის სიმსხო ქაფს ქაფზე ისროდა, ეტყობოდა, გაჯავრებული იყო. მე რას შემაშინებდა, ისე ვიდეგ, როგორც კლდე, მაგრამ ვიცოდი, ერთი ტყვია ვერ მოერეოდა და უსათუოდ ბრძოლა

მოგვიხდებოდა. მე ხანჯრის იმედი მქონდა. დალოცვილს ბევრჯელ დაუხსნივარ სიკვდილისაგან. დათვსაც უნდოდა ერთხელ გადავეგდე კლდეზე, მაგრამ შემოვკარ კისერში და, როგორც ქათამს, გავაგდებინე თავი. ტახს თოფი ვესროლე, დაიჭრა და, როგორც შურდულის ქვა, გამოქანდა ჩემკენ, მე მაშინვე ხანჯარი გავიწვადე, მოვიმარჯვე, როგორც მოვიდა ჩემთან და გაიმრუდა კისერი, უნდოდა შემოესვა ჩემთვის ეშვი, მე ხანჯარი დავუსვი და ორივე ყბები ეშვებიანად ჩავასხვიპე. მივაყოლე და მივაყოლე თავში და წელში. როგორც იყო, მოვკალი. დავტოვე ადგილობრივ და გამოვუდეგ ისევ ირემს. როგორც იყო, იმასაც დავეწიე და დავიმორჩილე. ამასობაში დამიღამდა. ცას შავი ღრუბლები გადაეკრა და კოკისპირული წვიმა დაუშვა. ირმის გატყავება ძლივს მოვასწარი. შინ დაბრუნება არ შაიძლებოდა. ახლო ერთი გამოქვაბული კლდე იყო და იქ შევაფარე თავი. ცეცხლი დავანთე, მწვადები დავაფიცხე. პური მშიოდა და

შევუდეგ პურის ჭამას. რაღაც წუწუნის, ტირილის ხმა შემომესმა იქვე ახლოს. უნდა სიმართლე გითხრათ, მშიშარა არა ვარ, მაგრამ შევკრთი, განა იმიტომ - თოფს ვინმე მესროდა, ხმალს და ხანჯარსა მცემდა? არა. მეც არ ვიცი, რად შევკრთი. მაინც გული გავიმაგრე, გამოვძვერ ეხიდან და კარგად ყური დავუგდე: "ვაჰ ჩემი ბრალი, რა მეშველება მე საწყალსა?!" - ისმოდა ხმა ადამიანისა. დავიდე ხანჯარზე ხელი და წავედი იქითკენ, საიდამაც ეს ხმა მოისმოდა. მივედი და რა ვნახე? წიფლის ძირას მიმჯდარა პატარა ბალღი და ტირის; სამი წლის გოგოს ტოლა იყო. ყვავილებისა და ფოთლების კაბა ეცვა, ისეთი მშვენიერი, იმაზე კარგს ადამიანის თვალი ვეღარაფერსა ჰნახავდა. გრძელი, ხშირი, ოქროსფერი თმა კოჭებამდე სცემდა, მსხვილი, ლურჯი თვალები ვარსკვლავებივით უნათებდა. მე მაშინვე მივხვდი, უნდა ალი ყოფილიყო. წავიყვანე გამოქვაბულში, გავათბე, ვაჭამე პური. შენ მამა, მე შვილიო, მითხრა. მიამბო თავის თავგადასავალი:

გამომდევნეს ალებმა თავის წრიდან, რადგან ცუდ საქმეებს ბევრსა სჩადიოდენ და მე ვუშლიდიო. შენთან უნდა ვიცხოვრო და, იცოდე, ბედსა გწევო. მე რა ძალა შამეძლო, პირიქით, ღმერთს მადლობასა ვწირავდი, რადგან გაგონილი მქონდა, რომ ალს თუ დაუზავდებოდა ადამიანი, იმის ბედს ძაღლი აღარ დაჰყეფდა. წამოვიყვანე შინა. გავმდიდრდი, ისე გავმდიდრდი - ჩემი ცხვარი და ძროხა დედამიწას ამძიმებდა; ფულით - ოქრო და ვერცხლით სავსე ქვევრები მქონდა. მეორე დღესვე თავის უნარი მაჩვენა. მითხრა: “მამობილო, არ გინდა მოსახილებელი სურათები?” - რატომ, ძალიან კარგი იქნება-მეთქი.

ვნახე და რა ვნახე? ალი გაჰქრა უცბად და ჩვენს ეზოში იქვე კარებს წინ ვნახე ტურფა ბაღი, რა ხილს იტყვის ადამიანის ენა, იქ არ იყო: ვაშლი, მსხალი, ატამი, ბალი, ალუბალი, შიგ ხეივნები იყო გამართული, დაბრაწული

მტევნები ეკიდა ისეთი მსხვილი, თითო მტევნისა ადამიანს გაუჭირდებოდა ტარება. რიგი მწიფდა ხილი, რიგი ჰყვაოდა. ნაირნაირი ფრინველები დაფრთხიალებდენ და გალობდენ. ბაღში შვლები დაკუნტრუშობდენ. მე გაშტერებული შავცქეროდი და მიხაროდა, რომ ამისთანა ბაღის პატრონი გავხდი მოულოდნელად. მინდოდა დიდხანს მეცქირა ბაღისთვის და დავმტკბარიყავი იმის სიტურფით, მაგრამ მოულოდნელად გაჰქრა ეს სანახაობა, თვალწინ სულ სხვა სურათი წარმომიდგა: დიდი მინდორი, ზედ მოდიოდა მძიმე ცხვრის ფარები. ორასზე მეტი მწყემსი მოსდევდა, მე წინ მოვუძღვებოდი, ლურჯს, ბედაურს ცხენზე ვიჯე, ოქროსა და ვერცხლში ჩამჯდარი; ხმალი, ხანჯარი, თოფი, დამბაჩა, რახტი ცხენისა, უნაგირი და უზანგოები სულ ოქრო-ვერცხლით იყო მოჭედილი. ყველანი, ვინც წინა მხვდებოდენ, ქუდებს მიხდიდენ, მეფის საკადრისს სალამს მაძლევდენ. ჩემს წინ, ცოტა

მოშორებით, გამოჩნდა დიდი სასახლე, ოქროთი შაღებულის სვეტ-კედლებით. პირდაპირ იქ მივედი, გამომეგება ოცამდე მსახური, დაფაცურებულნი, არ იცოდენ როგორ ეცათ ჩემთვის პატივი. შავედი სახლში, მომეგებნენ ნაზირ-ვეზირნი, ცივ-ცივად ამწიეს და დამსვეს სამეფო ტახტზე, თავს მიკრავდენ, ჩემს ბრძანებას ელოდენ: “დიდებულო, ჩვენო მეფევ, რას გვიბრძანებო?”

- რას გიბრძანებთ და იმას გიბრძანებთ, - წარმოვსთქვი მრისხანედ: - ჩქარა სუფრა გაშალეთ, მოიტათ არაყი და ღვინო ბლომად. ხინკალი, ჩქარა ხინკალი მოხარშეთო! - ვუბრძანე! ისინიც ასრულებდენ უარის უთქმელად ჩემს ბრძანებას. გავმართე მეჯლისი, ვსვამდი და ვმღეროდი. მოვიდენ მოსაკრავენი და უკრავდენ სხვადასხვა საკრავებს. ვკმეჭდი წვნიანს ხინკალს და თან არაყს ვაყოლებდი. მეფე ვიყავ, ნამდვილი მეფე. სამი წიწანი

არაყი გადავკარ წინწანაქარი, - მიყვარს კიდეც, ღვთისა წინაშე, ცოტა არ იყოს, მომეკიდა. მერე ძილი მოვითხოვე: დამიგეს ბუმბულის დოშაქი ოქროს ტახტზე, დამხურეს ძვირფასი ფარჩა-ატლასის საბნები და დავიძინე. როცა გავიღვიძე, ვნახე, რომ ჩემს მჭვარტლიანს სახლში ვიყავი, ისევ ის ეზო, რაც გუშინ იყო... ჩემს წინ ალი იდგა და იცინოდა...

- როგორ მოგწონს, მამობილო?! - მკითხა ალმა.

- ოჰ, შე უსამართლოვ! - ვუთხარი მე, - ნეტავი არ მოგეჩვენა ჩემთვის ეგ სანახავი და თუ მაჩვენე, გამართლებულიყო კიდევაცო.

- ყველაფერი ნამდვილად იქნებაო, - მიპასუხა ჩემმა ალმა: მე იმიტომ გაჩვენე ეგ სანახავი, მოგეწონებოდა თუ არა, რომ ნამდვილად მეფედ გაგხადო და დიდი დოვლათი მოგანიჭოვო.

- აბა, თუ ღმერთი გწამს, მაგაზე მეტი რაღა უნდა მოვინდომო?

დანაპირები ამისრულა კიდეც. სანამ ალი მყვანდა, მეფე ვიყავი და დოვლათიც დიდი მქონდა. ეხლა მის მოგონებით-ღა ვსულდგმულობ. ეჰ, რაღა ვსთქვა, შვილებო, ალის სახსოვრად მხოლოდ იმის ლოგინი-ღა მაქვს: დეკასი და ბრაწისა, მოწნული იმისვე ხელით. ეჰ, რა ვთქვა და რა ვქნა... ღმერთმა მომცა ბედი და ისევ წამართო. დიდება იმის სახელს. ეხლა ალის მაგივრად კურდღელი და კაკაბი-ღა მყავს.

- ნეტავი ლოგინი მაინც გვაჩვენა ალისა! - წამოვიძახეთ ჩვენ.

- ჰნახავთ იმასაც, როცა კურდღლისა და კაკბის სანახავად მოხვალთ. - წარმოსთქვა ციხელმა. - მეორე დღეს, - განაგრძო ციხელმა, - ტყეში წავედით, მე ერთი კონა

ფიჩხი შევკარი წამოსაღებად. ალმა მითხრა: “ეგ რა არის? მაგის გულისთვის უნდა მოსცდე? მოსჭიდე ხელი აგერ იმ წიფელს და მოსწიე”, - მიმითითა ერთს უზარმაზარ წიფელზე, სულ ცოტა, ათი ურემი შეშა გამოვიდოდა, მე ყოყმანი დავიწყე. “რას ყოყმანობო?” - შემომიტივა და რა მეტი ღონე იქნებოდა, ამოვწიე და ძირ-ფოჩვიანად ამოვწვადე წიფელი; გავიდე მხარზე, ისე მსუბუქა, მეგონა სახრე მქონდა გადებული მხარზე, და გამოვწიეთ შინისკენ. რომ მოვდიოდით, ხეზე ჩიტები სხდებოდენ და გალობდნენ: ჩხიკვები, ტრედები, ყვავებიც-კი ბრიყვდებოდენ, ვერა მხედავდენ ალბათ. ერთი კოდალა მოფრინდა და ზედ ჩემს თავზე მიეკრა წიფელს, დაუწყო ნისკარტით თავისებურად კაკუნი. მე ნელ-ნელა ხელი ავაპარე, ვწვდი. დავიჭირე. დამიწყო ხვეწნა: ხორცი არ გამოგადგება ჩემი და ტყავი, რად მიჭერ? რისთვის? გამიშვი, თუ ღმერთი გწამსო. მეც ავდექი და გავუშვი. ან კი რა უნდა მექნა, თხილის ტოლა ცრემლები ჩამოსდიოდა

და ნისკარტის წვერზე ეკიდებოდა.

III

მესამე დღეს სათიბს წავედი, მთაში. “მამობილო, მეც თან წამიყვანე, თუ ვერა ვთიბ, წყალს მაინც მოგიტანო”. - მითხრა ჩემმა შვილობილმა. მეც დავთანხმდი. ჩავიდე გუდაში საგძალი, გავიდე მხარზე ცელი და გავწიეთ. თიბა რომ დავიწყე, ჩემი ალიც იქვე იჯდა და ალერსიანს თვალებს მადევნებდა; მე რაც შემიძლიან უსვამ ცელს, ვაწვენ ნაფთევზე ნაფთევს. მწვანე ბალახი, ათასნაირი ყვავილებით აჭრელებული, საამურად დაეწყო ერთი მეორის გვერდზე და მახალისებდა. “ცოტა ხანს დაისვენე, მამობილო, თავს რად იკლავო?! - მითხრა ალმა. მე არ გავუგონე. ჯიბრზე, ალბათ, ამოიღო უბიდან სალამური, დააწკრიალა, დაუკრა და რა დაუკრა. ცაში წავედი, ისე საამურად უკრავდა. თავბრუ დამესხა. ვხედავ და რას ვხედავ: დაიწყო ცეკვა მთა-ბარმა, თამაშობდენ ბალახნი,

ხეები - დიდრონი მუხები, გორის ფხაზე ჩამწკრივებულნი არყები, ვერხვები. მეც ძალაუნებურად ავყევი, ვროკავდი ხელცელიანი. ცაზე მომფრინავი სვავები, ძერები, მთის ქორები ჩამოსხდენ დაბლა, ჰროკავდენ ისინიც, სვავები ბობღავდნენ. კაკბებს, გნოლებს, როჭოებს ხომ რაღა თქმა უნდა. გამოჩნდა საითღაც მელია - კუდაფშეკილი ხტოდა, ცეკვავდა. მეცინებოდა ამ სურათის დანახვაზე. სად-ღა იყო ჩემთან დაღლა? როცა მოიჯერა გული სალამურის დაკვრით, ჩემმა შვილობილმა ჩაიდო უბეში სალამური; გონებაზე მოვედი. მივიხედ-მოვიხედე - ყველაფერი თავის წესზე იყო. მხოლოდ ჩემი შვილობილი იცინოდა: "აი, თუ არ დაისვენებ, ეგეც შენ! რად სწუხდები, შენ მოხუცებული კაცი ხარ, მომეცი აქ ცელიო", - მითხრა და წამგლიჯა ცელი ხელიდან. როგორც ცეცხლი ისე დატრიალდა და რასაც მე ორს კვირას ძლივს გავთიბდი, იმან ერთს წუთში გათიბა. მე სიხარულით აღარ ვიცოდი, რა მექნა, რომ ასეთი შვილობილი გამომადგა... კიდევ

რასმე გეტყოდით, მაგრამ, ვაჰ მე, რომ გამცეთ? უთხრათ ვისმე; მაშინ რაღა ვქნა?

- არა ზიარების მადლმა.- იყო საერთო ჩვენი პასუხი.

- მაშ გეტყვით. ალის სალამური მე მაქვს, მაგრამ ვერ იქნა, ვერ დავუკარ, ბევრისგან ბევრი ვეცადე. არ იქნა! - სთქვა ციხელმა.

- მე დავუკრავ, ძიავ, მე. კარგად ვიცი სალამურის დაკვრა. - სთქვა ერთმა.

- არა, მე უფრო კარგად ვიცი. - იძახოდა სხვა.

- ჰოდა ვნახოთ. ვინც დაუკრავთ, იმის ფეშქაში იყოს. - სთქვა ციხელმა და კვალად განაგრძო: - ამ სალამურით ჩემი ალი დიდ ოინებსა შვრებოდა. ვნახოთ, მოდიან დამწკრივებული წეროები. ოჰ, როგორ მიყვარს იმათ ცაში

დანახვა! დაუკრავდა ჩემი შვილობილი თავის სალამურს თუ არა, მაშინვე, როგორც პანტა, ჩამოცვივდებოდენ დაბლა. ვიჭერდი, რამდენიც მინდოდა, და ვინახავდი სახლში, - აგრეთვე თუ სავათებს, გარეულ ბატებს, იხვებს, ტრედებს და სხვ.

კიდევ უკეთესი გითხრათ: ერთხელ არაგვზედ წავედით სათევზაოდ. ამოიღო სალამური წყლის პირას და დაუკრა. შევხედე და თავბრუ დამესხა: გამოდის მდინარიდან ორაგულები - აღებენ პირებს - ხააააპ, ხააააპ, შვრებიან. კალმახები - თითო ორი-სამი მტკაველი, ჭანრები, კაპუეტები. უკრავს სალამურს ჩემი შვილობილი - მოდის და მოდის თევზის ქარავანი რიყეზე. კარგი-მეთქი, რად გვინდა ამაზე მეტი, წაღება აღარ უნდა? - ვუთხარი მე. მართლაც, რაც გარეთ თევზი გამოვიდა, იმის ნახევარი ძლივს წამოვიღეთ სახლში, დანარჩენი, როცა სალამურის ხმა მისწყდა, შეცურდა ისევ წყალში. კიდევ კარგი, რომ

ცხენი მყვანდა თანა, თორემ ვინ წამოიღებდა იმოდენა თევზსა? მე კიდევ იმედი მაქვს, იქნება მოვიდეს და მოიკითხოს თავის სალამური. რა ვიცი, იქნება ღმერთმა მომხედოს. ნეტავი ერთხელ კიდევ მაჩვენა თვალით, როგორ შავეხვეწებოდი, მუხლებზე მოვეხვეოდი. იქნება თავს აღარ დამანებებდა. თუ მოვიდა ჩემთან, უსათუოდ თქვენც გაჩვენებთ, შვილებო, ჩემს შვილობილს.

ჩვენც ვეხვეწებოდით, როგორც კი შაგვეძლო ხვეწნა, ყელს ვუწევდით. ერთხმად ვსთხოვეთ კურდღელი, კაკაბი და სალამური მაინც ეჩვენებინა. ყველანი ვემზადებოდით იმ დღესვე თან გავყოლოდით. მაგრამ ციხელმა დაგვითხოვა: - დღეს მე შინ არ მივალო და დანაპირების ასრულება შემდეგისათვის გადასდო.

მზე გორის ფხას გაება და ციხელიც გაემზადა შინ წასასვლელად. გაუქეჩა ცხვარს, წინ გაუმძღვარა დიდრონი ვაცი, რომელსაც ხმლის სიგძო რქები ჰქონდა,

წვერის ცანცარით ცხვარს წინ მიუძღვებოდა დინჯად, ამაყად. უკან ციხელი მისდევდა ჯოხის ბჯენით და ნელის სტვენით: ნტრიეეე, ქსიეეე! - ჩვენ შურის თვალით გავცქეროდით ამ ბედნიერს ადამიანს... ციხელის ნაუბარი მე ღრმად ჩამებეჭდა გულში. ალი შემიყვარდა შემიყვარდა, რადგან ციხელის ალი სულ სხვა ჯურის ალი იყო და არა იმათ მსგავსი, როგორიც მსმენოდა... "ნეტავი მაჩვენა თვალით! - ვამბობდი ჩემთვის. - ნეტავი ჩვენსა მოიყვანა, მამაჩემს აპოვნინა. მე და ის დავმეგობრდებოდით. რამდენი ცხვარი და საქონელი გვეყოლებოდა ეხლა მაშინ! ეხლა კი რა მყავს! სამი ხბო, სამი ცხვარი. ერთად სალამურს დავუკრავდით. რაკი ისეთი გულკეთილია, მეც მასწავლიდა სალამურის დაკვრას. რა გაიგება, იქნება მაჩუქებდა კიდევაც? მაშინ ხომ ვეღარც გზირი შეგვაწუხებდა, ვერც ნაცვალი, ვერც მამასახლისი და ჩაფარი? გირაოს ვეღარ წაგვართმევდა ვერავინ, და მომაგონდა ის სურათი, მამაჩემს რომ

მამასახლისმა სილა გაარტყა და რაღაც საკრეფ-ხარჯებში ერთადერთი ჩალხანი ქვაბი წაგვართო და წაიღო... მამაჩემმა ხმა არ გასცა... ააახ! ამ ფიქრებში გართულმა გამოვრეკე შინ ჩემი საწყემსო... იმ ღამეს დამესიზმრა: ალი ჩვენსა იყო. მე მშვენივრად ვიყავი მორთულ-მოკაზმული. აუარებელი ცხვარი და ძროხა გვყვანდა. მე და ალი ვმწყსიდით, სალამურს ერთად ვუკრავდით და, ვინ მოსთვლის, რამდენს თევზსა და ფრინველს ვიჭერდით! ვენახი გვქონდა დიდი, თვალგადუწვდენელი, დავდიოდი, ვკრეფდი ყურძენსა და ვჭამდი, რამდენიც მინდოდა... ჩვენი სახლის სიტურფეს ხომ ენა ვერ ასწერდა. მოაჯირის წინ იდგნენ ქუდმოხდილი მამასახლისი, გზირი და მამაჩემს ყელგადაგდებული რაღაცას სთხოვდენ. დედაჩემსაც ჭრელი კაბა ეცვა და წუღების ბაკა-ბუკით დადიოდა...”

- ეფრემს არ გაუღვიძნია, ადამიანო?! გააღვიძე, ადგეს, რა

ხანია გაუთენდა, - შემომესმა ძილში მამიჩემის ხმა.

“ადე, ბიჭო, ადე, შვილო, გაიღვიძე, ყველამ წაასხა საქონელი!” - წამჩურჩულებდა დედაჩემი. გავიღვიძე, მაგრამ, ნეტავი არ გამეღვიძოს, წარმოვსთქვი, როცა სიზმარი გაჰქრა და სინამდვილე დამიდგა თვალწინ.

ცოტა ხანს შემდეგ ფეხშიშველა, კონკებში გამოხვეული, ხელში სახრით მივერეკებოდი ჩემს საწყემსოს - სამ ხბოს და სამ ცხვარს - იქითკენ, საცა გუშინ შევხვდით ციხელს. ის-ღა დამრჩა ნუგეშად, რომ მოხუცებული კიდევ რასმე გვიამბობდა ალზე.

- ერთხელ დილაურის საქონელი მოვლალე, - განაგრძო ციხელმა: - უცბად თვალი მოვკარი, ეზოში რაღამაც გაირბინა, ქათამს ჰგავდა, ჭროღა ფერისა იყო. კარგად დავაკვირდი: ტყის პირს რომ მიაღწია, ცოტა ხანს დაეყუდა. ოღონდაც კაკაბია... ვიფიქრე: შარშან მყვანდა

სხვა კაკაბი, იმასთანავე კურდღელიც ერთი, მაგრამ გამეპარნენ; - იქნებ ის იყოს? საით და როგორ? რადღა მოვიდა, რა მოიტანა, ან რა მიაქვს? ალბათ მოვიდა ჩემს გამოსაჯავრებლად, - ჰე, შენი ტყვე ვიყავი, გაგეპარე და რა ყურებზე ხახვი დამათალეო! - აბა რაკი ეგრეა და ახლა მე ვიცი, თუ შენი ჯავრი შავჭამო, კაკაბო, და მეც კაციმც ნუ ვიყო, ქუდიმც ნუ მხურებიაო, ვსთქვი და დავეტიე. ხელში ჯოხის მეტი არაფერი მეჭირა; არც თოფი ჩემთან, არც ხმალი, არც ხანჯარი, და არც დამბაჩა. გამოვუდეგ: შამიძვრა ჯაგებში, შავყევ მეც; გაიქცა მუხრიანაზე, - მივსდევ. თვალს არ ვაშორებდი - თავადაც როდი ცდილობდა თვალიდგან დამმალვოდა, თუმცა არც ისე ახლო მიშვებდა, დამეჭირა, ან ქვა მესროლა, ჯოხი დამერტყა. გავათავეთ ტყიანი, გადავედით სარაყდრის გორაზე. დააკრა იმ დასაქცევმა სარაყდრის გორას და გასწია პირდაპირ აღმა, მირბის, მიგოგავს, ერთხელაც არ გაფრენილა. მივსდევ მეც თან. ღმერთო, რა მუხლადი

ვიყავ! არ ვიცოდი დაღალვა, დამახეთქა ოფლმა შუბლზე და მკერდზე. მაინც არ გავტყდი. კაკბის ჯავრი როგორა ვჭამო, - ვამბობდი ჩემთვის. - უნდა დამცინოს, გავხდე იმის გულისთვის? არა. მირბის, - მივსდევ. გავათავეთ ეს გორაც, მოვებენით ტყეს. გადირბინა გოდორა კლდის თავზე, გახდა მოწამლულთ ხევზე, გავიარეთ საგულებელზე, გადავედით წითელჩი, გასწია პირდაპირ საშავარდნეთ თავისაკე, მოდის დოსტოღრივ. მოება ჭიუხებს, ოღრო-ჩოღროებს. დრო და დრო შემოუბერავდა ნიავი და აბურძგნიდა ნაცარა ბუმბულს, თეთრის თვლებით მოწინწკლულს. უხდებოდა იმ დასაქცევს, მაგრამ მე კი ბრაზი მომდიოდა. რამდენჯერმე ქვა ვესროლე. მინდოდა მომეკლა, მაგრამ ავაცდინე, კაკაბი აინუნშიაც არ იგდებდა ჩემს ქვის სროლას.

გადავედით ქოფჩი. ისეთს კლდეებზე მომინდა ბღოტვა და ცოცვა, რომ ფეხებისა და ხელების ფრჩხილები

დამცვივდა, მაგრამ არ შევდრკი და არც უკან დავიხიე. თუნდა მოვკვდე, სული ამომხდეს, უნდა მივსდიო კაკაბს. ზღვაში შევა, შევყვები, მიწაში ჩაძვრება, ჩავყვები, - ვამბობდი ჩემთვის: - უნდა გავიგო, რა სწადია, რა უნდა ჩემთვის. უნდა შემამთხვიოს ხიფათს რასმე, ჩემი სიკვდილი უნდა? დაე უნდოდეს, დაე მოვკვდე. გატყდეს და ვინ, ციხელი? აფსუს!.. რაღა ბევრი გავაგრძელო, ჩემო შვილებო, დააკრა შუა გორას კაკაბმა და როგორც ცისაკე გატყვარცნილი ისარი, წავიდა სასვეეთ თავისაკე. მივყევ მეც თან, ცოტა არ იყო, დაღალვა დამეტყო, მოვიკრიბე რაც ძალი და ღონე მქონდა... იარა კაკაბმა. ვიარე მე. დადეგ, შე უღმერთო, საცამდე უნდა იარო და მავლოვო? - დავუძახე. ის-იყო მთის წვერს მივატანეთ, საღამომაც მოატანა. კაკაბმა ჩემს ძახილზე ბალღივით დაცინვის კილოთი გაიკასკასა, აფრინდა და ცაში დაიკარგა. ხოლო ჩემს წინ დაერჭო მიწაში ფრთა. რაღას ვიზამდი, დავრჩი ხახამშრალი, გულს ვიმჯიღავდი, აქეთ-იქით გიჟივით

ვხტებოდი. რა დაგიკარგავ, რას ეძებ, ჩემო თავო? ნუთუ ეს ერთი ფრთა უნდა ვიკმავო? ამოდენა ტანჯვამ ჩამიაროს ტყუილად?! ეჰ, რაც არის, ეს ფრთა მაინც შავინახოვო, ვიფიქრე. თუ მკითხა ვინმემ კაკბის ამბავი, ვეტყვი: მოვკალი და შევჭამეო. დავჯე, სული მოვიბრუნე. მაღლა ვიყავ ძალიან, ძაფით ცაში ჩამოკიდებული მეგონა ჩემი თავი. მიბერავდა ცივი მთის ნიავი; ირგვლივ ჯაჭვით, გაუტეხელის ჯაჭვით გადაბმული, ბუმბერაზი მთების ხროვა-ხროვა ეყარა, ზოგი მწვანედ, სხვა შავად. ზოგი დაგლეჯილ-დაფლეთილი და ზვავ-ღვარებისაგან ჩამოღადრულ-ჩამოკაწრული. ზოგები დაბლა არაგვისაკე ჩაწვდილიყვნენ და შავად ჩაცმულ მოზარეებსა ჰგვანდენ, სატირელზე მტირალთა; ისინი მე ვერა მხედავდენ, ჩემი ამბავი იმათ არ გაეგოთ. მაგრამ აქ სხვები იყვნენ, მაღლა ქედაწვდილები, პირმოღუშულნი, მე დამცინოდენ. ბრაზმორეული დავბრუნდი უკან, მომაგონდა თავდანებებული ძროხები, სახლი, გამოვწიე შინისკენ.

ხელში, გამწარებული, კაკბის მიერ მოძღვნილს ფრთას ვატრიალებდი...

გაბოროტებულს, იქნება, ფრთა კიდეც გადამეგდო, როგორც ხმელი ჯოყარი, უბრალო ჩხირი, ღამეს რომ არ ესწრო. ღამემ რა გამოაჩინა? ისა, ჩემო კარგებო, რამდენიც დაბნელდა, ფრთამ სინათლე გამოსცა, აენთო, როგორც ჩირაღდანი, ანათებდა, არც იწვებოდა, არცა მწვავდა. გამიხარდა, გამიხარდა, სიხარულით ცას დავეწიე. ვიწერდი პირჯვარს, ღმერთს მადლობას ვწირავდი, უსწორმასწორო გზებზე, ფრთის წყალობით, როგორც დღისით-მზისით, ისე მოვდიოდი.

ეს ფრთაც შინა მაქვს შენახული, სანთლად მუდამ იმასა ვხმარობ. დავსდებ კიდობანზე და მთელი ღამე ჩემი სახლი სამოთხესავით განათებულია.

ჩვენ ამოვიოხრეთ და ერთი-ერთმანერთს გადავხედეთ

იმის ნიშნად, როდის მოვესწრებოდით ყველა ესენი ვნახოთო.

არ გაიარა ერთმა კვირამ, - განაგრძო ციხელმა, - შუადღე იქნებოდა, ძროხებს ვასაგრილებდი, მე დერეფანში მხარ-თეძოზე ვიყავ წამოწოლილი. საითაც იყო და არ იყო, ჩემ წინ ეზოში ყურდაცქვეტილი კურდღელი გაჩნდა, შეხტა და შემოტრიალდა, დაიწყო კუნტრუში.

მაშინვე წამოვფრინდი. ჩემი კურდღელი იყო, შარშან რო გამეპარა. შენ ნახავ, თუ ამანაც ბედს არა მწიოსო, ვიფიქრე. მივეტანე დასაჭერად, გამექცა. გამოვუდეგ. გაიქცა პირდაპირ ხოდისაკე - მირბის ჯაგიანზე. მივსდევ მეც. სულ გადავიკაწრე თვალ-პირი. კარგა გზა მარბენინა. ბოლოს აფხუშოურს ნანგრევებში შეიჭრა და დასკუპდა ერთ ადგილას. გაშეშდა, აღარც იქით მიდის, აღარც აქეთ. მეც თამამად მივედი. მივეწვადე, უნდა დამეჭირა, მაგრამ მაგარი ის არი, კურდღელი გადახტა, გამექცა, ხოლო

ადგილმა, სადაც ის იჯდა, ფამფალი, ზანზარი დაიწყო და წამოდგა საფლავიდან უზარმაზარი ტანის კაცი, მშვენიერი სახისა, მხარ-ბეჭი ორი ადლი ექნებოდა, თავით ფეხამდე იარაღში იყო ჩამჯდარი, ტანზე ჯაჭვი ეცვა, მუხლებზე ოქროთი დაზარნიშული საჩერნეები, საგანგებოდ მოვარაყული სამკლავეები, თავზე მუზარადი ედგა, წელზე დიდრონი ხმალი ერტყა, ფარი მხარ-იღლივ ჰქონდა გადაგდებული და ხელში ლახტი ეჭირა. მეტისმეტად ლამაზი, საამო სანახავი იყო, თუმცა მე შემზარა ასე უცბად იმის ადგომამ. უკან გადმოვხტი. “ნუ გარბიხარო”, - მითხრა ლმობიერის, გმირულის ხმით, - “რაკი ჩემამდის მოაღწიე, როგორიც მოჰსულხარ ისეთს ველარ გაგისტუმრებ, ძმობილო! მე ცხოვრებაული ვარ, ჩემი სახელი დაკარგულია, აღარც ხალხს ვახსოვარ და აღარც ქაღალდს და საწერ-კალამს, მაგრამ ჩემს ვინაობას მე გაგაცნობო... დიდხანს ვიბრძოლე, დიდხანს ვეომე საქართველოს მტრებს, ბოლოს მაჯობა მტერმა, ლაშქარიც

გამიწყდა და მე ცოცხალი დამმარხეს. დაილოცოს ღვთის მადლი და სამართალი, სჩანს, ჯერ არ მომკვდარვარ, ისევ ცოცხალი ვყოფილვარ, ხოლო ღვთისაგან აი ამ იარაღისა, რასაც ჩემს ტანზე ჰხედავ, ხმარების ნება არა მაქვს. ეს შენ უნდა გიანდერძო და შენ იცი, როგორც მოიხმარო.” აიხსნა მთელი აბჯარი და გადმომიყარა. “აიღეო!” მითხრა. მე კანკალი მომივიდა. ღირსად არ მეჩვენებოდა ჩემი თავი იმ დიდებული ვაჟკაცის აბჯრით დამეშვენა ჩემი უძლური ტანი. ვერ ვბედავდი აღებას. შემატყო მოკრძალება და უფრო რიხიანად დამიყვირა: “მე შენ გეუბნები, აიღე და მოიხმარე იმის წინააღმდეგ, ვინც საქართველოს ებრძვის და სჩაგრავსო”. მეტი რა ღონე იყო, დავეწვადე გმირის იარაღებს, თან ხელები მიცახცახებდა. როცა გავსწორდი წელში, ავიხედე მაღლა - ჩემს წინ მხოლოდ დიდრონი იფნები და მუხები იდგა. აღარსად გმირი, აღარც კურდღელი. გადვიწერე პირჯვარი, შევწირე ღმერთს მადლობა. და წამოვედი შინ აბჯარ-აბგრით

დატვირთული. წელი მოვიწყვიტე, ძლივს მოვიტანე იმოდენა რკინეულობა. ხმალი გამოდგა ისეთი, რომ კამეჩებს შუაზე გაჰკაფავდა. სახელოვანი ომებში მე იმ ხმლით და ცხოვრებაულის აბჯრით ვიყავი. როგორც გველის თვალს, ეხლა იმ იარაღებს ისე ვინახავ და ვუფრთხილდები. ვინ მოსთვლის, სად შემიძლიან გიამბოთ სად რა ომებში ვყოფილვარ და მიტრიალებია ცხოვრებისეული ფრანგული.

თქვენ ძოღან საცდელადა გკითხეთ, გავათავისუფლო თუ არა კურდღელი და კაკაბიო. თქვენ რო კიდეც გეთხოვათ და შამხვეწნიყავით - გაუშვი, გაანთავისუფლეო, მაგას არ ვიზამდი... თუ გავუშვებ, იმ პირობით გავუშვებ, მარგონ რამა, როგორც წინათ ურგია ჩემთვის კაკაბს და კურდღელსა. ვიცი, რო ესენიც ბედსა მწევენ...

ჩვენ უფრო და უფრო ცნობისმოყვარეობა აგვეძრა და ვსთხოვეთ კვალად ეჩვენებინა ჩვენთვის ყველა ის

ნივთები, რითაც ციხელმა აღძრა ჩვენში ცნობისმოყვარეობა და საღერღელი თვალით ნახვისა აგვიშალა: ალის ლოგინი, მისი სალამური, კაკბის ფრთა, სანთელივით მანათობელი, გმირის ნაანდერძევი იარაღები და სხვ. ციხელიც უარს როდი გვეუბნებოდა, პირობას გვიდებდა, მაგრამ არ იქნა, ერთხელ არ დააკმაყოფილა ჩვენი თხოვნა. იმის შემდეგ რამდენჯერ კიდევ შევხვდით და ათასი რამ გვიამბო, სხვათა შორის ისაც, როგორ მოსტაცა გველს თვალი. ხოლო თან ფიცს გვართმევდა, არავისთვის არ გვეთქვა, არსად გაგვემხილა. ჩვენც ვეფიცებოდით და გულდასმით ვისმენდით ციხელის მიერ მოთხრობილს ამბებს. სხვა საუნჯეს ციხელმა გველის თვალიც მიუმატა. ჩვენ ამ ამბების სმენით თავბრუ გვესხმოდა.

არაგვის ჭალაზე მოვდიოდიო, - განაგრძობდა იგი. - დაღამდა, დაუკუნეთდა. თოფი მხარზე მკიდია - მგონია

ნადირობიდან მოვდიოდი. ჩარგლის კარს რო შამოვჩნდი, დავინახე ზევით, ჭალის თავში თითქოს ცეცხლის ნაკვერჩხალს რაღაც ისვრის. ხან ჩაქრება, ხან გამოჯელავდება, მაშინვე გულში მომხვდა, რო გველი უნდა ყოფილიყო. გავეკარ ჭალის ყურეს. შავეხვეწე ღმერთს, ჩვენს სალოცავებს, ზოგს კურატი აღუთქვი, სხვას ჭედილა და სამღთო, მოემართათ ჩემთვის ხელი, გავეხადე ღირსი გველის თვალის მოტაცებისა. გაგონილი მქონდა, რომ არ იყო ადვილი. მაგრამ, როცა კაცს ყისმათი უჭრის, ყველაფერი ადვილია. ჰო, იმას გიამბობდით. გავეკარ ჭალის ყურეს და ამოვყევ მურყნიანს, თან ვუთვალთვალებ. მართლაც ფიქრმა არ მიმტყუნა. გავარჩიე კარგად, რო გველია, საყურიანი; გამოჰკრავს პირით თვალს და ტყვიასავით დაეტაკება. აიღებს პირში, ახლა კიდევ, ახლა კიდევ.

ეჰ, რაც უნდა მომივიდესო, ვსთქვი. ჩავიმალე ფლატეში,

იპრიანა ღმერთმა და პირდაპირ იქითკენ დაიწყო გველმა თვალის სროლა, საცა მე ვიყავი ჩამალული და მესამედ რო გამოისროლა, ისე ახლოს დაეცა გველის თვალი, რო ხელის გაწვდის და დავლების მეტი არაფერი დამჭირებია. დავტაცე ხელი და დავიძარ, ნიავქარივით გადავიქე, ისე მოვრბოდი. გველმა საშინლად დაიწივლა და გამომეკიდა, მორბოდა და მოწიოდა... ვირბინე, ვირბინე ძალზე, კინაღამ გული ამოვიგდებინე სირბილით. წივილი გველისა თანდათან მისწყდა, შორს-ღა ისმოდა, ზარის ხმასავით ძლივს-ღა აღწევდა ჩემს ყურამდი. მოუკელ ნაბიჯს, გველის თვალი კი მაგრა მიჭირავ ხელში დაბღუჯვილი. ცახცახებდა, კანკალებდა, როგორც ცოცხალი არსება. თითქოს ენანებოდა ძველი პატრონის გაშორება. სიმართლე რო გითხრათ. დავიღალე, წყალი მომწყურდა. მაშინ ჯეილად ვიყავ და ეხლა რო ულვაშები მაქვს, ესეთი ულვაშები კი არა მქონდა, ყურებზე კი არა, უკან კეფაზე ვინასკვამდი და იმ დროს, რა ვიცი, თუ

აღარა მქონდა შეკრული, თუ გამეხსნა. წყალი მწყუროდა, დავეწაფე არაგვს, გველისა აღარ მეშინოდა, ძალიან შორს დარჩა და მწარედ ტიროდა და გლოვობდა თავის უბედურებას. დავეწაფე წყალსა, დავლიე და კარგა ხარბადაც დავლიე პირქვე წაწოლილმა. ავიწიე, მაგრამ ველარ ვიწევ, შიგნით წყალში რაღაც მეზიდება. მე გავჯავრდი და რაც ძალი და ღონე მქონდა ავწიე თავსა. ვნახო და რა ვნახო! იმაზე საკვირველს რაღასა ვნახავდი? ორივე ულვაშის ტოტზე თითო ორაგული მომბმია და ორივე გამოვთარე. გველის თვალმა თავისი ძალა მაშინვე მაჩვენა. ისეთები იყო, თითოს ძლივა ჰზიდავდა კაცი. ცას დავეწიე სიხარულით, ოთხიც სხვა რო ყოფილიყო, რას ვერასა ვზიდავდი, ლომივით ვაჟკაცი ვიყავ. წამოვიკიდე ორივე ზურგზე და გამოვწიე გამარჯვებულმა შინა. იმ ორაგულის ლაჩა ყბებს გველის თვალთან ერთად ვინახავ...

თვითეული ნაამბობის შემდეგ ჩვენი თხოვნა საერთო ის იყო, რო ერთხელ ეჩვენებია ყველა ესენი ჩვენთვის, მაგრამ ციხელის მხრით დაპირების მეტი არაფერი გვესმოდა.

როცა არ იქნა და ვერაფერი შევასმინეთ, პირობა პირობად რჩებოდა, ასრულება დანაპირებისა არსად იყო, ჩვენ გადავწყვიტეთ, ბალღებმა, ერთად წავსულიყავით ჩვენ თვითონ, რაც უნდა მოგვსლოდა და მთელი ციხელის სახლი გადაგვეჩხრიკა და ყველაფერი თავის თვალით გვენახა.

ციხელმა საღამოზე ჩვეულებრივად გაუმძღვარა დარბაისელი ვაცი ცხვრებსა, თავადაც თავის წოწლოკინა ქუდით გაჰყვა თავის საწყემსოს და გაურიალა: "ჩიეე, ნტრიეეე!" ჩვენ კიდევ ზურგს უკან მუქარა მივაყოლეთ: მოიცა, მოიცა, ციხელო, არ გინდა შენ გვაჩვენო შენი ძვირფასი სალარო, მაგრამ ჩვენ თვითონ ვნახავთ, თუნდ

ცხრაკლიტულში გქონდეს დამალული.

ციხელის სახლი თითქმის ყველამ ვიცოდით საცა იდგა, ხოლო სახლში ნამყოფი არც ერთი ჩვენგანი არ აღმოჩნდა. გადავწყვიტეთ ხვალვე იერიში მიგვეტანა ციხელის სახლზე ისეთ დროს, როცა ის ცხვარში იქნებოდა. ფიქრი და ასრულება ერთი იყო.

მეორე დღეს, შუადღის ხანს, ჩვენ უკვე ციხელის სახლის კარებთან მოვიყარეთ თავი-თავს. თავთავიანთი საწყემსო უპატრონოდ დავტოვეთ, ისე გაგვიტაცა ცნობისმოყვარეობამ. ციხელის სახლი თითქმის არა სჩანდა გარშემო აყვირებულს შამბში. ანწლი, ჭინჭარი, დიყი და ლემხურა ტყესავით ჰქონდა გარს შემორტყმული, ბანზედაც, გაუზვეპავობით, ბალახი ამოსულიყო. ორგან ჭერი იყო ჩამონგრეული. სახლის კარები ადვილად გავაღეთ. მე თავად შევყავი კედელში სარკმელივით გამოჭრილს ფიცარში ხელი და გამოვუგდე

ურდული. სახლის კარმა, ორის დაფუტურებული ფიცრისაგან შეთანთხილმა, საბრალოდ ჭრიალი მოიღო... ჩვენ თულებივით შევიჭრენით სახლში და რა ვნახეთ? ვნახეთ ის, რის ნახვამაც მთლად წელები მოგვწყვიტა და თავზე ცივი წყალი გადმოგვასხა. კაცს აეტირებოდა, სახლში ისეთი საცოდაობის სუნი ტრიალებდა. როგორც იტყვიან, სახლში ეკლის ჯაგი რომ გექნია მთელი დღე, არაფერს მოედებოდა. არსად ხმალი, არსად ფარი და აღარსად გველის თვალი. განა, ვისაც გველის თვალი აქვს, ასეთი საცოდაობა ტრიალებს იმის ოჯახში?! თითებზე ჩამოგითვლით ციხელის მთელს ავლადიდებას: მარჯვენა კედლის წინ იდგა ფეხებ გვერდზე მიწვენილი, ფეხებდამტვრეული კიდობანი. წინდაწინ ამ კიდობანს მივმართეთ, რადგან ის უფრო თვალებში გვეჩხირებოდა. ავხადეთ თავი და რა ვნახეთ? ერთი პირმოტეხილი ყურიანი ქილა დაგვიხვდა, შიგ ყველის წვენი, თუ გათქვეფილი ხაჭო იყო, ღმერთმა უწყის, იდგა ქილაში

მწაკე და მწკლარტე. რაღა ბევრი გავაჭიანუროთ, წაკა იდგა ქილაში, რომელსაც ალბათ ციხელი შაექცეოდა. ეგდო შიგ ერთი გალეული ნამგალი, ცელის ნამტვრევი, ერთი ხარის რქა და ერთი წყვილი თუ სამი ცალი ქალმის ჯღანი, თაგვებისაგან ოთხგან თუ ხუთგან ძირგახვრეტილი და ნახრავი... თაროზე ორი ჯამი იდგა, ორი კოვზი და ერთიც ქიტურა ხისა, ტარმოკლე, თაგვების ნახრავ კაჩხაზედ ცალის სახელით გვერდგამოჭრილი თხის გუდა ეკიდა. კიდობნის გვერდით იდგა პატარა საფქვილე კოდი, შიგ ნახევარი თუ ერთი ლიტრა ქერის ფქვილი ეყარა; კიდობანზე ეკიდა პირებ-ჯაუღლილი ნაჯახი. კარების მარჯვნივ, წინა კედლის სისწვრივ. ციხელს ჰქონდა გამართული ლოგინი. ეს ადგილი საწოლად იმიტომ აერჩია, რომ აქ წვიმის წყალი ისე არ ჩამოდენილიყო, ეტყობოდა, როგორც სხვაგან. რკინის საკიდლის მაგივრად, კერაზე ხის საკიდელი ეკიდა. მოგრეხილი წნელი, მაღლა დამაგრებული, წნელში

გაყრილი თავ-ბოლომოხრილი თხილის ხე-კაკაჩუნა. თავის ლოგინისთვის თავსა, გვერდზე და ბოლოს ნახჩები შემოევლო წიფლისა. შიგ შამბი ჩაეგო და სახურავად კი ხუთგან თუ ექვსგან გაგლეჯილი, ჭვარტლისაგან გაყვითლებული ნაბადი ჰქონოდა, სათავითურად - ხის კუნძი.

კედლებს, ყორით აგებულს კედლებს ვათვალიერებდით. ვუსვამდით ხელს და იქ სხვა არაფერი შეგვხვდა, გარდა ქვებ-შუა შეტანებული ხის ლურსმნებისა, მხოლოდ ზემო კედელში, უფრო ვითომ მოფარებით, ჟანგისაგან შეჭმულს შუბის წვერზე პატარა ჩალხანა ქვაბი ეკიდა და შიგ ჩოხის შალის ნაჭერში დაფქული მარილი იყო გამოკრული. რა დაგიკარგავ, რას ეძებ? ოჰ, რა ცუდია გაცრუებული იმედი?! რას მოველოდით და რა ვნახეთ? ღმერთო! ღმერთო! სადა ხართ, სადა, ალის სალამურო, გველის თვალო, ფრთავ, ჩირაღდნად მანათობელო?

ჰაერში თუ ციხელის გონებაში? მოგვწყდა წელები, მოგვეკვეთა მუხლები... აღარ ვიცით, რა ვქნათ. უნდა გავლანძღოთ ციხელი, უნდა შეურაცხვყოთ მოხუცებული. რად მოგვიწამლა იმედი, რად მოკლა ასე უღმერთოდ ჩვენი აღფრთოვანება?!.. უნდა, უნდა უეჭველად ვუთხრათ, რაც უნდა მოხდეს, უნდა შევუძახოთ ერთხმად ასე: ჰაი, შე მატყუარავ, ცრუო, გცხვენოდეს, გცხვენოდეს! ვერ შევხვდებოდით თუ?

ჩვენ და ციხელი მეორე დღესვე შევხვდით ერთმანეთს. ციხელმა არჩეულს გეზზე მორეკა თავისი საწყემსო და შორიდან დაგვიწყო ცქერა, ჩვენ შორიდან ვუცქეროდით მგლის თვალით და წინანდებურად აღარ გავრბოდით სხვადასხვა ამბების მოსასმენად. უკვირდა ციხელს ჩვენს მხრით ასეთი გულცივობა. იმან არ იცოდა, რომ ჩვენ უკვე გაჩხრეკილი და გადაქექილი გვქონდა მისი უბადრუკი ქოხი, ციხელი ამაყად იცქირებოდა, ჩვეულებრივ მხარ-

თეძოზე შემოწვა, ჩვენ ადგილიდან არ ვიძროდით. ბოლოს ალბათ მოთმინება გაუწყდა და თავად მიგვიწოდა თავისთან. ჩვენც ეს გვინდოდა. დაუყოვნებლივ გავწიეთ ციხელთან.

სახეალესილები წარვსდეგით ციხელის წინაშე. იმან ჩვენი სულიერი განწყობილება ვერ გაიგო, რადგან ეჭვი არაფრისა ჰქონდა და ისევ ძველებურად, თავისებურად დაიწყო.

- ჰოო, იმას გიამბობდით, ბალღებო. - წარმოსთქვა ციხელმა.

- რაც გვიამბე, ისიც სულ ტყუილია, - წამოვიძახეთ ჩვენ ერთხმად და მოულოდნელად გადავუსხიპეთ შუაზე დაწყებული სიტყვა. ციხელი ამას არ მოელოდა; არც ერთხელ ამისთანა პასუხი ჩვენგან არ ჰსმენია და ცოტა არ იყოს შეკრთა.

- როგორ თუ ტყუილი? - სთქვა ციხელმა.

- ტყუილია, ტყუილია! - ვყვიროდით ჩვენ და თან უკან-უკან ვიხევდით...

- რა იცით, რო ტყუილია? ვინ გაგაბრიყვათ? - წარმოსთქვა ციხელმა.

- ვნახეთ, ვნახეთ, გავსინჯეთ შენი სახლი. ვეღარ მოგვატყუებ, ვეღარ. რაც მოგვატყუე, ისიც გვეყოფა. - ვამბობდით ამას თუმცა, მაგრამ გულში კი გვინდოდა კიდევ რამ ეამბნა ჩვენთვის ციხელს საკვირველი და საოცნებო. რა გაგვეწყობოდა, ერთხელვე ჩათრეულები ვყავდით.

- როგორ? - წარმოსთქვა ციხელმა დთავი. - მერე იქ რას იპოვნიდით ან ჰნახავდით, თქვე საწყლებო, გიჟი ვარ განა თქვენსავით,ა ცბიერად გაიღიმა. - ჩემი სახლი გასინჯეთ?

- და გადაიქნ-გადმოიქნია კარ-ღია, თავ-ღია სახლში შევინახო იმისთანა ძვირფასი რამეები? - სთქვა რა ეს ციხელმა, ნაძალადევის სიცილით ჩაიცინა. - იმეებს თქვენ ვერ იპოვით, ათიათასი წელიც რომ ეძებოთ.

ჩვენ ერთმანეთს გადავხედეთ და თვალებით ვეკითხებოდით, იქნებ მართალი იყოს? იქნება არა სტყუის ციხელი! შაიძლება, შაიძლება.

1908 წ.

მთანი მაღალნი

იდგნენ და ელოდენ. უსაზღვროა მთების მოლოდინი, უსაზღვრო ზღვადა სდგას იმათ გულში. წითლად, სისხლისფრად შედედებული უთიმთიმებთ გულ-მკერდში. გარეთ, სახეზე-კი არაფერი ეტყობათ, გარდა მტერობისა. ეს არის კიდეც ნიშანი მოლოდინისა. ვინ რა იცის, რა ამბავია მთების გულში, რა ცეცხლი სდუღს და გადმოდის.

მთებო, მთებო! რას ელით, ვის ელით? ნუთუ გყავთ სატრფო დიდი ხნის უნახავი? იქნება შვილი დაჰკარგეთ? იქნება ძმა, ან დედა გყავთ შორს წასული და არაფერი ამბავი მოგსვლიათ? პასუხი არ ისმის. სდგანან წარბშეუხრელად. ელოდენ, ელიან და კვლავ ექნებათ მოლოდინი. რა დააშრობს იმათ გულში იმ მოლოდინის

ზღვას? არა აქვს იმას ბოლო, არც დასასრული, როგორც ღვთაებას...

როცა ყველა სულდგმულს, მწერს, ბალახს, ყვავილებს, მდინარეს და მოუსვენარს, დაუღალავს ნიავს დაეძინებათ, მაშინ, მხოლოდ მაშინ ამოიოხრებენ და ცრემლსა ღვრიან. ჩვენ, კაცნი, მაშინ ვამბობთ: ახ, რა მძიმე ლოდივით ნაღველი მაწევს გულზეო.

რატომ არ მღერით, მთებო?! განა ისე უნდა მოვკვდე, რომ თქვენი ხმა, თქვენი სიმღერა ვერ გავიგონო! რატომ არ იცინით? ღიმილი მაინც მიჩვენეთ თქვენი, კარგებო! მაგრე როგორ დაგიმონათ, შეგიპყრათ, დაგიმორჩილათ ერთმა ფიქრმა, რომ სხვა ყოველივე ძალა და ნიშანი სიცოცხლისა დათრგუნვილა თქვენს გულ-გონებაში?! არა, არა. ხანდახან თქვენც გიხარიანთ, და ქვეყანას-კი ჰგონია, ვითომ თქვენ არაფერს ჰგრძნობთ. ხომ ვიცი თქვენს გულში სანთლები დაენთება, როცა ლაღი არწივი

დაგთამაშებთ თავზე და დასასვენებლად თქვენს კალთაზედ ჩამოეშვება. რა ლამაზები ხართ მაშინ! როგორ გიხდებათ, რომ ის თქვენი აღზრდილი შვილი ისე მამაცი, შეუპოვარი და ლამაზია. ის ხომ შიკრიკიცაა თქვენი. ღმერთს უამბობს, ატყობინებს თქვენს ამბავს...

არა გაქვთ აზრი? იდეა? გრძნობა? არ ოცნებობთ? როგორ არა! მაშ რაა ის მშვენიერი ყვავილები, თქვენ რომ გულ-მკერდს გიმშვენებთ? ეგაა თქვენი ოცნება, იმედი, ნუგეში. რად იბურავთ თავს ხშირის ნისლებით, თუ ჩუმ-ჩუმად რასმე არა ჰფიქრობთ და მაგ ფიქრს არ გვიმალავთ ადამიანის შვილებს?! რად მოგყავთ ბალახი? რად ადენთ ცივთა წყაროთა? რად აქანებთ ზვავებს? რათა ზრდით ლაღთა ხარ-ჯიხვთა? ვის ატყუებთ, თქვე კარგებო!

სდგანან და ელიან. წვიმა წვიმს იმათ თავზედ, ელვა უტუსავს ოქროს ქოჩორს, მეხი ეთამაშება იმათ თვალებს და ხშირადაც ერჭობა ისარივით გულ-მკერდში. არაფერია.

ინგრევა ხშირად ნახევარი მთა და ზვავად მიდის ხევში. არაფერი ეგრევ, თუ კლდე და ლოდები მაინც ელიან. წადით, ვისაც არ გინდათ ჩვენთან მაღლა, ცის ახლოს ყოფნა, დაბლა განისვენეთ.

სდებს თოვლს. ჰყინავს. ცივა. ქვა ტყვრება. მთებს სუდარი ჩაუცვამთ ტანზე, თითქოს მკვდრები იყვნენ. დაგვმარხეთ, დაგვიტირეთო, - გვეძახიან. ჩვენ-კი იმათგან მოველით დამარხვას...

სდგანან და ელიან. გული სტკივათ, ძალიან სტკივათ. მაგრამ არ იხოცებიან, არც ჭლექდებიან. ელიან, ვის? ან რას? რაღაცას. დიაღ, რაღაცას. ეს რაღაცაა უნახავის დანახვა. ჰნახეს და გაათავეს, რასაც იმათი თვალი და გული მისწვდებოდა. სხვა ახალი მოსწყურებია იმათ თვალსა და გულსა. ეს ხომ თვალ-გულის გაუმაძღრობაა? სწორედ რომ ისაა.

1895 ϐ.

მოგონება

(საშობაო მოთხრობა)

საშობაოდ დათხოვნილი სწორედ 24 ქრისტიშობისთვეს მივედი შინ. გზაზე ძლიერ შემცივდა, ფეხები დამაძრა, მაგრამ ის ფიქრი, რომ დედასა და მამას, ნათესავებს ვნახავ-მეთქი, მამხნევებდა და ბაიბუად არ გამაჩნდა. არაგვს რომ გამოვდიოდით, გაღმა ნაპირიდამ იხვების გუნდი აფრინდა და ყიყინით გასწია თავქვე.

- ოჰ, შენი ჭირიმე, დედავ, რამოდენებია! - წამოვიძახე განცვიფრებულმა, - განა ისეთი მსხვილი იხვი, როგორც არაგვმა იცის, სხვაგანაც არის? - ვკითხე ბერუას, რომელიც, დურა-ტყავში გახვეული, ტყავის ქუდზე ყაბალახწაკრული, ცხენის ჩაკჩაკით მომდევდა უკან.

ბერუამ იცოდა, როგორს პასუხსაც მოველოდი იმისაგან, და მიპასუხა:

- არაგვისთანა მსხვილი იხვი დედამიწის ზურგზედ სადღა შეიძლება იყოსო.

- კალმახი და ორაგული?

- მაგას ხომ თქმაც არ უნდაო.

თანდათან მივუახლოვდით ჩვენს სოფელს. აგერ ახუნი, აი სასვეთავი, აგერ "საძერიანი". ახ, რამოდენა სიამოვნებას ვგრძნობდი, როცა დავინახე მიდამო ჩემის სოფლისა. უენოა ყველაფერი, რასაც ვხედავ, მაგრამ რამდენს რასმე ეუბნება ჩემს გულს ეს მთები, ეს ტყე გაბარდნულის თოვლით. აგერ ჩვენი საყდარი გამარტოებით გორაზე, დაღონებულად მარტოდმარტო გადმოსცქერის არაგვის ხეობას. აი იმედის კაკალიც,

დამამშვენები მამულებისა, უზარმაზარი, გაბარჯღული. დავინახე ჩვენი სახლიც: სვეტად ბუხრიდამ მაღლა ადიოდა ბოლი. როგორ დაბარდნულა თოვლით ჩვენი წნორი. გული აღარ მითმენს; გავაჩქარე ცხენი... გორაზე ვიღაც პატარა გადმოდგა, გადმოგვხედა და სწრაფად მიბრუნდა შინისკე. ის ჩემი ძმა იყო, გვიცნო და გაექანა, რომ ჩვენებისთვის ეხარებინა. ყველაზედ უწინ დედაჩემი გამოჩნდა კარებში და მოგვეგება წინ. თვალებზე ცრემლი მოუვიდა. "შეგცივდებოდა, შვილო, ვაი შენს დედას!" მკოცნა, ბევრი მკოცნა. მომეხვივნენ და-ძმები და ცივ-ცივად გამიტაცეს სახლში, სადაც ჩემთვის, როგორც კეისრისათვის, ბუხრის წინ გაემართათ საბძანებელი. ბუხარი რცხილის კუნძებით იყო გამოტენილი და საამურად ღუდღუდებდა. მამიჩემის მეტი ყველანი ფეხზე იდგნენ და თავს მევლებოდენ, მამაჩემი ფეხზე არ ადგა, სტოლთან იჯდა, სათვალეები გაეკეთა, წინ ქაღალდი და ჩოთქი ედვა და რაღასაც ანგარიშობდა. მე

მივედი, ხელზე ვემთხვიე. იმან ჯვარი გადამსახა: “სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინო,” - სთქვა და შუბლში მაკოცა.

- ძალიან შეგცივდა? - მითხრა მამამ ღიმილით: - აბა რა მოგარბენინებდა და თბილად არ იჯექი? სოფელში საკვირველს რას ნახავ?!

- არ შემცივდა-მეთქი, - ვუთხარი ძლივ-ძლივობით, რადგან სიცივისაგან კრიჭა მქონდა შეკრული. ან კი რა მათქმევინებდა, შემცივდა-მეთქი.

- ბავშვს შესცივნია, თბილად ჩააცვიო, - უთხრა მამამ დედაჩემს, რომელიც უკვე მხდიდა ფეხებს. მომიტანა თავის ხელით დაქსოვილი წინდები, ახალი ახალუხი, ჩემთვის დამზადებული, მომახვია მამის თულუფი, და ასე გამოვბრწყინდი ბუხრის წინ. მამამ ისევ თავისი საქმე განაგრძო. დაგვრჩა ბუხარი მე და ბერუას. წაიძრო იმან

ხელიდამ ხელთათმანები (საფუხრები) და ჯერ შორიდამ გადმოეწოდა ცეცხლს, მერმე მოუჩოჩდა ისიც ბუხარს და მიუშვირა გული და ხელები. ბერუამ გააჭირდიდა ჩვენი მგზავრობა, თითქოს ამერიკაში ყოფილიყო და არა თ-ში. ბერუას, რასაკვირველია, აზრად ისა ჰქონდა, რომ მეტის პატივისცემით მოჰპყრობოდენ ჩემი მშობლები, რადგან იმდენი შრომა და ჯაფა გამოიარა ჩემის გულისათვის.

- დავიხოცენით, გავსწყდით, მამაო მღვდელო, - სთქვა ბერუამ წარბების აჭიმვით: - ვაგლახი გზაა გასატიელებელი, წელამდე თოვლი ვკვალეთ. გავსილა ზვავებით გზები. მე ისე ჩემი თავი არ მაჯავრებდა, როგორც ეს ბალღი.

- წუხელ ვისთან იდექით? - ჰკითხა მამაჩემმა ბერუას.

- მამიდასთან მოვიყვანე. ცას დაეწია საწყალი. აღარ იცოდა, რა ექნა და როგორ დაგვხვედრიყო. ჯერ ხომ სულ

ფეხზე ჰყუდავ და წუხელ სულ ფეხზე იტრიალა. თბილად დაგვაწვინა, მაგრამ მე კიდევ ჩემი ნაბადიც დავხურე ლევანს, არ შესცივდესო.

- ძალიან ღარიბად ხომ არ არის თინათინი? - იკითხა მამაჩემმა, რომელმაც ეხლა ძლივს დაანება თავი ანგარიშს და კრიალოსანს მიჰმართა.

- თავისად კარგად ყოფილან, ბალღიც მოსწრობია. ძალიან ცოცხალი ბალღია. წუხელის აღარ დაგვაძინა, გვიამბო ზღაპრები, არაკები. დილასაც გვიანღა წამოვედით, ადრე არ გამოგვიშვეს. "ენაცვალოს მამიდაო, - უთხრის თინათინმა ლევანს: - ადრევე მიხვალთ შინაო; წელში ერთხელ ანა გნახავთ, ან არაო; ჩემი ძმა ერთხელ იმას არ იტყვის, მივიდე, გავიგო ან ავი, ან კარგი ჩემის დისაო. თქვენი თავი ხო სუ დამანატრაო".

ბერუა ბევრს რასმე იტყოდა კიდევ, რომ დედაჩემს პურის

საჭმელად არ დაეძახნა.

ეხლა ძლივს ამოვისუნთქე თავისუფლად. როდისღა ვიგრძნობ იმგვარს სიამოვნებას? ნეტა აღარ წამიყვანდენ იმ ოხერს სასწავლებელში-მეთქი, ვფიქრობდი. ეს ფიქრი ხომ არ შემისრულდებოდა და არა, მაგრამ ის მიხაროდა, რომ ორი კვირა თავისუფალი ვიქნებოდი და სულთამხუთავი მასწავლებლები აღარ დამადგებოდენ თავზე... ნიადაგ უნდა მესიამოვნა. ჯერ ერთი, გადავრჩი ბერძნულის მასწავლებელს, ამ დაობებულს, დახავსებულს ბურსაკს; ჯერ ქართული ანაბანა არ ვიცოდით და ის კი მოგვიყვა ბერძნულს ენას. ნეტავი თითონ მაინც სცოდნოდა თავის საგანი, ისიც მაშინ სწავლობდა. შავ-შავი, ხმელი კაცი იყო: დაგვადგებოდა თავზე და "გვაზუბრინებდა": "ალფა, ბეტა, ღამა, დელტა". ისე ამოიძახებდა ამ ხმებს, თითქოს სამარიდამ მკვდარმა ამოიძახაო. მთელი ერთი თვე გვაზეპირებინებდა ერთს

ბერძნულს ფრაზას და, ღმერთმა იცის, ნამდვილად ისრეა ბერძნულად, თუ სხვანაირად იგი ფრაზა! დადგებოდა, ჯერ თითონ დაიწყებდა და მერე ჩვენ გაგვამეორებინებდა ხოლმე: “დიკის დიკინ ტიკ-ტიკიტინ, კე, ბლავის ბლავინ ბლავიო”, ვითომ სიმართლე ჰბადებს სიმართლეს და უსამართლობა უსამართლობასაო. მეორე მასწავლებელს რაღა დამავიწყებდა. ამას დავითი ერქვა სახელად და გვარად ეკალაძე იყო. თავის დანიშნულებად ის მიაჩნდა ამ კაცს, რომ რაც შეიძლებოდა შევეშინებინეთ...

ღმერთო, რა ამბავი იყო, როცა ის გაჯავრდებოდა: თვალები დაესისხლებოდა, მოავლებდა შეგირდს თმაში ხელს და გაისვრიდა, საითაც მოხვდებოდა. ერთი მუჭა ბალანი ხელში უნდა დარჩომოდა და მერე შებერვით აქეთ-იქით გააბნევდა. უნდა მოგახსენოთ, რომ როზგი მაშინ ახლად გადავარდნილი იყო, დავით ეკალაძის

სავალალოდ და სამწუხაროდ, მაგრამ ჩუმ-ჩუმად ეკალაძე ამოქმედებდა მაინც როზგს. შენახული ჰქონდა სახლში და საჭიროების დროს მოიკითხავდა. “თქვე მ-ლებო, იქნება იმას ჰფიქრობთ, როზგი გადავარდაო, ვერ მოგართვესთ, აბა, ერთი წამოაქციეთ”, - ეტყოდა ჩურჩულით გულდამშეული უფროსს შეგირდებს, რომელნიც სწრაფად გაჰბაწრავდენ ერთ-ერთს ამ არწივის მსხვერპლს და წამოაქცევდენ. “აბა, ერთი რიგიანად მოახვედრეთ მაგას ორმოციოდე როზგი”. ბევრსა ჰყვიროდა საწყალი ბავშვი: - ვაი, დედავ, მოგიკვდიო, - მაგრამ ამაოდ. არწივი ეკალაძე დასძახებდა: -“მოკვდი, მოკვდი, მოკვდი, ს-სინ! მაგრა დაკათ, მაგრა, მაგ მ-ს!” ვაი იმ შეგირდ-ჯალათის ბრალი, რომელიც გულჩვილობას გამოიჩენდა და ვერ დაჰკრავდა გამეტებით; ახლა იმას გააძაგვრინებდა იატაკზე.

მე ბუხარში ვიჯექი და იქიდამ ვუცქეროდი ამ

საშინელებას. დიაღ, ბუხარი იყო ჩემი სკამი მთელი ორი წელი, რადგან ადგილი აღარ იყო შეგირდისათვის, და ერთთავად ნაცარში ამოგანგლული დავდიოდი. რა ღმერთი გამიწყრებოდა, დამეშავებინა რამე ამ სურათების მნახველს. ეკალაძეს ბრაზი მოუვიდოდა ხოლმე, რომ საბუთს არაფერს ვაძლევდი გაროზგვისას, მომიშარებდა რასმე და დამკივლებდა: - "მ-ის სულს აგიტირებ, ფშაველო!" გამისობდა ბჯღალს ქოჩორზე, თითქოს ქორმა ქათამს გაჰკრა ბჯღალიო, და გადისვრიდა ბურტყლებს დაბლა. გაკვეთილების გათავების შემდეგ რომ ჭკვიანი კაცი გამოჩენილიყო და ჩვენს კლასში მოსულიყო, ერთის ჯამბარის საკმაო ბურტყლს აჰკრეფავდა. ამ ვაი-ვაგლახის მნახველსა და გამოვლილს ჩემს საკუთარს ჭერსქვეშ ყოფნა მშვიდობიანად, რა თქმა უნდა, დიდად მეფასებოდა და დიდს სიამოვნებას მიღვიძებდა გულში, თუნდ სულ არაფერი ეჭმიათ და არაფერი ესმიათ ჩემთვის. მაგრამ ამ მხრითაც ბედნიერი ვიყავი ჩემს

სახლში, მანამ სახლის პატრონთან. სახლის პატრონი იმისთვის ჰპატრონობდა სახლსა და იყვანდა შეგირდებს, რომ ფული მოეგო. ამიტომ ზაფხულობით ჭრიანტლით (ტყემლის წვენი) დაგვჭრა კბილები და ზამთარში მახოხით. როცა მამა ჩამოვიდოდა, სახლის პატრონიც შესცვლიდა თავისს პოლიტიკას, მშვენიერს სადილს გამართავდა, უ-“გენაცვალე”-ოდ სიტყვას არ მეტყოდა, მილაქუცებდა, რა არის, არ დამებეზღებინა მამაჩემთან და ლუკმა არ დამეკარგვია. მეც მეგონა, იქნება ამას იქით სულ ესე კარგად მომექცეს-მეთქი, და ვიყავი ამ ვაებაში ცალკე შინ, ცალკე სკოლაში.

გულმა აღარ მომითმინა. ვერ შევსძელი მეტი ჯდომა, თუმცა დედა ჩემთვის საუზმეს ამზადებდა, ავდეგ და მოვუარე, სადაც რამე საცუცნარი მეგულებოდა... ვნახე ჩემი კვიცი, რომელსაც ამ ოთხს თვეში ბევრი მოემატნა. ვითომ უნდა დამეურვა ჩემს ჭკუაში, მაგრამ ხელის

მიახლოვება იუკადრისა და კამპი გამკრა მხარზედ... ამოვაღებინე სკივრიდამ ჩემი ხანჯალი, რომელსაც ჟანგი მოჰკიდებოდა, და გავწმინდე, გავაკაშკაშე. მოვიკითხე ჩემი მამალი - კუბლირი. მე რომ თავი დავანებე, მაშინ ჩიორა იყო, ძლივძლივობით, რის წვითა და დაგვით ყელის ძაფები უნდა დაეგლიჯა, მანამ ხრინწიანის ხმით "ყიყლიყო"-ს დაიძახებდა. ეხლა კი თამამად, ამაყად დედლებში დასეირნობდა და ბოხის ხმით, ისეთის ბოხის ხმით, რომ პროტო-დიაკვნებსაც კი დაენატრებოდათ იმისი ბასი, გასძახოდა მუდმივს, ერთფეროვანს თავისს საგალობელს. დედაჩემს დავენახე, რომ თავმოწონებით დავსცქეროდი კუბლირს, და მითხრა თურმე ხუმრობით, მე კი მართალი მეგონა:

- ხვალ, შვილო, კუბლირი უნდა წამოვყინჭროთ, ვერაფერი მამალიაო.

- დიაღ, როგორ არა-მეთქი, ვთქვი მე

გულგადმოტრიალებულმა და გული დავიმშვიდე, რაკი დედაჩემს ხუმრობა შევატყე. ჩქარა ჩემს მეგობრებს ბესას და ვასილსაც შეეტყოთ ჩემი მოსვლა და მოვიდენ ჩემს სანახავად. მე დარბაისლად ვიჯერდი იმათთან თავს, როგორც "განათლებული" კაცი. ვიმაგრებდი თავს, თითქმის აღარც კი ვიცინოდი და შუბლს ვიჭმუხნიდი. თითო-ოროლა რუსულს სიტყვას წამოვისროდი, რა არი მეჩვენებინა იმათთვის, რომ რუსული ვიცი-მეთქი. თან მოტანილი მქონდა: ერთი ტყვიის მამალი, თუნუქის საყვირი და რეზინის ბურთი... სოფლელი ბიჭები ამეებს განცვიფრებით სინჯავდენ და მე კი თავი მომწონდა, როგორც დიდის საკვირველების მექონეს. დიაღ, ვჭკვიანობდი და "ვსურიოზნობდი", მაგრამ ჩემი ძალად ჭკვიანობა, როგორც ჩემს თავს ვატყობდი, ერთს დღეზე მეტს ვერ გასტანდა. მეორე დღეს უნდა გამეტია აღმე თუ დაღმე, მარჯვნივ თუ მარცხნივ. ამასობაში კიდეც დაღამდა, ჩაიზე დავსხედით, ჩემი მეგობარი ბესა და

ვასილაც მივიპატიჟე. ჩვენმა მურამ ვიღასაც ყეფა დაუწყო, მაგრამ მალე ხმა გაკმინდა.

- სად ვინა ხართ, ოჯახიშვილებო?! - მოისმა გარედგან რიხიანი ხმა. ეს ხმა ბიძაჩემის ხმასა ჰგვანდა, მაშინვე ვიცანი.

- ვინ არი? შემოდი, ბიჭო, შინა, ვინა ხარ?! - დაუძახა მამაჩემმა.

- ვინ არის? თოფიანი მგელია. არ ისტუმრებთ? - და შემოეყუდა კარებში ბიძაჩემი და თან ჩულიანი თოფი შემოიყოლა: - საღამო მშვიდობისათო, - სთქვა ბიძაჩემმა და მოიხედა ჩემსკე: - ეს ვინღა მოგვსვლია? ჩვენი ქამალაღუელი! ოჰ, ენაცვალოს ბიძა შვილსა! - ამიყვანა ხელში და მაკოცა. ქამალაღუელი ფშაურის გმირის სახელია და დაცინვით იმის სახელს ბიძაჩემი მე მეძახდა. შემდეგ მამაჩემს მიუბრუნდა და უთხრა: - შენ, ჯერ ძმაო

და მერმე მამაო, თუ ღმერთმა მღვდლობის გონება მოგცა, მე ემისა მამცა! - დაჰკრა ხელი თოფსა: - ვენაცვალე ამის მადლსა; სადაც მე და ესა ვართ, იქ ღმერთი ლუკმას არ დაგვიკარგავს. ამით მაინც არ გარცხვენ, ძმაო! - უთხრა მამაჩემს ნინიამ თავმოწონებით.

- რა ვიცი, - უთხრა მამაჩემმა, - შენ და შენი თოფი სულ მუდამ გამარჯვებულები ხართ, რამოდენა ნადირსა ჰღუპავ და ერთხელ ნანადირევის ხორცი ვერ მაჭამე.

- ხვალამდე მომითმინე, ღმერთი და ბედი, იმედი მაქვს გავხდე რასმეო, - სთქვა ბიძაჩემმა: - გუშინ საფიქრის გორში ექვსის შვლის ნავალს შევხვდი. დავსდიე იმ დღეს, მაგრამ, აბა სათოფედ არ მიმიშვეს. ამინდია, ტიალი, ცუდი: ფეხი ჩქამობს, კაცის ფეხის ხმა ერთის დღის სავალზე ისმის. მანამ ასავალთ-გორის ხევში გადამივიდოდენ, გორის პირში მოვკარ თვალი, მივუსხლიტე ერთი, აიარა საფალიამ, მაგრამ არ

გამივარდა თოფი, გამასწვრეს ოხრებმა, ასრივე წვრილთ-გორისაკენ წამამივიდენ. მანდ სადგომები აქვთ, ხვალ დაუხელავნი არ მომრჩებიან. თუ დილისათვის თოვლი გადიღო და ღმერთმა ბძანა, ძალიან კაი ამინდი იქნება ნადირობისა.

- ამ კვირია, მაშ, ვერაფერი ინადირე? - განაგრძო მამაჩემმა.

- ერთი მელა ძლივძლივობით დავიჭირეო, - სთქვა ბიძაჩემმა. - ოთხი დღე ზედიზედ ხაფანგი მეგო; დაჩვეულა მყავდა, მაგრამ, აბა, არ იქნა, ვერ გავაბი ის ოხერი. მოვიდოდა, ხაფანგს შემოუვლიდა გარშემო და არ ახლებდა პურს პირსა. ხაფანგის გარშემო კი სულ დაქსელილი იყო. მანამ ხაფანგს კარგა სქლად თოვლი არ წავაყარე, ვერას გავხდი; უფრო ყაპუმა (ფიფქი) მიშველა, ყაპუი აღარ აუცხოვებს კაცის ნახელარს თოვლსა და მაშინ ადვილად მიენდობა მელა.

ბიძაჩემი ნინია გათქმული მონადირე იყო და იმისი მოსვლა ერთიათად მიმატებდა სიხარულს: ბევრს რასმე მიამბობდა ნადირობისას. ბიძაჩემმა იმ ღამეს აღარ დაისვენა, წამდაუწუმ გაიხედავდა გარეთ, უნდოდა შეეტყო, გადიღო თოვლი თუ არაო.

დედაჩემი ვახშმის მზადებას შეუდგა. ამაღამ, რაც კი ოჯახში სამარხო რამ მოიპოვებოდა, ყველა ის უნდა საჭმელად გაკეთებულიყო, ჩვეულებისამებრ "მარხვის გასასტუმრებლად". მე კი ბიძაჩემს მივუჯექი. ვსთხოვე, რომ თავისი მონადირეობის ამბები ეამბნა ჩემთვის. მართლაც, იმდენი რამ მიამბო ნადირობაზე, რომ ასი თაბახი ცოტაა იმის ჩასაწერად. მამაჩემი ცალკე ოთახში გავიდა სალოცავად. ბიძაჩემმა, სხვათა შორის, ერთის დათვის ამბავი მითხრა.

- კაბლის ტყეში, შვილო, - დაიწყო ბიძამ რიხიანად: - ერთი ირემი მოვკალ; გავატყავე, ავკუწე ნაჭრებად, მივაფარე

ზედ ტყავი და ვუფეთქე წამალი, რომ ნადირი არ მიჰკარებოდა. თავ-რქა კისერზე გავიდევ და გამოვწიე ბინისაკენ. ლაწი-ლუწი, ფშნატა-ფშნუტი მომესმა. შევხედე, ერთი უბრალო, უზარმაზარი დათვი შემდგარა ჩემს კვალზე და კვალდაკვალ მომდევდა. ნება-ნება მოჯოჯავდა. რამდენი დათვი მომიკლავს და ჩემს დღეში იმოდენა დათვი არ შემხვედრია, სწორედ ქოხსა ჰგვანდა ის დაწყევლილი. მივუბრუნდი და ჭკვიანად ვუთხარი. დამანებე თავი, შენ შენი ღმერთი, მე რომ არაფერს გერჩი, შენ რა გინდა ჩემგნითა-მეთქი, და წამოვედი ისევ ჩემს გზაზე. მივიხედე კიდევ, ისევ მომდევს ეს დათვი, არ მეშვება. მაიქნევს საზარელს თავ-ყურს. მე კიდევ ჭკვიანად ვუთხარი: ვაჟო, დათვო, თავი დამანებე, წერას ნუ აუგდიხარ; წადი, შე რჯულძაღლო, დაიღუპე, რას გადამესიე?! აბა, შენც არ მამიკვდე, ყურიც არ შაიბერტყა. გამოვიარე კიდევ კარგა მანძილი. რა მომაშორებინებს იმისათვის თვალსა? მივიხედე, ისევ თავისებურად

მააბოტებს. დასწყევლოს ღმერთმა, კაცი არ ვეგონე, როგორ იყო იმისი საქმე, როგორ იყო იმისი ფიქრი?! თან ვიფიქრე, იქნება ეშმაკი იყოს-მეთქი. დავიკივლე, რაც ძალი და ღონე მქონდა: დამეხსენ, ჩამამეხსენ-მეთქი! რომ ვერაფერი გავაგონე, ცოტა გზა კიდევ გამოვიარე, მივეფარე ერთს კაი დიდს ჭანდარს, მოვიგდებინე ბარგი, მოვსალთავდი და მივუშვირე თოფი. დათვი მოდის. კარგა ახლოს რო მოვიდა, ნიშანი შიგ ნიკორა შუბლში მივეც და მაუსვი ფეხს ხელი. თოფმა არ მიმტყუნა, შიგ შუბლში სძგერებიყო ტყვია და, წამლის ბოლი რომ გამეცალა, ვნახე წამოჩაჩხული დათვი იდვა ჩემს წინ და კიდევ გამოსდიოდა ნატყვიარში ბოლი. ეგ გინდოდა და იშოვნე კიდეცა-მეთქი დავვედრე მე გალაღებულმა.

ბიძაჩემის გალაღებამ მეც გამალაღა. ბიძაჩემისათვის დათვთან შეხვედრის ბოლო საშიში მეგონა და გამეხარდა, რომ ბიძაჩემი დარჩა გამარჯვებული.

- ნეტა, ძიავ, მეც შენისთანა მონადირე ვიყო-მეთქი, - ვუთხარი ბიძაჩემს.

- ჰა, ჰა, ჰა�ა, - ჩაიცინა ბიძაჩემმა მწარედ: - შენ უფრო კაი მონადირე ხარ, თუ ჭკუას მოიხმარებ, შვილო. სწავლას ეხლანდელს დროში აღარაფერი შაედრება. მე ცოდვის მეტი არაფერი მამცა ნადირობამ. რამოდენა ნადირსა ვღუპავ, მაგრამ სულ ტყუილად მიდის, იმისი მე არაფერი მრჩება.

ნადირობა მე პირველ სასახელო საქმედ მიმაჩნდა და გამიკვირდა ბიძაჩემის სიტყვა. დიაღ, გამიკვირდა და მეწყინა, თუმცა კი პირში არ მითქვამს ჩემი აზრი და არ ავხირებივარ. მამაჩემსაც გაეთავა ლოცვა და შემოვიდა ჩემთან.

- ეგ არი, - სთქვა ღიმილით მამაჩემმა: - რაკი ბიძა-ძმისწული ერთად შეიყარენით, თქვენს ნადირობის

საუბარს დასასრული აღარ ექნება. საკვირველია, რომ ჯიში არ გასწირავს კაცსა: საწყალი მამაჩემი ოთხმოცდაათის წლის კაცი იყო და მაშინათვე ლაპარაკს ნადირობაზე ჩამოგიგდებდა: აქ თოფი ვესროლე და მთაბარი დაინგრა იმის ხმისაგან, იქ მოვკალი, აქ კიდევ დაჭრილი წამივიდაო...

- ჯიშისაა ყველაფერი, მაშ, მაშ, - დაამტკიცა ბიძაჩემმა.

ჩქარა ვახშამიც მოიტანეს და ყველანი, გარდა მამიჩემისა, შემოვუსხედით სუფრას. ვახშამი მხიარულად გავატარეთ; ბიძაჩემი ბევრი ვალაპარაკე ნადირობაზე. მარხვაც "გავისტუმრეთ". სამნი, - მე, მამაჩემი და ბიძაჩემი, ერთს ოთახში დავწექით დასაძინებლად. იმ ღამეს ნინიას არა სძინებია ორი საათი, ლოგინში მოუსვენრად ტრიალებდა და ხან ფანჯრიდამ, ხანაც კარებიდამ ათვალიერებდა გარეთ, გადიღო თოვლმა თუ არაო. მეც არ მეძინა და ვფიქრობდი იმაზე, ხვალ როგორ

გამეტარებინა დროება, ან ბიძაჩემის ნადირობა როგორ ჩაივლიდა. სწორედ შუაღამე იქნებოდა, ბიძაჩები ერთხელ კიდევ ადგა, გაიხედა კარებში და წაიბუტბუტა: “ძლივს არ გადიღო ამ სატიალემაო!” მობრუნდა შინ, ჩამოიღო თოფი, სასწრაფო და საპირისწამლე. ჭრაქი აანთო, ბუხარში ცეცხლი აასინათა და დაუწყო თოფს წმენდა შიგნით და გარეთ; ჩახმახს ტალი გამოარიდა და საშლით დაუპირა; ჩანთიდამ ამოიღო პატარა თითბრის ყალიბი და პატარავე ტყვიის სადნობი ტაფა და დაუწყო ტყვიას ცეცხლზედ დნობა. რამდენიმე ტყვია ჩამოასხა და ახლა სასწრაფოს მიჰმართა, ამოაძრო სასწრაფოდამ მასრები, სინჯავდა, წამალი იყო თუ არა შიგა, გადაწყ-გადმოწყო რქის სარწყაოთი, რომელიც სასწრაფოზე ზედ იყო დაკიდებული. რაკი ტყვიას დაუწყო დნობა და სანადირო მასალას მზადება, მეც გულმა ვეღარ მომითმინა, წამოვხტი ქვეშაგებიდამ, მივუჯექი ბიძაჩემს ახლო და დაფაციცებული ვადევნებდი თვალს იმის მოქმედებას.

როდესაც ბიძაჩემმა ჩამოასხა, რამდენიც ტყვია უნდოდა, არწყო წამალი მასრებში და თითოეულს ძონძში გამოხვეული ტყვია დაუფივა; ახლა ბანდულებს მიჰმართა, დაპოხა, გაბლანდა, სადაც გაბლანდვა აკლდა; წრიაპის თასმებიც დაპოხა. ტყვიის სადნობს ტაფაში სხვა ტყვიის ნაჭყლეტებთან ერთად ნინიამ ერთი ტყვია ჩააგდო, რომელსაც სისხლი ჯერ ისევ ეცხო და ამ ტყვიას უნდა ერთი თხუთმეტამდე ტყვია მოენათლა, გაეზიარებინა, გაენაწილებინა მათთვისაც თავისი იღბალი. როცა ეს სისხლიანი ტყვია ჩააგდო ბიძაჩემმა ტაფაში, ქუდი მოიხადა, გვერდზე დაიდო და სთქვა: “ღმერთო და ჩვენო ლაშარის ჯვარო, რა იღბლისაც ეს ტყვია არი, სხვანიც ამის იღბლისანი იქმნენო”.

- ეგ რაღა ბედენა ტყვიაა, ძიავ? - ვკითხე ბიძაჩემს.

- ეს ტყვია, შვილო, იღბლიანი ტყვიაა; ირემი მოვკალ მაგ ტყვიით; შიგ დამდგარიყო და იმას ამოვარიდე. -

ყველაფერი გაამზადა ბიძაჩემმა და ეხლა ყალიონი გააჩაღა და იდაყვზე დაბჯენილი წამოწვა ქვეშაგებში. მე დავწექი. ნაფხიზლარს მაგრა ჩამძინებოდა. ბიძაჩემი ადრე გაპარულიყო სანადიროდ, ისე რომ ჩვენებს ვერავის ვერ გაეგო იმისი წასვლა.

დილით მე ყველაზე გვიან ავდეგ... ჯერ კიდევ ბურანში ვიყავი, რომ დედაჩემი მომჯდომოდა გვერდით, მეტოლებოდა, მკოცნიდა ჩუმ-ჩუმად. უცებ თვალები გავახილე.

- გაიღვიძე, გენაცვალოს დედა, შვილო, ყველანი საყდარში წავიდენ, შენ დარჩი მარტოკა შინა. - დედაჩემიც ჩემს გამო არ წასულიყო წირვაზე. მეც ზმორვით ავდექი, ძლივძლივობით ავატანე ძილსა, პირი დავიბანე, თმა კოხტად გადავივარცხნე, ახალი ტანისამოსი ჩავიცვი, "კარტუზი" დავიხურე ჩემდა სასახელოდ. კარტუზიანი ერთი მარტოკა მე ვიყავი სოფელში. ამითი დიდად

მომქონდა თავი და, სწორედ მამალივით თავმოწონებულმა, გავწიე საყდრისაკენ. ჯერ საყდარში არ მივსულიყავი, შუა გზაზე ვიყავ, რომ გაღმა, გუთანაურთ-ახოში, თოფი გავარდა. ცოტა ხანი გამოვიდა და მეორე მიჰყვა. მე გულში ნათელი ჩამიდგა: უსათუოდ მოჰკლა ბიძაჩემმა ნადირი-მეთქი ვიფიქრე. წირვის გამოსვლას არ დავუცადე, ჩემდა სამარცხვინოდ, გამოვიპარე. მინდოდა გამეგო, რა ქნა ბიძაჩემმა, მოჰკლა რამ თუ არა. შორიდამვე დავინახე ბიძაჩემი, იგი დერეფანში იდგა, პირში ჩიბუხი ეჭირა, ქუდი გვერდზე მოექცია და რაღასაც ელაპარაკებოდა ბერუას. თოფი ბოძზე ჩამოეკიდა, სასწრაფო და საპირისწამლე კი ისევ გულზედა ჰქონდა. მივედი და დავინახე, რომ რქიანი შველი ეგდო ბიძაჩემის წინ. საბრალოს ლამაზი, მაგრამ დახოცილი თვალები ნახევარზე მიეხუჭა და ენა გადმოეგდო გვერდზე. მაინც კიდევ ლამაზი იყო ეს თავისუფლების შვილი.

- საწყალი! - ვსთქვი მე და თვალებში სიბრალულისაგან ცრემლები მომივიდა.

- ჰო, მეც ეგრე ვიცი, შვილო, - სთქვა ბიძაჩემმა, - როცა მოვკლავ; მაგრამ მანამ მოვკლავ კი, თვალდაფეთებული დავალ, გულს ვიმჯიღავ და ვამბობ: როდის იქნება ზედ შემამვარდეს, თვალი დავკრა ნადირსაო, პური არ ვიცი და წყალი... ვნახავ და რამდენს ტანჯვასა ვგრძნობ, თუ მოუკლავი წამივიდა; ვუნიშნებ თოფსა და მაშინაც ტანში მათრთოლებს, ვაი თუ ჩახმახის დასხლეტა ვეღარ მოვასწრო და მიეფაროს სადმეო. მოვკლავ და ვამბობ: რად მოვკალი, რას მიშავებდა, რა შამისვა, რა შამიჭამაო?! კაცნი შაუბრალებელნი ვართ.

ბიძაჩემმა შველი ცალის ფეხით ჩამოჰკიდა და ორივემ, იმან და ბერუამ, ტყავება დაუწყეს, ერთმა ერთის ფეხიდამ, მეორემ - მეორიდამ. ნახევარზე ჩამოატყავეს, რომ ამ დროს მამაჩემიც გამოჩნდა: ჯოხს მოიბჯენდა,

უკან დიაკვანი მოსდევდა, რომელსაც საცეცხლური და ხელსახოცში გამოკრული ჟამნ-დავითნი ეჭირა, და სულ უკან ტარასტა მოჩანჩალებდა, მხარზე ტაბლებით სავსე ხურჯინგადაკიდებული. რამდენიმე სხვა სოფლის დარბაისელი კაცი დაეპატიჟა მამას სადილად. შველი რომ დაინახა მამაჩემმა, ძლიერ გაეხარდა და ბიძაჩემ ნინიას გამარჯვება მიულოცა; თითონაც ანაფორა გაიძრო და თავს დასტრიალებდა ნანადირევს. ჯიბიდამ ამოიღო კალმის დანა, თითონ ააჭრა სუკები, ცალკე თეფშზე დააწყო და დაბასტურმა... დიდხანს არ გაუვლია, რომ სუფრას ვუსხედით გვერდზე და ბუხარში შველის მწვადები შიშინებდა... ჩემი ნათესავი ქალები და ძალუებიც მოვიდნენ ჩემ სანახავად "მოსაკითხით" - ნამცხვრითა და ხილეულით... ბედნიერი დღე იყო ის დღე ჩემს სიცოცხლეში და ისე ვერ მოვიგონებ, ერთხელ მაინც არ ამოვიოხრო!

1888 ϛ.

ამოდის, ნათდება!

ვინ ამბობდა ამას? სად ან როდის? ღამეა. თოვლით გადალესილა მთა-ბარი; სულშეხუთულია, ისე შებოჭილი, რომ დედამიწის ძვლებს ჭყრიალი, ჭახჭახი გააქვს. ბუნება თითქოს კუბოში წევს, სუდარაში გახვეულა. არაფერი ხმა, არც მოძრაობა, არც ცელქის მთის ნაკადულის ჩხრიალი არსად ისმის. ნიავიც განგებ შეჩერებულა, რომ არ დაარღვიოს გარშემო მშვიდობიანობა, არ დაუშალოს ბუნებას ძილი, განსვენება. ტყე დაბარდნილია თოვლით, ხეებს ტანი და ტოტებიც აღარ ეტყობათ... აი ამ დროს ერთ კურუმს გორაზე მგლის ჯოგი გროვდებოდა. ზოგნი მოსულიყვნენ ადრე და სხვების მოლოდინიც ჰქონდათ. ყმუილით, ნელის ბოხის ხმით აუწყებდენ ამხანაგებს: “მოდით, ნუ დაიგვიანებთო!”.

ქვეიდან, შორს სოფლიდან გაურკვეველი ჟრიამული ისმოდა. სახლებიდან ამონადენი ბოლი ნისლად, ჯანღად ზედ გადასწოლოდა სოფელს, საბნად ეხურა, მაღლა ცა გავარვარებული, ვარსკვლავებით მოჭედილი, ხოლო პირმოკუმული, გაშტერებული დასჩერებოდა დედამიწას.

მგლები ამაღამ სოფელს უნდა ესტუმრონ. - ესაა მათი ფიქრი და განზრახვა. თავს იმიტომ იყრიდენ ერთად, რომ ტყეში აღარაფერი ეგულებოდათ საჭმელი. ერთი კვირაა მშივრები დალასლასებენ, მიწასაც კი ვეღარ თხრიდენ საჭმელად თოვლისა და ყინულისაგან. მოგროვდენ, დიდი ჯოგი გაკეთდა. ყველანი კბილებს აკაწკაწებდენ. შიოდათ, ძალიან შიოდათ! ერთმანეთს ათვალიერებდენ და ნატრობდენ, ერთს მეორის ტანზე ერთი წვეთი სისხლი მაინც შეენიშნა, რომ ამით საბუთი ჰქონოდათ ძგერებოდენ და თავისი თანამოძმე ლუკმა-ლუკმა გაეგლიჯათ. რომელ ერთს ეყოფოდა ერთი მგელი, თითო

ლუკმა ხომ არც კი შეხვდებოდათ! არა, ცოტათი მაინც შიმშილის ჟინს მოიკლავდენ.

საგულისხმო სანახავი იყო ამ დროს მგლების კრება: ზოგი იწვა თოვლზე, სხვა დაყუნტებულიყო, რიგიც იდგა ფეხზე კუდებდაშვებული, ხოლო ყველას პირები ჰქონდა დაღებული. ასე თათბირობდენ თარეშის, ლაშქრობის შესახებ.

- კარგი დრო გავიდა, კარგი, ბიჭებო! როგორ ბნელა! აბა, ვისაც იმედი აქვს თავისა, ეხლა უნდა ეცადოს, - ამბობდა მოხუცი მგელი ტოტია.

- ოღონდაც, ოღონდაც - სთქვა მეორემ, - თუ სხვას ვეღარას მოვიგდებთ გარეთ, ძაღლები მაინც მოვიტაცოთ. ხომ იცით ჩემი ამბავი? თქვენ ჩაგასაფრებთ, მე გამოვიტყუებ, გავუთამაშებ, ჩავუკვდებ-მოვუკვდები ქედანას, შემოგაგდებთ ზედ და მაშინ თქვენ იცით, როგორც

გაირჯებით!

- რა შვილებმა არ ვიცით ჩვენც, როგორ უნდა ჭამა ლეშისა, - სთქვეს სხვებმა სიცილით. თათბირობდენ ფარეხის გატეხაზე. ცხვრის მოგონებაზე ყველამ დაღებული, ცეცხლით ანთებული ლაშები უფრო დააღეს და ნაკვერჩხლებად გამოაჩინეს დიდრონი კბილები. გაჰკრეს, გაუსვეს კბილი-კბილს: აჩქამდა კბილები და საერთო, საშინელ ცეცხლად დაენთო, არე-მარე გაანათა.

აიშალნენ იმ იმედით, რომ გაძღებოდენ, დაეშვნენ თავქვე, წინ ჩაუძღვათ ტოტია, წალიკი დააკრეს გორის პირს - ჩამომწკრივდენ, იმედი უღვივოდათ გულში, მაგრამ დახეთ, რომ ბედმა უმუხთლა. რასაც არ მოელოდენ, ის მოხდა; მოხდა ის, რითაც იმათი საქმე ფუჭდებოდა, იშლებოდა; წელი მოსწყდათ. რა მოხდა განა ასეთი? ამათ სიბნელის იმედი ჰქონდათ ხომ, მაგრამ ცოტათ შენიშნეს, რომ აღმოსავლეთით ცის პირი

ნათდებოდა. ყველანი შეჯგუფდენ ერთად და მიაპყრეს იქით თვალები. ცოტა ხნის შემდეგ მთვარემ წვერი ამოჰყო. ამოვიდა მთვარე და გაანათა ტყე, მთა, ბნელი კუნჭულები; გაანათა ჯურღმული. შეჯგუფებული მგლები ბრაზმორეულნი იძახდენ: "ამოდის, ამოდის, ნათდება!" მთვარისაკენ მიპყრობილ მგლების თვალებიდან ზიზღის, სიძულვილის, სისხლის ძიების ისრები იყო გაძაფული. როგორ სწყევლიდენ მის ამოსვლას!

- გაგიხმეს ფეხი, გაგიწყრეს ღმერთი! ვაი შენ, ვაი შენ გაჩენის დღესა! - ამბობდენ მგლები და თან კბილებს ულრჭენდენ: "ახ ნეტავი, ხელში კი ჩაგვაგდებინა, შეგვეჭამა, რომ მოგვესპო მაგისთვის სიცოცხლე". ყველაზე უფრო წყრებოდა, ბორგავდა ერთი ბებერი მგელი.

- ბევრჯელ მომიკალ გული. - ამბობდა იგი, ბევრჯელ

დამაღონე, შე წყეულო, შე შეჩვენებულო; ბევრჯელ დამაღონე, გამიმწარე სიცოცხლის დღენი. ბევრის ცხოველის სისხლით ბევრჯელ შევიღებე ცხვირ-პირი, ტოტები და მკერდი; მთელ ორ კვირას დავუმშვენებივარ ამ სისხლსა და ჩემ ტანზე მისი დანახვით სიყმილის ჟინი მომიკლავს. ნეტავი, მთვარევ, ერთხელ შენთვისაც გამესვა ჩემი ბასრი კბილი, ნეტა შენის სისხლითაც დაემშვენებინა მხარბეჭი და თითები ლეგჩოხა ბიჭს ტოტიას.

დანარჩენებიც ამასვე ფიქრობდენ კვლავ ლაშდაღებულნი და შეჩერებოდენ მთვარეს: მთვარე კი ამოდიოდა ზევით და ზევით, ამომაღლდა ცაზე; გაანათა ტყეში ხისა და კლდის ძირები, ბნელი ხევები, აგრეთვე გაანათა სოფლად ბნელი კუნჭულები ციხე-კოშკებისა და ძველთა შენობათა ნანგრევებისა, სასაფლაოს შავ ქვებს თავის სხივის სანთელი დაუნთო; მადლიანად და ცხოვლად იყურებოდა

სასაფლაოც-კი. გაცრუვდა ყოველი იმედი დავლისა, თარეშობისა. დღის სასწორი ღამეა. რაღა ქნან? იმედი გადაუწყდათ, სასოება დაჰკარგეს, ერთმანეთს-ღა დაუწყეს თვალიერება; ფიქრობდენ, არჩევდენ, ვინ არის ჩვენში სახარჯი, შესაჭმელიო. ერთი მზად იყო მეორეს ძგერებოდა და შუაზე გაეგლიჯა.

მოხუცი ტოტია, თავპირდასიებული ჯაგს უკან ეყუნთა, ფიქრებში იყო გართული; იმას ბევრი შიმშილი უნახავს და ბევრი ვაება გამოუცდია, მაგრე რიგად იმიტომ არ იყო შეწუხებული, ახლაც სხვისა იმედით ნადირობდა; ახალგაზრდა მგლები უზიარებდენ იმას საზრდოს.

- ტოტიავ, ეი, არ გესმის?! რას გარინდებულხარ, ვერა ხედავ რა ამბავია? ვიღუპებით შიმშილით, ლამის მგლის ნათესაობა, ჯილაგი გაწყდეს პირისაგან ქვეყნისა. რასა სწერს შენი კარაბადინი, ბიძიავ? - უთხრა მას ერთმა მგელმა და თან ტოტი გაუქნია თავში.

- რას სჩადი, შე ბრიყვო, შე გაუზრდელო ვირო? - სთქვა წყრომით მოხუცმა მგელმა. სხვა მგლებმაც ყურები აცქვიტეს, იგრძნეს საქმის ვითარება.

- ჰოდა რა?! - იღრიალა ყველამ ერთად: - ძალიან კარგად გიშვრება, შენისთანა ბრიყვზე ერთი ტოტის დაკვრა კიდევაც ცოტაა. კბილი გაუსვით მაგას, კბილი; ეს სინათლე სულ მაგის ბრალია! - ღმუოდენ ყველანი. დიდხანს აღარ აცალეს და თათებს კბილებიც მიაშველეს...

- ბიჭო, ჭკვიანად, ჭკვიანად! რას ჩადით, თქვე ბრიყვებო? - ღმუთუნებდა ტოტია და უღრენდა კბილს ხან ერთს, ხან მეორეს, მაგრამ იმისი ღრენა ვის შეაშინებდა? ერთ წამში გათავდა ტოტიას სიცოცხლე; ლეშთან ერთად გათავდა მისი სულიც. ბეწვიც აღარსად ეგდო იმის მრავალტანჯულის ტყავისა. ოდნავ თუ სადმე ნასისხლარს შეამჩნევდით, ის იყო. მგლებს ცოტათი გული დაუმშვიდდათ, მაგრამ კიდევ შიოდათ. შეხედეს

ერთმანეთს, შეეშინდა ერთს მეორისა, ალბათ იმიტომ - ახლა მე არ შემჭამონო. შეეშინდათ და გაფრთხენ. ერთი მეორეს გაურბოდა, ჯაგიანებში ჩხლაკა-ჩხლუკი ისმოდა და თან თოვლის ჭყრიალი... მთვარე კი ამოვიდა, ამოცურდა მაღლა, თითქმის შუა ცაზე, ნათლად კაშკაშებდა და იქიდან, როგორც დარაჯი, უფთხობდა ქვეყანას მტერსა... მგლები კი გარბოდნენ უგზო-უკვლოდ ტყეში და ყველას პირზე ეკერა: “განათდა, განათდა!”.

1896 წ.

ფესვები

ნუ გეშინია, არა ვართ გველები. ამ მაღალს მთაზე გველს რა უნდა? ტყუილად შეკრთი, ჩვენ კაცს არაფერს ვავნებთ, არ მოვსწამლავთ. გარედან რომ დაჭმუჭნილი, ხმელი ტყავი გვაკრავს, იმან შეგაშინა? ერთს დროს ჩვენ სხვა ფერი და იერი გვედო. დრომ, ჟამთა ვითარებამ შეგვიცვალა სახე და ახლა, მწყემსი წამოგვაწყდება ზედ თუ მონადირე, უნდა შეკრთეს, მანამ ახლოს გვნახავს, სანამ შეიგნებს, რომ ჩვენ ერთის მუხის ხმელი ფესვები ვართ და სხვა არა-რა. ერთს დროს ჩვენ უზარმაზარ მუხას ვკვებდით, საზრდოს ვაწვდიდით, ძუძუს ვაწოვებდით. ჩვენის ოფლით, ჩვენის ღვაწლით მუხა თავმომწონედ ყელყელაობდა. ჩვენც ამითი მოგვწონდა თავი, რომ ლამაზი, გულშეუდრეკელი, ამაყი შვილი გავზარდეთ.

- თქვენ და თქვენს მუხას მოგინდათ ჩემი ძალ-ღონე, ჩემი ამაგიო, - ბევრჯელ უთქვამს ჩვენთვის დედამიწას; მაგრამ ჩვენ მაინც ყელის წევით მუხლმოდრეკილნი გამოვსთხოვდით ხოლმე საზრდოს ჩვენის საყვარელის შვილისათვის. მის გულისთვის დღე და ღამე გასწორებული გვქონდა. საზრდო არ დავაკლოთ, ვეცადოთო, - ერთმანერთს ამ სიტყვებით ვამხნევებდით, დაისვენე, დედამიწავ, დაისვენე. ჩვენ ახლა შენ აღარ შეგაწუხებთ. ვისთვისაც გეფერებოდით და გეხვეწებოდით, ის აღარა გვყავს, ჩვენცა ვხმებით, ხმელსა და მკვდარს საზრდო რაღად უნდა? კაცმა, შეუბრალებელმა ადამიანმა, მოგვიკლა გული, მოგვიკლა შვილი და დაგვტოვა თვალცრემლიანი. ადგა, ცულით დაუწყო ჭრა; იმას არ ესმოდა ჩვენი და ჩვენის შვილის კვნესა. ცულს რომ გვცემენ, ჩვენ ვკვნესით და თქვენ-კი, კაცნი, ამას "რაკუნს" ეძახით. გადმოგვდის სისხლი და თქვენ ჩვენს სისხლს "ხის წვენს" უწოდებთ... განა რომ

ხელს არ გამოვიღებთ, თავ-პირს არავის ვაკაწრით, არა ვლანძღავთ, წასულს არ მივსდევთ და მოსულს მრისხანე სახით არ ვუხვდებით, იმიტომ არაფერსა ვგრძნობთ?! “მუხას ვჭრიო”, - კაცი თავის ამხანაგს ეძახდა, ვითომდა არაფერიო. იგი ვერა ჰხედავდა, რომ ჩვენ მაშინ ჩუმად მიწაში ცრემლსა ვღვრიდით, რომ ჩვენმა ცოდვა-ბრალმა დედამიწაც აატირა “საწყლებოვო, - ბუზღუნებდა ისიც, - რისთვის, ვისთვის იწვალეთ. ან მე ვისთვის ვწვალობ, ვინ არის მადლობის მთქმელიო!..”

თუმცა დედამიწა ამას ამბობდა, მაგრამ იმავე დროს წინ წამოწვდილს, შორიდან წამოზრდილს წიფლის, არყის და ვერხვის ფესვებს უდებდა საგზალს... უარს ვერავის ეტყვის ეს ღვთისაგან კურთხეული. ყველას დედაა, ყველასთვის ის ზრუნავს, ყველა იმის ზურგსა ჰკიდია. იკურთხოს შენი ძუძუ, ჩვენო დედავ, ჩვენო გამზრდელო, ჩვენო ძუძუს მაწოვებელო!

მაგრამ რა ჰქნას საბრალომ? ამასაც ბედმა უმტყუნა. გუშინ და დღეს ჩვენ ბევრი ვიტირეთ, გვენანება იმ ადგილის განშორება, საცა დავიბადენით, აღვიზარდენით, სადაც სიცოცხლე ვიგრძენით. ვინ იცის, რა მოგველის?! დღითი-დღე ჩვენი ბინა ინგრევა, იშლება, ფლატე კეთდება და ჩვენ უსახურავონი ვრჩებით, ტიტველნი და მშიერნი. ბოლოს მოვწყდებით და წავალთ თავქვე, ჩავეშვებით უღრანს ხევში. ვინ იცის, იქ რა მოგველის? ვინ იცის, იქ რა ნიადაგი დაგვიხვდება? დავიხოცებით სრულიად, თუ კიდევ მიწა დაგვფარავს და გაგვიჩენს საზრდოს?! ვინ იცის, იქნება გიჟმაჟმა მდინარემ გაგვრიყოს სადმე უდაბურს ადგილას და მწვავე მზის სხივებმა დაგვაჭკნოს, გაგვახმოს, გააქროს ჩვენი ხსენება!

ღმერთო, ნუ დაგვკარგავ! ბედო, ნუ გვიმტყუნებ. დედამიწავ, კიდევ გაგვიჩინე ბინა! სიცოცხლე და შრომა გვწყურია, გვინდა კიდევ ვიშრომოთ, ეგები კიდევ

გავზარდოთ ჩვენს ფესვებზე შვილი, ეგები კიდევ ვიგრძნოთ სიხარული. ბუნების ძალნო, შეიწყნარეთ საბრალო ფესვების მუდარა.

1893 წ.

სვავი

I

ზაფხული იყო. მთა მწვანდებოდა. მაღლა მწვერვალებზე-ღა მოჩანდა თოვლი, დაბლა ხევებში - ზვავი. მწყემსებს გაერეკათ მთაში საზაფხულოდ ცხვარი და ძროხა, მაგრამ ბედს ემდუროდენ: ჭირი გაჩნდა, აუარებელი ცხვარი და ძროხა ილეოდა, იღუპებოდა; გატყავებას ვეღარ ასწრობდენ; მრავალს წყლის ნაკადულებს სისხლის რუები მიმატებოდათ. ხევებში ზვავებზე, ბინების, ფარეხების გარშემო ოხრად ეყარა მძოვრი. ფრინველთ და ნადირთ სანატრელი დრო დაუდგათ: ფარფაშობდნენ უზარმაზარი სვავები, ყაჯირები, ორბები, ყვავ-ყორნები; დამაძღრები, ლეშით გათოშილები, იქვე ახლო-მახლო კლდეებზედ სხდებოდენ, ფეხებით, ფრთით თან

მიჰქონდათ სისხლი და ასისხლიანებდენ კლდის დეკას, ქუჩს, ურძნიანებს.

II

ერთი გამაძღარი სვავი კლდის თავზე იჯდა. სიმაძღრით ძლივსღა ქშინავდა, მაგრამ თვალებს უფრო მამაცად ატრიალებდა და სულხარბად დასჩერებოდა უფსკრულში ლეშის გროვას. - ხა, ხა, ხა! - სთქვა მან სიცილით ბოლოს, - უყურე, აბა, უყურე იმ ბრიყვს, იმ საცოდავს, იმ მატლს, იმ ბეჩავს! ნეტავი ერთი ლუკმა მაინც გამოვიდოდეს და მერე ეთქვა ჩემზე აუგი სიტყვა, მერე დავეძრახე. ღმერთმა შემარცხვინოს, სასწორზე აგვწონეთ, ძმაო, თუ ორი ათასი ბულბული არ ავიწონო. ჰაერში რომ შევინავარდებ, გავშლი განზე მხრებს, ათასი ვერსიდამაც კი დამინახავს ადამიანის თვალი და იმ მლივს, თუ თავს არ წაადეგ ვერც კი დაინახავ თვალით; მფრინავი არავის უნახავს, თურმე ჯაგებში, ბარდებში ძვრება და რაღაცას

ჟღურტულებს და ამისთვის აქებენ. ჟღურტულებს თურმე მძინარა, თვალებდახუჭული. ჩემი თვალების ტოლა არც კი არის, რომლებიც არადროს არ მეხუჭება და მუდამ მზად მიჭირავს საჭმლისა და მძოვრისკენ. ის კი ჟღურტულებს და ჟღურტულებს, საჭმელ-სასმელი არც კი აგონდება და თანაც ჩემს წყევლა-კრულვას დასძახის არემარეს...

- "ყრაანტ, ყრაანტ"! - მოისმოდა. სვავისკენ მოსეირნობდა შავი ყორანი. ჯერ გაეთამაშ-გამოეთამაშა გულზვიადად მჯდომარე სვავს, ფრთაც გაუტყლაშუნა ფრთაზე, უნდოდა ზეზე წამოეგდო, მაგრამ სიმაძღრით დამძიმებული სვავი რომ ვერ დასძრა ადგილიდან, მის გვერდით შორი-ახლო დაეშვა და ჩამოჯდა კლდეზედ.

- ყორანავ, ყორანავ! - მიუბრუნდა სვავი ყორანს და მედიდურის კილოთი დაუწყო კითხვა: - როგორაო? რას მიამბობდი იმ დღეს ბულბულზე, ლამაზად მღეროდაო?

ნეტავი მეც ბულბულად მაქციაო?! უჭკუოვ, უტვინოვ!

- ჰო, იმასვე გიამბობ, რაც მიამბია შენთვის: მისი მღერა არ დამავიწყდება ჩემს სიცოცხლეში, და არ დაიჯერებ, მისი სიმღერის გაგონება აგერ იმ ლეშის გროვასაც კი მირჩევნია.

- აბა როგორ იყო, როგორ? მიამბე! - დაეკითხა კვლავ სვავი.

- მშვენივრად გალობდა, მშვენივრად! რამდენჯერ გავმძღარვარ ლეშით, სხვადასხვა ცხოვლისა თუ ფრინვლის ხორცით, ჩემს სიცოცხლეში ისეთი სიამოვნების წამი არ გამომივლია; მაშინ კი, როცა ბულბულის მღერას ვუგდებდი ყურს, ჩემმა გულმა ფეთქა დაიწყო, მისი ძგარა-ძგური, ხმაურობა თითონ მევე კარგად მესმოდა. მთელი ღამე არ დამდგარა, არ დაუსვენია. მთელი ჭალა იყო და ის.

- შენ ღამე ჭალაში რა გინდოდა? - ამბობდა სვავი გაჯავრებით.

- მინამ მთაში ლეში გაჩნდებოდა, ბარად დავდიოდი სადავლოდ. სანოვაგეს, ღვთის წინაშე, ბევრსაც ვხვდებოდი. დამეზარა მთაში წამოსვლა და ერთი ღამე ჭალაში ვათიე ერთ უზარმაზარ ბოკვზე. იმ ღამეს გავიგე ის, რაც ჩემს სიცოცხლეში არ გამიგია და იქნება კიდევ ვეღირსო ბულბულის ხმის გაგონებას. ამაღამაც იქნება წავიდე, აღარა მშია და არაფერი. წავალ, დავჯდები იმავე ბოკვზე და დავუგდებ ყურსა, დილაზე კი აქვე გიახლებით. იმავე ხეზე, მეორე ტოტზე, ყვავი იჯდა. თუმცა უგუნებოდ ბრძანდებოდა, მაგრამ თვითეულს სიტყვას ის მითარგმნიდა; მე მხოლოდ ხმა მომწონდა, სიტყვები კი არ მესმოდა. ყვავს ბულბულის ენა კარგა სცოდნოდა და დაწვრილებით მითარგმნიდა. განა არ იცი, ზამთარ-ზაფხულ ბარადა გდია და ადვილად

შეისწავლიდა.

- რას გითარგმნიდა, რატომ მეც არ მეტყვი? - სთქვა კვლავ სვავმა.

- ბევრს რასმე, ვინ მოსთვლის! ყველა ვერ დავისწავლე, - უთხრა მას ყორანმა. -ცოტა რამ კი მახსოვს. აი თურმე რასა მღერის ბულბული: “ამოდით ყვავილნო, შვენიერნო, ტურფანო, დედამიწის ანგელოზნო, თქვენ დაგედევით მტლედ, თქვენ გენაცვალეთ. უთქვენოდ ღმერთმა ნუ მომცეს ერთის დღის სიცოცხლე, თქვენა ხართ, თქვენა, ჩემი სიცოცხლე. ტყეო, დედამიწის გვირგვინო, მუდამაც იხარე ფოთოლით და ნაყოფით, მუდამ მწვანობდე, მუდამ ჰლაღობდე და მე, საბრალო შენი მგოსანი, გიმღერდე, ვაქებ-ვადიდებდე შენს შვენებას, შენს შემოქმედს. უმანკოება შენი ნუმც შეიბღალება რაიმე ცოდვით, რომ არ მატირო მწარედ, გული არ დამიდაგო!

“წყარონო, წმინდად, ანკარად მდინარნო! რძედ გადენსთ ბუნება, რათა ყველა ცხოველს მოუკლათ წყურვილი, დასაჭკნობ-გასახმობად გამზადებულნი მცენარენი მორწყოთ, გაახაროთ, გაანედლოთ, თავი მაღლა ააღებინოთ; ნუ დაივიწყებთ, თქვენი ჭირიმე, უკანასკნელ მატლს, უკანასკნელ ჭიას, რადგან იმასაც სიცოცხლე სწყურია. ნურც დაიშრიტებით: იდინეთ, იწანწკარეთ. თქვენ რომ გხედავთ, ჩემს გულში წმინდა გრძნობა და დიადი სიყვარული თქვენსავით წანწკარებს. უფალო, ღმერთო, აკურთხე წყარონი, აკურთხე ყვავილნი, დამილოცე ტყე, თქვენს მადლს და დიდებას ვეთაყვანე!

“მზეო, ყოველის არსის ნუგეშო, გაათბე, გაახარე ყველა შენის მადლიანის სხივით, ხოლო ნუ დასწვავ, ნუ დაჰგვალავ, ნუ გააფუჭებ კაცის და ბუნების მარჯვენის ამაგს; შენ, ნიავო ციურო, მოეშველე მზეს, ერთად შეზავდით და თესეთ მადლი ქვეყანაზე! ძალნო

ბუნებისანო, მოგროვდით ჩემთან, მოისმინეთ მუდარა ჩემი: აგერ სოფლები, აგერ ქოხები, იქვე ობლები, უბადრუკნი, ბეჩავნი ტირიან. მიეშველეთ, მტირალი გააცინეთ, მშიერი გააძღეთ, თქვენს ძალასა და მადლსა!.. აბ, საბრალონი! რამდენი ტირის, რამდენი ოხრავს და იმათი ცრემლი კი ჩემს გულში ზღვასავითა გუბდება, მე სულს მიხუთავს, სიცოცხლეს მიწამლავს.

“რამდენი მწყემსი ტირის და იმათ სარჩოს ითრევენ სვავნი და ყორანნი, უმსგავსნი, უმადლო, უკეთურნი ფრინველნი, სხვისა ცრემლით თავის მასაზრდოვებელნი, სხვის საფლავზე მოკიჟინენი. მზარავს და მშხამავს იმათი მოგონება”. და სხვა და სხვა.

- რაო? სვავნი და ყორანნიო? - სთქვა სვავმა მრისხანედ: - იმისმა მზემ, სვავი და ყორანი იმის ცალი და ანათალი არიან, იმასავით მარტო ჟღურტულებენ და ვერ სიამოვნებენ ამ წუთისოფლის სიამოვნებით. რა ღმერთი

გაგიწყრა, რომ მაშინვე არ გადაუხტი და თავი არ გაუჩეჩქვე იმ წუწკს, იმ უბადრუკს, იმას! იმდენს ვალაპარაკებდი განა ჩემს თავზე, მე რომ იქა ვყოფილიყავი?! არამი არ იქნებოდა მაშინ ჩემი სიცოცხლე ჩემს თავზე, თუ მაშინვე არ გავგლეჯდი შუაზე?

- ეგრე პირდაპირ რომ ეთქვა მშრალის სიტყვით, მეც ბარემ იმას ვუზამდი, მაგრამ ისე ლამაზად, მოხდენით ამბობდა, რომ გავშეშდი, კლანჭები ხის ტოტზე მიმეწება, ნისკარტი გამიშეშდა, დამამონა, დამაუძლურა. დარწმუნებული ვარ, შენ რომ ყოფილიყავი ჩემს ალაგას, ხმას ვერ ამოიღებდი, კრინტსაც ვერ დასძრავდი. გავგლეჯდი კი არა, დღეს საღამოსაც იქვე უნდა წავიდე და კიდევ მოვისმინო ბულბულის მღერა და, თუ გნებავს, შენც წამობრძანდი. შენ ამოიყარე იმისი ჯავრი. ადვილია მისი მოკვლა, მისი დაჭერა. თვალდახუჭული გალობს მუდამ; დილით მე თითონაც ვნახე, თვალები ეხუჭა და ისე

მოთქვამდა.

- მე წამოვალ, - სთქვა სვავმა, - და ავ დღესაც დავაწევ, გაჩვენებ იმის სეირს.

- აი ვნახოთ, მომყე, მაშ წავიდეთ! - სთქვა ყორანმა. - "ყრااანტ", გაისმა, ყორანი აფრინდა და მასთან ალახლახდა სვავიც და გასწიეს ერთად.

III

ხშირ-ბინდმა დაჰკრა, როცა დიდს ჭალაში, დიდს ბოკვზე ორნივე, ყორანი და სვავი, ჩაეშვნენ, დალაგდენ მძიმედ და არხეინად დაიკეცეს მხრები.

კარგა დაღამდა. ყორანი თვალგაფაციცებული, ყელმოღერებული, მოუთმენლად ელოდა ბულბულის აჩქამებას. სვავს კი უმსგავსოდ ჩამოეშვა ჩინჩახვი,

მოეკუმა ნისკარტი, გაეფართხა მხრები და თეთრს ტომარასავით იდვა ბოკვის ტოტზე.

- რატომ არ გალობს, სად ჯანაბას წასულა ის უმსგავსო, ოხერი? - სთქვა ბოლო დროს სვავმა, - დაუყვირე მაინც, რომ ხმა ამოიღოს.

- მოითმინე, ცოტა ხანს, მოითმინე, - უპასუხა ყორანმა, - მე რომ დავიყვირო, რას გავაგონებ და, ვინ იცის, ძალდატანებით იმღერებს კი?!.

ცოტა ხანმა გაიარა და ჯერ თითქოს კვნესასავით რაღაცა ხმა შემოესმათ.

- აგერ, აგერ, დაიწყო, დაიწყო! - სთქვა გახარებულმა ყორანმა, - დაუგდე ყური, ის არის, ისა, გალობს, დაიწყო, აბა ახლა შენ იცი, როგორ ამოიყრი ჯავრს!

კვნესას წკრიალი მოჰყვა ჯერ ნელა, ნელა, დინჯად და ბოლოს ამაღლდა ხმა ღვთიური.

სვავმა თავი აიღო და თვალები გაახილა. გაიჩმუჩნა. შუაღამემ მოატანა. ბულბული გალობდა და სვავიც “ოჰ, ოჰ, ოჰ, - იძახდა, - მართლაც, მართლაც გულსა ჰკოდავს, ყორანო!..”

გათენდა, შეეყარა ბინდი ნათელს, ყორანი მიაშტერდა სვავს და შენიშნა, რომ წუწიანს თვალებზე ორი ცრემლი მიჰკრობოდა, დაღვრემილიყო.

- აბა, ბიძიავ, რას აპირობ, მოჰკალი, თუ შეგიძლიან, რას გარინდებულხარ, გაჩუმებულხარ? - უთხრა თავმომწონედ ყორანმა.

- ფიქრებში წავედი, ფიქრებმა გამიტაცეს. აღარ მინდა დანაპირები.

- მე ხომ გითხარი, ვერაფერს გაუბედავ-მეთქი. ხომ გახსოვს?

- მახსოვს და არც გიტყუვნია, - სთქვა სვავმა ამოოხვრით.

შუადღე იქნებოდა, რომ სვავი და ყორანი დიდს ხევში ისხდენ გვერდის-გვერდ და ლეშსა წიწკნიდენ.

1896 წ.

დეკა, ქუჩი, ურძანი - მთის მცენარეებია.

სათაგური

I

ქალაქიდან ძია ესტატე ღამე-ღა იყო, როცა სახლში მოვიდა. მეორე დღეს შობა თენდებოდა: ძალზე მოერეკებოდა შინისაკენ ესტატე თავის "მერანს", რომ შობა-დღეს საკუთარ ოჯახში ყოფილიყო. "მერანიც" თავს როდი ზოგავდა: მოძუნძულებდა გაყინულ გზაზე და, როგორც მოხუცი ყავარჯენს, ისე მოაბაკუნებდა დაუძლურებულს ფეხებს; ყურებს, თითქოს დამტვრევიაო, უხეიროდ ატლაკუნებდა. სიბერე ძნელია, გმირს როსტომსაც-კი მოჰრევიაო, ნათქვამია, და, რასაკვირველია, ესტატეს მერანი დაეუძლურებინა. პატრონი მაინც დღესაც გაყიდვას არ უპირებდა, თუმც მისი ცხენი ოცს წელს გადაცილებული იყო და მუშტარიც

ბევრი ჰყავდა. ვინ იყვნენ, თუ იცით, ესტატეს მერანის მუშტრები? წვრილი მოვაჭრენი: ჩარჩები, ქათამ-კვერცხის, წვრილმანის მყიდველ-გამყიდველნი, რომელნიც სუნით დაეძებენ იაფფასიან საქონელს ცოტა ხელის მოსანაცვლებლად. მაგრამ ესტატე დიდს უარზედ იდგა.

- ჩემი ცოცხალი თავით მერანს ვერ მოვიშორებ, დიდი ამაგი აქვს ჩემზედ; აქაო და დაბერდაო, ამიტომ ავიღო და ჩარჩებს ჩავუგდო ხელში, რომ ტყავი გააძრონ? ბებერი ვარ, მაშ ჩამსვით გოდორში და დამაგორეთ კლდეზე! ეგ არის თქვენი სამართალი?! გაყიდვა არ შაიძლება; უნდა ჩემს ხელში მოკვდეს! - ამ პასუხით ისტუმრებდა ესტატე ყველა მუშტარს.

ძია ესტატე მეტის-მეტი კეთილი, სათნო ადამიანი იყო: იმისაგან წყენა სოფელში პირუტყვსაც-კი არ მოაგონდებოდა, განაღამც ადამიანს. მხიარული, ღაჟღაჟა, მუდამ მოცინარი, გადაპენტილი სახისა, ოჯახის გაყრაში

და მოჩხუბართა შერიგებაში აუცილებელი შუაკაცი იყო და ლხინში - თამადა.

- ჰაა, აბა, შერიგდით! - ეტყოდა ესტატე მოჩხუბრებს. - რა გაჩხუბებთ, თქვე კაი კაცებო, განა სულ ცოცხლები ვიქნებით, ხომ უნდა დავიხოცნეთ?! ეს ჩვენი წუთისოფელი - წუთია; სიამოვნებით გავატაროთ, იმას რა სჯობია! სისხლი სისხლით არ დაბანილა, არც დაიბანება; სისხლს წყალი დაჰბანს მხოლოდ. აბა, მოდით, პროშტი: ჯერ მე მაკოცეთ, მერე ერთმანეთს აკოცეთ; თუ რამ საჩხუბარი გაქვთ, იმას რა სჯობია - დინჯად მოლაპარაკებით გავათავოთ. მუშტი-კრივით ვის რა გაურიგებია, თქვენ გაარიგოთ?! ოღონდ შერიგდით და სადილი ჩემი იყოს. - ესტატეს არც შუკაცობა მოუცდებოდა და დაპირებასაც ხელად აასრულებდა. ხელობით სოფლის დალაქი იყო და თავისთვის ტკბილად ცხოვრობდა: ჰქონდა საკუთარი სახლ-კარი, ვენახი,

ცოტაოდენი სახნავი მიწა, ერთი თვალი წისქვილიც უბრუნავდა. ძმათამოყვარეს, კეთილს, სათნოს, უწყინარს, პურადს, გულადს და ამასთან ხანში შესულს ადამიანს სოფლელებმა ძია ესტატე დაარქვეს. ყველა, დიდი და პატარა, ესტატეზე ხნიერებიც-კი "ძიას" ეძახდენ.

ესტატეს ხანდახან ხუმრობაც უყვარდა. როცა, მაგალითად, ქალაქიდან მოაძუნძულებდა თავის რაშს და გზაში ნაცნობები მიესალმებოდენ:

- ძია ესტატეს გამარჯობა! საიდან? საიდან?

- იერუსალიმიდანაო, - უპასუხებდა.

ქალაქში მიმდინარს თუ შეეკითხებოდა ვინმე:

- საით? საითკენ გაგიწევია?

- იერუსალიმშიო, - უპასუხებდა და თან გულიანად იცინოდა: - არა, ეგ ოჯახქორები, რომ მკითხავენ საით მიემგზავრებიო, როგორ არ იციან, კატის მანძილი საბძელია. არა, თუ არ დაგიშლია, მე და ჩემი ცხენი განჯა-ერევანს, ტრაპიზონს ან თეირანს წავალთ! თუ ჩავალთ, ქალაქში, სად უნდა წავიდეთ? ეჰ, განა არ იციან, მაგრამ ჩვეულებაა, ეგეც ერთი რამ სალმის სანელია.

II

ესტატე ჩვეულებისამებრ ზარხოშად იყო, როცა სახლში მოვიდა. ცხენი თავის ერთსართულიან სახლის მოაჯირთან ისე ახლო მიაყენა, რომ "მერანს" თავი დერეფანში გადააყოფინა და დაიძახა: "ოჯახიშვილებო, გამოიხედეთ, სტუმარი არ გინდათ?" შინ ფაცა-ფუცი შეუდგათ. "პაპა, მოვიდა, პაპა მოვიდა", გაიძახოდენ ესტატეს შვილიშვილები, სონა და კოლა: გოგო ექვსი წლისა, ხოლო კოლა რვისა. "სანთელი მოანათეთ,

სანთელი! - იძახდა ესტატე. - რა დაგემართათ, ხომ არ დაიძინეთ?”

ჯერ სიტყვა არ გაეთავებინა, რომ პატარა ხელის ლამფით გამოვიდა კარში მსხვილი, ჩარგვალებული დედაკაცი, მეუღლე ესტატესი, ეფემია.

- ოჰ, საღამო მშვიდობისა, ეფემიავ! ჰაა, როგორა ხარ სულიკოჯან? მე კარგადა ვარ, ძალიან კარგად. ცოტა შემცივდა.

- ღმერთმა მშვიდობა მოგცეს! რა არის, კაცო, ამ ღამე სიარული? სხვა არა იყოს-რა, ნადირისა მაინც არ გეშინიან? - სთქვა ეფემიამ.

- რა ვქნა, დამიგვიანდა. ნადირიო? განა მე ნადირი მერჩის? სამგლე და ნადირის შესაჭმელი ხალხი ცოტაა განა? - სთქვა ესტატემ.

- პაპა, სათაგური არ მოიტანე? - ჰკითხავდენ ესტატეს დაჟინებით სონა და კოლა. - ჩუსტები, წუღები, საკაბე? - შესტიკტიკებდენ მოაჯირზე მიყრდნობილი ბალღები პაპას.

- ყველაფერი მოგიტანეთ, შვილებო, ყველაფერი! - უპასუხებდა ესტატე და თან ხურჯინსა ჰხდიდა. ამ დროს მისმა მერანმაც დაიხვიხვინა და ისეთი ორთქლი გამოუშვა ნესტოებიდან, რომ ეფემიას კინაღამ ლამფა გაუქრო.

- რა იყო, ჰოო, კარგი, ცხენო... - სთქვა მან გაჯავრების კილოთი.

- ქერი უნდა საწყალს ჩემ მერანს, - სთქვა ესტატემ, - მაგრამ ჯერ დაღლილია, დაისვენოს პატარა ხანი და მერე ვაჭამოთ; ცოდოა, ძალიან გამოვრეკე. - ესტატემ ტანიდამ აიხსნა მოხვეული ნაბადი და ცხენს გადააფარა; ხოლო

თავად, ყაბალახით თავყურშეხვეული, ხურჯინით ხელში, გაყვა უკან თავის დედაკაცს, რომელიც წინ მიუძღოდა. ესტატემ გახურებულ ბუხარს მიაშურა, ხურჯინი ტახტზე დასდო.

- სანდრო როგორ იყო? ვენაცვალე იმას სიყმეში! - ჰკითხა ეფემიამ, ვიდრე ესტატე ბუხარს მოუჯდებოდა.

- ძალიან კარგად არის. ჯამაგირიც მოუმატებიათ: თვეში სამი თუმანი აქვს, - სთქვა ესტატემ თავმომწონედ, რომ ასეთი ყოჩაღი შვილი გამოუვიდა. ეფემია ღმერთს უმადლიდა. ხოლო რძალმა სოფიომ მამამთილს მიაშურა და ლეკური ჩუსტების ხდა დაუწყო. ბავშვები მიეხვივნენ პაპას და აღარც აცლიდენ ლაპარაკს: სათაგური, ჩუსტები, საკაბე და ამისთანები იყო იმათი სალაპარაკო. ეტყობოდათ, რომ უფრო სათაგური ენიაზებოდათ ყველაზე მეტად. პაპამ ორივენი გადაჰკოცნა და აღუთქვა, რომ მალე ყველაფერს ამოათრევდა ხურჯინიდან.

- ცოტა ხანს დამაცადეთ, შვილებო, ხელები მოვითბო, მცივა, უფრო კარგად ამოვალაგებ ხურჯინიდან ყველაფერს. ამისთანა ხელებით რა ამოვიღო?! აი ნახეთ, როგორ დაკრუნჩხული თითები მაქვს, - და უჩვენა დალურჯებული თითები. თანაც ხელი ჯიბეში ჩაიყო და ამოიღო მჯიღით კანფეტები, - მანამდის ამას შეექეცით.

- მოდით აქეთ, თქვე ავაზაკებო, ნუ აწუხებთ პაპას, ჭკვიანად დასხედით! - შეუტია ბავშვებს სოფიომ. ბავშვები გაფაციცებით ჰკრეფდენ ტახტზე გაბნეულ კანფეტებს.

- ჰაა, აბა, ჩხუბი არ მოგივიდეთ, თორემ იცოდეთ, სათაგურს ისევ ქალაქში წავიღებ, - სთქვა ესტატემ. - ერთი ჩაი რომ დამალევინოთ, ძალიან კარგს იზამთ. გზაში შემცივდა და ცოტა ზარხოშადაც გახლავართ. - ვიდრე ესტატე საუბარს დაიწყებდა, სოფიო ჩაის თადარიგს შეუდგა: მიაშურა იქვე თეთრ ტილოთი გადაფარებულს

სამოვარს და ხელად ლანგრით ჩაი და შაქარი მიართვა მამამთილს.

- ოჰ, ღმერთმა მშვიდობა მისცეს ასეთ ლოთობას! კაცი დავბერდი და ჩემს სიცოცხლეში ამისთანას არას მოვსწრებივარ: მეტისმეტი ლოთობაა; უქმი და საქმი არ გააჩნიათ; სარდაფები მუდამ დღე სავსეა ხალხით; დიდი, პატარა, მდიდარი, ღარიბი, ყველა ლოთობს. კაცს ეგონება, თავებს იმარხავენ, ხვალ სიცოცხლეს აღარ მოელიანო. არ ვიცი - მე მეჩვენება, თუ მართლა ასეა.

- ეჰ, ქალაქია, ესტატეჯან, ქეიფს რა გამოლევს! - სთქვა ეფემიამ. - მაგრამ მე ეგ როდი მეკითხება: თვალი იმათაც დაუდგესთ. ასემც უქნიათ, ღვინისა და არყის რუმბებში ჩაუხრჩვიათ თავი! შენ ეს მითხარი, სანდრო არ აპირობდა ამოსვლას?

- როგორ არა, როგორ არა, საახალწლოდ უსათუოდ მოვა,

პირობა მომცა. მართლა, ზალიკამ და სიდონიამ დიდი მოკითხვა.

- საწყლები! გმადლობთ, გმადლობთ, - სთქვა ეფემიამ, - ნახევი?

- როგორ არა, გუშინ სადილად იმათსა ვიყავი. კაი დროება გავატარე.

- როგორ არიან? როგორ რასმე ცხოვრობენ? - დაეკითხა ეფემია.

- კარგად, ძალიან კარგად. კაცი გამდიდრებულა; ასი თუმანი ნაღდი ფული მექნებაო, აქ ასი კაპეიკი არა ჰქონდა. ბზეს, ერთს კალათს და ერთს ვირს შენი მამიდაშვილი ზალიკა, ეფემიავ, კაცად გამოუყენებია.

- ღმერთმა ბრძანოს, ნეტა არ იქნება!.. მოხერხებული კაცი

ქალაქში მუდამაც გამდიდრდება, - სთქვა ეფემიამ კვალად. ამ დროს ესტატეს მერანმაც დაიხვიხვინა.

- ოჰ, ქეიფში გავები, ცხენი კი დამავიწყდა. საწყალს ქერი უნდა. გომურში უნდა შევიყვანო, თორემ შესცივა, - სთქვა ესტატემ, წამოდგა ზეზე და გაემართა კარებისაკენ. გააღო თუ არ კარები, ბოდიში მოიხადა თავის მერანთან, რომ დაუგვიანა ქერი.

- ჩემო მერანო, ჩემო მერანო, ეხლავე იქნება ქერი, ეხლავე, მომიტევე, რომ ამდენი ხანი გაცდეინე შე საცოდავო. ცოტა ხანი მოითმინე, მერანო, ყველაფერს მოგართმევ, რაც გესიამოვნება, რასაც მიირთმევ, - უთხრა ესტატემ თავის მერანს, რომელმაც პატრონის დანახვაზე უფრო მოუმატა ხვიხვინს, ხოლო დაბალ ხმაზე: ნესტოებს ბერავდა და თან ხელებში ეტანებოდა ძია ესტატეს.

ესტატემ მერანი დააბინავა და სახლში დაბრუნდა.

- პაპავ, წაღები!.. პაპავ, სათაგური! - გაისმა ბავშვების ხმა. ორივეს გაეფარჩხათ ხელები და საწყლად იღმიჭებოდენ.

- ამ ბავშვების ცოდო წამწყმედს, თუ თხოვნა არ ავუსრულე, - სთქვა ესტატემ.

არ დამჯდარა, მაშინვე ხურჯინს მიჰმართა. ჯერ ერთი თვალის სახლართები გახსნა და დაუწყო ამოლაგება. ბავშვები თვალ-წარბში და ხელებში შესცქეროდენ. ეფემია დოინჯშემოყრილი, თავმომწონედ დასჩერებოდა; სოფიოც შორი-ახლოს იდგა გულხელდაკრეფილი და პირმოკუმული. დიდი ჭრელი კატა ტახტზე მიდი-მოდიოდა კუდაფშრუკული, ბუხარში ცეცხლზე ხუხვით გვერდზე და ზურგზე გატუსულ ტყავით. ექლიშებოდა, ეხახუნებოდა ბავშვებს და მოკაუჭებულს კუდს, როგორც შოლტს, თვალ-წარბში უსვამდა. ისიც თითქოს რაღაცას მოელოდა. ამ კატას ღნავალას ეძახდენ, რადგან წამდაუწუმ ღნაოდა და კნაოდა. თაგვი კი თავის

სიცოცხლეში ერთიც არ დაუჭერია. ჩხავანა კატა, განა არ იცით, რა თაგვს დაიჭერს!?

- აბა, რაზე რა დავაწყო; მოიტათ რამე, ადამიანებო. - წარმოსთქვა ესტატემ.

ეფემიამ მაშინვე მოურბენინა ლანგარი და ტაბაკი...

- ეს ბახტაკი! იჰ, იჰ, რა არის, რომ იცოდე, ეფემიავ?! ნახე რა არის და! - სთქვა ესტატემ და ორი წყვილი გელაქნური დააწყო ტაბაკზე.

- ოჰ! თევზები, დედილო, თევზები. რა კარგებია, ჭრელები! - ამბობდენ ბავშვები და თან ხელებს უსვამდენ და საკოცნელად ელამუნებოდენ, ყურს არ უგდებდენ დედის ბუზღუნს და დარიგებას: ჭკვიანად იყავითო.

- ესეც ძროხის ხორცი! ჩალაღაჯია. ყასაბ გიგოლას

მოვაჭრევინე. ჩემი ძველის-ძველი ძმობილია; რა შვილია, ჩემთვის ურიგო რამეს გაიმეტებდა! ესეც ბრინჯი, აკულისა, ესეც ჩაი და შაქარი! კიდევ რა? - ამბობდა ესტატე მოღიმარი სახით, - ოჰ, ესეც მწვანილი, ოხრახუში და წიწმატი თავის რამე-რუმეებით!.. ჰაა, კიდევ გინდა რამე, ეფემიავ? ღმერთო, ღმერთო! აბა, ვნახოთ: ესეც ხმელი ხილი საახალწლოდ! მუდამ ქალაქში ხომ არ ვირბენ? ესეც ილი, მიხაკი და დარიჩინი. ყველა ამას, ეფემიავ, ერთი დედალი მიუმატე და ხვალ სწორედ ხელმწიფის საკადრისი სადილი გვექნება. ხომ იცი, ხვალ სტუმრები მეყოლება.

- ადვილია, ადვილი, - წარმოსთქვა ეფემიამ.

- ჰაა, როგორი ბიჭი ვარ, ეფემიაჯან?! - ეუბნებოდა პირმოღიმარი ესტატე თავის მეუღლეს.

- ძალიან კარგი, ძალიან კარგი; ვინა გწუნობს მერე? -

მიუგო ალერსიანად ეფემიამ და თანაც მხარზე ხელი დაჰკრა.

- ვნახოთ მეორე ვაგონი, - სთქვა ესტატემ. - ვნახოთ აქ რაღა ამბავია? აბა აქ არის, რაც არის და! აბა, მოდით, მოდით, ამოდით ნუ იმალებით და! - ჩაჰხაროდა ძია ესტატე ხურჯინის თვალში ჩაწყობილს ნავაჭრ საქონელს. - ესეც სონას საკაბე და ფეხსაცმელი.

- დილილმე, დილილმე! - შესძახა სონამ და მიეტანა პაპას ხელებში. ფეხსაცმელსა და საკაბეს გულ-მკერდში იხუტებდა და სანახავად არავის ანებებდა.

- ესეც კოლას წაღები, - სთქვა ესტატემ. - "ზაგრანიჩნია" ნამდვილი, როგორ ლაპლაპებენ. - კოლამ ხელები მიატანა და ჩამოართვა პაპას წაღები. - ესეც სოფიოს საკაბე, თავის მეფემ გამოუგზავნა, - სთქვა ესტატემ და მიაწოდა სქელ ლურჯ ქაღალდში გამოხვეული თავის რძალს, მაგრამ

ეფემიამ დაასწრო და ჩამოართვა.

- ქიშმირია, ქალო, ქიშმირი! ეტყობა, რომ გამდიდრებულა ჩემი შვილი, აქამდის ჩითის კაბის ყიდვაც კი ეზარებოდა და ახლა ჰყურობთ?.. უცბად ქიშმირი. კარგია, მშვიდობაში გაცვითე, შვილო! - სფქვა ეფემიამ და გადასცა რძალს საკაბე.

- ესეც შენთვის ფლოსტები, ჩემო გვრიტო და მარგალიტო, - სთქვა ესტატემ: - ნამდვილი საშენოა, საბებრო. ამის მეტი ვერაფერი გიყიდე, რადგან ჯიბესთან უკაცრავად გახლდით, ეჰ, ჩვენ ბებრები ვართ: მე ძველი ჩოხით, შენ ძველი კაბით, ჩემო ეფემიავ. ამათ გაიხარონ, ჯეილები არიან. ჩვენ იოლად გამოვალთ.

- ვინ გემდურის, კაცო! ამისაც დიდი მადლობელი ვარ. - სთქვა ეფემიამ.

სულ ბოლოს ძია ესტატემ დიდი ამბით ამოიღო სათაგური, რომელიც დააბარა ყველა ოჯახის წევრმა დიდიან-პატარიანად გულმოდგინებით.

- ესეც თქვენი სათაგური! - წარმოსთქვა ესტატემ, - ვნახოთ, რამდენს თაგვს დაიჭერთ?!

- გიშველა ღმერთმა! - სთქვა გახარებულმა ეფემიამ. - სულიღა დაამწარეს ამ თაგვ-ტიალებმა, განჯინაში ვეღარაფერი შემინახავს.

ბავშვებმაც სათაგურს დაუწყეს სინჯვა: “აბა როგორია, დედილო?” - გაიძახოდენ ისინი და თან გულმოდგინედ ათვალიერებდენ თაგვების სულთამხუთავს...

- მაშ არა, შენ დაიჭერ თაგვსა, მეხი კი ჩაგარტყი მაგ თავში! - სთქვა ეფემიამ და თანაც ღნავალას, რომელიც ცეცხლაპირას წამოყუნთებულიყო, თავში სილა ჩაარტყა: -

მთელი წელიწადია თვალ-ყურს ვადევნებ და მე ამის დაჭერილი თაგვი ვერა ვნახე. ეს სასიკვდილე მარტო ხელებში შემოგვჩერებია, რომ ვაჭამოთ რამე.

- თქვენც სათაგური ამუშავეთ, - სთქვა ესტატემ: - ღნავალა ძალიან ჭკვიანად იქცევა, ცოდოს ერიდება.

- ცოდოს, ამისმა მზემა, - სთქვა ეფემიამ და წაჰკრა მუჯლუგუნი კატას, - დაიკარგე აქედან, შე სასიკვდილევ, ეგ შნო ჰქონდეს, ცოდოს არ მოერიდებოდა, მაგრამ უნარი რომ არ გახლავთ!

თაგვების ჯავრის ამოყრის იმედი ყველამ სათაგურს დაამყარა. იმის მომზადებას შეუდგენ. ეფემიამ ცეცხლზე დიდი კაკლის ლებანი მოშუშა. დააგო მავთულზე და ასე ფეხზე შემოყენებული დადგა განჯინაში, როცა ბავშვებს აუხსნა და თვალსაჩინოდ აჩვენა, თუ როგორ შეძვრებოდა თაგვი, როგორ დაუწყებდა ცუცნას ლებანს, მახე როგორ

დასხლტებოდა და მოამწყვდევდა შიგ ავაზაკს.

მცირე ვახშმის შემდეგ დაიძინეს. ბავშვებმა საშობაო საჩუქრები ბალიშ-ქვეშ ამოიდეს... ბუხრის-წინ მხოლოდ ღნავალა სთვლემდა, ხოლო ბუხრის გვერდზე ლობიოს სადუღარი მოჩანდა სახელოვან ციცხვით, ყორნის ბოლოსავით გაშავებულ სარქველიანად.

III

სათაგვეთის სამეფოში დიდი ჩოჩქოლი ატყდა. განჯინიდან არაჩვეულებრივი, გულის წარმტაცი, ყნოსვის დამატკბობელი სუნი შემოდიოდა. მთელი გუნდი თაგვებისა დაიძრა ამბის გასაგებად; წინ მიუძღოდა სახელოვანი ფიცხელა, განთქმული სიმარდით, გულადობით და გამბედაობით; იმას მოსდევდა ცელქა, შემდეგ ცქმუნა, მერე კუდა, ფხორა; დანარჩენ თაგვების სახელს ვინ ჩამოსთვლის ან კი.

მთელი ფარა იყო: სულ რჩეული ვაჟკაცები. როცა პირველად ჩამოიხედეს განჯინაში, ცოტა არ იყოს, შეკრთნენ: სათაგური დაინახეს.

- ბიჭებო, აქ რაღაც ოინია! - წამოიძახა ფიცხელამ: - ჯერ ამისთანა რამ მე აქ არ მინახავს; არც ჯამსა ჰგავს, არც ქილაა, არც ბადია, არც საშაქრე, არც ბოთლი. სხვა რაღაც რამ არის საუცხოვო, საგანგებოდ მოწნულ-მოქარგული და ის მშვენიერი სუნიც სწორედ იქიდან მომდინარობს. ვხედავ კიდევაც, ლებანია ნიგვზისა. აბა, შეხედეთ, შეხედეთ, როგორ მარჯვედ მოსატაცებელია.

თაგვებმა ცქერა დაუწყეს: ხან ერთი თვალით გასცქეროდენ, ხან მეორით.

- მართლაც, საუცხოვო რამ მანქანაა, სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ჩვენ სამტროდ არ იყოს, ბიჭო, მოგონილი და! რაღაც იმნაირი რამა ჩანს. ჩემი გული და თვალი არ

ენდობა, - სთქვა ცელქამ...

- ჭეშმარიტებაა. - ჩურჩულებდენ სხვა თაგვები და ადასტურებდენ ცელქას მოსაზრებას. - უნდა ახლოდან გავჩხრიკოთ; მაგრამ ვინ გასჩხრეკს, საქმე ისაა!

- აქ რას ვაკეთებ? ვაჰ, დედას ჩემი მტრისას... განა ეგრეც დავლაჩრდით, შევარცხვინო სათაგვეთი? - სთქვა ფიცხელამ.

- შენ იცი! - დართეს ნება სხვა თაგვებმა: - მხოლოდ ახლო არ მიეკარო, შორი-ახლოდან გაჩხრიკე. ახლო არ მიეკარო, გირჩევთ, შორი გზა მოიარე, შინ მშვიდობით მიდიო, ნათქვამია.

ფიცხელა პირდაპირ მიცუცუნდა. ლებანი სუნს თვალწარბში აბნევდა და უნებლიეთ იზიდავდა თავისკენ, მაგრამ ფიცხელამ გზა აუქცია კარებს და

სათაგურს გვერდიდან მოექცა. შემოუარა რამდენჯერმე გარშემო. ვერაფერი სახიფათო დასახა, სადაც ერთი ლებანია დარჩენილი: უთავდარიგო დიასახლისს დავიწყებია, დაბრუნდა და თავის ამხანაგებსაც ესევე უამბო.

- რას იტყვით, ბიჭებო?! - უთხრა ფიცხელამ თაგვებს: - მე საშიშს იქ არაფერს ვხედავ. გაბედავთ ვინმე შიგ შესვლას თუ ვერა?

- მოდი, მოვერიდოთ, სულ თავი გავანებოთ ეგ რაღაც მანქანაა, გვაკლდეს ეგ ერთი ნიგვზის ლებანი, - სთქვეს თაგვებმა.

- ჰაი, თქვე ლაჩრებო, თქვენა! ეგ არის თქვენი ბიჭობა, რომ ტრაბახობდით: მე ეს ვაჟკაცობა ჩავიდინე, მე ესაო? შეგირცხვათ ვაჟკაცობა. მე წავალ და მიცქირეთ, რა ბიჭია ფიცხელა! - სთქვა და გაემართა სათაგურისაკენ. ხოლო

სხვა თაგვებმა სული განაბეს და შორიდან უთვალყურებდენ. ფიცხელა მარდად მიცუცუნდა სათაგურთან და ცოტა ხანს შესავალ კარებთან გაჩერდა! მიიხედ-მოიხედა.

- არაფერი ამბავია, მშვიდობიანობაა, აქ რაა საxიფათო? ჰაი, თქვე ლაჩრებო, - წარმოსთქვა თავის ამxანაგებზე და შეჰყო თავი სათაგვეში. სულ მშვიდობიანობაა: თავში არავინა სცემს და გვერდში არავინა სჩxვლეტს. რაო? რა სჭირს? არაფერი, სრულიად არაფერი! ძალიან კარგად შეიძლება შეექცეს ფიცxელა ნიგოზს. დეე ამxანაგებმა შორიდან უცქირონ და ნერწყვი ყლაპონ. - მიუაxლოვდა ლებანს და ოდნავ მოავლო კბილი, პირი გაიტკბარუნა. სრულიად დამშვიდდა, იმედი აიღო, რომ არავითარი უბედურება მას აქ არ მოელოდა და მოსწია კიდევაც მაგრა ლებანს. მაგრამ, აი სწორედ უბედურებაც ამ დროს მოxდა: სათაგური დასxლტა და ჩxაკანი მოისმა.

თავზარდაცემული თაგვები გაფრთხნენ. ეგონათ, მათაც გამოუდგებოდა სათაგური. ფიცხელამაც იგრძნო თავისი შეცდომა. მობრუნდა ფიცხლად და გაექანა კარებისაკენ გასასვლელად. მაგრამ ამაოდ: კარები უკვე მაგრა, ძალიან მაგრა იყო დაკეტილი. ძალიან შეწუხდა, სული და გული დაეკეტა. ამხანაგებისაკენ გადაავლო თვალი; არავინ სჩანდა. - ჰაი თქვე მოღალატენო, თქვენა! - წარმოსთქვა მან: - გაიქცენ, დაიმალენ, როდი მოდიან და მეშველებიან. - შეახტა მაღლა სათაგურის ჭერს, მიაწყდა-მოაწყდა იქით-აქეთ კედლებს, ჰყოფდა ცხვირს მავთულებში, უსვამდა თათს, ღრღნიდა კბილით, - ამაო იყო ყოველივე ცდა, თანაც წრუწუნებდა. ტანზე ჭირის ოფლი დაასხა. ცოტა ხანს შეისვენა. ლებანი ისევ მთლიანად ეკიდა მავთულზე: ვის მოაგონდებოდა იმისი ჭამა. გულმა აღარ გაუძლო და შეუძახა თავის ამხანაგებს: - სად მიიმალენით, თქვე უნამუსოებო, აღარ მომხედავთ? ერთ-ერთი მაინც მოდით, ანდერძი დაგიბაროთ: მე მტრის

ხელთა ვარ, მინდა გამოგესალმოთ. - თაგვებს ესმოდათ თვითეული სიტყვა ფიცხელასი და ჩოჩქოლი შეექმნათ.

- მართლაც, - ამბობდენ თაგვები, - რატომ ასე ლაჩრულად ვიქცევით, ეს ხომ სირცხვილია. მივხედოთ იმ კაცს, საუკეთესო ვაჟკაცსა ვკარგავთ. - სთქვეს და დაემზადენ მისაშველებლად. ყველაზედ წინ ცქმუნა მიცუნცულდა ფიცხელასთან ვიშვიშით.

- მოგიკვდა ჩემი თავი, - ამბობდა ცქმუნა და თან ცრემლებს იწმენდავდა თვალებიდან: - აბა, რაღა თავი ქვას ვახალო და როგორ გიშველო?! უნდა გაგეგონა, რომ გაფრთხილებდით! მეტად უჯიათი ხასიათი გაქვს, არ დაგვიჯერე. შენი თავიც დააღონე და ჩვენც. - უსვამდა ცქმუნა გარედან თათს, ცდილობდა გაეგლიჯა სათაგურის მავთული.

- ნუ გეშინიანთ, ფიქრი არ არის: როგორც იქნება, გამოვალ.

ნუ ტირით! მოკვდეს ბიჭი ფიცხელა, თუ ადამიანს ხელში ჩაუვარდეს! და თუ ვინიცობაა მოვკვდე და მტერმა გაიხაროს, შენ გეუბნები მარტო საიდუმლოს: ეზოში რომ დიდი ნიგვზის ხე დგას და გზისკენ მსხვილი ფესვი აქვს გაწვდილი, იქ ერთი ორმო თხილი მაქვს შენახული, ამოიღე და მოიხმარე.

- შე გასახარელო, მაგისი დარდი მაქვს ეხლა?! - უპასუხა ცქმუნამ. თუმცა ნათქვამი ესიამოვნა და კარგადაც დაიხსომა.

ამ დროს სხვა თაგვებიც მოვიდენ ჯარად და შემოერტყენ გარს სათაგურს. ყველამ სათითაოდ მიუტირა გალიაში დამწყვდეულს თანამოძმეს უბედურება. ფხორა მაღალი ხმითა ტიროდა, მოსთქვამდა; სხვანი ბანს ეუბნებოდენ. თაგვების ზარი გაიმართა, მაგრამ ისევ ფიცხელა უტევდა, ამხნევებდა:

- ნუ ტირით, დანო და ძმანო! მე თქვენი ჭირის სანაცვლო ვიყო; მაგრამ ჯერ კიდევ იმედია დავეხწიო ამ წყეულ საპყრობილეს, - სთქვა ფიცხელამ.

- საიდან და როგორ, მოგიკვდა ჩემი თავი? არ შეიძლება! - უთხრა ფხორამ.

- სხვაფრივ თუ ვერა, ხეს გავჭრი კბილით, მაგრამ ეს ოხერი კბილი არ უდგება არსაიდან, - მიუგო ფიცხელამ.

დიდ ვაებაში და საგონებელში ჩავარდა თაგვების გუნდი. ზოგნი ლოცულობდენ და ღმერთს ეხვეწებოდენ, დაეხსნა გაჭირვებიდან მათი თანამოძმე. სხვანი გარედან მახის მავთულებსა ღრღნიდენ, ტყუილად თავ-პირს იმტვრევდენ. გათენდა კარგად. უნდა წასულიყვენ თავ-თავიანთ ბინაზე. მაგრამ ფიცხელას მარტოდ-მარტო, უნუგეშოდ, უპატრონოდ დატოვება ემძიმებოდათ.

ამ დროს ნემსა მისდგომოდა ფრცხელას, ჰბაქავდა და საყვედურით ავსებდა.

- ჰეეე, ახია შენზედ! გეგონა შეგრჩებოდა, იმ დღეს რომ კაკალი მომტაცე და შეექეცი. ვერ ამოგშხამდა!.. ვენაცვალე ღმერთს, შენი ჯავრი რომ ამომყარა, გამობრძანდი რაღა, თუ კაი ბიჭი ხარ! - ეუბნებოდა ნემსა ნიშნის მოგებით.

- გამოვიდე? მაშ შენ გგონია, სულ აქ ვიქნები? ვაი დედიშენის ღმერთს, თუ გამოვედი! მაშინ მიცნობ, როგორი ფიცხელა ვარ: იქნება შენი ქათიბის ბეწვი ნიავს აქეთ-იქით მიჰქონდეს. გიხარიან, რომ დავემწყვდიე? მოიცა, ჯერ გავთავისუფლდე და მაშინ ნახავ შენს სეირს! - ეუბნებოდა გაბრაზებული ფიცხელა. ცქმუნამ ვეღარ მოითმინა და ნემსას თავში თათი ჩაჰკრა.

- განა ისეც დაეცა ფიცხელა, რომ შენც მაგას ეუბნებოდე,

შე წუპაკო, შენა! განა ეხლა დროა საყვედურისა? დაიკარგე აქედან! - შეუტია ცქმუნამ. სხვა თაგვებიც ასევე მოეპარენ ნემსას და გააძევეს იქიდან.

თაგვები ბჭობდენ, როგორ ეშველათ ფიცხელასათვის, როგორ დაეხსნათ იგი საპყრობილედან.

- ძმებო, ამხანაგებო! - დაიძახა ბოლო დროს კუდამ: - მე ძალიან კარგი, კარგზე კარგი ხერხი მოვიგონე; თუ თქვენც დამეთანხმებით, ვცადოთ და, თუ არ გამოდგა, ჩამქოლეთ.

- სთქვი და! თუ მოსაწონია, ჩვენც აქ მზადა ვართ, დაგეთანხმოთ, - სთქვეს თაგვებმა.

- მე, იცით, რასა ვფიქრობ, - განაგრძო კუდამ, - ეს რაღაც წყეული მანქანა შემოიტანა ამ ჩვენს სანადიროში შეჩვენებულმა ადამიანის ხელმა, რომელმაც შეიპყრო

ჩვენი ძვირფასი ძმა და მეგობარი, სახელოვანი ფიცხელა, უნდა აქედან გადავკარგოთ. შევებნეთ ყველანი შიგ, შინ ავათრიოთ და იქ დავლეწოთ, დავამსხვრიოთ, რომ ერთი ნამცეცა ნაჭერიც არსად მოიპოვებოდეს მაგისა ამ მიდამოში, თორემ განა მარტო ამ ზარალს გვაკმარებს? ბევრს სხვას უმეცარს ჩვენის ტომისას იმსხვერპლებს ეგ მანქანა.

- მართალია, მართალი! ყოჩაღ, კუდავ! - დაიგრიალეს თაგვებმა ერთხმად: - მშვენიერი აზრია, მშვენიერი! - ფიცხელასაც ამ საუბარზე მეტი გული მოეცა და უფრო მამაცად და მარდად დაიწყო სათაგურში სირბილი და ზედ ბღოტიალი. - აბა შეუდგეთ საქმეს; დაგვიანება ხელს არ მოგვცემს: მოგვასწრებენ და ავს დღეს დაგვაწევენ. - თაგვები ერთად მიეხვივნენ სათაგურს. ცელქამ ჩასჭიდა კბილი კუდზე, ცელქას ფხორა მოეჭიდა, ფხორას - კუდა, კუდას - ცქმუნა, იმას სხვა, იმას სხვა, და გაიჭიმა

გუთნეულ ხარ-კამეჩებივით თაგვების გუნდი.

- აბა გასწით, ბიჭებო, გასწით, თქვენს ღმერთს ვენაცვალე! - აქეზებდა შიგნიდან ფიცხელა! - დაიძრა, მივდივართ, შინ მივდივართ! - მართლაც, თაგვებმა ერთს გოჯზე გაათრიეს სათაგური და უფრო გამხნევდენ.

- ნუ გეშინიან, ძმაო ფიცხელავ! მოკვდეს ფხორა, თუ მტრის ხელში ჩაგაგდოს! - უთხრა ამან ფიცხელას, როცა თაგვებმა სულის მოსათქმელად შეისვენეს. - შეისვენეთ, დაისვენეთ, უფრო კარგად გასწევთ! - ეუბნებოდა თაგვებს ფხორა.

- ეს რა კარგი რამ მოიგონა კუდამ, ვერ უყურებთ?!. - ამბობდენ თაგვები: - მეტის მოგონება შეუძლებელია!.. - კუდა თავმომწონედ ულვაშებს აცმაცუნებდა.

- მაშ თქვენ გეგონათ, მე თავში ბზე მიყრია? არა,

ძმობილებო, მეც ჩემი ჭკუითა ვცხოვრობ. იცით, რა ოინები გამიწევია, სად გამძვრალვარ, სად გამომძვრალვარ, სად გადამხტარვარ?! მე ეს კუდი სათაგურმა არ მომაკვნიტა? ის სულ სხვანაირი იყო, მაგრამ გამოვუსხლტი მაინც ცოცხალი და დავიძარ. მას შემდეგ ე მაგისთანა ოჩხომაჩხო რაც შემეჯახება, მუდამ გზას ვუქცევ, ვერიდები. ან კი ძალად თავი რად უნდა გაიფუჭოს კაცმა! გიჟი ვარ? კაკლიანს, თხილიანს კოდში ან გოდორში შავძვრე! რა ჭკუა იყო, რომ ერთი ლებანისათვის ფიცხელამ თავი გაიფუჭა?!

- თუ ჭკუა არ იყო, ვაჟკაცობა ხომ იყო? - სთქვა სათაგურიდან ფიცხელამ: - მაგის მეტი რა გეთქმით ან კი? ვაჟკაცის გული სულ სხვაა, თქვენ რა ვაჟკაცები ხართ მერე? სათაგური რომ დასხლტა, თქვენ დაფთხით: გეგონათ, უკან გამოგეკიდებოდათ; მაგრამ უნდა გენახათ, მე როგორი ომი ავუტეხე და როგორ გადავკაწრე

მავთულები... მაშ!

ის იყო გათენდა, როცა თაგვებმა სათაგური თავიანთ საძრომ-სათარეშო ხვრელთან მიათრიეს და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ წრიპინებდენ, წრუწუნებდენ, ამხნევებდენ ერთიმეორეს, ბეჯითად გაეწიათ და აეთრიათ სათაგური, მაგრამ ვერაფერს ხდებოდენ. ვერ მოისაზრეს, რომ სათაგური ხვრელში არ გაეტევოდა, და მაინც თავებს აკლავდენ.

IV

მღვდელმა წირვა ჩვეულებრივზე ადრე გამოიყვანა: ასე თერთმეტი საათი იქნებოდა, რომ საყდრიდან ხალხი გამოიშალა. წირვაზე მხოლოდ ესტატე და მისი რძალი სოფიო იყვნენ. ეფემია-კი სახლში მზარეულობდა, სტუმრებს მოელოდა. ჩვეულებისამებრ ამ საუფლო დღეს ძია ესტატე უსტუმროდ არ დადგებოდა. ეფემიამ

ყველაფერი მოამზადა. ღვინოც ამოიღო ქვევრიდან დოქებში და აგერ ესტატეც გამოჩნდა თავის სტუმრებიანად. წინ მღვდელი, მოხუცებული მაქსიმე მოდიოდა, წითელს ბზის ჯოხს მოიბჯენდა, თეთრი წვერი გულ-მკერდზე სცემდა, გაჟინჟღილებული სახით მხიარულად მოლაპარაკობდა. იმას გვერდით მოსდევდა დიაკვანი, მასწავლებელი სპირიდონი, "ატსტავნოი" კაპიტანი მიხეილი. რუს-ოსმალეთის ომის დროინდელი გმირი, რომელიც სოფლად ცხოვრობდა თავის მამულში და თავის სიცოცხლეს ატკბობდა, გუნებას იხალისებდა წარსულის მოგონებით, გლეხებთან თავის ვაჟკაცობაზე და გმირობაზე საუბრით. იმათ მოსდევდა რამდენიმე გლეხკაცი. ეფემიამ, დაინახა რა მომავალი სტუმრები, მაშინვე შეუდგა სუფრის გაშლას და გადაფინა ტახტზე გრძელი, ლურჯი სუფრა, დაალაგა პურები, დადგა შუა სუფრაზე "ბლუდი", რომელზედაც ჯერ ისევ ორთქლი ასდიოდა აღმა ფეხებაშვერილს დედალს; ჩაამწკრივა

ბოთლები; დაალაგა სხვადასხვა სანოვაგე. აგერ სტუმრებიც შემოქუჩდენ დერეფანში და აუტეხეს ფეხებს ბრახა-ბრუხი: იყრეინებდენ ფეხსაცმელებიდან თოვლს და ტალახს.

- მობრძანდით, ბატონებო, მობრძანდით, არაფერი უშავს, ნუ შესწუხდებით, იატაკი არ გაფუჭდება, - უთხრა სტუმრებს ეფემიამ, რომელიც წინ გაეგება და გულმოდგინედ ეპატიჟებოდა სახლში.

- მოგვილოცნია დღესასწაული, დაესწარით მრავალს მეუღლით, შვილებით! - ულოცავდენ სათითაოდ სტუმრები.

- გმადლობთ, თქვენიანად! - უპასუხებდა დიასახლისი და თან თავს უკრავდა ყველას.

- აბა მზადა ხარ, ეფემია-ქალო?! - დაეკითხა ესტატე

მეუღლეს: - გვშიან, აი, მამა მაქსიმე სულ მუდამ იმას გვიბრძანებს ხოლმე, პური და ღვინო ახარებს გულსა კაცისასაო, - დააბოლოვა სიცილით ძია ესტატემ.

- ღვთის მოწყალებით ყველაფერი მზად არის, - წარმოსთქვა ეფემიამ.

- ოღონდაც რომ ახარებს, - სთქვა მამა მაქსიმემ და ესევე გაიმეორეს სხვებმა. მიიპატიჟა ესტატემ სტუმრები სუფრაზე და ესენიც დალაგდენ, ზოგნი მუთაქაზე მოკეცით, სხვანი ჩიკებზედ. არყით დაიწყეს. თამადობა ყველამ ესტატეს მიულოცა, ჯერ ერთი - როგორც ნაკურთხს, საზოგადოების ამორჩეულს, და მეორეც - როგორც მასპინძელს. ესტატე პირველად უარზე დადგა, ბოლოს დასთანხმდა. გაჩაღდა სმა-ჭამა. ძია ესტატემ პირველ სადღეგრძელოსთანავე მრავალ-ჟამიერი შემოსძახა.

თაგვები რაღას შვრებოდენ?.. - ეწეოდენ სათაგურს, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, თან ადამიანებზე, იმათ ქეიფზე ბრაზობდენ: ჩვენ ვტირით, ეგენი იმღერიანო. არაჩვეულებრივი ფეხების ფხაკუნი ასტეხეს, თან სხვადასხვა სუნი აბრაზებდათ. განჯინა, როგორც უწყით, იქვე ტახტის თავში იყო, ასე რომ ძია ესტატე განჯინის ძირითა პირს თავს ახვედრებდა. სტუმრები და მასპინძლები კარგად შეზარხოშდენ.

- ქალო, ეფემიავ! - დაიძახა ესტატემ, - ამ განჯინაში რაღაც ამბავია.

- დამიდგა თვალი! - წარმოსთქვა ეფემიამ და ორი თითი მიიდო ტუჩებზე გაკვირვების ნიშნად. - ფაცა-ფუცში სათაგური როდიღა მომაგონდა: უეჭველად თაგვი გაებმებოდა, - წარმოსთქვა ეფემიამ და გაემართა განჯინისაკენ.

- განა ერთი, დედაკაცო, აქ ისეთი ხმაურობაა, რომ იქნება ასი ერთად დაგიჭიროსთ სათაგურმა, - სთქვა ესტატემ.

- ხმაურობა დიდი ხანია ისმოდა, მაგრამ ყურადღება არ მივაქციეთ, - სთქვა მასწავლებელმა და სხვებმაც შეუმოწმეს.

ეფემიამ განჯინა მარდად გააღო; სათაგურს სწრაფად ხელი დაატანა. შიგ თაგვი შენიშნა; ხოლო სხვა თაგვები ვერ დაინახა, რადგან განჯინაში ბნელოდა. სათაგური გადმოიღო და აი საკვირველება! - მთელი აკიდო თაგვებისა თან გადმოჰყვა: ცელქა, ფხორა, ცქმუნა, კუდა, ეცა, ბეცა და სხვანი მრავალნი. ამ სურათზე ყველამ თვალები სჭყიტა, ჭიქები ხელში გაუჩერდათ და პირღიად დაუწყეს ცქერა. თაგვები მაგრა ჩასჭიდებოდენ ერთმანეთს ამხანაგის საშველად. მაგრამ რადგან შველა აღარ შეიძლებოდა, უშვეს ხელი ერთმანეთს: ზოგი აქეთ ეცა, ზოგი იქით. ცელქამ მღვდელს ღვინიანი ჭიქა

დააქცევინა და ამანაც: “აი შე წყეულოვო”, მიაყოლა თან; კუდა მასწავლებელს გადაახტა თავზე, ცქმუნა კაპიტან მიხეილს მიახტა ზედ გულზე და იმან ხმლისკენ წაიღო მტრის მოსაგერებლად ხელი ჩვეულებისამებრ, მაგრამ ამ დროს ზედ არ შერჩა; ფხორა მამასახლისის წვნიან ჯამში ეცა და სულ დაიბუგა ფეხები. ბეცა თვალ-პირში ეცა ღნავალას, რომელსაც გზირი სოსია სთავაზობდა გამოხრულ ძვლებს, მაგრამ იმან, თითქოს აქ არაფერიაო, ყურიც არ გაიბერტყა.

ასტყდა სახლში აურზაური: “ჰაი თქვე წყეულებო!” “დაგწყევლოთ ღმერთმა!” “ვაჰ, რა ამბავია?” - გაისმა აქეთ-იქიდან, ქეიფის ნირი გააფუჭეს თაგვებმა. თუმცა ეცინებოდათ სტუმრებს, მაგრამ თანაც სწყინდათ: მასხარად გვიგდებენ, თუ რა არისო. თაგვებმა თავს უშველეს; დარჩათ ხელში მარტო ფიცხელა, და მოინდომეს იმაზე ჯავრის ამოყრა. მოითხოვეს სადგისი.

უნდა დაეჩხვლიტათ. ეფემია ყველაზე მეტად ბრაზობდა. ფიცხელა აღარ ინძრეოდა; გაფითრებული დაბლიდან აძგვლენდა საბრალოდ თვალებს. გადაწყვეტილი ჰქონდა თავისი ბედი. “ააჰ, რაზბონიკ!” - გადაუტრიალა თვალები მიხეილმა. ყველა იმ აზრზე დადგა, რომ დაეჩხვლიტათ ფიცხელა, მოეკლათ სათაგვეთის გამოჩენილი გმირი და ისიც გულჩათუთქული, მუხლმოკვეთილი მოელოდა სიკვდილს. დაუპირეს ფიცხელას მოკვლა, დაჩხვლეტა, წამება, მაგრამ მფარველად ესტატე დაუდგა.

- არა, ბატონებო, მე, როგორც თამადა, ვათავისუფლებ თაგვს, რადგან დღეს საუფლო დღეა, და ეგ თაგვიც ალბათ რითიმე შესანიშნავია, რომ თავის თანამოძმეთა თანაგრძნობა მოუპოვებია. ხომ ნახეთ, როგორ ეშველებოდენ თაგვები და უნდოდათ მისი გათავისუფლება. უნდა გავათავისუფლოთ! ზოგი ღვთის გულისთვის, ზოგიც მე მიხათრეთ! - რა გაეწყობოდა,

დაეთანხმენ ძალაუნებურად ესტატეს, და ეფემიამ ფიცხელა სათაგურიდან გაუშვა გარეთ თოვლში, რომ ეგები იქ მაინც მომკვდარიყო. ფიცხელა ფხაჭა-ფხუჭით გარბოდა, თოვლისას ბუქს აყენებდა და გამალებული ეცა ბეღლის ქვეშ... როგორ უხაროდა! ახლა რას ეტყოდა თავის ამხანაგებს, რამდენს ტყუილს შეხანხლავდა!..

სტუმრები ჰკვირობდენ თაგვების ამგვარ ერთმანეთისადმი შებრალებას და თანაგრძნობას. მასწავლებელმა ეს განმარტა და რამოდენიმე მაგალითი მოუყვანა ფრინველებისა და ცხოველების ცხოვრებიდან...

ქეიფი განახლდა. ესტატე განაგრძობდა სადღეგრძელოებს; თაგვები დაეძებდენ ერთიმეორეს...

როცა ესტატემ და მისმა სტუმრებმა გაათავეს ქეიფი, თაგვებმა სწორედ მაშინ დაიწყეს. შეიყარნენ საღამოზე ერთად, დაჰკრეს დაფს, დოლს, დაირას, დუდუკს,

ზურნას; ლეკურს თამაშობდენ, მღეროდენ, ფიცხელას ცაში ისროდენ, ხელზე იქორქორებდენ; ეს უკანასკნელი ბაიათებს ამბობდა, ამაყად გამოიცქირებოდა, გამარჯვებას დღესასწაულობდა.

1908 წ.

ეინტერესებოდათ.

სკამებზედ.

ტრედები

გაზაფხულდა. ჯეჯილები გაბზინდა, თოვლის წყლებმა დაიწყეს ცელქად დენა მინდვრად და ხევებში. ზღვამაც ფერი იცვალა, გაისქელა ქედი. მისნი კიდენი, ხშირჩალიანნი და ზამთრისაგან გაყვითლებულნი, ამწვანდენ. ღამდებოდა. ის-ის იყო, რომ ზღვის იქიდამ დაღალულ-დაქანცული ორი ტრედი მოფრინდა და ზღვის პირად დაჯდა. დედა-შვილსა ჰგვანდენ. ნისკარტი-ნისკარტს გადაადვეს, საკმაო ხანს ჩუმად ისაუბრეს და მერე ორივეს დასთვლიმა... დედა-ტრედს გამოეღვიძა და ამოიკვნესა.

- რად ამოიკვნესე? - ჰკითხა შვილმა.

- ცუდი სიზმარი ვნახე: გზაში თოვლმა მოგვასწრო, ჯანღი

ჩაგვიწვა, გზას ვეღარ ვიგნებდით, ბინა დაგვითოვლა, მარცვლებს ვეღარა ვშოულობდით. შიმშილი გვკლავდა. ერთს დათოვლილს ხეზე დავსხედით, შტოები გაყინული ჰქონდა. ზედ ყინული დაკიდებული და ჭირხლი მოკიდებული იყო, ყინვისაგან ტყვრებოდა; გვაკანკალებდა ტანში, საშინლად ცუდად ვიყავით, თავს ცუდად ვგრძნობდით, ცრემლი გვდიოდა მე და შენ ორივეს. ხუთი მონადირე ხუთის მხრიდან მოგვპარვიყო. თოფები გვესროლეს. შენ ბუმბული გაგადინეს და ძირის ნისკარტის წვერი მოგტეხეს. მაგრამ ორივენი ცოცხლები გადავრჩით - გავფრინდით, მაღლა-მაღლა ვიწევდით და ისე მივფრინავდით, ცოდვიანს დედამიწას ვშორდებოდით, ვშორდებოდით მტრის თვალსა და გულს. დავოსდით, დავიღალენით. ღმერთმა გვიბრალა, ცამ გადიყარა, მზე მოფენილიყო, ხეები, დედამიწა წითლად, ყვითლად და მწვანედ დაფარული გაჰღუოდა. ყანებს თავთავი დაეხარა, ეტყობოდა, კარგი მოსავალი

იყო. დაგვცხა და ერთის ველის პირას ვერხვზე დავსხედით. გახურებულთ ნიავმა დაგვბერა, ვერხვის ფოთლებმა თრთოლა დაიწყეს... აქედამ ვნახე ჩვენი ადგილი სოლჭა, სადაც ბუდე მაქვს გაკეთებული, სადაც შენ გაგზარდე. გუნება გამინათლდა, მინდოდა ჩქარა მივსულიყავით, დაგვეთვალიერებინა ჩვენი ბინადრობა, ჩვენი სახლ-კარი. ჩქარაც მივედით. ქორაფის ტოტზე დავსხედით. შენ, შვილო, კარგად არ გეხსომება ის ქორაფი. ბუდე მთელი დამიხვდა, ღუღუნი უნდა დამეწყო. მიხაროდა, ძალიან მიხაროდა, რომ მთელი ვნახე კიდევ ჩვენი ბუდე. მაგრამ უცბად ლეგა ფერისა რაღაც გაინძრა ბუდეში, თავი გადმოჰყო, ცეცხლივით თვალები შემომაფეთა; ქორი იყო, იმას დაესაკუთრებინა ჩვენი ბინა. მომეტანა, გამოქანებულმა დამკრა ბჯღალი და ჩამომაგდო დაბლა. ახლა შენ მოგიბრუნდა. შენ, შვილო, გაუფრინდი, ქორი გამოგეკიდა. ვკვდებოდი, თვალებს ვხუჭავდი, მაგრამ მაინც კიდევ გხედავდი, რომ გწეწდა

და გგლეჯდა, შენს ბურტყლს პირიდამ ისროდა, რომ ხორცისათვის თან არ ჩაეყოლებინა. შემაშინა ამ საშინელმა სიზმარმა და ჯერაც გული მიკანკალებს.

გაათავა დედა-ტრედმა სიზმრის საუბარი. შვილი დინჯად, ჭკვიანად ყურს უგდებდა დედას. ცისკარი ამოსულიყო და მოწმენდილს ცის კიდეს ამშვენებდა. სინათლემ თანდათან იმატა, აღმოსავლეთი გაწითლდა. იგი ნაომარს ადგილს ჰგავდა, სისხლით გადალესილს... ტრედები ხშირის ბალახიდამ გაგოგდენ, მხრებიდამ ნამი გაიბღერტეს, ახლო ხნული დაუხვდათ წინადღეს დაფარცხული. ფარცხი ნახნავში ეგდო, ოროლი მარცვალი აკენკეს და უცებ შეჩერდენ. კვალში უცხო რამ სანახავი დაინახეს. აქ საშიში არაფერი იყო, მხვნელს დაჰვიწყებოდა ძველი დაგლეჯილი გუდა და უარესად დაძველებული ქალამნები, ხუთგან ამოგლეჯილი ნაბდის ქუდი და ჩოხის ნაგლეჯი. მალე გაარჩიეს სურათი და ისევ

თამამად დაუწყეს მარცვლებს ძებნა. ხუთ-ხუთი მარცვალი კიდევ შეჭამეს, უცებ აიშალნენ და გამოსწიეს სამხრეთისაკენ.

ხნულს იქით გვერდზე პატარა ნაკადი ჩამოუდიოდა, ჩალა ჩაყოლებული ჰქონდა ნაპირებზე, ჩალებში უჩუმრად, გამტკნარებულად, მწუხარედ მიძვრებოდა ეს პატარა მდინარე. იმის ნაპირას ტირიფი იდგა. ტრედებმა ტირიფს თავზე გადაუარეს, იგი გადიზნიქა, მერე ისევ გასწორდა ტანში, მოიხვია ტოტები, უკმაყოფილოდ გააყოლა თვალი ტრედებს, თითქოს სწყინდა, რატომ არ მიკადრეს და ჩემს ტოტებზე არ დაისვენესო. ბაყაყებმაც, ტოტების მხრის ლაპლაპზე სანიაოზე გამოსულებმა, წყალში ჩქლაფა-ჩქლუფი გადიღეს და ხმა გაკმინდეს. იმათ იმათი მყლაპავი ბაყაყიჭამია ეგონათ. ტრედებმა ყურიც არ ათხოვეს ბაყაყებს და წავიდენ თავისთვის. ბაყაყებს გული მიეცათ, თანდათან ენა ამოიდგეს,

დაიწყეს კუტკუტი და მერე დაუკრეს გახურებული გალობა, თავიანთ ფიქრით ქვეყანაზე უსწორო სიტკბო-სილამაზით. ეტყობოდათ, მეტად გახარებულნი იყვნენ, რომ მარტო მოეჩვენათ და ნამდვილად მოსისხლე მტერი არ მოევლინათ.

ტრედებმა ერთი დღე იარეს ესე მშვიდობიანად. მზეს ერთი შუბის ტარი-ღა ჩაუდიოდა ჩასვლამდე. მთებს ჩრდილოები წამოეყენათ, თითო-ოროლა ხის გრილო გრძლად გაწოლილიყო. შუა მინდორზე ლურჯად მოლაპლაპე ტბა მოსჩანდა. ტრედებს წყალიც მოსწყურდათ და ტბისაკენ მიიწიეს. უცბად "ჭყურ" მოესმათ და ბალახიდამ ამოფრინდა მწყერი.

- მომიცადეთ ცოტა ხანს, ღმერთი მშვიდობით მგზავრობას მოგცემთ! - მიაძახა მწყერმა ტრედებს.

- რა გინდა, დაო? - ჰკითხა დედა-ტრედმა.

- თქვენი სიცოცხლე და თქვენი კარგად ყოფნა, თქვენ გენაცვალოთ ჩემი საწყალი თავი, - მიუგო მწყერმა დასუსტებულის ხმით. - თქვენთან მამგზავრეთ, თუ გწამთ მაღალი ღმერთი, თუ გწამთ მთა-ბარობის მადლი!.. დაკოდილი ვარ და ნუ გაგიკვირდებათ, შებრალება გმართებთ. მგზავრობას ხიფათი თან დასდევს. მერე ჩვენა, დაო, მწყრებს ბევრი მტერი გვყავს. იმ ცოლ-შვილამოსაწყვეტმა მიმინომ დამკოდა. მწყრის გუნდს მოვუძღვებოდი წინ. უხეირო ალაგას გაგვითენდა, უბალახოს, ვერსად დავსხედით, თენებამ მოგვასწრო. ადგილის ძებნაში მომესია ის შავი და ბნელი მიმინო, დამკრა ბჯღალი და ჩამომაგდო დაბლა. ამხანაგებმა მიღალატეს. მარტოკა გამწირეს, რომ იმათთან მგზავრობა ვეღარ შევიძელ. თავი დამანებეს უპატრონოს, უამხანაგოს ამ უალაგო-ალაგას. აი ჩემი წყლული. - მწყერმა უჩვენა გადაპტვნილი და გასისხლიანებული კეფა. - გული მილბება, დაო, მხრებში ძალა აღარა მაქვს.

მივფრინავ. მინდა მოვეწიო ჩემს ამხანაგებს, მაგრამ ვაი ამისთანა ფრენას! ტყუილია, მე იმათ ვეღარ დავეწევი, ისინი დაბინავებულიც იქნებიან.

- ვაი, მოგიკვდეს ჩემი თავი, შე საწყალო! რა ავ-ენაობითა და სისუნაგით შეგვაწუხებ, დაო, რომ არ გაგიამხანაგოთ, - უთხრა დედა-ტრედმა. ორივე დედა-შვილები მიეხვივნენ მწყერს, წყლული გაუსინჯეს, შვილმა-ტრედმა თავის მხრის ფრთით თავიდამ ჩირქი მოსწმინდა და ისიც "საწყალო, საწყალო მწყეროვო" დასდუდუნებდა. დედა-ტრედი ბალახის საძებნად წავიდა, ნისკარტით ცხრაძარღვა ბალახი მოიტანა და დაადო მწყერს თავზე.

ტრედებმა მწყერს დაუცადეს. იგი ცოტა მოღონიერდა.

- როგორა ხარ, დაო?! - ჰკითხა დედა-ტრედმა და თან თვალებში ჩასცქეროდა.

- ეხლა უკეთა ვარ, - მიუგო მწყერმა: - ნეტავი ჩემს სამშობლოში მომკვდარვიყავი და აქ არა ვკვდებოდე. ვიმგზავროთ, იქნება ახლა-კი შევიძლო თქვენთან მგზავრობა.

- ვიმგზავროთ, - მიუგო დედა-ტრედმა. - შენ შუაში ჩაგვიდეგ: ჩვენ გეყოლებით ფარად.

ტრედები გაფრინდენ, მწყერიც უკან გაჰყვა. დედა-ტრედს თავისი შვილის ქცევა მოეწონა.

- მადლია, შვილო, ბარაქალა შენს ვაჟკაცობას! შებრალება გვმართებს ერთმანერთისა. იქნება ჩვენც დაგვადგეს მაგნაირი დღე. აბა ჩვენს თავზე ვიფიქროთ, როგორი საშინელი და საზარელი ყოფაა ყოფა უპატრონო, უმწეო სნეულისა: არავინ შემბრალე, არავინ მანუგეშებელი, არავინ ყურის მგდებელი.

ტრედები გაკვრით მიდიოდენ, ხოლო მწყერი-კი მალე დაიღალა და ბალახებში ჩაეშვა. ტრედებმა ეს ვერ შენიშნეს, მწყერი დარჩა ისევ გულმოკლულად. დაუძახა კიდევ ამხანაგებს, მაგრამ ხმა ვეღარ მიაწვდინა - ტრედები შორს წასულიყვნენ. მწყერმა ცრემლად ტირილი დაიწყო, უჩიოდა თავის შავსა და ბნელს ბედს. ბინდდებოდა კიდეც. მწყერი ათასში ერთხელ ამოჭუკჭუკდებოდა ტირილის ხმაზე, ეს ხმა უფრო კვნესისა იყო, ვიდრე ჭუკჭუკისა და მხიარულებისა, მაგრამ არავის ესმოდა, გარდა ნიავისა და თვალგადუწვდენელის მინდვრის მეტს.

ტრედებმა გვიანღა მოიკითხეს თავისი ამხანაგი, დაუწყეს ძებნა, მაგრამ ამაოდ. მეგობრის ძებნაში ტბას მიახლოვებულიყვნენ. ტბა მოსვენებით და შეუშფოთებლად იდგა, მხოლოდ გუნდ-გუნდად მოსული იხვები თუ შესძრავდენ იმის გულ-მკერდს,

როდესაც შიგ ჩაეშვებოდენ და ტალღას დააწყებინებდენ თრთოლა-ლიკლიკს. ტბა მშვიდობიანად იყო, მაგრამ ტბის ნაპირებზე ჩრდილოეთს მიმავალ წეროების გარს შემორტყმულს გუნდს აეტეხათ საშინელი ჟრიამული, უდიერი ხმაურობა, ხმაურობა ისეთი, რომ პირისპირ შეყრილს კაცებს კივილით უნდა ესაუბრათ და მაშინ თუ გააგებინებდენ ერთმანერთს თავის გულის პასუხს. გარეული ბატები მწკრივად და სისინით მისდევდენ მწვანე ბალახს და გაშმაგებით მისთიბავდენ.

ტრედებიც წეროების გუნდში გაერივნენ, ჩასხდენ ბალახებში. ამ დიდრონ ფრინველების გროვასთან ისინი ისე არაფრად სჩანდენ, როგორც ზღვის კიდეზე დაცემული წვიმის ცვარი ზღვასთან არაფრად გამოჩნდება. ამჟამად ტრედები თავის ამხანაგს მწყერს ჰგვანდენ, მხოლოდ იმ გარჩევით, რომ პირველს მხოლოდ მინდვრის ბალახი სთქამდა და მეორეებს წეროებისა და

ბატების გუნდი. ამასთან ესენი გულდამშვიდებით იყვნენ, ამათ იმედი ჰქონდათ ამ დიდის ტანისა და მშვიდის ფრინველებისა. ამათ ქორი ვერ მოერევაო, ფიქრობდენ ტრედები: ამათი ძალა ჩვენც შეგვინახავსო. მაგრამ ტრედები მოულოდნელად დაღონდენ, რა დაინახეს, რომ ერთს წეროს დასჯდომოდა რაღაც დიდი, ლეგა ფრინველი. იმას ჩაევლო წეროსთვის დიდრონი კლანჭები, სქელის წვივ-ფეხით განზე გაებოტა. დიდრონს თვალებს აბრიალებდა, ავლებდა გარშემო, თან გულზე ჰგლეჯდა ჩამოხვეულის, მოკაუჭებულის ნისკარტით ბუმბულს და აქეთ-იქით ისროდა. ტრედებმა ეს ფრინველი ვერ იცნეს, თუმცა ქორსა ჰგვანდა, მაგრამ ქორი არ იყო. წეროებმა ერთი ვაი-ვაგლახი ასტეხეს, შეჰქმნეს ალიაქოთი, შეძრწუნებულნი სწორედ ჰგოდებდენ. აიშალნენ, აირივნენ ჰაერში და იძახოდენ: “არწივი, არწივიო!”..

ტრედებმა ეხლა გაიგონეს და დაისწავლეს არწივის სახელი. შესწუხდენ, სიცოცხლემ უფრო დააღონა. კანკალი მოჰკიდა ტანში. ჩალის ჯგუფი იყო იმათ ახლოს, შეძვრნენ იმაში, გაეკვრნენ, სწორედ დაეწებნენ დედამიწას, თავი თავთან მიდვეს და დუდუნებდენ: "თუ დავიხოცებით, ერთად დავიხოცნეთო".

შვილმა-ტრედმა სიზმარი ნახა: მთელი ქვეყანა არწივებით ავსილიყო, ყველგან ისინი მოჩანდენ, ყველგან ისინი ბუმბერაზობდენ, გასავალი აღარსად იყო. დედა-შვილი ერთს ადგილას დარჩნენ და ვერც წინ წასულიყვნენ, ვერც უკან დაბრუნებულიყვნენ. არწივებს მოესრათ მთელი ფრინველები და იმათის სისხლით მოესვარათ ქვეყანა, ფეხებს ურევდენ ფრინველის ტვინამოწოვილს თავებში. ყველაფერი არწივებს ჩაეყლაპათ. ტრედებსაც დასტრიალებდა რამდენიმე არწივი თავზე. ისინი ღმერთს ევედრებოდენ: "ღმერთო, გვიშველე, ღმერთო, გვიშველე,

ნუ ჩაგვაგდებ მაგათ ხელშიო”! ერთმა ვითომ შენიშნა ტრედები და დაექანა იმათკენ. შეშინებულს ტრედს გამოეღვიძა და შესძახა: “ვაჰმეო!”

- ვაი დედაშენს, შვილო, რა იყო, რა ამბავია, რად ამოიკვნესე? - ჰკითხა დედა-ტრედმა თავის შვილს.

- არაფრად, ცუდი სიზმარი ვნახეო, - უპასუხა შვილმა და უამბო სიზმარი.

ნამდვილად ისე არ იყო ბუნებაში, რაც ტრედს ესიზმრა: დაღამებულიყო. გრილი ნიავი მოღუღუნებდა ტრიალს მინდორზე და ათასში ერთხელ შორით მოჰქონდა წეროს ძახილი. ტრედების ახლოს მწყრის ჭუკჭუკი მოისმა. ტრედებს ეს ხმა თავის ნაამხანაგარ, დაკოდილ მწყრის ხმა ეგონათ და გასწიეს იქითკენ, საიდამაც ხმა ესმოდათ. მწყრის გუნდი ყოფილიყო და ერთი უფრო თამამი და თავხედი მწყერი ჭუკჭუკებდა. მწყრებს ტრედების ნაზი

სიარული მელის პარებად მოელანდათ, აიშალნენ და ფრთხილად გასწიეს. ტრედებმა იწყინეს. იმათ საუბარი ეწადათ მშვიდობიანს, წყნარს ფრინველებთან, ამბის გამოკითხვა, თუ როგორი მგზავრობა ჰქონდათ, უცხო ამბების გაგება და ამით გულის გადაყოლება. ტრედებს აღარაფერი არ აშინებდათ. ერთხელ მარტო ზარნაშომ გადაიარა, ამ ღამის ქურდმა და გუშაგმა, ღამის დადგომისათვის ღვთის მავედრებელმა, მხოლოდ იმიტომ-კი, რომ თავისი ოხერი მუცელი ამოჰყოროს. გადაიარა ზარნაშომ, დაიღუპა სიბნელეში და ვერ დაინახა ტრედები. ზარნაშო იყო საშინელება ღამისა და იგიც დაიკარგა. ტბიდამ ისმოდა ხანდახან იხვის ყიყინი, წყალზე იმის მხრის აჩქამება, ტბის ტალღის შემონჩქლევა ნაპირებზე. დედა-შვილთ დედა-შვილურად ტკბილად ჩაეძინათ. დილით დილის ბინდს გაჰყვნენ თან. დედა-ტრედი, რამდენჯერაც დაისვენებდენ, ან რამდენჯერაც გაემართებოდენ, თავის ბუდეს იგონებდა. ბუდე იმის

გულის წყლული იყო და სტკიოდა ეს წყლული.

- ვინ იცის, შვილო, როგორი დაგვხვდება ჩვენი ბინა, - უთხრა დედა-ტრედმა შვილს.

- მე აღარც კი მახსოვს, დედი, სად და როგორი იყო ჩვენი ბინა, როგორ ადგილსა ვდგევართ, არაფერი მახსოვს, - უპასუხა შვილმა.

- ლამაზს ადგილასა ვდგევართ, შვილო, - განუმეორა დედა-ტრედმა. - ხშირს, უდაბურს ტყეში, გორაზე დგას ქორაფი და ჩვენი ბუდე იმაზეა გაკეთებული. იქვე ცივი წყარო გამოდის, სიცხეში გულის გამაგრილებელი. იქა ხარობს ბევრი დუდგულა. იმის ყვავილის გემო იქნება აღარც კი გახსოვს. იქვე ბევრი ბალია, ბევრია მწერი... იქ სიცხე არ შეგვაწუხებს. ბინაზე ახლოა მატალა, მუჯები, მლაშე წყლები და მლაშე ქვიშა. ღმერთმა თუ მშვიდობით მიგვიყვანა, ჰნახავ, შვილო, და იქიდამ წამოსვლა აღარ

მოგინდება.

ტრედები გაემგზავრნენ. დღეს ერთი კვირა შეუსრულდათ მგზავრობისა. არც ეს დღე იყო ამათთვის მშვიდობიანი. მინდორი კიდევ წინ სავალი დიდი მოჩანდა. ერთს ადგილს პატარა კურუმი ტყე იყო. იმ ტყეს რომ მიუახლოვდენ, ალალმა წამოუქროლა, ტრედები ძირს დაუსხლტნენ და ვერაფერი დააკლო. მეორედ შემოუტია, ტრედები აღმა წამოვიდენ და თავზე მოექცნენ. მიესია ალალი გაბედულად, ის-ის იყო შვილი უნდა დაეჭირა, მაგრამ ტრედებმა ტყეში შეასწრეს და ხშირს ფოთლებში ჩაიმალნენ. ჩამოცხა. დაბლა დაიხედეს და ძირიდამ ცივი წყალი ამოჩუხჩუხებდა. ტრედები ჩაფრინდენ, გული გაიგრილეს, პირი დაიბანეს, დაისვენეს და წავიდენ ტყვიასავით პირდაპირ.

მინდვრის მიწურულში დიდი მთა მოჩანდა. შუა წელიდამ თხემამდე მთა თეთრის თოვლით იყო

გალესილი... დაბლა კალთები კი ამწვანებული ჰქონდა. ტრედები ამ მთას ვერ აუქცევდნენ გზას, ეს მთა უნდა გადაევლოთ აუცილებლად. მინდვრის ბოლოს რომ გავიდენ, სანამ მთას შეუდგებოდენ ძირს ბარდიანი ჭალა იყო და იქ დაისვენეს... ტყიდამ გამოჩნდა თავმომწონე, კალთაგანიერ შლიაპით მონადირე. წინ ძაღლი მოუძღოდა; თავი ძლიერ მოსწონდა ვაჟკაცს, თუმცა კი ერთის ტოროლას მეტი ჩანთაზე არაფერი უჩანდა. მოეპარა ტრედებს და მოაწოდა თოფი. ორივე ლულიდამ ესროლა, მაგრამ ტრედებთან არაფერი მივიდა. ტრედებმა სისინით თავზე გადაუარეს შერცხვენილ მონადირეს და ნახევარ მთაზე ავიდენ. ამ დროს თხემი მთისა გაიბურა ნისლით, დაუცადეს ნისლის აყრას, კლდის კინჭუხზე დასხდენ... გამხმარი ბრძამი და ქუჩი ეკიდა აქა-იქ იმათ წინ. უცხო ხმა შემოესმათ, ცის ჭექას ჰგვანდა, ლაწალუწი ისმოდა იმათ დაბლა კლდეებით, ქანჩახებით გაჭედილ მიდამოში; კლდეები გამოხმობას აძლევდენ, ხმას უფრო

აძლიერებდენ. შვილი-ტრედი გაოცებით ყურს უგდებდა ამ ხმაურობას.

- ჯიხვებია, შვილო, - სთქვა დედა-ტრედმა.

- მერე რით გამოსცემენ ეგენი აგრეთს ხმაურობას? - ჰკითხა შვილმა.

- დამფრთხრები არიან, ვიწროს ადგილს შეიყარნენ ალბათ, გასავალი აღარა აქვთ და ერთმანერთზე გადადიან. რქებს ახვედრებენ ერთმანერთს და ლაწალუწი იმისაგან არის.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, მიზეზი ჯიხვების დაფრთხობისა თავზე წასდგომოდათ. ეს იყო მონადირე სულ სხვა ჯურისა. ტანზე ეცვა ჯიხვის ტყავი, თავზედაც ნადირის ჩამოფხატული ქუდი ეხურა, ფეხებზედ წრიაპებით გამართული ბანდულები. იგი ქუჩზე და

კინჭუხებზე ხელის კიდებით მიებღატებოდა და ხელში შესალტული თოფი ეჭირა. მონადირემ სრულიად ყური არ ათხოვა ტრედებს, თავის გზას გაუდგა... მონადირე მიეშურებოდა ჯიხვებისათვის გზა შეეკრა, რომ სიმაგრეში არ შეესწროთ. ტრედებმა შენიშნეს, რომ მონადირე იმათ სამტროდ არ მოდიოდა, და არ აფრინდნენ.

- რა კეთილი კაცი ყოფილა, დედი, თოფი ხელში ეჭირა და ხმაც არ გაგვცა, - სთქვა შვილმა-ტრედმა.

- ეგ სხვა მონადირეა, შვილო, და ისინი სხვანი არიან, რომლებიც ჩვენ გვემტერებიან. ეგ ჩვენზე თოფს არ დასცლის. მაგან იცის, რომ ჩვენი მოკვლით ვერაფერს ირგებს და ცოდვას კი დიდსა სჩადის... სხვებმა არ იციან და არც დასდევენ სარგებლობას. იმათ სისხლი უყვარსთ, ჩვენი მოკვლა ვაჟკაცობად მიაჩნიათ...

ჯანღი აიყარა. წვერი მთისა უდიერად თეთრად

აყუდებული გამოჩნდა, მზეზე ვერცხლივით ლაპლაპებდა. დედა-შვილებმა გასწიეს და მთა მალე გადავლეს. მთის იქით სურათი სრულიად გამოიცვალა. დიდი მდინარე მოდიოდა, მშვენიერი ჭალა გამოჩნდა, სოფელი სოფელზე იყო მობმული, ბაღები ბაღებზე ასხმული; სიცოცხლით სავსე იყო ეს არე-მარე, სად ცხვარი და ძროხა იყო დაფენილი და გაჩაღებული სალამურის ხმა ისმოდა, სად - კივილი, მღერა და ხმაურობა. სად ურემს მოაჭრიალებდენ კამეჩები ზანტად, ზლაზვნით, კუდის მოქნევით. ბაღებში მუშაობა გაჩაღებული იყო. დიდი და პატარა გამოფენილიყო მინდვრად და აეჭრელებინათ აჭრელებულ-ამწვანებული ველები. წყალს პერანგიანი მებადური დამკლავებული მისდევდა. გაღმა ნაპირზე დორეზე რამდენიმე კაცი მიათრევდა მოსასმელს ბადეს. სოფლის გოგო-ბიჭებს დაეწნათ გვირგვინები, დაეკრიფათ ბლომად ყვავილები და სოფლისკენ მღერით მიდიოდენ. ტრედებმა თავზე გადაუარეს. მგზავრების

თვალები ტრედებს მიეპყრა და გაისმა: “ტრედები, ტრედებიო!”

ტრედები ჭალაში შეფრინდნენ და ერთს ხეზე დასხდენ...

- ოჰ, ძლივს არ დამისვენდა გული, - სთქვა დედა-ტრედმა და თან ამოიკვნესა.

- რაღად ამოიკვნესე? - ჰკითხა შვილმა.

- აგერ ის წვერხმელი მაჟალო რომ დგას, იმაზედ დაიჭირა ქორმა დედაჩემიო, - უპასუხა დედა-ტრედმა და თან ამოიკვნესა. - ბევრს ვეცადენით დაგვეგდებინებინა, მაგრამ ვერაფერს გავხდით. ღმერთმა უშველოთ, ასამდე მერცხალი დაეცა თავზე. მისდევდნენ მუდარით, ხვეწნით, ტირილით ქორსა, მაგრამ ამაოდ. წაგვართვა, წაიღო, იმ მზედასაბნელებელმა. აგერ-კი, აიმ ბოგირზე, ერთმა კაცმა მეორე კაცი მოჰკლა. მე მანამდე არ ვიცოდი,

თუ კაცები ერთმანერთს ხოცავდენ. მოჰკლა ცქრანტმა კაცმა ერთი დიდის ტანისა და სქელფაშვიანი კაცი იმავე იარაღით, რომლითაც ჩვენა და ჩვენ ძმებს გვდევენ მოსაკლავად.

შვილი სულგანაბული ყურს უგდებდა დედას.

- ეხლა ჩვენი ბინა შორს აღარ არის, - განაგრძო დედა-ტრედმა. - ვინ იცის, როგორ დაგვიხვდება, იქნება ჩვენი ქორაფი აღარც-კი იდგეს იქა? იქნება მოსჭრა კაცმა და წაიღო შეშად. იქნება ქარმა გადააქცია. ჩვენი ბუდეც ხომ დაიქცეოდა და დაიშლებოდა სულ ერთიანად. ვინ იცის, იქნება ელვამ დაჰკრა და დაარღვია?! - დედა-ტრედს გული თავის ბუდესთან მიურბოდა.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, ჩაჩაჩუჩი მოესმათ და დაბლა დაიხედეს: მელი მობრძანდებოდა, ღმერთს მოწყალება მოეღო მელის თავზე, ერთი ღალღა ეშოვნა, პირში ეჭირა

და მიჰქონდა. მეტად კმაყოფილის სახის გამომეტყველება ჰქონდა მელს, ეს ღალღა მეტისმეტად ალაღებდა. ულვაშები კოხტად აებზიკა, ერთი ულვაში ღალღას ფეხებზე ხვდებოდა, მეორე-კი თავზე. მელი ძლიერ თავმოწონებული იყო, თავი კეისარი ეგონა. ცბიერს, მელურს, გაიძვერა თვალებს აძვრენდა კიდეც ჯაგებში და ბალახებში: კიდევ უნდოდა შესაჭმელი რამ ეპოვნა. ტრედებს გაეცინათ მელზე. მელმა აიხედა, ტრედების კასკასი რომ გაიგონა, ტრედები დაინახა და შენიშნა, რომ იმაზე იცინოდნენ. ცოტა არ იყოს მელმა იწყინა.

- ხრჩობაო, - სთქვა მელმა და ღალღა ფრთხილად ფეხებთან დაიდო. - გაიცინეთ, თქვენმა მზემ, მე ვიცი, ქათიბით არ მაჯობოთ! არა, ვითომ რაო, რომ გაიცინეთ? ვითომ არ მოგეწონეთ, ჰო? რაში მოგეწონებათ თქვენ მელი ვაჟკაცი, ვაჟკაცობით განთქმული?! თქვენისთანა

ლურჯ-ხორცებს საჭმელად არც-კი ვიკადრებ, თქვე უბედურებო!..

ტრედებმა უფრო გაიცინეს. მელმაც სიცილი დაიწყო, რასაკვირველია, ძალაუნებურად.

- თქვენ, ჩემო საყვარელო ტრედებო, მხიარულადა ბრძანდებით, მეც მიხარიან, თქვენ რომ მხიარულადა გხედავთ, თქვენი მხიარულება მეც მამხიარულებს... კარგები ხართ, ტურფები, მაგ პატარას-კი უფრო კაი ქათიბი აცვია, მაგრამ ეს თქვენ ორივეს გჯობიათ, - მელმა უჩვენა ღალღაზე. - ჩამოდით, ვიცი, ნამგზავრები იქნებით, დაღალულები, მეწვიენით. აი ეს ღალღა ღმერთმა მომცა, თქვენც წილი გდებიათ.

- მეხი შენც დაგეცა და შენთან ჩამომსვლელსაც! - უპასუხა მაღლიდამ დედა-ტრედმა. - შენისთანა ქეციანი მელები ჩვენ ვერ მოგვატყუებენ, ვაჟბატონო!..

- ახლა ქეციანიც გამხადეთ, განა? - სთქვა მელმა. - ეჰ, შვილოსან, წახთა დროება, ახლა მასხარადაც ამიგდეთ, რაღა?!. თქვენ რომ თავს გიყადრებთ, კიდეც იმიტომ მოუმატეთ სხვილ-სხვილად ფქვასა! არა, თქვე საწიწაკეებო, რაც უნდა ბეჩავი ვიყო, თქვენ აღარა გჯობივართ, თქვე მაწანწალებო, თქვენა? - მელმა კბილები გააკრაჭუნა... - სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, - განაგრძო მელმა, - თქვენსავით ხომ ბინას არ ვიცვლი, არ დავეთრევი წარა-მარად. მე ეს გაღმა-გამოღმა მხარე მიჭირავს და ღმერთი აქაც არ მაკლებს ლუკმას, მუდამ მაქვს საზრდო ზამთრისაც და ზაფხულისაც.

- ვაი მაგისთანა ლუკმასაო, - უპასუხა დედა-ტრედმა, - შენც მითომ თავს იმითი იწონებ, რომ ალალის ოფლით ლუკმასა სჭამ? შე ათასის ცოდვის მომქმედო, შე გაიძვერავ, შე მოსისხლევ! რამდენის ფრინვლის ცოდვა

გაძევს კისერზე, აბა მოიფიქრე! ჯერ ერთი ეგ ღალღაა. რა დაგიშავა მაგ საცოდავმა, რომ დაგიჭერია და უნდა გადაჰყლაპო?..

- ჰაი გიდი, მართალნო, - სთქვა მელამ ღიმილით, - მე აბრუ მაქვს გატეხილი, ჩემი ცოდვა ცოდვადა სჩანს და თქვენი ცოდვა-კი მადლად. თქვენ მშვიდს ტრედებს გეძახიან და თქვენოდენა ზარალს-კი ვინ აძლევს ქვეყნიერებას, თქვე წუწკებო. რათა, ჩემო ძმაო, ნათქვამია - ქუდი დადე და სამართალი ჰქენო. თქვენ რამოდენა კაცის ამაგს აფუჭებთ? რაც პურს დასთესავს ხალხი, ნახევარს თქვენა ჰკენკავთ. რამდენი ოფლი და სისხლია იმ მარცვლებში?!. ჭია-კი ცოცხალი არსება არ არის, რომ გადაჰყლაპავთ ხოლმე, აგრეთვე ბუზი? ალბათ ცოდვად იმიტომ არ გითვლისთ კაცი, რომ სისხლს ხორცს თან ჩააყოლებთ ხოლმე, სისხლის ნიშანი არა რჩება გარეთ მიწაზე... და ჩემს ჩანადენს საქმეს-კი სისხლის გეში

დასდევს თანა. ეჰ, რა ვუთხრა კაცის სამართალს!.. ქვეყანაზე მართალი არავინაც არ არის, თუ მე მკითხავთ, ისეთი მართალი, რომ ცოდვას არა სჩადიოდეს. თქვენ მელას ვერ მასწავლით ჭკუასა და ქვეყნის ავკარგიანობას, ვერ მომატყუებთ, შვილოსან, ვერა!.. ან გაიძვერა რადა ვარ, ჩემო ძმაო! თავის სარგებლობის გულისათვის ყველა გაიძვერა ხართ... აი ეს ღალღა თუნდა, ამაზე გაიძვერა ვინღა იქნება? რაც ეს დაძვრება ჩალებში, რა ვიცი. თავისი ბრალი არ არის, რომ მე ჩამივარდა ხელში? ხომ იცის, რომ მე მტერი ვარ, რად იძინებს ასე ბრიყვად უადგილო ადგილას... აბა თქვენ, ჩემო ტრედებო, რატომ არ დაგიჭირეთ? თქვენ მაღლა ხეზე სხდებით და იმიტომ, სამოცის წლის მოხუცი ვიქნები და ჯერ ტრედის ხორცის გემო არ ვიცი როგორია. რადა? იმიტომ, რომ თავის მოვლა და გაფრთხილება იცით. ეხლაც რად მელაპარაკებით მაგრე სხვილ-სხვილებს? ხეზე სხედხართ, იცით, მანდ ვერ ამოვალ და იმიტომ. დაბლა რომ იყვნეთ, იმედი მაქვს

ამოგაშხამებდით ჩემს შეურაცხებას... მისალმების მაგიერია, შორის გზის მგზავრები ხართ, მშვიდობის ამბავს კი არა მკითხავთ, მომიყევით მხილებას და დარიგებას მაძლევთ. ეჰ, მშვიდობით, გამარჯვებით იყავით, მე ჩემს გზას გავუდგე, ის მირჩევნიან...

ტრედებმა კიდევ სიცილი მიაყარეს. მელმა გასწია, მაგრამ გულში ცეცხლი დაენთო შურისძიებისაგან: თუ თქვენი ჯავრი არა ვჭამო, - ამბობდა მელი თავისთვის, - ცოცხალი აღარ ვიყოვო. გადაიარა ტყიანი გორა, შეუდგა ფერდოს და გავიდა დგნალიანში. "წიი, წიი"-ო, შეესმა: მოიხედა და ჰნახა, რომ წიფლის ტოტზე ძერა იჯდა და გასწიოდა.

- რასა ბღურტუნ-ბლუკუნებ, შე საბრალოვ, შენა? - შეუძახა მელმა, - ხომ ვიცი, გშიან, რომ ჰღრიალებ და ჰყვირი, მაგითი გინდა საჭმელი იშოვო?! თავი და ტანი საკმაო მოუცია ღმერთს შენთვის და ჭკუა-კი გამოუწირავს, შე ტკიპიანო, ტკიპების გამოხრულო!

- რა არის, რა ამბავია? - გამოსძახა ძერამ კისრის გადმოწევით.

- აქ არა სწიოკობდე, - უპასუხა მელმა, - წახვიდე, ემანდ გორას იქით და ორი ტრედი ზის თელაზე დაღალულ-დაქანცულები, ვერ გაგიფრინდებიან. ერთი ბღარტია და ის უფრო ვერსად წაგივა, სწორედ შენის სიფიცხისა და სიმარდის საფერია. აბა, ვინძლო ბედი არ დაჰკარგო, აჩქარდი!

- აი მადლობელი, ჩემო მელო, - მიუგო ძერამ, - ძმა ძმისთვისა და ამ დღისთვისაო. მშიან და ეგრე. მადლობელი, ჩემო ძმობილო, დიდი მადლობელი. - ძერა აფრინდა და გასწია იქით, სადაც ტრედები ასწავლა მელმა. ჯერ იტრიალა თელის თავზე, ვითომ-და აქ არაფერიაო. მერე უცბად შეიკუმშა მხრები, რაკი ამოირჩია მსხვერპლი, წამოვიდა დაბლა, დაეცა შვილს-ტრედს, დაიჭირა და გასწია. დედა-ტრედმა შეჰქნა ტირილი,

გოდება, მისდევდა უკან ძერას ხვეწნითა და მუდარით, მაგრამ ამაოდ. ძერა ხან ერთგან ჩაჯდებოდა, ხან სხვაგან და ჩაჰკრავდა ტრედს ნისკარტს თავში, რომ სული დაელევინებინა. დედა-ტრედმა მოიშველია წყანწყარა ჩიტებიც, იმათთან ერთად გამოუდგა ძერას, მაგრამ მაინც იმათი ხვეწნა-მუდარა ტყუილი-ღა იყო, ძერა თავისას არ იშლიდა. იმან თითქოს ზეზეულად შეჭამა დედის თვალწინ ტრედი. მელი ამ დროს ერთს სერზე იყო წამოყუნტებული, სეირს უცქეროდა და სიცილითა ბნდებოდა... მელმა გული მოიფხანა, ტრედების ჯავრი ამოიყარა: “წეღან ჩემზე რომ იცინოდით, ეხლა მე ვიცინებ თქვენზეო”, - სთქვა დაკმაყოფილებულმა ცხოველმა.

დედა-ტრედი დარჩა მარტოკა. შვილის ბუმბული-ღა დაიტირა საცოდავმა, ადგა და გასწია მწუხარემ, არსად აღარ დაუსვენია. შეუპოვრად, უდიერად მიფრინავდა, ისიც სიკვდილსა ნატრობდა და ნუგეშად მხოლოდ

თავისი ბუდე-ღა მიაჩნდა, სადაც შვილიერობის იმედი ჰქონდა. ბევრი იარა ტრედმა: სად წყალი გავლო, სად მთა და ველი, სად ტყე და სოფლები და როგორც იყო მიაღწია საბრალო ტრედმა აღთქმის ქვეყანას. იგი დაჯდა მთის პირად ერთს ხეზე, საიდამაც მოსჩანდა სოლჭა და ის ქორაფი, რომელზედაც ტრედს ბუდე ჰქონდა გაკეთებული. ქორაფი იცნო ისევ ტრედმა, იგი ამაყად იდგა და თითქოს წინანდელზე მოემატა კიდეც სიმაღლით. ქორაფი ერჩეოდა მთელს ტყეში. ტრედს გულში ნათელი ჩაუდგა. იმან დაინახა თავის საყვარელი წყაროც. სათავე იმისი არა ჩანდა, მაგრამ სიპით დაფენილი კალაპოტი-კი კარგად მოჩანდა, ლამაზად ეტყობოდა, როგორ გადაჩანჩქარებდა წყარო ქვევით კლდეზე. ტრედს გული დაუმშვიდდა, ცოტა ხანს გადაავლო თვალი მშობელს, ნაცნობს მიდამოს... ცოტა ხანს იყო მხიარულად და მერე შვილი მოაგონდა.

- საბრალო ჩემო შვილო! - სთქვა ტრედმა ამოოხვრით, - შენ კი არ გეღირსა შენის სამშობლოს თვალით დანახვა. აქ გაგზარდე, წაგიყვანე და გზაზე სიცოცხლე მოგისპე... რასა ჰგავს, რა არის ჩვენი სიცოცხლე? რა სიცოცხლეა ტრედების სიცოცხლე? ღმერთს ჩვენთვის რაღაცნაირი მჩატე, ნებიერი, სუსტი და მომთმინო ბუნება მოუცია, ხმას ვერავის გავცემთ, ხელს ვერ შევუბრუნებთ ჩვენს მტერს. უხეირო ძერა, მითხარ, ისიც უნდა ტრედებსა სჭამდეს?.. ვაი ჩვენო სიცოცხლევ, ვაი ჩვენო ყოფავ! ვჩნდებით და ვიზრდებით სხვის ყმად, სხვის საჭმელად, სხვის ტყლაპად.

ტრედი მხიარულად მიფრინდა ქორაფთან, თავზე მოევლო, რამდენიმე კამარა გააკეთა ქორაფის თავზე და მხარგაშლილი დაეშვა და დაჯდა კენწეროზე. სწორედ სამოთხესა ჰგვანდა ეს არე-მარე. ბევრს ფრინველს მოეყარა აქ თავი-თავს: ისმოდა ჩიტთა სტვენა, კოდალის

ნისკარტის ჩქამი, ტრედების ღუღუნი. ჩვენს ტრედსაც მოუნდა ძალაუნებურად ბანის მიცემა და ამანაც დაიღუღუნა მწუხარედ.

- ეგ ვინ-ღა ოხერია?! - მოისმა ძირის ტოტიდამ ხმა, - აქ ვის კარ-მიდამოში ხარ ეგრე თამამად, ტრედო? შენ სიცოცხლე ხომ არ მოგჭარბებია?! - ტრედმა ხმა გაიკმინდა, ძირს დააცქერდა. საზარელი სურათი ნახა. იმის ბუდე ის ბუდე აღარ იყო, რაც ტრედმა ჩადგა, ქორს დაესაკუთრებინა, გაეფართოვებინა, მსხვილის წიწკრებით გაესხვაფერებინა, საზარლად შემოჰბღვეროდა, მოლეშების სუნი შემოებნია, რაღაც მქისე და საძაგელი, და ბღარტებიც გამოეჩიკა. ყვითელი თვალები ქორს დაშტერებით, ისრებივით მიეპყრო ტრედისთვის. პატარა ქორებიც ქორულად და შმაგად იცქირებოდნენ.

- შე ბრიყვო, შე სულელო, იქამდისაც გათავხედდი, რომ კარებზე მიხტებიო? - შემოსძახა ქორმა და შემოუტია

ტრედს. ტრედი გაუფრინდა და ქორიც უკან გამოეკიდა. ძალს ქორი და ძალს ტრედი, იბრძოლეს, ერთი იჭერდა, მეორე გახვეწებას სცდილობდა. ტრედი მაინც გაეხვეწა, მაგრამ გასცდა ამ თავის სამშობლოს და ვენახებში შეფრინდა. ტრედი ცოცხალ-მკვდარი იყო: "ერთი ბუდე მქონდა და ეგეც შეშურდა ჩემთვის მაგ ღვთისაგან წყეულს, მაგ დღედალეულს... რამდენია სხვა ხე, მაგრამ რაკი შხამი უდგა გულში და შხამით ხორცშესხმულია, ტვინადაც შხამი უძევს თავში და უნდა იმ შხამით სხვაც მოშხამოსო!" ტრედი ვენახში შეფრინდა. გლეხმა ჭიგო წამოუსო, მაგრამ ააცდინა. ვენახიდამ ტრედი არხის პირას ტირიფზე შეჯდა, იქ პატარა ბიჭი დაუხვდა შვილდ-ისრით და ისარი ესროლა. ტრედს მაინც ღვთის კალთა იფარავდა. ტირიფიდამ ორღობეების ვენახების შუაზე ღორებისაგან ნაჩიჩქნს მოსახნავ მიწაში დაჯდა, ღორისაგან ამოღრუტნულს ადგილას ჩაიმალა. იქ ღორი დაუხვდა და წაეტანა დასაჭერად. ტრედს გული გადმოუბრუნდა, გზა-

კვალი აერია, აღარ იცოდა, საით წასულიყო და ფარფატებდა ხან აქ, ხან იქ. ბოლოს მღვდელ-დიაკვანს წააწყდა თავზე, მღვდელმა ჯოხი მოუქნია, მაგრამ ისიც ასცდა. ქათმებმა სოფელში წიოკი ასტეხეს, იმათ ტრედი ქორი ეგონათ. როგორც იყო, ტრედი სოფელს გასცდა.

სოფლის გაშორებით მაღლა გორაზე ყავრული სახლი მოსჩანდა. ეს სახლი ბატონისა იყო. ბოძები სახლს დაჰფუტურებოდა, ყავარიც დამპალი ეხურა ზედ, მაგრამ ნადიმობა-კი გამოულეველი იყო ამ სახლში. ბატონს სტუმრები ჰყვანდა, ჩანგისა და წინწილის ხმა მომღერალთა ქალთა ხმასთან შეერთებული ბუნებას ათრობდა. ბატონი გადაშვლეპილისა და გადატვლეპილის თავით სტუმრების თავით იჯდა და შეაქცევდა. იგი ვაჟკაცობის მიმდევარი იყო და წამოიკვეხებდა ხოლმე ცხენზე ჯდომას, თოფის სროლას. უყვარდა დაკვეხება მამულებით, თუმცა იმის ჭალაში ოცს ხეზე, ანუ, უკეთ

რომ ვსთქვათ, ოცს ჯაგზე მეტი არ იდგა. ერთი დურბინდიცა ჰქონდა ბატონს, რომლითაც მუდამ ძილის შემდეგ ამ ოცს ჯაგს ათვალიერებდა, და თუ ვისმე დაინახავდა ჭალაში შესულს, შეუკივლებდა ბიჭებს და გააბაწვრინებდა. ხშირად მოიგონებდა ხოლმე და მოაგონებდა თავმოწონებულს სტუმრებს, თან ფართო ეზოზე უჩვენებდა: “რამდენი დარბაისელი გლეხი წამოგვიქცევია, ვაჟო, მანდ და მიგვირტყამს როზგი. ეჰ, რა დროება იყო და წაგვივიდა ხელიდამ!” ამას რომ იტყოდა, თან ღრმად ამოიკვნესებდა. ბატები და ინდაურები ძლიერ უყვარდა ბატონს. ალბათ თუ რამ გადურჩათ იმათ, რომ ამ ნარჩომმა ჩვენი ტრედიც მიიტყუილა. ჩვენი ტრედი ბატონის ეზოში მიფრინდა და დაიწყო ცუცუნი, მარცვლების კრეფა. ბატონმა შენიშნა ტრედი და მოიკითხა თავისი თოფი. მოართვეს გრძელი და ვერცხლის სალტებიანი სიათა.

- აბა, თუ კაცი ხარ, ზაალ, აბა თუ კაცი ხარ, - მიაძახეს სტუმრებმა.

- ქალის ლეჩაქი დამხურეთ, თუ მაგას თოფი ავაცდინო. - ბატონმა დაუჩოქა ტრედს, თოფი ტივის ხეზე დაუდო. თოფმა დაიგრიალა. ტრედი ადგილობრივ დარჩა და პირიდამ სისხლი გამოუვიდა.

- გაუმარჯოს, გაუმარჯოს, გაუმარჯოს! - იგრიალა ხალხმა. ტრედი მოიტანეს და ფეხით სუფრის თავზე დაჰკიდეს... ყველანი მეტად გამხიარულდენ. ტრედი მორჩა შიშს და ელდას, ეკიდა მოსვენებით, სტუმრები და ბატონი-კი გახურებულ "მრავალჟამიერს" დასძახოდნენ.

1889 წ.

ია

ულრანს ტყეში მოსული ვარ... მანამ ცოცხალი ვარ, ჩემის სილამაზით დავატკბობ ტყეს, ბალახს და იმ გაღმიდამ გამომცქერალს გულხავსიანს კლდესა, სუნელებას მივაფრქვევ არე-მარეს. ყველას ვუყვარვარ: აგერ იმ დამპალს ყუნწს თვალი სულ ჩემსკენ უჭირავს. მიცინის ხოლმე, უნდა ჩემთან მოვიდეს, - მაკოცოს, მაგრამ არ შეუძლიან, მხოლოდ შორიდამ გამიცინებს, გაიღიმება საცოდავი, თუმცა უშნოდ, მაგრამ გულკეთილობა-კი დიდი გადაეფინება ხოლმე პირზედ.

განა მარტო იმას უხარიან ჩემი სიცოცხლე? წვერხმელი ხეებიც მე დამხარიან ზევიდამ, თვითონ თავშიშველნი, ტოტებს მე მაფარებენ: ჩვენს იას არ შეგვიცივდეს, ან არაფერმა არ აწყინოსო. პირდაპირ შხაპუნა წვიმას არ

უშვებენ ჩემამდის: წვიმას შეუძლიან ერთბაშად ჩამომაცალოს ფოთლები. უფოთლებოდ ყოფნა და სიკვდილი ჩემთვის ერთია. არა, ხეები: არყი, წიფელი, თხილი, თამელი, დუდგულა გარშემო მეხვევიან და მყარაულობენ, წვიმის ნამს ინახავენ ტოტებით, ფოთლებით და მერე ნელნელა მამცვრევენ პირზედ თითო-ოროლ ნამობით, პირსა მბანენ. მე ყელს მოვიღერებ და ვინატრებ, ნეტა სიმღერა შემეძლოს, ნეტავი დამბადებელს ჩემთვის ნიჭი მოეცა, რომ მექო მაღლა ცა და ღრუბელი, მზე, ეს ჩემი მფარველი ხეები, ეს მთები, ის ჭალები და ღაბუა ჩიტები, რომელნიც ხმელს, ყვითელს ფოთლებში წითლის და მწვანის ფრთა-ბუმბულით ჩემს წინ დაგოგვენ და ხანდახან შემომჭიკჭიკებენ პირში, მათამაშებენ, უხარიანთ ჩემი სიცოცხლე. ჩემი ერთის თვის სიცოცხლე სხვის ოცდაოთხის თვის სიცოცხლეს სჯობია, მაგრამ დიდხანს სიცოცხლეს კი დანატრებული ვარ. დილას ერთმა “წიფლის-ჩიტამ” ჩემს ახლოს

იგალობა, ლამაზი რამ იყო, - ყელწითელი, ღაბუა; იმასაც ჩემსავით თავი მოსწონდა, იხედებოდა გულზედ და მხრებზედ; ყველას მოსწონს თავი, ყველას უხარიან სიცოცხლე, ყველას უყვარს ბუნება.

გუშინ ცამ იჭექა. ჭექა-ქუხილი ჩვენ არ გვაშინებს: ქუხილი წვიმის მომასწავებელია და წვიმა ხომ ძუძუს გვაწოვებს დედამიწის გულზე. მზე - მამაა, ზევიდამ დაგვყურებს და გვეალერსება, თვალ-ყურს გვადევნებს. წვიმის მოსვლა მცენარეთ უხარიანთ, - უხარიანთ, ყელამდის სიხარულით მოიყარნენ; ეხლა ისინი ახალ კაბებს და ქათიბებს ჩაიცმენ. აი ეს ორი დღეა, რაც ჩემი დობილი სასუტელაც ამოჩნდა; უხარიან, უხარიან საცოდავს, სულ თავს იქნევს დაბლა და მაღლა, უკრავს თავს დედამიწას, მზის სინათლეს, მეჩურჩულება, ზღაპრებს მიამბობს სიცოცხლეზე, სიყვარულზე; ხანდახან კიდეც გაიკასკასებს, გადმამეხვევა და

მაკოცებს. გუშინ დილით მე და ჩემმა დობილმა ორივემ ვიტირეთ.

რა შეუბრალებელია კაცი?! რასაც კი დაინახავს, უნდა რომ თავის სასარგებლოდ მოიხმაროს. ალბათ ვერ აფასებს ჩვენს სილამაზეს! ჩვენ წინ კაცმა გამოიარა, ცალს მხარზედ ცული ედო, მეორეზედ თოფი ეკიდა. მიადგა ერთს მშვენიერს ტოტგადართხმულს წიფელს, დაუშინა ცული და წააქცია. საბრალო, როდესაც წაიქცა, დაიკვნესა. ჩვენს იქით გუგულის-კაბა ამოსულიყო და ჯერ ხმელს, ჩამოსულს ფოთოლს არ ამოსცილებოდა. როდესაც ხე წაიქცა, გადიყრეინა ზევიდამ ფოთლები და წითლად გამობჭყვინდა, ცრემლები დასხმოდა ჩაღრმავებულს გულში.

შუადღის დროს დაღალულ-დაქანცული ქედანი მოვიდა და დაჯდა ჩვენს წინ თელის ტოტზე და დაიწყო ღუღუნი. უხაროდა იმასაც გაზაფხულის მოსვლა და ის, რომ

მშვიდობით ნახა კიდევნაცნობი ადგილი. უცებ თოფი გავარდა, ქედანმა ხმა გაკმინდა, ჯერ ფეხით ჩამოეკიდა ტოტზე, მემრე ძირს ჩამოვარდა, ჩემს წინ დაეცა. სისხლი წამოუვიდა ნისკარტიდამ და თვალები დახუჭა; გადმონადენი სისხლი წვეთ-წვეთად დაეტყო ფოთლებზე. მე და სასუტელას კანკალი მოგვივიდა... მე გარკვევით არაფერი მესმის, მხოლოდ რაღაც ბუბუნი, გრიალი, ბუნდი ჟრიამული მოდის ჩემამდის.

ვაჰმე, რა საბრალო არი
ია, მოსული მთაზედა!
ბეჩავს დააზრობს სიცივე,
ან ელვას დაჰკრავს თავზედა;
ღმერთს მიუცია საწყლისად
მოკლე სიცოცხლის ჟამია,
ქვეყნისა მისგან შვენება
ერთი ბეჩავი წამია.

ია დაიწყებს კდომასა,
დაიქვითინებს: “ვაჰმეო!
თუ გამაჩინე, უფალო,
დიდი დღე რად არ მამეო?”

1886 წ.

მცენარეა
მცენარეა

ჭუდოვანი

(საბავშვო მოთხრობა)

სარდიონი ფრიად ამაყი და თავმომწონე კაცი იყო. დიამბეგობა რომ მიიღო, მაშინ უფრო თავი მოიწონა; სწორედ გაფხორილ მამალ ინდაურს დაემსგავსა. სარდიონმაც სხვა მოხელეებს მიჰბაძა და წვერი შუაზე გაიყო, მოიპარსა. ხელობა ისეთი ებარა, რომ ძლიერ საჭირო იყო ყველას შიში და კრძალვა ჰქონოდა მისი.

სარდიონი დიდი კაცი იყო და დიდკაცურადაც ცხოვრობდა, სიმდიდრეც ჰქონდა, ძღვენიც ბლომად მოსდიოდა; რა გინდა, სულო და გულო, რომ იმის საკუჭნაოში არ მოიპოვებოდა: ერბოსი და ყველის გუდები, მსუქანი დედლები, ბატები, ინდაურები,

გაფუფქული გოჭები და სხვ. და სხვ.

გაზაფხულობით და ზაფხულობით ბაღჩაში განსვენება უყვარდა: დიდ ნიგოზ-ქვეშ იდგა სტოლი და მის გვერდით იყო გამართული ტახტი, ხალიჩაგადაფარებული; თუ ამინდი ხელს არ უშლიდა, დილა-საღამოთი დიამბეგი ჩაის აქ შეექცეოდა, აქვე ისადილებდა და აქვე წაიძინებდა ჩრდილ-ქვეშ. ეს ხასიათი ჰქონდა. მოჩივრებსაც აქვე მიიღებდა.

ბედნიერი კაცი იყო სარდიონი და ბედნიერადაც ჰგრძნობდა თავს. მაგრამ მისმა ბედნიერებამ დიდხანს არ გასტანა. ვისი ბრალია? მე არ ვიცი, თქვენ თითონ განსაჯეთ. ვიტყვი მხოლოდ, რომ საბაბად კაჭკაჭის ქურდბაცაცობა გახდა...

ქვე ბაღჩაში, ერთ ბებერ ჭერამზე კაჭკაჭმა ბუდე გაიკეთა: შიგ სამი კვერცხი ჩადო და სამი ბღარტი გამოჩეკა. როგორ

უყვარდა კაჭკაჭს თავის შვილები! როგორ ეალერსებოდა, როგორ უფრთხილდებოდა, თავს ევლებოდა; გაფაციცებული აქეთ-იქით აწყდებოდა, რომ საზრდო არ დაეკლო შვილებისათვის; რა წამს იშოვიდა რასმე საჭმელს - მიურბენინებდა თავის ბღარტებს. უნდოდა დაესუქებინა, დაეშვენებინა შვილები, მაგრამ თან ეშინოდა კიდეც, რომ ბუდე არავის შეენიშნა, ამიტომ, როცა ბუდეში იჯდა, კრინტს არ დასძრავდა და შვილებსაც კი უშლიდა: ნუ ჟღურტულებთო. ისინი მაინც თავისას არ იშლიდნენ, ასტეხდენ ერთ ჟივილ-ხივილს, როცა-კი დაინახავდენ დედას, რომელიც იმათთან ბრუნდებოდა ნანადირევით.

სარდიონმა არ იცოდა კაჭკაჭის დასახლება მის ბაღჩაში, რადგან იგი მაღლა არ აიხედავდა, იმდენად თავს არ შეიწუხებდა. ისიც კარგად იცოდა, რომ ღმერთი სწყალობდა მაინც-და-მაინც. მაშ რა საჭირო იყო მაღლა

ცქერა? ხოლო კაჭკაჭი ყველაფერს ჰხედავდა, რაც ბაღში ხდებოდა. ადევნებდა თვალს დიამბეგის ქეიფს და განცხრომას. რამდენჯერ მოსვლია კაჭკაჭს პირწყალი, როცა დაუნახავს დიამბეგი ბატკნის ან ინდაურის კანჭის ხვრაში, და უთქვამს თავისთვის: “ახ, ნეტავი, ჩემ შვილებს მოუტანაო!”

ერთხელ დილით, ჩაის შემდეგ, მსახური დიამბეგს საუზმეს უმზადებდა: გადაფინა სუფრა სტოლზე და მოიტანა დანა-ჩანგალი, პური, ყველი და გაბრუნდა სხვა სანოვაგის მოსართმევად. დიამბეგი ამ დროს გაფხორილი ხეივნის ქვეშ დასეირნობდა. კაჭკაჭმა დაინახა სუფრაზე ყველი და პური. სიმსუნაგემ სძლია და მასთან შვილების სიყვარულმა. ჩამოფრინდა, სტაცა კლანჭები ერთ ნაჭერ ყველს და მიურბენინა თავის შვილებს. ბღარტებს ძალიან გაეხარდათ. იამათ, მაგრამ ვერ ეყოფინათ. დედა ისევ გაფრინდა სხვა ნაჭრის მოსატანად. ის-იყო, დააფრინდა

ყველის ნაჭერს, და დიამბეგმაც სწორედ ამ დროს არ შეასწრო თვალი!

- სოსიკა, ზაქარა, ბერუა, თედუა! ყვიროდა გაბრაზებული სარდიონი: - ბიჭო, ბიჭო, მოდით აქ! ჩქარა მორჩით! არ გესმით, რომ გიბრძანებთ?

და ვიდრე ბიჭები იახლებოდენ, დაუწყო თითონ ქვებსა და წიწკრებს სროლა, რა დაინახა ჭერამზე ბუდე, შიგ ბღარტები და მათ გვერდით კაჭკაჭი, მისი ყველის ქურდი. დედა არ ინძრეოდა, ვერა სტოვებდა შვილებს, თუმცა სარდიონის ნასროლი კენჭები ხან ბოლოში გაუბზრიალდებოდენ, ხან მხრებში...

- ჰაი, შე წყეულო, შე შეჩვენებულო! - უყვიროდა დიამბეგი კაჭკაჭს: - ჩამოაგდე ყველი, გიბრძანებ, ჩამოაგდე!

დიდკიზიროკიანი და ვეებერთელა-კაკარდიანი ქუდი უკან კეფაზე ჰქონდა გადაწეული და ძალაუნებურად კადრულობდა მაღლა ცქერას. რაკი ვერაფერი შეასმინა ძირიდან კაჭკაჭს, მოიწადინა მაღლა ასვლა. აბობღდა ხეზე, ბიჭებს აღარ უცდიდა, უნდოდა თავის ხელით დაესაჯა თავისი შეურაცხმყოფელი.

საწყალმა კაჭკაჭმა რა იცოდა, თუ თავზე ასეთი უბედურება დაატყდებოდა?! რომ სცოდნოდა, ახლო-კი გაუვლიდა დიამბეგის სუფრას? არ ეგონა, თუ ეწყინებოდა სარდიონს ყველის მოტაცება, რადგან იცოდა, რომ სარდიონს ყველაფერი ბევრი ჰქონდა და დიდი კაციც იყო. რას იკადრებდა კაჭკაჭის დასჯას ერთი ნაჭერი ყველის გულისთვის!

არ ეგონა, მაგრამ მოსტყუვდა. სარდიონი თითონ ვერ აბობღდა ხეზე, ჩამოვარდა დაბლა და კინაღამ თავპირიც დაიმტვრია, - უფრო ამაზე გაბრაზდა. ან კი რას ავიდოდა

ხეზე მისი ფაშვის პატრონი? ქშინავდა დიამბეგი, შუბლზე წურწურით ოფლი ჩამოსდიოდა, ისე დაღალულიყო.

დიაღაც არ ეგონა კაჭკაჭს, თუ სარდიონი თავის დიდკაცობას ამას აკადრებდა; ის ჰფიქრობდა, რომ დიამბეგი სულგრძელი იქნებოდა, და როგორც თვითონ ებრალებოდა თავის ბღარტები და უყვარდა, სარდიონიც ისე შეიბრალებდა. მაგრამ მოსტყუვდა.

- მოდით, მოეთრიეთ ჩქარა!.. არ გესმისთ ჩემი ბრძანება, ბიჭო?! - ყვიროდა სარდიონი. - მოდით და როზგებიც მოიტანეთ თანა.

უნდოდა კაჭკაჭი და მისი ბღარტები გაეროზგა ჯერ და მერე გაეჟლიტა. ბიჭები მოცვივდენ.

- სადა ხართ, თქვე მ...ძ...ებო! - დაუყვირა იმათ სარდიონმა: - არ გესმით, რომ გეძახით!!.

- რა ვქნათ, არ გაგვიგონია, ბატონო! - მიუგეს მსახურებმა: - რას გვიბრძანებთ?

- იმას გიბრძანებთ, რომ ახვიდეთ აგე, იქ, მაღლა, - უჩვენა დიამბეგმა თითით ბუდეზე: - ბუდე დაშალოთ, კაჭკაჭი და მისი ბღარტები მე წარმომიდგინოთ. აბა, ჩქარა, მორჩით, ამ საათში! ვინძლო, დედა ცოცხალი შეიპყრათ!..

ბიჭები აცოცდენ ხეზე. კაჭკაჭს გააცივა და გააცხელა შიშისაგან. "ვაიმე, ეს არის, დავიღუპეო!" - ამბობდა თავისთვის. არც ტყუილად. ბიჭები აცოცდენ. ერთმა მათგანმა ხელი ჩაჰყო ბუდეში, დედა-კაჭკაჭმა ჩაუნისკარტა და უკან წააღებინა ხელი. მეორე ბოლოში სწვდა კაჭკაჭსა, ამოიყვანა ბუდიდან, მაგრამ კაჭკაჭი გაუსხლტა და მიეტანა მეორე მის ამხანაგს. იმას კიდევაც ამოეყვანა ორი ბღარტი და ხელში აწრიპინებდა. დედა-კაჭკაჭი ხელებში ახტებოდა, ეტანებოდა ჟივილ-ხივილით... უცბად ჩაფრინდა ისევ ბუდეში, იქ ერთი

ბღარტი კიდევ ეგულებოდა, დასტაცა ფრთაში ნისკარტი და აიტაცა მაღლა ტოტზე. დაჯდა იქ დაღონებული, გულმოკლული და ადევნებდა თვალს თავის ბღარტების ბედსა.

- ვინძლო დედაც დაიჭიროთ! - შეჰყვიროდა დაბლიდან დიამბეგი.

- საიდან? არ შეიძლება, ბატონო, იქ კაცი ვერ ავა. - უპასუხებდნენ მაღლიდან ბიჭები.

- მაშ, თოფით მოკვლა ხომ შეიძლება?! თოფი, თოფი, ჩქარა თოფი, მანამ გაფრინდება! მოიყვანეთ ეგ ბღარტები აქა!

დიამბეგის მსახური ჩამოხოხდა ხიდან და მიაწოდა ბღარტები დიამბეგს. იმან ორივე დაბლა დააწყვიტა და თან თავმომწონედ კაჭკაჭს შეჰხედა... დახოცა ბღარტები.

ამ დროს თოფიც მოართვეს. დიამბეგმა თოფი დაუმიზნა და ჩახმახი დასხლიტა. კაჭკაჭი საფანტებმა ცოტად ფრთაში და ბოლოზე გაკენწლა, მაგრამ შვილს, რომლის გადარჩენაც უნდოდა, მოჰხვდა ერთი საფანტი და ისიც მოკვდა. მაინც მკვდარს პირიდან არ უშვებდა. კაჭკაჭი აფრინდა და გაშორდა იქაურობას. მკვდარი შვილი წაიღო და შორს ღობის ძირას დამალა. ისევ მალე დაბრუნდა. მთელი დღე ვაი-ვაგლახით დაჰბრუნავდა თავს ბაღჩას, სადაც დახოცილი შვილები ეგულებოდა. ჰხედავს მაღლიდან თავის მკვდარს ბარტყებს, ჰხედავს თავის ბუდეს დაშლილს და მოსთქვამს საბრალოდ. დიამბეგიც ისევ ბაღჩაში სჩანს. სწყევლის, ჰქოლავს და ეუბნება: “რა დაგიშავე ისეთი, შე წაწყმენდილო, რომ შვილები ამომიწყვიტეო?!”

წავიდა დიამბეგი თავის სახლში და კაჭკაჭმაც დრო იხელთა, ორივე ბღარტი წაიღო იქიდან და საცა სხვა

მკვდარი ბარტყი დამალა, იქ მიიტანა. იმ ღამეს შვილებთან იყო და მწარედ დასტიროდა თავზე; მეტად შეწუხებული და გულნატკენი იყო. მოსთქვამდა და თან ჰფიქრობდა, როგორ ამოეყარა სარდიონის ჯავრი...

დილაზე მეფესთან წასვლა და ჩივილი განიზრახა. უნდა წავიდე, შევჩივლო ჩვენს ხელმწიფეს ჩემი უბედურება. რის მეფეა, თუ-კი თავის ქვეშევრდომს მფარველობას არ გაუწევს? რათ შევხარიო იმის ძლიერებას, რათა ჰქვიან იმას არწივი? ტყუილი ყოფილა იმისი მეფობა, თუ ახლა მე დიამბეგის ჯავრს შემაჭმევს. არა მგონია. რო გაიგებს ჩემ დაღონებას, ჩემ ასე უსამართლოდ დასჯას, როგორ მრისხანედ დაატრიალებს თავის ლამაზ თვალებს, გაასწორებს მხრებს და გადმოსწევს წინ გაუტეხელ გულის ფიცარს. ის მიშველის, ისა!.. უეჭველად მიშველის!.. უნდა ვაცნობო ბარის სხვა ფრინველთა დაწიოკებაც, - როგორ უსამართლოდ გვეპყრობიან კაცნი,

გვმუსრავენ, რის გამოც ვეღარა ვმრავლდებით, რომ გავაძლიეროთ არწივის სამეფო... თუმცა შორს არის მისი სატახტო ქალაქი, - ერთ უზარმაზარ, თოვლით გადალესილ მთაზე, სანით-სანამდე ვივლი, მანამ არ მივალ იმის სამფლობელოში... რა არის მარტო ბარად ყოფნა, ერთი მთის არე-მარესაც ვიხილებ?!

ამას ამბობდა კაჭკაჭი თავისთვის და აპირობდა დილით მეფესთან საჩივლელად წასვლას.

დილაზე ადრიანად შვილებს ზოგი ვაზისა, ზოგი კაკლის ფოთოლი მიაყარა. იტირა კარგა ხანს, გული მოიოხა და გაუდგა გზას. სოფლის ბოლოს მისი დეიდაშვილი მზექალი შემოხვდა; დაღონების, მგზავრობის ამბავი ჰკითხა. კაჭკაჭმა ყველაფერი დაწვრილებით უამბო. იმანაც მიუტირა უბედურება და აღუთქვა შემწეობა.

- ღმერთმა შეაჩვენოს, ცისა და ქვეყნის დამაარსებელმა, -

ამბობდა მზექალი: - შენზე და შენ შვილებზე რა ვაჟკაცობას იჩენდა, თუ ის კაცია და კაცობისა რამ აცხია?! ღმერთმა შენ დაღონებისად ნურა კარგი და კეთილი აჩვენოს. რას გემართლებოდა ის წყეულ-შეჩვენებული, რომ აგრე დაუღუპიხარ?! ნუ გეშინია. წადი, იჩივლე, წადი! ჩვენ მეფეს არ ესიამოვნება ეგ ამბავი და ჯავრსაც ამოგყრის შენი დამღონებლისას. მეც ვეცდები შევაგულიანო და გავამხნეო ფრინველნი სარდიონის წინააღმდეგ.

გამოემშვიდობნენ ერთმანერთს და თავთავის გზაზე წავიდენ. კაჭკაჭმა ბევრი იფრინა, დაიღალა და მდინარის პირად დასვენება მოუნდა. მდინარე წყნარად მოკამკამებდა...

- რა არი, რამ დაგაღონა, დობილო? - დაეკითხა მდინარე კაჭკაჭს: - შენ წინათაც ბევრჯელ მინახავხარ, მუდამ გახარებული და გალაღებული. არ ვიცი, ახლა რა

დაგმართნია?... სჩანს უბედურება რამ შეგმთხვევია?!

- უბედურება მეტი-ღა იქნება!.. დიამბეგმა დამღუპა, დობილო, დიამბეგმა, დაღუპოს ის ღმერთმა: ამომიწყვიტა შვილები და სახლ-კარიც დამინგრია; ამიკლო, ერთის სიტყვით, ამიკლო...

- მე იმის ბაღჩას და ბოსტნეულსა ვრწყავ, - მიუგო მას მდინარემ: - კარგად ვხედავდი, როცა შენ ბუდეს აკეთებდი ჭერამზე. ვიცი, როგორც ან ბღარტები გამოსჩეკე, - სამი ბღარტი გყავდა.

- ჰო, დობილო, ჰოო, მართალია, - მიუგო მას კაჭკაჭმა: - დღეს ერთიც აღარა მყავს ცოცხალი.

- განა არა, მაშინვე ვამბობდი, რომ შენ ხეირს ვერა ნახავდი დიამბეგის ბაღჩაში, - ამბობდა მდინარე: - განა ჩემი ძალიან მადლობელია, თუმცა მისი ბაღჩა და

ბალეულობა ჩემგან ჰყვავის, ჩემგან არის მწვანედ გალაღანებული. ცუდი კაცია, გულღრძუ, უმადლო, ალბათ დაუშავე კიდეც რამე.

- ჩემი დანაშაული ის არის, ერთი ყველის ნაჭერი მოვპარე, დობილო, ერთადერთი, პაწაწკინტელა, - მიუგო კაჭკაჭმა.

- ეგ ხომ მეც ვიცი. მაშინ მე ვარდებისა და იასამნის გვერდზე მოვწანწკარებდი. სხვა აღარაფერი ვიცი. ერთი ნაჭერი ყველის გულისათვის როგორ წაგახდინა იმ უღმერთომ?! რაკი აგრეა, შენ ნუ გეშინია, მე ამოგყრი დიამბეგის ჯავრსა. ერთი ჩემებურად ავდიდდები, ვეცემი იმის ბეღელ-მარანს, სარდაფს და სულ ველად გავიტანო, გავაოხრებ და გავატიალებ.

- მიშველე, მიშველე, შენი ჭირიმე, ერთი სიკეთე მიყავი! - ეხვეწებოდა კაჭკაჭი. - შვილებს აღარც-კი მოვიგონებ, თუ სარდიონს დაღონებულსა ვნახავ. ეხლა მე საჩივლელად

ჩვენ მეფესთან მივდივარ და შენც მოემზადე.

- უსათუოდ, უსათუოდ. მეც გული მეღრინება დიამბეგზე, - სთქვა მდინარემ.

კაჭკაჭი გამოემშვიდობა მდინარეს და გასწია თავის გზაზე. ცოტა მანძილი რომ გაიარა, ველი გამოჩნდა. ველზე დაინახა თაგვთა აუარებელი გუნდი, მოდიოდა მწყობრად, ჟივილ-ხივილით, დაფ-ნაღარის ცემითა. თაგვთა ფარას ზოგი წინ მოუძღვებოდა როკვა-ცეკვითა. კაჭკაჭი მიხვდა, რაც ამბავი იყო; თაგვებს ქორწილი ჰქონდათ; რამდენიმე ნაცნობი თაგვი გამოუჩნდა, თითონ ნეფე კაჭკაჭის კარგი ნაცნობი და მეგობარი გამოდგა. ღვინო შეპატიჟეს. რა გაეწყობოდა? იმანაც დალია, ნეფე-დედოფალი ადღეგრძელა. მგზავრობის მიზეზი ჰკითხეს. კაჭკაჭმა ყველაფერი დაწვრილებით უამბო.

- ჰაი, ის წყეულ-შეჩვენებული! - იძახოდენ თაგვები: -

კრიჟანგია, ცუდი კაცია. მაგის ყანას ერთ თავთავს ვერ ჩამორჩება ჩვენგანი ვერავინ. ათეულებს ერთ ღამეს არ დასტოვებს კარში, მაშინვე კალოზე მიარბენინებს. მაგრამ აქაც ვესტუმრებით ხოლმე. ის სტუმრობა არაფერი, ახლა გვიყუროს, რა სეირი დავაწიოთ, ჯერ ერთი ქორწილი მოვათავოთ! - სთქვეს თაგვებმა.

- თქვენ გენაცვალეთ, თავს შემოგევლეთ, როგორც თქვენი იმედი მქონდეს, ისე გაისარჯეთ. - ეხვეწებოდა კაჭკაჭი.

- გავისარჯოთო? გავირჯებით კი არა, ერთ ღამეს დავეცემით და სულ ბდღვირსა და ნაცარტუტას ავადენთ. რაც ხელში რამ ებადება, სულ ჩავჭრით და ჩავკემსავთ...

გამოემშვიდობა იმათაც და წავიდა. გზა-გზა ყველას, ვინც-კი შეჰხვდა, თავის ამბავი უამბო, კითხულობდა აგრეთვე მეფის სატახტო ქალაქს. გაგონილი ჰქონდა, შორიდანაც ჰხედავდა, მაგრამ რაკი ტყეებსა და მთებს გაეკიდა, გზას

კაჭკაჭი ვეღარ იგნებდა. ერთ მთის ფერდობზე, ტყეში, ერთ დიდ თელის ხმელ ტოტზე ძერა დაინახა, გაბურძგულ-გახეხილი იჯდა და დაბლა ავლებდა რაღაცას თვალს.

- გამარჯობა, ძერიკო! - შეუძახა შორი-ახლოდან კაჭკაჭმა.

- ჰა? ვინა ხარ? რა სულიერი ხარ? - შეაჩერა თვალები ძერამ და გაოცებული შეაცქერდა.

- გამარჯობას გეუბნები და ბოდიშს კი არ იხდი? როგორ არ მიცნობ, ვინცა ვარ? ბარად არსად გინახავარ? - მიუგო კაჭკაჭმა.

- ჰმ, ჰმ, - სთქვა ძერამ, - გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს! აქ რას დახეტიალობ ამ მთა-ღრეებში, რატომ ვენახებში არა სჭრიალებ? - სთქვა დაცინვის კილოთი ძერამ და თან თავი მაღლა აიღო, ყელი მოიღერა თავმომწონედ.

- უბედურება მახეტებს, ძერიკო, უბედურება. ხომ გაგიგონია: გაჭირება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო.

- რა გაგჭირებია ისეთი, რომ აქეთ გადმოვარდნილხარ?

კაჭკაჭმა იმასაც უამბო თავისი უბედურება; ეგონა იმისაგანაც თანაგრძნობას გამოიწვევდა, მაგრამ მოსტყუვდა.

- შენ ვითომ იმას ჰფიქრობ, მეფე უნდა აამხედრო დიამბეგზე შენი ღლაპების გულისათვის? ვინ მიგიშვებს, შე უბედურო, მეფესთან, სულ ტყავს გაგაძრობენ?! თუ არ დაგიშლია, ჩვენი მეფე ახლა მთიდამ ბარად წამოვა, არა? არ უვარგნია დიამბეგს, თორემ შენც უნდა ზედ მიეყოლებინე. თქვენგან ამოგდებულია ბარი, განა არ გიცნობთ, რა შვილებიცა ბრძანდებით! მინამ პატრონი იგემებს ხილებს, თქვენ ჩამოჰხოშავთ და დასტოვებთ კაცს ცარიელს, თქვე არამზადებო, თქვენა! ახლა მთაში

წამოსულხარ, გინდა აქაურობაც აიკლო?!. ასე გაგიხდი საქმეს, შენი ცოდვით სულ ქვა იწვოდეს.

- ოჰო, ბატონს ჩემს გაუმარჯოს! შე ტკიპებიანო, შენა! განა შენ სხვას უნდა უკიჟინებდე ავზნეობას? შენ რაღა ბელელ-მარნები გიდგას სავსე? შენც ისე არა სცხოვრობ, როგორც სხვა ფრინველები? ჩვენი წესი ეს არის: თუ კაცს რასმე ვავნებთ და ვაზარალებთ, ას იმოდენასა ვრგებთ კიდევაც. რამდენ მავნე მწერს, ჭიას და სხვა ქვეწარმავალთა ვჟლეტავთ, რომელნიც კაცისათვის მავნებელნი არიან. არა, მე ჭკუა გამომლევია, რომ შენ საუბარი გაგიბი: ჯერ თავისათვის უნდა იყო, შემდეგ სხვასაც არგო. თავისათვის არა ხარ, სხვას რას არგებ? მაგ ჭკუით დაბერდი, მაგ ჭკუით, საცოდავო, საწყალო! - სთქვა კაჭკაჭმა და გაუდგა გზას.

- საწყალო და ქურდო! - მიაძახა უკანიდან ძერამ, აფრინდა და მედიდურად დაიწყო ტრიალი, შორიდან

არწივი ეგონებოდა კაცსა.

მეორე დღეს დილა-ადრიან გაისმა თოვლიანი მთის არე-მარეში კაჭკაჭის ჭრიალი; კაჭკაჭის უნახავ კაცს ეგონებოდა, მთაში ურემი ამოუტანიათ და ისა ჭრიალებსო. გაოცებული შეჰყურებდა კაჭკაჭი ამ დიდრონ კლდეებს, ჩაღრმავებულ ხევებს, ზვავებით სავსეთა. ალაგ-ალაგ, სადაც გამშრალიყო, მწვანე ბალახს ეჩინა თავი, იგი ამ ბალახებს ვერ იცნობდა, ბარად არ ენახა: ბუერა, შუპყა, დიყი, ბრძამი და სხვ. გაოცებით შეჰყურებდა როჭოების და შურთხების გუნდსა. ლამაზი ფრინველები ყოფილანო, ამბობდა თავისთვის კაჭკაჭი. მაგრამ ჩვენებურ ხოხობს ვერა სჯობიან სილამაზითაო. როჭოები და შურთხებიც გაოცებით შეჰყურებდენ კაჭკაჭს, არ ენახათ არადროს და სიცილით იხოცებოდნენ მის ხმაზე, კაჭკაჭის ჭრიალზე...

კაჭკაჭი ახლო იყო მეფის საბრძანებელზე. აგერ დაინახა

კიდევაც სხვა კლდეებზე დიდი და მაღალი კლდე: შავად იყურებოდა და სულ მაღლა რაღაც რუხად (ლეგა) მოსჩანდა... ამ დროს კაკანით პირაღმა მორბენალი კაკაბი შეეფეთა წინ კაჭკაჭს.

- ვინა ხარ, სადაური ხარ, ადამიანო? - ჰკითხა მან, - საიდან მოსულხარ?

- ბარიდან გიახელით, დობილო, - მიუგო კაჭკაჭმა, - მეფის ნახვა მინდა. სწორედ არ ვიცი, სად მოვძებნო! მასწავლე, შენი შვილების ლხენასა.

- რატომაც არ გასწავლი, რა ხვეწნა გინდა? - უთხრა მას კაკაბმა: - იმ დიდ შავ კლდეს ხომ ხედავ? კარგად დააცქერდი.

- ვხედავ, ვხედავ! - მიუგო კაჭკაჭმა.

- ჰხედავ ზედ კლდის წვერზე, მაღლა, შავად რომ მოსჩანს?

- ვხედავ, როგორ არა, კარგად ვხედავ.

- თუ ჰხედავ, ისა ბრძანდება თვით მეფე. რა საქმეზე გარჯილხარ? - ჰკითხა კაკაბმა ბოლოს დროს.

- მაქვს საჩივარი მეფესთან. - კაჭკაჭმა უამბო იმასაც თავისი უბედურება.

- ჩვენს საჩივარს კი არ იღებს, დობილო, და არ ვიცი, შენ რას გიზამს. - სთქვა კაკაბმა.

- როგორ, თქვენცა გაქვსთ რამე საჩივარი მეფესთან? - ჰკითხა კვალად კაჭკაჭმა...

- ჩვენც თუ აღარა გვაქვს, მაშ სხვას ვის ექნება? - მიუგო

კაკაბმა.

- თქვენ რაღასა სჩივით?

- იმას, რომ მთის ქორები, შავარდნები და სხვანი მუსრს გვავლებენ, გვჟლეტავენ. მე რა გიყოთო, მეფე ამას გვიპასუხებს: მაშ რით იცხოვროს ჩემმა ლაშქარმაო? არ ვიცი, იქნება შენი საჩივარი შეიწყნაროს.

კაჭკაჭმა პირდაპირ გასწია და შორიდანვე ამცნო თავისი მისვლა ხმაურობით. არწივი მედიდურად ბრძანდებოდა ტახტზე, დინჯად ასწია თავს მაღლა და თვალები გარშემო მიავლ-მოავლო. კაჭკაჭმა დიდი მოწიწებით სალამი მიართვა. მეფემ ნება დართო და ისიც იმის პირდაპირ კლდის კინჭუხზე ჩამოჯდა. არწივმა კარგა ხანს ხმა არ გასცა.

- რაო? რა ამბავია, ჭრიალავ? - ჰკითხა ბოლოს არწივმა.

- თქვენი სიცოცხლე და დღეგრძელობა, დიდებულო მეფევ! - სთქვა კაჭკაჭმა: - თქვენთან გიახელით, ვიცი თქვენი მეფური გულის ამბავი, რომ არ დამტოვებთ უნუგეშოდ და მომცემთ შემწეობას. ჯერ საერთოდ ბარის ფრინველები დაჩაგრულნი ვართ კაცთაგან: გვაწიოკებენ, გვდევნიან და მე ხომ დიამბეგმა სარდიონმა ამიკლო, ამომიწყვიტა შვილები და მეც მდევდა მოსაკლავად.

- თუ აგეთი შეწუხება ადგათ ბარის ფრინველთა, რატომ არ მოდიან ჩემთან საჩივლელად?.. შენ რაღა დაუშავე დიამბეგს ისეთი, რომ მაგრე დაუწიოკებიხარ.

- არაფერი, შენი რისხვა არა მაქვს. მხოლოდ ერთი პაწაწკინტელა ყველის ნაჭერი მოვტაცე, შვილები მეხოცებოდენ შიმშილითა, ისიც იმათ გულისთვის შევცდი... სხვებისა რა მოგახსენოთ, თავს შემოგევლე, ალბათ, ვერა ჰბედავენ; თქვენი ხათრი და რიდი აქვთ. მეც რის ვაი-ვაგლახით გავბედე თქვენი შეწუხება, - განა

ადვილია მეფის წინაშე წადგომა და მისი თვალ-წარბში მზერა!.. შენ მძლავრ ნისკარტს და კლანჭებს ვენაცვალე, მეფე ბრძანდები, ჩვენი იმედი, ჩვენი ნუგეში, ვინძლო რომ ჩემი დაჩაგვრა არ შეარჩინოთ იმ უსამართლოს. სამაგალითოდ დასაჯოთ, რომ სხვამ აღარ გაბედოს ფრინველების უღვთოდ დევნა.

- კარგი, კარგი! დავუძახებ ჩემ ლაშქარს და დავესხმი თავსა. თუ მეფეს არ ეცოდინება ქვეშევრდომთა შეწუხება, მისი რა ბრალია, რომ არ მიეშველოს! - სთქვა არწივმა და ნისკარტით მარჯვენა მხარი გაისწორა.

არ გაუვლია დიდხანს, რომ მეფის ტახტის გარშემო მოიწყო მოდენა ფრინველთა გუნდმა: სად იყო ამდენი ფრინველი? ბევრს ამათგანს კაჭკაჭი ვერც კი იცნობს. საზარელი, დიდრონი ტანისა არიან: ყაჯირები, სვავები, გავაზები, შავარდნები და სხვანი. ასტყდა მეფის საბრძანებელში ფრინველთა საზარელი ყატყატი. ჰაერი

ზღვასავით ელავდა იმათ ბოლო-ფრთათა ტყლაშა-ტყლუშით. გაეგოთ, მეფეს ვიღაც სტუმარი სწვევია ბარიდანაო. ყველას თითო რამ მოჰქონდა ბრჭყალებით მეფისათვის ძღვნად. ბევრმა იმათგანმაც ვერ იცნო კაჭკაჭი. არწივმა გამოუცხადა იმათ სტუმრის მოსვლის მიზეზი და აგრეთვე ისიც, რომ ხვალისთვის სალაშქროდ მომზადებულიყვნენ.

- მზად იყავით ხვალისთვის ყველანი, - სთქვა არწივმა ზავთიანი და ბოხ-მაგვარის ხმით: - უნდა დიამბეგი სარდიონი დავლაშქროთ... შეატყობინეთ ყველას ჩემი ბრძანება. ჩემ ქვეშევრდომს არავის დავაჩაგვრინებ, მინამ ცოცხალი ვარ... - და უამბო კაჭკაჭის უბედურება. ფრინველთა ერთხმად თანხმობა გამოუცხადეს.

- რა ჯურის ფრინველია, ოსტატი, ეშმაკი რამ კი უნდა იყოს! - ჰკითხავდენ ერთმანეთს გავაზები და შავარდნები.

- ჩვენ ვიცნობთ კარგა მაგას. ბარელია, ბარელი... ბევრჯელ გადავურჩენივართ ფათერაკს. კაჭკაჭი ჰქვიან, - ამბობდენ სვავები: - ლეშზე ხშირად გვესტუმრება და ჩვენთან ერთად შეექცევა. თუ ეგ იქ არის, ადამიანი ადვილად ვერ მოგვეპარება სათოფედ. ერთს დაიჭრიალებს და ყველას ზეზე წამოგვშლის. ვნახავთ ბოლოს მაღლიდან, რომ ფლატეში ან ჯაგს უკან თოფიანი კაცია მიმალული... ძრიელ ყოჩაღი და ფხიზელი ფრინველია.

- სმენა იყოს და გაგონება! სადილად ყველანი ჩემთან უნდა იყვეთ! - და აფრინდა არწივი. გაშალა თავისი განიერი, ღონიერი ფრთები. თითქო ცას მიეკრაო, ისე მაღლა აფრინდა. ფრინველთა წრე შემოავლეს. კარგა ხანს იტრიალეს და ბოლოს ისევ დაბლა დაეშვნენ. შემოუსხდენ გარშემო თავის მეფეს, მიიპატიჟეს კაჭკაჭიც, ჩაისვეს შუაში. მოიტანეს მრავალი ფრინველისა და ნადირის ხორცი და გამართეს ნადიმი... სადილზე

ბევრი ისაუბრეს, თუ როგორ შეჰბრძოლებოდენ მტერსა... გათავდა ნადიმი და არწივმაც შიკრიკები გაგზავნა, რომ ვინც აკლდა, ისინიც მოსულიყვნენ.

მეორე დილით იმდენი ფრინველთა გუნდი მოგროვდა, რომ მზის სხივები დაჩრდილა; ფრინველთა ყატყატისაგან მთელი არე-მარე ინძრეოდა. საზარელი და მასთან საყვარელი სანახავი იყო ეს ფრინველთა ბრბო, მათი მოძრაობა, ხმაურობა. ყველას ეტყობოდა, რომ რაღაც დიდი საქმისათვის ემზადებოდა.

არწივმა ყველას თვალი გადაავლო, ლაშქარი გადაათვალიერა სათითაოდ და დაარიგა, ვინ როგორ მოქცეულიყო:

- თქვენ, შავარდენნო, ქორნო და გავაზნო, ეცადეთ, რომ რამდენი კაციც ჩვენ ბრძოლას დაგვიწყებს, იმდენსვე ქუდი მოსტაცოთ.

დაიძრა არწივი და მასთან ერთად ფრინველნი. მეფეს ახლო მოსდევდენ შავარდნები, მერე გავაზნი; იმათ მოჰყვებოდენ ქორები, მერე ალალნი და მიმინოები, შემდეგ ყორანნი; ყორნებს უკან ყაჯირები, ყაჯირებს მოსდევდენ სვავნი და სხვ. და სხვ. კაჭკაჭი სულ უკან დარჩა და სიხარულით აღარ იცოდა, რა ექნა. გზაზე ლაშქარს ბევრი მეომარი ემატებოდა. გუშინ რომ ბიაბროდ გახადა კაჭკაჭი, ის ძერაც აქ მოაფრატუნებდა მხრებსა, ფეხის ხმას აჰყვა ისიც. მელაც დაბლა მორბოდა, ეგები მეც რამ მერგოსო...

წინა-ღამეს საკვირველი საქმე დაემართა სარდიონს. მდინარე მოვარდა, მისი მარანი, ბეღელი სულერთიანად წალეკა და წაიღო. ამ ფაცაფუცში რომ იყო სარდიონი თავის ბიჭებიანად, იმ დროს სახლს დაჰსხმოდა თაგვთა ჯარი და რაც რამე ძვირფასი ჰქონდა სახლში, ზოგი ნაძღვნევი, ნაფეშქაშარი თუ ნაყიდი, ყველა ჩაეჭრათ,

ჩაეკემსათ... მეორე დილით ფრიად შეწუხებული სარდიონი თავის ბიჭებით გაბრაზებული დადიოდა ეზოში, გლოვობდა აუარებელ პურისა და ღვინის დაღუპვას, - სახლში ნივთებისა და ტანისამოსის გაოხრებას... ეზოში გაფენილიყო აუარებელი გუნდი ბატებისა, ინდაურებისა, ქათმებისა და სხვ... სარდიონმა არ იცოდა, თუ სხვა უარესი უბედურება მოელოდა...

შორს დაინახა სარდიონმა უზარმაზარ შავ ღრუბელსავით რაღაცა; თითქოს ზღვა გადმოვარდნილა თავის ნაპირებიდანო, ისე მოჩანდა არწივის ლაშქარი. სარდიონს ეზარა ამ სურათის დანახვა. როცა გაარჩია ფრინველთა გუნდი, ბიჭი აფრინა სახლში თოფისათვის. აგერ მოახლოვდა ლაშქარი, თითქოს სეტყვა მოდისო, ჭექა-ქუხილი ისმოდა. შეუპოვრად მოცვივდენ და დაესხნენ ეზოში ბატების, ინდაურების, ქათმების გუნდს: ბდღვირს ადენდენ ყველას. ჯერ არწივისა, ქორ-შავარდნების ჯერი

არ მოსულიყო. დიამბეგი და მისი ბიჭები უჩხაკუნებდენ თოფებს, მაგრამ არც ერთს არ გაუვარდა, - ეს თაგვების ბრალი იყო: თოფები “ჩაესველებინათ”, რომ აღარ გავარდნილიყვნენ, ყველას თოფები, განა თუ მარტო დიამბეგისა. დიამბეგმა ხმალსაც მიჰმართა, მაგრამ ხმლით რას გახდებოდა. ვინ მიუდგებოდა ახლო: აბა, ჰა, ხმალი შემომკარიო... არავინ. ხმალი გადააგდო. თოფს დაუწყო სინჯვა: ძველი ტყვია-წამალი ამოიღო და ახალი ტყვია-წამლით გატენა. სხვასაც ესევე უბრძანა.

იმათ რომ თოფებს დაუწყეს შლა და კუდების გამოგდებინება, “დროაო!” - სწორედ ამ დროს უბრძანა არწივმა ქორ-შავარდნებსა და თითონ გაუძღვა წინ. დაუქროლა დიამბეგს პირველმა და გაჰკრა ბრჭყალი თავზე. მისი ვარსკვლავიანი ქუდი ბრჭყალებში შერჩა და დიამბეგსაც დაუკაწრა თავი. სისხლმა დაუწყო დენა. სხვებმა სხვებს მიჰმართეს.

ერთ წუთში მოხდა ეს საქმე. და ყიჟინით გაემართნენ მაღლა. ყველას კლანჭებში ჯურა-ჯურა ქუდები ეჭირათ. დამარცხებული დიამბეგი და მისი ბიჭები პირდაღებულნი შესჩერებოდენ ამ ამბავს. კაჭკაჭი შორიახლოდან სეირს უყურებდა. სიხარულით აღარ იცოდა, რა ექნა. შვილები დაავიწყდა, ახლად დაიბადა.

ფრინველნი ნადავლით თავის ბინაზე დაბრუნდენ, და დიამბეგმაც იმავე დღეს, შერცხვენილმა, ქალაქისაკენ გასწია ქუდისა და ტანისამოსის საყიდლად. ტახტრევანში ცხენები შეაბმევინა და გასწია გაცხარებულმა ლანძღვა-გინებით, შფოთით.

გზაზე ერთ ადგილას ცუდი გასავალი იყო. დიდი ფლატე, ძირს - ღრანტობი... ამ ადგილს რომ მიუახლოვდა, ცხენები უცბად შეფრთხნენ და შუაგულ ღრანტობში ჩავარდენ. დიამბეგის "კუჩერმა" თვალი მოჰკრა მელას, რომელიც ფლატოდან ამოხტა და გაძრიალებული გარბოდა

ტყისაკენ...

ეს ამბავი მთელმა სოფელმა გაიგო. დიამბეგი მკვდარი წაასვენეს სახლში და მესამე დღეს დაასაფლავეს. ცხენები დახოცილიყვნენ. სარდიონის "კუჩერიც" თავგატეხილი ლოგინში იწვა და მწარედ გმინავდა...

ფრინველნი გამარჯვებულნი დაბრუნდენ ნადავლით. ქუდებიც თან მოიტანეს. არწივმა სარდიონის ქუდი თავის საბრძანებელ კლდის კინჭუხზე ჩამოჰკიდა. სხვებმაც იმის ჩამოსწვრივ კლდეზე გაამწკრივეს ქუდები.

მას აქეთ არწივის საბრძანებელს "ქუდოვანი" დაერქვა. მონადირენი და მწყემსნი, როგორც არაკს, ისე უამბობენ სოფლელთ "ქუდოვანის" ამბავს. ამბობენ: "აშკარად სჩანს ქუდები კლდეზე, ზოგი თეთრად, ზოგი შავად, სხვა წითლად და ლურჯადაო..."

ფრინველთ გაიგეს მელიას გამარჯვება, სარდიონისა და იმის ცხენების დაღუპვის ამბავი, მთელი ერთი თვე კარგს დროებას ატარებდენ დიამბეგის ნაპატივარ ცხენების ლეშზე.

1898 წ.

ბუნების მგოსნები

I

შაშვი ამჟამად თავისთავს გამარჯვებულად სთვლიდა. აღფრთოვანებული იყო: ღმერთს, ტყეს, მთებს, ცას, დედამიწას, - ყველაფერს მადლობას სწირავდა; მას აღარავინ სძულდა. ჩხიკვი, შაშვის მოსისხლე მტერიც-კი, მოკეთედ ეჩვენებოდა. დაავიწყდა, თუ რამდენჯერ დაუჭამა შეჩვენებულმა შაშვს ბუდეში გამოსაჩეკად გამზადებული კვერცხები; რამდენჯერ სრულიად ღლაპი, დაუბუმბლავი ბარტყები გადუსანსლა; რამდეჯერ აატირა ცხარე ცრემლით, რამდენჯერ გაამწარა, ააშფოთა იქამდის, რომ შაშვის საცოდაობით ტყეც-კი ტიროდა. ვერხვის მთრთოლარე ფოთლები ცრემლს აფრქვევდენ; მუხაც-კი, კლდესავით მაგარი, რკინის გულის მქონებელი, სახეს

იღმეჭავდა და სატირლად ემზადებოდა... შაშვი სიმღერის იშტაზე იყო მოსული.

ეს-ეს არი ჟუჟუნა წვიმამ გადაიღო. ჯერ ისევ ცხოვლად ჩანდა ნორჩ მწვანე ბალახებზე მარგალიტებად დაფანტული წვიმის ცვარი. არ ჩამობერტყილიყო იგი ხის ნორჩ ფოთლებიდან: თითო-თითოდ ჩამოდიოდა, ხმელ ფოთოლზე ცვიოდა, ტყეს აცოცხლებდა, ახმაურებდა.

შაშვსაც სიმღერა სწყუროდა... ეს-ეს იყო შაშვმა მთელი თავისი ოჯახი - თავის ბუდე, სადაც სამი ნახევრად ბუმბულით შემოსილი ბარტყი ეჯდა, გადაარჩინა. მისი შვილები ხომ გულუბრყვილოები, მინდობილები არიან: ვისაც დაინახავენ, პირებს უღებენ - გვაჭამე რამეო.

დედას ძალიან უყვარს იმათი ჟღურტული, აღტაცებაში მოდის, როცა მისი შვილები ყვითლად დაფერილ ხახას აღებენ და თან პაწაწკინტელა მხრებს ასავსავებენ.

მაშინ შაშვი ამბობს: “თქვენ გენაცვალეთ, თავს შემოგევლეთ, ჩემო პატარეებოვო! მტერი მოგაშორეთ, აგაცილეთ თავიდან - გავაბრიყვე; იმას ჰგონია - შაშვს, დედა-თქვენს, ჭკუა არა აქვს!”

შაშვი კიდეც იკვეხოდა თავის ჭკუას და მოხერხებას. რაში გამოიჩინა ჭკუა? - მოუსვენარი ვასო დაინახა, ჩიტთა ბარტყების მტერი, სახლი რომ გალიებით აქვს სავსე და შიგ სხვადასხვა ფრინველების ბარტყები ჰყავს დატყვევებული, მოთავსებული. მოდიოდა თავგადაგლეჯილი, თვალდაცეცებული, მოძვრებოდა ჯაგებში და ზედ უნდა წასდგომოდა შაშვსა და მთელ მის ოჯახს. შაშვმა თვალი მალე შეასწრო და ესღა მოახერხა: ცალი მხარი დაუშო, თითქოს მოტეხილი აქვსო, დაჭრილად მოეჩვენა და გაუფრიალა ვასოს თვალწინ. მონადირეს გაუხარდა და დედა-შაშვს გამოეკიდა დასაჭერად. ვისღა აგონდებოდა ბუდე და ბარტყები?!

მიფორთხავს შაშვი და მისდევს თან ვასო. ჯერ იმედი ჰქონდა - ცოცხალს დავიჭერო; როცა ეს იმედი გაუცრუვდა, დაუწყო შაშვს ხისა და ქვის სროლა, მაგრამ ამაოდ. შაშვმა დაინახა, რომ მტერი შორს იყო, ასცდა მის შვილების ბინას, გაიმთელა ფრთა, შეინავარდა ცაში და მიეფარა ტყეში. მალე დედა-შაშვი თავის საყვარელ ბარტყებთან გაჩნდა: "მოგაშორეთ მტერი, მოგაშორეთ! ნუ გეშინიანთ, ჩემო შვილებო, ტკბილებო, მარგალიტებო! როგორ გავაბრიყვე ის სულელი ბავშვი: იმას ეგონა, რომ მართლა მე ფრთა მქონდა მოტეხილი, იმედოვნებდა - უსათუოდ დავიჭერო; ასე რომ არ მოვქცეულიყავ, ჩემი ბინა-ბუდე ეხლა დანგრეული იქნებოდა და თქვენც, ჩემო შვილებო, ვასოს გალიაში ისხდებოდით დატყვევებულნი, მტირალნი... ეხლა ფიქრი ნუ გაქვთ, ღმერთი ჩვენთან არის!"

აი რისთვის იყო შაშვი გალაღებული, აი რისთვის მიეგება

ის ბუნებას აღტაცებით და მტრების მიმართაც კი მტრობას აღარა ჰგრძნობდა.

მგლოვიარე ქალი, მუდამ თალხებში ჩამჯდარი, მოევლო კენწეროში თამელს იქვე, შვილების ახლო, და დაიწყო გალობა. მშვენიერი იყო შაშვის გალობა, ძალიან უხდებოდა მისი სტვენა ჩამავალი მზის მთის ფხიდან შუბის წვრად გამოძაბულ სხივებს, ტყეში, ხეობებში დაფანტულ-დაქსაქსულსა.

შაშვი ძალიან აღტაცებით გალობდა. ასე გულიანად გალობა მხოლოდ იმას შეუძლიან, ვისაც თავის დღეში სიკვდილზე არ უფიქრნია, ვინც არ ფიქრობს - ერთხელაც იქნება მოვკვდები, შავ მიწას მივეფარებიო. რას გალობდა შაშვი? ნუთუ არ არის სიტყვები იმის გალობაში? ვიცით, გვესმის ის ლექსი, რასაც შაშვი მღერის? ვაი, რო არ გვესმის და მხოლოდ უნდა მივხვდეთ. უნდა მივხვდეთ იმიტომ, რომ შაშვი მუდამ არ გალობს; მაგალითად,

ზამთარში: ამ დროს უფრო დაღონებულია, დროს მხოლოდ საზრდოს შოვნას ანდომებს, როგორმე თავი გამოიკვებოს...

დიაღ, უნდა მივხვდეთ, უნდა ვიფიქროთ ასე: განა შეიძლება მაგ გულამოსკვნით ნათქვამ ხმებში არ იხატებოდეს თხოვნა - ღმერთო, მიცოცხლე, დამიზარდე ჩემი შვილებიო! - ღმერთო, აშორე მათ ყოველი განსაცდელი, დაიხსენ ყოველგვარ გაჭირვებიდან ისე, როგორც დღეს დაგვიხსენი! ოჰ, როგორ გმადლობ შენ, უფალო, რომ არ გაგვხადე მტრის ლუკმად!

როგორ დავიჯერო, შაშვი მადლობას არ ეუბნებოდეს ღმერთს, რომ მან შექმნა ბუნება ტურფა, საყვარელი და შაშვს მიანიჭა სიცოცხლე, - საუნჯე ტკბილი და უძვირფასესი? ვინ იცის კიდევ რას გალობდა შაშვი?! ეს თქვენ გაიგეთ, ამას თქვენ მიხვდით...

გალობდა შაშვი და თავის გალობაში დნებოდა. მზემ მოკრიფა მთლად თავისი სხივები, ჩაიწყო უბეში, შეიხვია კალთაში, მოეფარა მთას და განისვენა. ბინდმა დაჰკრა. შაშვი, შეასრულა-რა თავისი მოვალეობა, სდუმდა; ჩაფრინდა ბუდეში და დააჯდა თავის ბარტყებს. შაშვმა რომ გალობა გაათავა, ტყემ, დაბლა ყვავილებით მორთულმა მწვანე ბალახმა, გორაკებმა და იმ სულმა წმინდამ, ჰაერთან ერთად შეზავებულმა, შაშვს მადლობა გადუხადა: “გმადლობთ, გმადლობთ, იცოცხლე, იხარე; ღმერთმა ნუ დაადუმოს ნურადროს შენი ტკბილად მოუბარი ენა და ნურც შენს მსმენელს, მადლიერ ბუნებას, მოაკლოს მადლი, რათა კეთილად დააფასოს შენი ღვაწლი, მოგიხსენიოს მუდამ მადლობით, კეთილად”.

ამასობაში დაბინდდა და მთელი ბუნება საძილედ გაემზადა. სდუმდა შაშვი, მაგრამ ბუნებას სხვა მგოსანი გამოუჩნდა - უფრო დიდებული, უფრო ტკბილად

მომღერალი, ვიდრე შაშვია: ბულბულმა დაიწყო გალობა. თუ მეტყველ ნაწილს ბუნებისას - ადამიანებს, გვყავს საკუთარი რუსთაველები, შექსპირები და ჰომიროსები, უტყვ ბუნებასაც - ტყეს, ფრინველებს, ცხოველებს ჰყავთ თავისი შექსპირი და რუსთაველი, ეს არის - ბულბული. მისი მშვენიერი, ტკბილი გალობა სული წმინდად ჰქმნიდა მთელ ბუნებას თავის ცით და დედამიწით; თავადაც დამდნარი, შეერთებოდა ამ სული წმინდას და ყოველი მსმენელის გული დაესვა თავის ლაღ, მსუბუქ ფრთებზე და ბედნიერად ქცეულს, არწევდა, აქანავებდა. ისეთი დიდებული და აღმაფრენის მომნიჭებელი იყო ბულბულის სტვენა, - დამატკბობელი, გაკვირვებით და სიხარულით აღმვსები ყველასათვის, ვინც მას უსმენდა, როგორც მშობლისათვის დედისერთა შვილის მკვდრეთით აღდგომაა.

II

ბულბული რომ გალობდა, იქვე, ჭალაში, ამ დროს აივანზე ისხდენ მოხუცი მღვდელი ირიოდიონი და მისი ერთადერთი შვილი, სემინარიელი ვანო, და ჩაის შეექცეოდენ. მოხუცის ერთადერთი ნუგეში და იმედი აღტაცებით ისმენდა ბულბულის გალობას. მამა ირიოდიონს სახეზე ნაღველი გადაეკრა, თვალები ცრემლით აევსო, რაღაც სამწუხარო ამბავი მოაგონდა.

- ოჰ, რა მშვენივრად გალობს; ცხონებულ დედაშენს ძალიან უყვარდა ბულბულის გალობა: საჭმელ-სასმელი ავიწყდებოდა და, მინამ ბულბული არ გაათავებდა გალობას, საბრალო დედაშენი, სმენად გადაქცეული, არ მოშორდებოდა აივანს, ყურს უგდებდა. ოხრავდა, ვიშვიშებდა, თითქოს ესმოდა დაწვრილებით, რასაც ბულბული გალობდა. ღმერთო, დაილოცოს შენი სამართალი, რომ მაგ ერთი ბეწო ჩიტს იმოდენა უნარი მიეცი, რომ ციური სიამოვნება აგრძნობინოს ადამიანის

სულსა და გულს. “ლოცულობს, ადამიანო, ლოცულობს”, - იტყოდა ცხონებული: - “მე დაწვრილებით მესმის მისი ლოცვაო, და იცი კიდევ რას ამბობს, რასა სთხოვს ღმერთსაო? ღმერთო, მუდამ ესე აყვავებული და ამწვანებული ამყოფე მთელი ბუნებაო. ღმერთო, შეიწირე ვედრება ობოლთა და დავრდომილთა. ღმერთო. კეთილად მოიხსენე სასუფეველსა შენსა იმათი სულები, ვინც წმინდად განვლო გზა ცხოვრებისა; გვაშორე სიკვდილი, უფალო, გვაშორეო, მიცოცხლე, ღმერთო, ჩემები, ვინცა მყვანანო...”

ზაფხულობით კატას არ დააყენებდა სახლში, ბიჭს შორს წააყვანინებდა, გააშვებინებდა, სხვისასაც არ გააჭაჭანებდა თავის ეზოში - ბულბულებსა სჭამენ შეჩვენებულებიო. მართლაც, რამდენჯერმე ვიპოვნეთ ბულბული ჩვენი ვარდების ძირში, სადაც ბულბულებს ღამე ცხოვრება და გალობა უყვარდათ. გალობის დროს-კი

ძალიან ადვილად დაიჭერს ჯერ ადამიანი, თორემ კატა რას გაუშვებს, იმიტომ, რომ თვალდახუჭული გალობსო... დიდად გვასიამოვნებდენ მართლაც ბულბულები, მახარობლებივით მოფრინდებოდენ და გვატკბობდენ. მოკვდა დედაშენი და ბულბულებმაც ხელი აიღეს ჩვენს ბაღზე: ეხლა შორიდან გვაძლევენ სალამს, - დაამთავრა სიტყვა ამოოხვრით მოხუცმა.

- მართლაც დიდებული მოვლენაა, მამაჩემო, ბულბული ბუნებაში: საზოგადოდ - მგალობელი ჩიტები. მე ასე ვფიქრობ: ბუნება წარმოდგენებს ჰმართავს და არტისტები მღერიან, - მცენარენი, ცხოველები, ფრინველნი, საერთოდ მთელი ბუნება სტკბება არტისტების მღერით. საღამო ხანზე ხომ გაიგონეთ - შაშვმა იგალობა; დაღამდა და ბულბულმა დაიჭირა მისი ადგილი. დაბალი ხარისხის მომღერალნი ხომ აუარებელია.

ბუნების წიაღში წარმოდგენები იმართება-მეთქი, ვამბობ, და ეს სრული ჭეშმარიტებაა. მსახიობნი უმთავრესად ჩხიკვები არიან. ბუნებას ისე უყვარს ხელოვნება, როგორც ჩვენ. ან კი ჩვენ, ადამიანებს, სად შეგვიძლიან ისე შევიყვაროთ ხელოვნება, როგორც თვით ბუნებას, რომელიც თავისთავადაც ხელოვნებაა?! მერე რა მიყვარს მაგ იდეალურ არტისტებისა? ჰო, შენი ჭირიმე, როგორ არაკრაკებს ხმასა! - თავისდღეში სასყიდელს არა თხოულობენ, მაგათ არც ვინ იუბილეს უმართავს, არც ზეიმს; არც ვინ საჩუქრებს უგზავნის. მშვენიერებაზე მშვენივრებაა!.. - ამბობდა აღტაცებით ვანო.

“რაში უნდა მოიხმარონ ან კი საჩუქრები? - წარმოსთქვა მამა იროდიონმა: - რას აქნევენ ოქროს და ვერცხლის საჩუქრებს? ჩვენ რა ვიცით, რომ თავიანთებურად კიდევაც არ უმართავენ? ჩვენ როდის ვადევნეთ თვალ-ყური ფრინველების ყოფაქცევას? არც როდის”.

“მართლაც რა ტურფა სანახავი იქნებოდა, - ამბობდა ვანო აღტაცებით, - მენახა ჩემის თვალით ბულბულის იუბილე. როცა ჩვენ ქალაქში ხეხილი აყვავებულია და ყვავილების სუნი ნისლივით დასწოლია ზედა, ჰაერი მთელი ყვავილების სუნად არის გადაქცეული, - იქამდის, რომ ადამიანს ათრობს, ჰბნედავს, გარს შემორტყმული მაჩვენა ბულბული ფრინველთა დეპუტაციით. ნუთუ დარჩებოდა ისეთი მოდგმა ფრინველებისა, რომ მოსალოცად თავიანთ დეპუტატს არ გამოგზავნიდა?.. რა სათქმელია, რა წარმოსადგენია? არის სადმე განა ისეთი ფრინველი, რომ არ ჰსმენოდეს ბულბულის გალობა და არ დამტკბარიყოს მის ტკბილხმოვანებით? არა მგონია. მაშასადამე, უნდა წარმოვიდგინოთ, თუ რამოდენა სხვადასხვა ფრინველი მოიყრიდა ბულბულის გარშემო თავსა და რომელი ფრინველი რას იტყოდა; ვინ რა სიტყვას ეტყოდა და ან ბულბული რა სიტყვით გადაიხდიდა მადლობას? ოჰ, მამაჩემ,. რა დიდებული სურათი იქნებოდა! მეც იქვე

სადმე ბარდში ჩამსვა ისე, რომ ვერავის დავენახე: მეცქირა ფრინველთათვის, მომესმინა იმათი ნათქვამი, ჩამეწერა რვეულში, დამებეჭდა და გამევრცელებინა ხალხში. განა იმაზე ლამაზ საკითხავს წიგნს კიდევ შეჰხვდება ადამიანი? არა მგონია.

“ახლა-კი მხოლოდ უნდა დაახლოებით გავიმეოროთ ის, თუ რა ჯიშის ფრინველთა დეპუტატი რას ეტყოდა ბულბულს. წარმოვიდგენ, მაგალითად, რასაც ეტყვის არწივი. პირველად უნდა მიულოცოს, როგორც ფრინველთა მეფემ: “შენ, ეი, ჩიტუნიავ, მე, არწივი, თქვენი მეფე, მოვედი, მოგილოცო შენი დღესასწაული; ამით თავს ნუ მოიწონებ, ნუ გაბრიყვდები, კვლავ ასიამოვნე ფრინველნი შენის გალობით. მეც გამიგონია შენი გალობა, მაგრამ უნდა გითხრა: ისე არ მომწონს, როგორც უმრავლესობას, რადგან შენი გალობა ერთობ ნაზია, ლაჩრული: არ გამოისმის მასში ჭექა ვაჟკაცური.

შენ თავადაც, როგორც სუსტი აგებულობისა, გალეული, უღონო ხარ და ამასთან ლაჩარი; ეგ არა ჰშვენის არავის. მამაცობა და გაბედულობა არის უპირველესი ღირსება ყველასათვის. შენ, ვგონებ, რომ ღობემძვრალასაც კი ვერ გაუმკლავდები. ეგ ვერაფერი ბიჭობაა. გაგიმარჯოს და ეს ჩემ მიერ აღნიშნული ღირსებაც მოგანიჭოს ღმერთმა!”..

გაისმა “ვაშას” ძახილი.

“ბულბული მიუგებს პასუხად: “დიდებულო მეფევ! მე არ გახლავარ მეომარი და სისხლის მღვრელი. რაში გამომადგება, ეგ რომ შევიძინო? მაშინ, რაც ღირსება მაქვს, დავკარგავ და აღარც ვიქნები ბულბული. მოსისხლე სული და გული ვეღარ გამოსცემს იმ ხმებს, რისთვისაც მემადრიელებიან ყველანი. თუნდა ესეც არ იყოს, ჩემი გულადობა ვისთვის რა საშიში უნდა იყოს? ბალახის რაიმე მარცვლის შეჭმის დროს თუ არ ვიფთხვე, ნისკარტი მომტყდება, და თუ მაგრად, კარგად არ

ჩავავლე რაიმე ტოტს ფეხები, მაშინათვე მომეგრიხება: ლამის არის ისინიც დამემტვრას! ბუნებამ ჩემთვის გაიმეტა მხოლოდ ხმა და გალობის უნარი; დანარჩენს ტყუილად შევეპოტინები: არაფერი გამოვა. თქვენი დიდებულების ჭკუა-გონება ამას ძალიან კარგად მიჰხვდება. თქვენ რაც ისურვეთ ჩემთვის, დიაღაც კარგია, მაგრამ...”

“ბულბული გაჩუმდა და თავი დაბლა დაჰკიდა... ფრინველთ, რასაკვირველია, “ვაშას” ძახილით დაადასტურეს ბულბულის სიტყვა. ხოლო არწივმა ბღვერით გადაუნათა თვალები; ამავე თვალებით თითქო ისიც ეთანხმებოდა ბულბულს, თუმც მისდამი სიბრალულიც-კი გამოხატა. არწივი გაბობღდა გვერდზე; ამით გზა გაუხსნა ფრინველებს, ბულბულს რიგ-რიგით წარსდგომოდენ და გამოეცხადებინათ მისთვის თანაგრძნობა.

“არწივის შემდეგ გადმოაფლაშუნებს სვავი; სხვებს როდი აცლის: ცდილობს, უნდა კარგი რამ წარმოსთქვას, ახრანტალებს ყელში და ბოლოს, როგორც იყო, გამოაგნო სიტყვები, ხოლო თვალი უფრო არწივზე აქვს, ვიდრე ბულბულზე: ცდილობს თავის ლაპარაკით მოეწონოს ფრინველთა მეფეს, რადგან იმის ნარჩომით ბევრჯელ გამაძღარა და იმედი აქვს შემდეგშიაც არ მოაკლებს მეფე მოწყალებას; სვავს ბულბულის პიროვნება მაგდენად არ ეპრიანება. სვავი იბღინძება, თავი მოსწონს ტანადობით, ახოვნობით. თავისთავს თითქმის არწივის ტოლ-ამხანაგად სთვლის, რაიც ფრინველთა უგუნურობას ღირსეულად ვერ დაუფასებია; თვალებს თავმომწონედ აბღვრიალებს და ჩიჩახვს ისიებს. ფრინველები სიცილით იხოცებიან. ზოგი ესწრაფვის დაუყვიროს: დაიკარგე მანდედანაო! მაგრამ სხვები აჩერებენ: - მოითმინეთ, ვნახოთ, რას იტყვისო.

“სვავი ცდილობს ლაპარაკში არწივს მიჰბაძოს, კილო არწივისა მიიღოს: “შენ, ჩიტუნიავ, მომილოცნია (რას ულოცავს, ის ავიწყდება: ალბათ არ იცის); ძალიან პატარა ყოფილხარ და სახელი-კი დიდი გაქვს. არ ვიცი, ღმერთმანი, ასე რადა ჰხდება? მე შენი გალობა ბევრჯელ მესმის და კმაყოფილიცა ვარ, მხოლოდ ერთი რამა მწყინს: შენი გალობა ლეშის მადას მიკარგავს; ცოტა ეს არ მომწონს (ფრინველებში.სიცილია). თუ კარგად დაუგდო კაცმა ყური შენს გალობას, გულში ეწვეთება ისეთი მძიმე, მწვავე ცვარები. არ ვიცი, ეს ცვარები რისაა, მხოლოდ ვგრძნობ და ვიცი ის, რომ გულზე აღიბეჭდება და იწერება შემდეგი სიტყვები: ნუ მოჰკლავ, სისხლს ნუ დაღვრი! მაშ რა ვქნათ? ბალახი ვძოვოთ? ამ ბრიყვებს (უჩვენებს ფრინველებზე), ბოდიშს ვითხოვ, დიდებულო მეფევ, შენთან, ჰგონიათ, რომ მე თავში ტვინი არ მაქვს და არაფერი გამეგება წუთისოფლისა. ჰმ! მაგათ როდი იციან, თქვენს გარდა, დიდებულო არწივო, რომ, რაც მარტოკა

ჩემ თავში ტვინია, ყველა მაგათ თავში იმის ნახევარიც არ მოიძევება. კარგ მთქმელს კაი გამგონეც უნდაო, ნათქვამია. ეჰ, რა გაეწყობა... მახლას! და შენ კი, ჩიტუნიავ, ვგონებ ეს იმიტომ გეთქმევა, ყველას გვაგონებ, რომ, ჯერ ერთი, ვერავის ვერ მოერევი, რომ მოჰკლა, თავის სისუსტისა გამო, როგორც უკვე აღნიშნა ჩვენმა დიდებულმა მეფემ; და მეორეც - შენ ხორცს არ მიირთმევ. აი, ამიტომ ვამბობ: ეგ ზემორე აღნიშნული სიტყვები რომ გამოაკლო თავის მღერას, მაშინ უკეთესი მგალობელი იქნები".

"ამით დაამთავრა სვავმა თავის სიტყვა, რომელმაც დიდი სიცილ-ხარხარი გამოიწვია მგალობელ ფრინველთა შორის. მაღლიდან, სვავის შეუმჩნევლად, ჩხიკვი ქოქოლას აყრიდა თავზე.

ბულბული გაჩუმებული და გამტკნარებული იჯდა და ხმას არ იღებდა.

- გზაა, გზა! - დაიძახა მჭექარის ხმით შავარდენმა. - მოშორდი მანდედან, შე წუწკო, სხვისა ნასუფრალით მცხოვრებელო, უმადლო, უოფლო! განა შენ გამოგეყოფა გარეთ თავი? ჭკვასაც რომ კვეხულობს! ოღონდაც და ჭკვა აქვს, თავად ნადირობის შნო არ მისცა ღმერთმა, მარტო ჩვენ გვითვალთვალებს: რა დაგვრჩება, რომ მიფრინდეს უნამუსოდ და გადაყლაპოს. წამომდგარა და როგორის რიხით ლაპარაკობს, თანაც ბულბულს არიგებს, თითქოს შეეძლოს დაფასება.

“დიდებულო მგოსანო, იქნებ არც მე მესმოდეს ეს შენი ღირსება სრულიად: როგორც მტაცებელს და მოსისხლე ფრინველს, მე სრულიად სხვა წარმოდგენა მაქვს კარგზე, სიავეზე. ისე ვარ აღზდილი და იმისთანა ზნეჩვეულება მაქვს შესისხლხორცებული, რომ შენი გალობა და შენი ვინაობა თითქმის არც-კი რაშიმე უნდა მეპრიანებოდეს; მაგრამ ეს ასე არ არის. მე კარგად მესმის შენის გალობის,

თვით შენი მნიშვნელობა; შენ რომ არა გვყვანდე, ფრინველები ერთმანეთს მუსრს გავავლებდით, შავარდენი შავარდენს აღარ დაინდობდა; შენი მშვენიერი ხმა ჩვენ სასტიკ მოსისხლე მადას გვინელებს; ეს ჩემ თავზე გამომიცდია. როგორა ვსთქვა ტყუილი, და იმიტომაც გავეცი სასტიკი ბრძანება, რომ ქორს, ალალს, მიმინოს და სხვ. არ შეეძლოსთ შენ ხელი გახლონ, რამე დაგიშაონ. იყავი გამარჯვებული და იცოცხლე მრავალ-ჟამიერ!”

“შავარდენს ლაპარაკი ძალიან უხდებოდა და ყველაზე მეტად ის, რომ საუბრის დროს მშვენიერ თვალებს მოხდენით აფოფინებდა...”

მამა ირიდიონი შვილს გულდასმით ყურს უგდებდა. თვალები და სახე უბრწყინავდა.

- შემდეგ ვინღა მიულოცავს? - დაეკითხა მოძღვარი ვანოს.

“მტაცებელ ფრინველებს ვერ ენდობიან მშვიდობიანი ფრინველები: მიკუნჭულან ზოგი ბარდებში, სხვები - ფოთლებით შებურულ ხეებზე სხედან. ესწრაფვიან მილოცვას გვრიტი, ქედანი და ხოხობი, მაგრამ შიშისაგან ვერა ჰბედავენ, თუმც ამჟამად საერთო დადგენილების ძალით არ შეუძლიან ერთმა მეორეს ხელი ახლოს. ვერა ჰბედავენ, დიაღ, მიულოცონ ბულბულს და მოუთმენლად მოელიან იმ წუთს, როდის გაიკრიფებიან აქედან მტაცებელი ფრინველები, რომ იმათ დარჩეს ბურთი და მოედანი. ყველაზე გულადად და თამამად ჩხიკვი იქცეოდა: ხუმრობდა, აჯავრებდა ხან რას და ხან რას, ფრინველებს აცინებდა, ერთ ადგილას არ ისვენებდა: ხან სად ამოჰყოფდა თავს და ხან სად.

“მტაცებელ ფრინველთა გუნდში ყორანი ჰყაყვავდა თავსა: ეტყობოდა, ეწადა მიელოცა ბულბულისათვის; ერთხელ კიდეც დაიყრანტალა ისეთი საზარელი ხმით,

რომ ყველას ტანში ჟრუანტელმა დაუარა. მაგრამ როგორც ყორანს, ისე სხვებს, არწივი ახევინებს უკან თავისი სასტიკი ბრძანებით:

- ახოვანნო ფრინველნო, ვაჟკაცნო ხმლიანნო, დაიწიეთ უკან, უკან; ცოტა შორს დადექით. ნება მივსცეთ სუსტ, უძლურ ფოინველთ მიესალმნენ თავიანთ თანამოძმესა! - ბრძანა არწივმა.

“მისი ბრძანება იმ წუთსავე ასრულდა.

“ან კი ვის შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია?

“გამოფრინდა ქედანი, მივიდა ბულბულთან ახლო, ჰკოცნიდა, ეხვეოდა, ნისკარტს ნისკარტზე უსვამდა, თვალთაგან ღაპა-ღუპით ცრემლი ჩამოსდიოდა: - იცოცხლე, გენაცვალე, თავს შემოგევლე, ჩემო სიცოცხლევ, ჩემო ძვირფასო, ჩვენო ლამაზო, ჩვენო დიდებავ! ვითომ

ჩვენცა ვართ ქვეყანაზე? ჩვენც ფრინველები გვქვიან, ჩვენც ვითომ ვგალობთ? განა ღირსი ვარ სიცოცხლისა? ჩემ სიცოცხლეში მხოლოდ ერთადერთი სიმღერა ვისწავლე, ისიც შენი ზედგავლენით, და როცა გალობა მომინდება, მოვყვები საცოდავად დვრინვა-ლუღლუღს: "თეთრო თევდორე! მომცენ ბოლონი, წითელ-ყვითელნი, საქორწილონიო" უსაზღვროდ გმადლობ, ძვირფასო მგოსანო, რომ შენმა მღერამ, დიდებულმა ჰანგმა და ტკბილმა ხმებმა აღმზარდეს ასეთი მშვიდი და უვნებელი ფრინველი: — ყველა მლოცავს, ყველას ვუყვარვარ და ლოცვა-კურთხევით ვიხსენიებიო.

"ქედანი ვეღარა ჰშორდებოდა ბულბულს, თავს ევლებოდა ისე, რომ გაუწყდა სხვა ფრინველებს მოთმინება: იგრიალა ათიათასმა ფრთამ, ათასნაირი გვარისამ, და შემოერტყა ბულბულს გარშემო.

"ეხვეოდნენ, ჰკოცნიდნენ, ისე შეაწუხეს საბრალო, რომ

კინაღამ ამ გაზიდულობაში არ შემოაბდღვნეს ტანზე რაც ბუმბული ჰქონდა. აღარ აცლიდა ერთი მეორეს ლაპარაკს. ზოგი აქებდა, სხვა ბოდიშს იხდიდა, მესამე ჯურისანი მადლობას უხდიდენ. მაგალითად, ბულბულს ხოხობი დედას ეძახოდა:

— შენ დედა ხარ ჩემი, დედაზე მეტი, რადგან დედას ძილი მოერევა, წაართმევს თავსა, - ეუბნებოდა ხოხობი ბულბულს, — და შენ კი ღამე მიგალობ იავნანას, როცა მე ბარდებში დავგოგავ, ან სიარულით, სირბილით დაღლილს რომ ჩამთვლემს. როცა შენი გალობა მესმის, სამოთხეში მგონია ჩემი თავი.

“მერცხალი ბოდიშს იხდიდა, ამბობდა: — მეც, საცოდავი, ვითომ ვგალობ, მაგრამ წყევა-კრულვის მეტი ვერაფერი მითქვამს. სად შემიძლიან შენ შემოგწვდე, დიდებულო მგოსანო: შენ ერთთავად ჰლოცულობ და შენი პირიდან არადროს სამდურავი არ ამოვა, წყევას ვინ იტყვის; მე-კი,

ან კი რა ვქნა, როცა მაბრაზებენ, რომ არ დავიწყევლო, არა მაქვს მოთმინება, ვიწყევლები: “ბებერ, ცხონდი, ბებერ, ცხონდი, ყმაწვილები ჟლიტო!”

“კაკბები და გნოლები სთხოვდნენ: ზაფხულობით მთაში გვეწვიე, უსათუოდ თან წაგიყვანთ, რადგან აქ ცხელა და იქ გრილა და თანაც მშვენიერი ჰაერი არისო. დიდხან უნდა რჩებოდე ჩვენთან, შენ-კი მოგვეჩვენები და მაშინათვე თავს დაგვანებებო... რამდენი ღამე ღამეს სცვლის: ვუცდით მოუთმენლად სადმე გორაკზე, კლდესთან, ქვასთან ატუზულნი — გავიგონოთ შენი ხმა, მაგრამ ამაოდ; აგვაბირებ საწყლებს ტყუილ-უბრალოდ.

“ჩხიკვი ბევრსა ცდილობდა და ბევრსა ჩხაოდა: ჯერით იყოს ლაპარაკიო, მაგრამ ამას ყურს არავინ უგდებდა!

“არწივის ამალიდან დაეთხოვათ ყვავი და ძერა. გამოედევნათ და ისინიც უვნებელ ფრინველთა გუნდში

ტრიალებდნენ.

“ჩხიკვი იმდენს ბულბულზე არა ლაპარაკობდა, რამდენსაც ამათზე.

— ბატონებო და ქალბატონებო, — იძახდა ჩხიკვი, — სმენა იყოს და გაგონება: ჩვენ ყველანი, მართალია, ბულბულს ვაქებთ, მაგრამ გარდა ბულბულისა აქ სხვა მგალობლებიც გახლავანთ; კარგად ააxილეთ თვალები და კარგად დააცქერდით. xედავთ? აი დიდებული ყვავი და აგერ სახელოვანი ძერა, რომელთა გალობა მე ძალიან მომწონს, თუმც ჯერ მათი მღერა კრიტიკულად არ დაფასებულა და ერთ დროს იქნება, რომ ბულბული დაგავიწყდეთ და ყველას ყვავისა და ძერას სახელი ეკეროს ენაზე. ძერას გალობა, მაგალითად: თქვენ ეxუმრებით, ცაში როგორ ტრიალებს და თანაც წვრილის xმით “წიო-წიოს” იძახის და ყვავს xომ დილა-საღამო, ზამთარ-ზაფxული არაფრად გააჩნია, ზის — ჩxავის,

დაფრინავს — ჩხავის. უნდა მაგათაც გაუმართოთ იუბილე, მხოლოდ ეხლა ერთსა გთხოვთ, ბატონებო, ყველას: შემოკრბეთ ერთად. მღერა ავად თუ კარგად ყველასაც შეგვიძლიან: შევკრათ ხორო და ერთი სიმღერა შევაწიოთ ჩვენს ძვირფას მგოსანს, ხოლო პირველს ყვავი და ძერა იტყვიან. მე და კოდალა მოძახილს გეტყვით და დანარჩენები ბანს. ვნახოთ, რა გამოვა.

“ფრინველნი სიცილით იხოცებოდნენ; შემოკრბენ ერთად ყველანი და დააგუგუნეს ერთხმად დიდებული სიმღერა. ისეთი ჟრიამული ასტყდა, რომ ტყე ზანზარებდა. არწივმა და მის ამალამაც იმღერა საუცხოვო ჰიმნი. დიდებული სანახავი იყო ამ დროს ფრინველთა კრება.”

— სხვა არაფერი? ეგ არის, მორჩი? — დაეკითხა მოხუცი ვანოს.

— მორჩა და გათავდა, სხვა რაღა დამაკლდა, არ ვიცი? —

მიუგო ვანომ მამას.

— ბევრი რამ, ჩემო ძვირფასო შვილო, სხვათა შორის თუნდ ის, რომ ამ დროს ერთმა ქეციანმა ტურამ რომ დაიჩხავლოს, რა მოხდება? ერთ ქეციან ტურას შეუძლიან ჩაფუშოს ფრინველთა სიამოვნება და გაფანტ-გამოფანტოს ფრინველთა გუნდი, — სთქვა კვლავ ღიმილით მამა ირროდიონმა...

— ეგეც შეიძლება მოხდეს და სხვაც ბევრი რამ; ყველა როგორა ვსთქვა, ყველა მე როგორ მოვიგონო? ზოგი იმან მიუმატოს, ვინც ამ ჩემ ნაამბობს გაიგონებს, — მიუგო ვანომ არანაკლებ მხიარულად.

მამა და შვილი რომ ბულბულის იუბილეზე ბჭობდენ, ეს უკანასკნელი კეთილხმოვანებას ჰფენდა მთელ არე-ამარეს; აერთებდა ცას და დედამიწას; აზავებდა ერთს მეორესთან ისე, კაცს ეგონებოდა, რომ ამიერიდან ცა

ჭიანჭველასაც-კი არ გასჭყლეტავდა დედამიწაზე, განაღამც დაუშავებდა რასმე ადამიანს.

1913 წ.

ხალხს ასე ესმის ქედნის ღუღუნი.

ჩემი წუთისოფელი

ვუძღვნი ჩემის მშობლების, დედა - გულქანის
და მღვდ. პავლე რაზიკაშვილების ხსოვნას.

I

ვასრულებ ჩემი მეგობრების თხოვნას, ვიწყებ ავტობიოგრაფიას, თუმცა-კი ამ თავითვე საჭიროდ ვრაცხ გამოუტყდე მკითხველს, რომ ყველაფერს, რაც მახსოვს ჩემის ცხოვრებიდამ, ვერ გაუზიარებ, ბევრი რამ უნდა დავმალო, ბევრი რამ უხერხულია სათქმელად თუ საწერად და ბევრიც უმნიშვნელო, ხოლო რასაც ვწერ, რაც კი შემიძლიან, ვეცდები სიმართლე დავიცვა, ვსთქვა ისე, როგორც იყო, უფერადოდ, გადაუჭარბებლად. ვგონებ ასეთს ავტობიოგრაფიას უფრო დიდი მნიშვნელობა უნდა

ჰქონდეს კრიტიკისათვის და მკითხველისათვისაც, ვიდრე მოგონილს და ნაკეთებს.

ასე, ბატონებო, თუ ვისმე გეპრიანებათ ვინაობის გაგება და გაცნობა, არ დავიზარებ, მოგახსენებთ: მე ვარ წმინდა ფშაველი ჩამომავლობით, როგორც დედით, ისე მამით. დედა-ჩემი იყო ივრელი ქალი, სოფელ სხლოვნიდან, ფხიკლიანთ გვარისა, სადაც მოსახლეობენ დღესაც მისი ნათესავნი, სათემო გვარი ფხიკლეშვილებისა არის გაბიდოური. ღვიძლი ბიძა დედა-ჩემისა პარასკევა პირველი მოლექსე იყო ფშავში. იმან შექმნა სატირული ლექსები და დღესაც ყველა ფშაველი იმის ჰანგზე "ლექსობს"; საუბედუროდ, წერა-კითხვა სრულიად არ სცოდნია, რომ ქაღალდის წყალობით შენახულიყო მისი ნაწარმოებები, თუმცა მისი ლექსები დღესაც ცოცხლობს, იმათ დღესაცა მღერის ხალხი. ეს ლექსები ღრმა იუმორით არიან სავსენი. წერა-კითხვა არც დედა-ჩემმა იცოდა,

თუმცა ბუნებით ფრიად ნიჭიერი იყო, შესანიშნავი მეოჯახე და მოწყალე, გლახის გამკითხველი, მეზობლის დამხმარე; დედი-ჩემის ქველობა დღესაც სამაგალითოდ არის დარჩენილი. ისე ჩავიდა საფლავში, რომ ერთს არავის ახსოვს იმას გაეჯავრებინოს, არა. გაჯავრებულს, მლანძღველს, რაც აქაურ დედაკაცებში ხშირი მოვლენაა, სიცილით მიეგებებოდა და სამაგიეროს გადაუხდელობით შეარცხვენდა, მოარბილებდა.

ერთმა შემთხვევამ სიბრალულისა და ქველობის გამო ერთხანად დაცინვის საგნადაც გახადა მეზობლების თვალში და მამაჩემისაგანაც დიდი სამდურავი მიიღო. რაც ჩვეულებრივი არ არის ფშავში, საიდანღაც მოსულიყვნენ ბოშები; დაენახა-რა დედა-ჩემს ეს შიშველ-ტიტველი ხალხი, ნახევრად ტიტლიკანა ბოშის ბალღები, დაეწყო ტირილი. ამის მეტად არ ენახა და არც გაეგონა. “ღმერთო, ეს რა საცოდაობა მოვიხილეო”, თურმე

გაიძახოდა. გამოიტანა თურმე თავის ახალი კაბები და, რადგანაც ყველას მთელი არ შეხვდებოდა, თურმე ჰხევდა და ამ ნახევებს ურიგებდა: “აი ეს დაიკერე, ჩაიცვი შე ბეჩავო!..” ამ ამბავში რომ იყო დედა-ჩემი და ქველობას ეწეოდა, რამდენიმე ბოშა შეიპარა სახლში, გააღეს სკივრი და ოთხასი მანეთი ფული მოეპარათ... ეს მხოლოდ მაშინ გაეგოთ, როცა ბოშები სამშვიდობოს გავიდნენ... შინ დაბრუნებულს მამა-ჩემს გაეგო მათი ვინაობა და, როგორც ცხოვრებაში გასულს კაცს, ეცოდინებოდა მათი ზნე-ხასიათი, გაესინჯა სკივრი და, რა დაგიკარგავ, რას ეძებ! ეს ამბავი მამა-ჩემმა მოიტანა თელავში, სადაც მე და ჩემი უფროსი ძმა ვსწავლობდით სასულიერო სასწავლებელში.

ჩვენი სახლი ზედ გზის პირას იდგა და განუწყვეტლივ მიდ-მოდიოდა მგზავრი, თუ ფშაველი, თუ ხევსური. დედა-ჩემი არ უყურებდა იმას, ვინ შეძლებული იყო, ვინ

მაძღარი, ყველა მშიერი ეგონა და ყველას უმასპინძლდებოდა: “დაისვენეთ, პური გემშევათ, შვილო!” - ეს იყო პირველი მისი სიტყვები შეხვედრის დროს. ამის გამო ჩვენ სახლში გამოულეველი იყო სტუმარი და უნდა ვსთქვა, რომ ჩვენი ოჯახიც შეძლებული იყო, რადგან მამა-ჩემი გარდა პირადის სამსახურისა, ვაჭრობასაც მისდევდა. რამდენიმე ადგილას დუქნები ჰქონდა და თელაველები ეყენა. მამა-ჩემიც თუმც არ იყო ხელგაშლილი და კიდევაც უშლიდა დედა-ჩემს: “ნუ წააღებინე სახლი, შე უბედურო, ქარსა და წყალსაო,” - სტუმარი მაინც უყვარდა... ეს პატარა ტანის კაცი განხორციელებული მხნეობა, ენერგია იყო, ამასთანავე იშვიათი ნიჭის პატრონი, ორატორი, ცნობისმოყვარე და მწიგნობარი. გარდა სასულიეროსი, ქართულ ენაზე წიგნი არ მოიპოვებოდა, იმას არ შაეძინა, არ წაეკითხა. დღე და ღამეს, რომ იტყვიან, ასწორებდა, არ იცოდა ძილი რა იყო, და საშინლად ეჯავრებოდა, ჩვენ,

სკოლიდან კანიკულებში შინ დაბრუნებულნი, დილის ძილს რომ გავიპტყელებდით. “ადეგით, ბიჭო, პური მაინც არ მოგშივდათ?” - დაგვძახებდა საქმიდან დაბრუნებული, პიროფლიანი.

- დაანებე თავი, შენთ მკვდართ ცხონებასა, კაცო, ეძინოს მა ბალღებსა! - შეჰნიშნავდა დედა-ჩემი და მოუვიდოდათ ამაზე ჩხუბი. ეჩხუბებოდა მამა-ჩემი, თორემ დედის ჩხუბი რა სათქმელია, იტყოდა რა ამას, სულს გაჰნაბავდა და მოწიწებით ყურს უგდებდა ქმრის ათასნაირს შენიშვნას და საყვედურს.

“ეძინოსთ?! მე ვიცი კაცობას და ცხოვრებას ძილით იპოვნიან, თქვენ ნუ დამეხოცებით. სად გაგონილა ამდენ ხანს ძილი, აგერ შაჰხედეთ მზესა, შუადღე მოვიდა”... - ბობოქროობდა იგი.

უწადინოთ ჩვენ, ძმები, ქვეშაგებიდან ზოგი საიდან

წამოვყაყვავდით თავებს და ზოგი საიდან, რადგან განცხრომით ძილის გაგრძობა შეუძლებელი იყო და მორივით გდებაც ქვეშაგებში არაფერსა ჰგვანდა.

დანაშაულობისათვის სიტყვით სასტიკად შვილების დამსჯელი, უმისოდ ჩვენი ტოლი და ამხანაგი იყო, გვებაასებოდა ათას საგანზე, საბაასო საგანს თავადვე გამოსძებნიდა. უყვარდა დიდებულ, გამოჩენილ ისტორიულ პირებზე ლაპარაკი. დავით აღმაშენებელი უყვარდა ყველაზე მეტად ჩვენს მეფეებში, აღტაცებით იტყოდა ხოლმე: "იცით, დავით აღმაშენებელს წიგნების კითხვა როგორ უყვარდა: ნადირობის დროსაც კი, არ ვიტყვი ლაშქრობაში, როცა სადმე მოსარეკში გეზზე იდგა და ნადირს უცდიდა, ცალ ხელში წიგნი ეჭირა და მეორეში მშვილდ-ისარიო..." უცხოელებთაგანი - ნაპოლეონი და გამბეტტა, მწერალთაგანი - ვიქტორ ჰიუგო. "ნაპოლეონიო, სადღაც ჟურნალში წამიკითხავს, როცა

ფიქრობდა, თითქოს გახურებული ღუმელი ყოფილიყოს, ისე ალმური ასდიოდა სახეზეო. აი სად იხატება ძალა ნიჭისა და ადამიანისა... ერთხელ პარლამენტში ვიქტორ ჰიუგო სიტყვას ამბობდა და მთელმა პარლამენტმა დაუყვირა: "გაჩუმდიო!" - თქვენ გაჩუმდით, - მიუგო ჰიუგომ და განაგრძო თავის სიტყვა, არა გაქვთ ნება ბოლომდის არ მოისმინოთ ჩემი სიტყვაო. მართალიც არის. არ შეიძლება მთელი პარლამენტის ჭკვას ერთი კაცის ჭკვა სჯობდეს? სოფელი ვინ? - ერთი კაციო, ნათქვამია, ჰა ბეჩავ კაცო! აი იმისთანა ბოღრა უნდა გაზარდოს დედამა!" ეპიტეტი "ბოღრა" დიდებულ ადამიანების სამკაულად ჰქონდა მამა-ჩემს შენახილი და ამითი ჰსახავდა მათ დიდბუნებოვანობას, შეუდრეკელობას, მძლავრობას, ენერგიის სიდიადეს.

მამა-ჩემს სკოლა თვალით არ ენახა, "ან-ბანი" მწყემსობაში შაესწავლა ჩუმად, ქურდულად, რადგან

დედ-მამა უშლიდა თურმე სწავლას. მამა თოფით დასდევდა მოსაკლავად, სწავლა ეშმაკეული საქმეაო. მაგრამ მამა-ჩემი თურმე თავისას არ იშლიდა, განაგრძობდა სწავლას, სწერდა სიპ ქვებზე, რაიც ფშავის ხევში მრავალია. ქაღალდს ვინ აღირსებდა ან კი? ფშავის ხევს იმ დროს ხევისბერები და მკითხავ-ქადაგები განაგებდენ, თემთა ბატონ-პატრონნი ისინი იყვნენ, მთელი ხალხი მუჭაში ეჭირათ და საითაც უნდოდათ, იქითკენ უზამდენ თავს, რამდენიც ჰსურდათ, იმდენს ხარჯს შეაწერდენ ხატის სასარგებლოდ, რომელიც ბოლოს იმათ ჯიბეს და კალთას არ ასცდებოდა. მამა-ჩემის სწავლა იმათ არ ეპიტნავებოდა, რადგან მათთვის სასარგებლოს ეს სწავლა არას მოასწავებდა და საზიანოს კი ბევრს.

II

მე როცა მამა-ჩემი ვიცანი მამად, მაშინ იგი მთავარ-დიაკვნად იყო სოფ. მაღაროსკარში, ს. ჩარგალზე რვა

ვერსზე დაშორებით. როცა-კი შინ იმყოფებოდა, მუდამ მიამბობდა მოთხრობებს ძველი სამღთო ისტორიიდან, წერა-კითხვას მასწავლიდა ძველებურს წესზე. ჩაუჯდებოდა ხორცს ხინკლისათვის საკეფლად ფიცარზე, იქვე ტახტზე მეც დაუჯდებოდი პირდაპირ და ვუგდებდი გაფაციცებით ყურს იმის ტკბილს საუბარს, რადგან ძველი აღთქმისა ზოგ-ზოგი მოთხრობა მეტისმეტად მომწონდა, ჩემს ყურადღებას იზიდავდა: დავითისაგან გოლიათის დამარცხება, სამსონ ძლიერის მოქმედებანი, ძმათა მაკაბელთა თავდადება და სხვ... და უნდა მოგახსენოთ ისიც, რომ ჩემი თავი სამსონ ძლიერად მყვანდა წარმოდგენილი, რადგან დედა-ჩემი ამბობდა ჩემზე, დიდი თმა ჰქონდა, როცა დამებადაო, თითქმის თვალებს უფარავდაო, და ვეშარებოდი: თმა რად მომკრიჭეთ-მეთქი. მაინც ამ "თმიანობამ" თავის თავზე წარმოდგენა განმიდიდა, რაღაც არაჩვეულებრივ ადამიანად მომაჩვენა ჩემი თავი და დამისახა არაჩვეულებრივი მომავალი. რვა

წლამდე ვიზრდებოდი ძველ წიგნებზე. ვეფხის-ტყაოსანი, მზე-ჭაბუკისა და ჯიმშედის ამბავი, (ჩუბინაშვილის ქრისტომატია), გრიბული ჟორჟ-ზანდისა შეიქმნა ჩემ საყვარელ საკითხავ წიგნებად; ერთხელ წაკითხვას როდი ვჯერდებოდი, რამდენჯერმე უნდა ერთი და იგივე გადამეკითხა. საგმირო ამბებს დიდ აღტაცებაში მოვყვანდი და სწორედ ის ხანა დაედვა საძირკვლად, ლიბოდ, ჩემს შემოქმედობას. ერთხანად ბერად შედგომაზედაც კი ვოცნებობდი, მაგრამ შინაურებმა მასხარად ამიგდეს და ამ ოცნებაზე ხელი ამაღებინეს ჩემდა უნებურადა. დედა-ჩემის მიერ ნაამბობიდან ღრმად ჩამეჭდია გულში მის მიერ ნანახი იაკობისებური ცხად-მოჩვენება, რომელსაც შემდეგ, როცა მოვიზარდენით და მეცნიერებას ცოტაოდნად ვუსუნეთ, აღარც-კი ვუჯერებდით, თუმცა დედა მაინც ჩვენს თავს ფიცულობდა დასარწმუნებლად: “ჯერ ისევ ქალი ვიყავ გასათხოვარი”, - ამბობდა დედაჩემი, (ვეცდები იმის

სიტყვებით გადმოგცეთ ნახული მოჩვენება) - “მე და ჩემს ბიძაშვილს ქალს სხლოვანს (სოფელია) გარეთ დერიფანში გვეძინა. შუაღამე იქნებოდა, დგანდგარი, ბრდგნიალი დადგა ისეთი, მეგონა მთა-ბარი თუ იქცევაო. შაშინებული წამოვჯე ლოგინში, გავხედე და მთელი ცა განათებული იყო. ორი ოქროსფერი ჯაჭვი იყო წამოსული, ერთი ჭიაურის გორიდან, მეორე სხლოვნის გორითა, გადამბულები, ზედ ცეცხლის ბალღები ადიოდენ და ჩამოდიოდენ და ისეთ მწკეპრ (წმინდა) ხმაზე გალობდენ, ისე ტკბილად, ღმერთო, იმაზე კარგს რას გაიგონებს კაცის ყურიო”.

ამ მოჩვენებასაც, რა თქმა უნდა, თავისი ძალა ჰქონდა და მაფიქრებინებდა, რომ ჩვენი დედ-მამის და მის შვილების სვე-ბედში განგება მონაწილეობას იღებდა...

რვა წლისა თელავში სასულიერო სასწავლებელში მიმაბარეს. სასწავლებელში ყოფნამ ჩემს გულსა და

გონებას ვერაფერი შეჰმატა, ჩემს ფანტაზიას, გონების მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა ლათინური და ბერძნული ფრაზების ზეპირობა. უვარგისი სისტემა სწავლისა ვერ აკმაყოფილებდა ჩემს ცნობისმოყვარეობას, ვერ აწვდიდა ნოყიერ საზრდოს, იძულებული ვიყავ მიმემართნა სხვადასხვა წიგნებისათვის, რაც ძნელი საშოვარი აღმოჩნდა. ვკითხულობდი რაც შემხვდებოდა, განურჩევლად, რადგან ხელმძღვანელი არა მყვანდა და ამის გამო ასტრონომიულს, რისაც არაფერი გამეგებოდა, უფრო ბევრსა ვკითხულობდი, ვიდრე სხვა საბუნებისმეტყველო ან საისტორიო წიგნებს, ცაზე დავფრინავდი, როცა დედამიწისა არაფერი გამეგებოდა. ექვსი წლის ჩემი თელავში ყოფნის დროს სწავლის ნაყოფად ჩაითვლება რამდენიმე რუსულ-ბერძნულ-ლათინური ფრაზა, - ქართულს ვინ გვაღირსებდა, - რუსული "ბილინების" ცოდნა, რასაც გულმოდგინედ ვსწავლობდი და რუსულის მასწავლებელიც, თუ არა

ვსცდები, სვიმ. რცხილაძე, კარგად გვასწავლიდა. სამაგიეროდ, კრივი კარგი ვიცოდი, ვინაიდან მუდამ შაბათ-კვირაობით, უქმეებში კრივი იმართებოდა და ყველასთვის ფართო ასპარეზი იყო გადაშლილი და, თუ ინსპექტორი ტარიელოვი არ წამოგვაწყდებოდა მე და ჩემ ამხანაგებს, ნეტავი ჩვენ, და თუ ის აგვიჩნდებოდა ქარიშხალად, ცუდად იყო ჩვენი საქმე, დაგვანიავებდა. კრივში ჩემს საუკეთესო ამხანაგად ითვლებოდა ჩვენებური მღვდლის შვილი, შაქრო მაღალაშვილი... სახლის პატრონთანაც ერთად ვიდეგით და კრივშიაც ერთად ვმოღვაწეობდით. ჩვენი სახლის პატრონი, კირილე კოლოტაძე, მედავითნე, ძველებური კაცი, რომელმაც ჩემს გვარს არ დამაჯერა, რაზა გადააკეთა, ხოლო მაღალაშვილის გვარიდან კოჭაკი გამოიყვანა, როცა კრივიდან დაბეგვილ-დაქანცულს მომიხდებოდა შინ დაბრუნება, მომმართავდა თავის დანჯღრეული რუსულით: “ტი, რაზიკოვ ზდეს, ა კოჭაკოვ (მაღალოვი)

ღდე?” უნდა მოგახსენოთ, რომ მაშინ რაზიკოვად ვიწერებოდი და არა რაზიკაშვილად. იქნებ შეურაცხყოფადაც-კი მიმეღო, თუ ვინმე რაზიკაშვილს დამიძახებდა, ასე ძვირფასად მიმაჩნდა ჩემი გვარის დაბოლოვება “ოვი”-თ.

მასწავლებლები, სკოლის უფროსები კრივს გვიშლიდენ და იმას როდი ფიქრობდენ, თუ ჩვენ ვიყავით დასასჯელნი მიტომ, რომ ვკრიობდით კვირაში ერთხელ, ისინი უფრო მეტის სასჯელის ღირსნი იყვნენ, რადგან მუდამ დღე კრიობდენ, ჩვენ გვეკრიებოდენ ხან მუშტით, ხან როზგით. მე პირადად ამ მხრივ ბედნიერი ვიყავ, რადგან როზგსა და მუშტებს ვრჩებოდი. მე რომ მიმიყვანეს სკოლაში, როზგი ხმარებაში მხოლოდ ორ წელს-ღა იყო. შემდეგ აკრძალეს.

რა გასაკვირველი იყო, მასწავლებლების ჯავრი სხვაზე ამოგვეყარა? ან იმათ ნაჩვენები მაგალითი ჩვენც

გაგვემეორებინა? ისინი კლასში იქნევდენ მუშტებს თვის მოწაფეთა შორის, რომლებიც განსაკაცებლად მიაბარეს და არა გასამხეცებლად, რომ ჩვენც იმათ მაგალითისთვის მიგვებაძა და უცხოებისთვის თავ-პირი გვემტვრია!..

ჩვენთვის სკოლა საპყრობილე იყო და ღმერთს იმას ვეხვეწებოდით მთელი ჩვენის არსებით, გათავებულიყო ჩქარა სწავლა და დავღრწევიყავით ტანჯვა-წვალებას ბრჯღალებიდან. დიდად უბედურია ის მასწავლებელი, რომელიც სკოლას საპყრობილედ გადააქცევს, და მით უმეტეს უბედურები არიან ისინი, ვინც ამ საპყრობილეში დაუმწყვდევიათ აღზრდა-განათლების სახელით. ალბათ ჰგრძნობენ თვით აღმზრდელნიც ძველებურ აღზრდის სიმკაცრეს, რომ ქართველებს ასე უთქვამთ: "სწავლისა ძირი მწარეა, ხოლო წვეროში გატკბილდებაო". ვინ იცის, ქართველებისაგან არის ეს ნათქვამი, თუ რუსებისაგან შეისწავლეს: "უჩენიე - მუჩენიე, ა პლოდი ეგო სლადკიე".

(სწავლა ტანჯვაა, ხოლო ნაყოფი მისი ტკბილი არისო). ნუ თუ მუდამ სწავლა ტანჯვად უნდა წარმოვიდგინოთ და არ შემუშავდება ისეთი წესები, რომ სიამოვნებად გადაიქცეს იგი?..

სიყრმის დროს ერთი ზნე მჭირდა, - თუ ვისმე რაიმე უნარს ქვეყანა ღირსებად უთვლიდა, უეჭველად ამ ღირსების წარმომადგენელი მე უნდა ვყოფილიყავი: აქებდენ კარგ მოკრივეებს - მეც ვკრიობდი, რომ კარგი მოკრივის სახელი მომეხვეჭა. აქებდენ კარგ მოჭიდავეს - მეც ვჭიდაობდი, რათა ფალავნის სახელი გამეთქვა. ამ ორ საქმეში არ იყო, რომ მიზანს არ მივაღწიე. მაგრამ სახელის მოხვეჭაზე სიარულმა საცინელ მდგომარეობაში, სწორედ ნერონის მდგომარეობაში ამომაყოფინა თავი. იყო ვინმე მთავარი თელავში, რომელიც სობოროში ემსახურებოდა. სასულიერო სასწავლებლის მოწაფენი მუდამ იქ დავდიოდით წირვა-ლოცვაზე. ეს მთავარი

დიდი ხმის პატრონი იყო, ყველა ხმას უქებდა: “რა ხმა აქვს ვანო მთავარს, რა ხმა, ძალიან ბასი აქვსო!” ოჰ, ეს ჩამწვდა გულში: როგორ თუ ვანო მთავარს ბასი აქვს და მეც კი არ უნდა მქონდეს-მეთქი. ვიჭიფხებოდი, ვყვიროდი თავისთვის, ვიბერებოდი, ვატანდი ხმას ძალას, რომ გამებოხებინა, და იქამდე დავტანჯე თავისი თავი, გულმა ტკივილი დამიწყო... გალობის მასწავლებელი როცა ხმებს არჩევდა შეგირდებიდან მგალობელთა გუნდის შესადგენად, საშინლად შეურაცხყოფილი დავრჩი, რომ მან ჩემში არამც თუ ბასი, ტენორი, არამედ არავითარი ხმოვანება არა ჰპოვა. დავრჩი გულნაკლულად, მაგრამ რა გაეწყობოდა: თავს მხოლოდ იმითი ვანუგეშებდი, რომ მასწავლებელს ალბათ ვეჯავრები-მეთქი, ხოლო რომ ბასი ვიყავ, ეს უეჭველადა მწამდა და მოველოდი სხვა დროს, სხვა მასწავლებელს, რომელიც ჩემს “ბასს” ჭეშმარიტ ბასად სცნობდა.

ათი წლისა უკვე შეყვარებული გახლდით, მაგრამ, რამდენადაც ძლიერი იყო ეს ჩემი სიყვარული, იმდენად გაუბედავი, დამალული, უსიტყვო, ისეთი, რომ ვგონებ ვინც მიყვარდა, იმანაც არ იცოდა; მე კი თუ მუდამ დღე არ მენახა თვალით, მოვკვდებოდი, რის გამოც, როცა დროს ვიხელთებდი, უნდა გავქცეულიყავ იქ, საცა ჩემი "სატრფო" მეგულებოდა, რომ თვალით დამენახა, დავმტკბარიყავი იმის ცქერით. ჩემი სიყვარულისა მევე მრცხვენოდა, ეს სიყვარული დანაშაულად მიმაჩნდა და როგორ განუცხადებდი სატრფოს! მალე იძულებული შევიქენ განვშორებოდი თელავს და ჩემს სატრფოს. როგორ გგონიათ, რომ კიდევ გაგრძელებულიყო ჩემი იქ ყოფნა, გამოვიდოდა რამ ჩემი სიყვარულიდან? არაფერი. რადგან ქ. თბილისში რომ გადავედი, თელაველი სატრფოს სიყვარული სხვაზე მიმივარდა, მაგრამ ეს სიყვარულიც პირველსა ჰგავდა, "შორით კდომა, შორით დაგვა" იყო ჩემი ნუგეში და, ვიდრე არ დავვაჟკაცდი და

იმისა, ვინც მიყვარდა, ცოლად შერთვა არ განვიზრახე, ვერც სიყვარულის გამოცხადება გავბედე...

როგორ გაჩნდენ ბუები ქვეყანაზედ?

I

- ბალღები სადღა არიან? - იკითხა იოთამმა, როცა სახლში შევიდა, - ისრით იღლიაგაგმირული, ტყავგაუხდელი არჩვი კერაზე დააგდო ისე დაუდევრად, რომ ნადირის წვერმოკაუჭებულმა რქებმა მიწაც კი მოჩიჩქნა. ვერ იყო იოთამი კარგს გუნებაზე: თავიდან ფეხებამდის წურწურით წყალი გასდიოდა, ავდარს დაესველებინა; მშვილდი და კაპარჭი (საისრე) დედაბოძზე წნელით მიმაგრებულს ირმის რქაზე ჩამოჰკიდა და აჩქარებით კერაზე გახურებულს ცეცხლს მიაშურა; გასათბობად ხელები მიუპყრო; ტანზე გარექცევ ნაცვამი ჯიხვის

ტყავის კალთებიდან ორთქლმა დაუწყო პირისახეზე ადენა; თბებოდა ცეცხლზე და თანაც ცოლისაგან პასუხს ელოდა, რომელიც იქვე, კერის შორი-ახლოს იწვა არხეინად, ძუ ვეფხვსა ჰგვანდა. გველ-ხოკერასავით სქელი, შავი ნაწნავები ზოგი უკან ბეჭებზე ჰქონდა გადაყრილი, ზოგიც წინ, გულ-მკერდზე ელაგა. პირისახე მოსინულ სპილენძს მიუგავდა. პატარა ბიჭს, იოთამთან ნაყოლს, ძუძუს აწოვებდა. ბავშვი ორის ხელით ჩაჰბღაუჭებოდა და გაშმაგებით სწოვდა ტუჩების ტკბარუნით. ვეფხვის ლეკვი ვეფხვის რძეს შაექცეოდა. დედა-შვილნი განცხრომაში იყვნენ. ლოგინად არჩვებისა, ირმისა და მგლის ტყავები ეგოთ, ხავსსა და ლელზე დაფენილი.

ეს მეორე ცოლი იყო იოთამისა, მოტაცებული, ნანადირევი. ტყეში შეხვდა, სანადიროდ ნამყოფი, სტაცა ხელი, არც აცივა, არც აცხელა, პირდაპირ თავის ქოხში

ამოაყოფინა თავი. შენ ჩემი ცოლი ხარ, ჩემი მონა-მორჩილიო. მდევრად წამოსული ცოლის ძმები ისრით დაჰოცა, სიმამრს ქვით გაუტეხა თავი, კინაღამ ისიც საიქიოს გაისტუმრა. იოთამი ძალიან მძლავრი, მამაცი ადამიანი იყო.

ქმრის გამოხმაურებაზე ცოლმა მხოლოდ გადმოიხედა და ცეცხლივით შავი თვალები გადმოანათა. ოდნავაც არ შენძრეულა.

- ბალღები სად არიან-მეთქი, შენ გეკითხები? - განუმეორა იოთამმა.

მოუხეშავს, ბრიყვს, სასტიკს იოთამს ძალიან უყვარდა პირველ ცოლიდან დარჩენილი შვილები, ქალ-ვაჟი, მზია და ვეფხვია.

- ძროხები დაუკარგიათ, იმათ საძებნელად დავგზავნე, -

უპასუხა ცოლმა.

- ოჰ, ოჰ, ჩამწარდა წუთისოფელი, სიცოცხლე შხამი გახდა შენს ხელში, დედაკაცო! ხუთი-ექვსი წლის ბალღები ამ უკუმეთს ღამეში რა ძროხებს მოგიძებნიან?! ვინ იცის, რა დაემართებათ ამ უკუმეთს ღამეში? გინდა ისინიც ნადირს დააჭამო? ამდენს ჩემს სულით ტანჯვას და ჩემი შვილების წვალებას ბარემ ერთხელ თავები დასჭერ, მორჩი და გაათავე, შენც დაისვენე და მეც დამასვენე, - სთქვა გაჯავრებულმა იოთამმა.

- შენ გააჭირე საქმე და შენმა შვილებმა!.. რა გახდა შენი შვილები, გველის წიწილები ცოტაა ქვეყანაზე? - უპასუხა გარისხებულმა ცოლმა.

გაშტერებული იოთამი დიდხანს უცქეროდა ცოლსა.

- ჰაი, შე გველო, მართლა და გველო, - წარმოსთქვა მან

ბოლო დროს. მაშინვე ჩამოიღო კაჩხიდან მშვილდი და საისრე, ლახტი წელში გაირჭო. დაიბჯინა შუბი და გავარდა გარეთ; წვიმა კოკისპირულად ასხამდა. მიდის იოთამი უგზო-უკვლოდ. თავბრუ ესხმის. ერთხანად შედგა, ჩაფიქრდა, უნდოდა დაბრუნებულიყო, ცოლისთვის სამაგიერო გადაეხადა, მაგრამ ფეხი და აზრი აღარ შეშალა. გასწია პირდაპირ, მიდიოდა როგორც გატყორცნილი ისარი. შეჰყო თავი ხშირს დაბურულს ტყეში, ავიდა მაღლობზე და ჰყვირის: “ჰაი. ვეფხვიავ, ჰაი, მზიავ!” პასუხი არ მოსცა არავინ. იმის ძახილზე მხოლოდ ნადირნი გარბოდენ, მიალაწუნებდენ; ხის ტოტებიდან დამფრთხალი ფრინველები ზოგი ჰაერში ფარფატებდა, ტყის თავზე, სხვა ტყეშივე დაფთხრიალებდა, დასაჯდომ ალაგს დაეძებდა.

დადის თავგადაგლეჯილი, ხელებდასისხლიანებული, თავ-პირგადაკაწრული. “სადა ხართ, ჩემო შვილებო, თქვე

საწყლებო, სადა? ჰაი, ვეფხვიავ, ჰაი, მზიავ!” ხან თავისთვის ბუტბუტებდა იოთამი და ხან კი მაღალის ხმითა ჰყვიროდა. ამაო იყო მისი ძახილი: გაღმა ფერდობებიდან მხოლოდ კლდეები გამოხმობით, გამოძახილით უპასუხებდენ.

თმაგაწეწილი, თვალებდაფეთებული იოთამი გიჟსა ჰგვანდა, აქეთ-იქით აწყდებოდა, არ იცოდა, სად დაედგა ფეხი, რისთვის ეხლო ხელი, ყველგან თავისი შვილები ეგულებოდა, ასე მალე ისე შორს სად წავიდოდენ, ვეღარ შევხვდეო, ფიქრობდა თავისთვის... ჰაი, მზიავ, ჰაი, ვეფხვიავ! როდი იცოდა საბრალომ, რომ მისი შვილები დედინაცვალმა იმავ საღამოთი დაირეკა კარში, როცა ის სანადიროდ წავიდა და დღეს მესამე ღამეა, რაც იმათ ტყის ჭერი ჰფარავს, ნიავი ეალერსება დედასავით, ნაკადულები უამბობენ სახუმარო, საცინელს, სასიამოვნო ამბებს, რომ ისინი ცოცხლები იყვნენ, მხოლოდ სხვა

სახით; იმათი ხმა, ძახილ-ძუხილი კიდეც ესმოდა, მაგრამ არ იცოდა, ეს ხმა ვისი ან რისი იყო. უკვირდა იოთამს, კაცი ბერდება ამ ტყეებში და ჯერ ამისი მსგავსი არაფერი ჰსმენია. რა იცოდა, თუ მისი შვილები ეძახოდენ ერთი-მეორეს. რას ეძახოდენ, მით უმეტეს, არც ის ესმოდა.

II

დედინაცვალს არ ეხდინებოდა იოთამის შვილები, უნდოდა იმათი თავიდან მოშორება და აი რა ღონე იხმარა: იმ საღამოსვე, როცა იოთამი სანადიროდ წავიდა, როცა ვეფხვიამ და მზიამ საქონელი მორეკეს, იმათ შეუმჩნევლად ეს საქონელი ბაკიდან გამორეკა, უჩინარ ადგილას მოაფარა, ხოლო გერებს მოუშარა, საქონელი რად დაგიკარგიათო, გასწით, მოძებნეთო. ბალღების თავის მართლებამ ვერ გასჭრა. ნახეს, - საქონელი ბაკში აღარ იყო. “გასწით, გასწით, ამ წუთში იპოვნეთ საქონელი, უმისოდ თვალით არ დამენახოთ, თორემ ამ

სიპებზე გაგინაყთ თავსაო”. დედინაცვალს ორივე ხელში სიპი ქვა ეჭირა, ერთი მეორეს ტაშივით შემოჰკრა, ისე მკვეთრად და სარწმუნო კილოთი წარმოსთქვა ეს სიტყვები, ბალღებს ტანში ჟრუანტელმა დაუარა. “მინამ არ იპოვოთ, თვალით არ დამენახოთო!..” საშინლად ბნელოდა. ბავშვები ტირილით გაუდგნენ გზას, მაგრამ სად იყო გზა? უღრანს ტყეში უგზო-უკვლოდ დახეტიალობდენ, ერთმანეთს ეკვროდენ, ხელიხელ ჩაკიდებულნი მიდიოდენ, ერთი რომ წაიქცეოდა, მეორე აყენებდა ფეხზე. მოსთქვამდენ, გარკვევით ისმოდა იმათი ტირილი: “ვაი, დედი, ვაი დედიო!” უხმობდენ დედას მოჰშველებოდათ, მაგრამ დედა არსად სჩანდა. იმათ გარშემო მხოლოდ მხეცების ბრდღვინვა და ფშვინვა ისმოდა. ბალღების ტირილზე ზოგი მათგანი დამფრთხალი გარბოდა, მაგრამ ზოგი-კი სიმშილით შეწუხებული, პირდაღებული თავზე წაადგებოდათ, მაგრამ ბალღების ღრიანცელი მოსისხლე მხეცსაც-კი

გულს ულბობდა, ერიდებოდა - გვერდზე გაუვლიდა იგი. რამდენჯერ ორთქლმავალივით თვალები შეანათა მგელმა, მაგრამ თავს დაცემას ვერც ის ჰბედავდა.

ბავშვები შიშით ზეზეურად დნებოდენ, ცახცახებდენ, ყოველ ფეხის გადადგმაზე სიკვდილს მოელოდენ, საქონელი კი, ოხერი, არსად სჩანდა. ღონე, ძალი თავის დაცვისა არაფერი ჰქონდათ.

“ჰოი, ღმერთო, ღმერთო!” - წარმოსთქვეს ერთად, ერთხმად ერთ დიდის ჭანდრის ფესვებში მიკუნჭულებმა: “ღმერთო, გვაქციე ფრინველებად, რომ მაღლა ხეზე შევაფაროთ თავი, მხეცებმა ვეღარაფერი დაგვაკლონ, ადვილად მოვიაროთ ეს არე-მარე და მალე ვიპოვოთ საქონელიო.” სწორედ ამ დროს ჩამოიარა “ამინმა”. ხომ გაგიგონიათ ძველი თქმულება - “ამინი” დღეში სამჯერ ჩამოივლისო და რასაც იმ დროს ინატრებს კაცი, უნაკლულოდ ის აუსრულდებაო. “ამინი” ერთი

თვალის დახამხამებაზე ხდება. როცა ვეფხვიამ და მზიამ ფრინველობა ინატრეს, “ამინმა” ამინი დაუცა და გადაიქცნენ ბუებად. ერთმანერთის გამომშვიდობება ვერც კი მოასწრეს. ერთი ერთ მხარეს გაფრინდა, მეორე - მეორეს და შეუდგნენ თავშესაფარის ძებნას. დღე დედინაცვლის შიშით ვერ გამოდიან კარში. იმალებიან ხის ფუღუროში. სხვა ფრინველებსაც იმიტომ ეჯავრებათ ბუები, რადგან თვის ტომად, თავისიანად არა სცნობენ. ამიტომ ჩვენც, ადამიანები, როცა ერთს ვისმე აწვალებენ, დასცინიან, სტანჯავენ მრავალნი, ვამბობთ “აიბუეს საწყალი კაციო!..”

დიაღ, გაფრინდნენ საწყლები სხვადასხვა მხარეს და შეუდგნენ თავიანთ საქმეს - საქონლის ძებნას. რამდენმა ათასმა წელმა განვლო დღესნამდე. ისინი-კი ისევ გულმოდგინედ დაეძებენ დანაკარგს, უძახის ერთი მეორეს, ეკითხება: “ვერ იპოვეო?” - ``ვერა, ვერაო”, -

უპასუხებს მეორე და თავიანთ ამაო შრომას “ვაი, დედიო, ვაი, დედიო!” ამ სიტყვებით აბოლოვებენ...

III

იოთამი არა სცხრებოდა, გაფაციცებით დაეძებდა შვილებს, იმას საქონელი აღარ აჯავრებდა, არ გადურჩა გაუჩხრეკელი ღრანტობი, არც ხის ძირი, არც კლდის ძირი. ამაო იყო ყოველი ცდა, არსად სჩანდა დედამიწაზე იმის შვილების კვალი. ღამ-ღამობით განუწყვეტლად ესმოდა ეს საუცხოვო ხმა - ბუების ძახილი; ბევრჯელ ვაის ძახილით თავზედაც გადაუარა ბუმ, მაგრამ ერთმანეთს ვეღარა სცნობდენ მამა-შვილები. მთელი ორი კვირა შვილების ძებნას მოანდომა. რასაც კი მტაცებელს ნადირს, თუ ფრინველს შეჰხვდებოდა, ისრით გულს უპობდა, ღმერთმანი, ააცდენდა, საოცარი მსროლელი იყო მშვილდ-ისრისა. ერთხელ გალეშილი, თავპირდასისხლული მგელი ნახა ტყეში. მაშინვე გულში

იმ ფიქრმა გაუარა - უთუოდ ჩემის შვილების სისხლით აქვს მგელს ლაშები მოთხუპნულიო. დიდხანს არ ალოდინა, ხელდახელ მოიმარჯვა მშვილდი, გაუდო ისარი და მოსწია ლარსა. ისარი სტვენით წავიდა და ნადირს გულში გაუარა: ასე გულეურად ისარი არასოდეს არ გაუსროლია. “ოჰ, შე წყეულო, შე მოსისხლევ, შენ დასჭამე ჩემი შვილები?” - ჩაეუბნებოდა იოთამი. აღარ აცლიდა ნადირს თავისთავად მომკვდარიყო. ყურები დასტაცა და აითრია, თავში ლურსმებით მოჭედილს ხვედას უშენდა: “მოკვდი, არამზადავ, მოკვდი!” თან ხახაში ხელებს უყოფდა. მგელს სიკვდილი არ აკმარა, დანით მუცელი გადუსერა და შიგ ხელებს აფათურებდა, თითქოს ცოცხლებს ამოჰრეკავდა მგლის მუცლიდან თავის შვილებს. როცა ვერაფერი ნიშანი იპოვნა, გაუტყავებელს ნადირს მიანება თავი. წყლულიდან ისარი ამოაძრო, გაწმინდა სისხლიანი ზრო (ისარზე დასაგები წვეტიანი რკინა), ჩააგო საისრეში და წავიდა. მეორე დღეს მიადგა

ბუნაგში მწოლს დათვს, - რაღაც ცხოველის ძვალსა ჰხრავდა. “შენ დასჭამე ჩემი შვილები და ახლა ძვლებსა ჰხრავ, შე მურტალო?” დათვმა მხოლოდ ღრიალით უპასუხა, უკანა ფეხებზე შედგა, იოთამის მოსაგერებლად ემზადებოდა, მაგრამ იოთამის წვერმახვმა შუბმა აღარ დააცალა და იქვე სული გააფრთხობინა... იოთამმა ძვლებს დაუწყო სინჯვა, მაგრამ დათვის ნახრავი ძვალები ერთიც არ გამოდგა ადამიანისა. დარწმუნდა, რომ არც მგელს და არც დათვს იოთამთან არაფერი დანაშაული ჰქონდათ, მაგრამ იმათ დახოცვა მაინც არ, ენანებოდა...

IV

“რა ვქნა?” - წარმოსთქვა იოთამმა: - ``მთელი დედამიწა გადავჭყვენე, გადავქექე, გადავბზარე, კინაღამ გადავაბრუნე და ვერ ვიპოვე შვილები. ნუთუ დედამიწამ უყო პირი და ქვესკნელს ჩაიტაცა? იქნება ცამ ცაში აიტაცა

საცოდავები? აღარ ვიცი, საით წავიდე, აღარ ვიცი, რაღა ვქნა? რა წყალს ჩავუდგე?” - ოხრავდა და ბორგავდა; მუხლები ეკვეთებოდა, წელში მოიხარა ასის წლის მოხუცივით. მალ-მალ გიჟივით წამოიტყოდა: “ვაჰმე, შვილებო, საწყლებო, უსუსურებო, ჩავდეგ თქვენს ცოდვაში ეს თავმკვდარი, ესა!”

კლდეებზე ბღოტიალში ვეფხვს წააწყდა, ერთმანეთი მალე იცნეს. ვეფხვი გულიანად მიესალმა.

- გამარჯობა, ჩემო კეთილისმყოფელო! - მიახალა პირში ვეფხვმა, როცა იოთამისა და ვეფხვის თვალები ერთმანეთს შეჰხვდენ.

- გაგიმარჯოს, ჩემო მეგობარო, მაგრამ ვაი ამისთანა გამარჯვებას, მე რომ გამარჯვებული ვარ. - სთქვა გულამოსკვნით იოთამმა.

- რაო, რა დაგმართნია? რა ამბავია? რა საქმე წაგიხდა ისეთი, აღარ შეიძლებოდეს გამოვაკეთოთ? ნუთუ ველარას ვუშველით, ვერაფერს ვუწამლებთ შენს ვარამს. - წარმოსთქვა ვეფხვმა და თანაც მოშავფრო სალტებით აჭრელებული კუდი გავაზე შემოიგდო ნიშნად იმისა, თუ შენ რამ გიჭირს, მე ხომ არ გამიჭირდებაო. ვეფხვი ჰფიქრობდა, იქნებ ველარ მოკლა ნადირი და დახმარებას მთხოვს, ისევე, როგორც წინათ დავხმარებივარო. მართლაც, ამ ვეფხვმა იოთამს თმაზე უმრავლესი ნადირი მოაკვლევინა, ზედ შეაგდებდა და იოთამი ისრით ჰხოცავდა. რა თქმა უნდა, იოთამისაგანაც სიკეთე მოაგონდებოდა და სიკეთეს ვეფხვიც სიკეთით უხდიდა. კლანჭიდან იოთამმა ვეფხვს სიპი ქვა ამოუღო, ისეთ დროს უექიმა, რომ ვეფხვს აღარ შაეძლო მოძრაობა. იოთამს შველა სთხოვა და ამანაც არ დაიზარა მიშველება, ამის შემდეგ დამეგობრდენ. ამ დამეგობრების ხანში ვაჟიშვილიც ეყოლა იოთამს და იმას ახალ მეგობრის

სახელი - ვეფხვია დაარქვა.

- შვილები დავკარგე, მეგობარო, უსუსური ბალღები; დღეს ათი დღეა დავეძებ და სრულებით ვერაფერი გავიგე იმათი ვერც სიცოცხლისა, ვერც სიკვდილისა. ვინ იცის, იქნება ნადირმა დამიჭამა შვილები? - მიუგო იოთამმა.

- მე კი ღმერთმა დამიფაროს ადამიანის ლეშს პირი დავახლო! განა ფიცია საჭირო? განა იმ სიკეთის შემდეგ, რაც შენ ჩემზე დასთესე, შემიძლიან-ღა დავახლო ადამიანის ხორცს პირი, არა მარტო შენს და შენობილისას, არამედ ვინც უნდა იყოს, მხოლოდ ადამიანის სახე ჰქონდეს. სხვა მხეცებისა რა მოგახსენო, იმათ ვერ დავუფიცავ. ვერ დავუფიცავ ვერც მგელს, ვერც დათვს, ვერც აფთარს, ვერავის, ვერა. მე, მეგობარო, სამსახურისთვის მზადა ვარ, არ დავზოგავ შენთვის ჩემს ჯანს, ჩემს კლანჭებს და თვალებს, თვით სიცოცხლესაც-კი. წავიდეთ, მივიარ-მოვიაროთ, მოვძებნოთ, ან

მკვდრებს შევხვდებით, ან ცოცხლებს, - უთხრა ვეფხვმა.

მეგობრის ნუგეშიანი სიტყვები იოთამს გულზე მალამოდ წაესო. იოთამმა მადლობა გადაუხადა.

- თუ მაგდენს სიკეთეს მიზამ, მეც იქნება ისე არ მოვკვდე, არაფერი გარგო, დიდადა ვარ შენგან დავალებული და ეხლა თითქმის ყელთამდე ავივსე შენის დავალებით. ძალიან დიდი მადლობელი ვიქნები, თუ ჩემის გულისთვის გაირჯები. - უთხრა იოთამმა. წავიდენ სხვადასხვა მხარეს და თანაც ის პირობა დადვეს, ამავე ადგილას შაყრილიყვნენ, სცდილიყვნენ ერთიმეორისთვის და გაეგებინათ ერთმანეთისათვის საქმის ავ-კარგი.

ვეფხვი გულმოდგინედ შეუდგა მეგობრის შვილების ძებნას, მოვლო მთელი მიდამოები. იოთამსაც, რა თქმა უნდა, არც დღე ეძინა, არც ღამე. ბევრი იარა, ცოტა იარა,

მიადგა ერთს მდინარეს.

- მდინარევ, მდინარევ, ხომ არ გინახავს ჩემი შვილები, ჩემი მზია და ვეფხვია? ნუ დამიმალავ, სწორე მითხარი? ხომ არ მოსულან შენს კიდეზე? წყალი ხომ არ დაულევიათ? იქნება შენ დაარჩვე, მაგრამ რა შვილი მეტყვი! - სთქვა რა ეს იოთამმა, თან შუბის წვერი ჩასჩხვლიტა ერთს დიდ მორევში.

- რასა სჩადი, რას, ეი, ხეპრევ, უგუნურო? - წარმოსთქვა გაჯავრებულმა მდინარემ, - შვილები თავად შენ დაარჩვე და, აქ, ჩემთან კითხულობ? შენს შვილებს რა დაუშავებიათ, რო დავარჩო, ისინი ანგელოზებია, უსუსურნი, უმეცარნი, ცხოვრებაში გამოუცდელნი, დასარჩობი შენა ხარ და, რომ შევიძლებდე, არც დაგზოგავდი, რადგან ღირსი ხარ ამ სასჯელისა.

- რადა? რა დავაშავე? - დაეკითხა იოთამი.

- დანაშაული მეტი იქნება? რად ჩაჰყარე ჩვილი ბალღები დედინაცვლის ხელში, თუ შენ კაი კაცი ხარ? როცა ის თვალჟუჟუნა, თმაგრძელა თავის კერაზე დააბძანე, მაშინვე დაარჩვე თავიც და თავის შვილებიც. - მიუგო მდინარემ. იოთამმა ხმა გაკმინდა, თავი დაჰკიდა...

- ჰო, ჰო, უთუოდ არა სტყუი, მდინარევ, - წარმოსთქვა მან ბოლოს დროს, - ნამდვილად ჩემი ბრალია, მოდი, ნუ დამზოგავ, დასარჩობი ვარ, დამარჩვე.

პასუხს არ დაუცადა მდინარისას, გადაეშვა პირდაპირ წყალში. წყალმა წაიღო, კარგა მანძილზე ატარა და გარიყა. როდი დაარჩო. იოთამი კვალად გადავარდა მდინარეში, მაგრამ წყალმა ისევ გარიყა. ასე ცხრაჯერ თუ ათჯერ გამორიყული ისევ წყალში ვარდებოდა, მაგრამ წყალი არ არჩობდა, ჰზოგავდა, ენანებოდა. ბოლოს გალუმპულმა, სიცივისაგან აცახცახებულმა ერთ გამოქვაბულს კლდეს შეაფარა თავი... მოიბუზა კლდის ქვეშ და თანაც

მოსთქვამდა: “ვაჰმე, ჩემო შვილებო, ჩემო ვეფხვიავ, ჩემო მზიავ!”...

ულრანი ტყე, უდაბური ადგილი რაღაც ხმაურობამ ააზრიალა... “მზიავ, ვეფხვიავ!”...

- კაცო, კაცო, ადამიანო, რასა სტირი? რას სჩივი, რას დაეძებ? აგერ შენი შვილები, აგერ იმათი ძახილი, ისინი უკვე ფრინველები არიან, იმათ რომ შეხვდე, ვეღარ იცნობ, საბრალოვ! აგერ ერთი ეძახის: “ვეფხვიავ, ვეფხვიავ, ვერ იპოვეო?” - “ვერა მზიავ, ვერაო”, - მეორე უპასუხებს. - უთხრა კლდემ იოთამს, - ეხლა ტირილით და ჩივილით ვერაფერს უშველი.

- მართალს ამბობ? სწორეა? საწყლები ისევ საქონელს დაეძებენ, რადღა უნდათ საცოდავებს? - სთქვა იოთამმა და თვალებიდან ცრემლების წმენდა დაიწყო.

- მაშ, ვსტყუი? რა საკადრისია. ქვეყანაზე რაც მოხდება, განა მე გამომეპარება? არადროს, - მიუგო კლდემ.

- მაშ, დავიჯერო - გეყურება ჩემი შვილების საუბარი? - წარმოსთქვა კვალად იოთამმა.

- ნათლად, ცხოვლად, ისევე, როგორც შენი საუბარი, გოდება და გულის ტკივილი, - უპასუხა კლდემა.

- არ შეიძლება, გეთაყვანე, გამოელაპარაკო ჩემს მაგივრად, შეატყობინო, რომ მე აქა ვარ და მინდა იმათი ნახვა, ასე დაუძახო: მამა თქვენი აქ არის და თქვენი თვალით დანახვა უნდა-თქო? - შესთხოვა კლდეს იოთამმა.

- სულ ტყუილია, არაფერი გამოვა. ისინი მაინც და მაინც არ მოგეკარებიან, არც ხმას გაგცემენ; ვერც არაფერს შენ გააგონებ, დავიწყებული ჰყავთ მამა, სიტყვა მამა აღარ არსებობს მაგათთვის. - მიუგო კლდემა.

- მაშ, ნეტავი მეც კლდედ მაქცივა, რომ ჩემი შვილების ხმა მაინც მსმენოდა მუდამ, ამით მენუგეშებინა თავი. ღმერთო, ყოვლად შემძლებელო, მაქციე მეც კლდედ. - წარმოსთქვა იოთამმა ხელაპყრობით. სწორედ ამ დროს ჩამოიარა "ამინმა". იოთამი კლდედ იქცა, აეტუზა, მიეკრა იმავე კლდეს, სადაც თავი შეაფარა, მხოლოდ იოთამს შეჰრჩა ადამიანის სახე. სდგას თავდაკიდებული, გულხელდაკრეფილი და თვალებიდან ცრემლს აფრქვევს. როცა გაიგონებს თავის შვილების გულის მომწყვლელს კივილს, იოთამი, კლდედ ქცეული, დაიწყებს გულამოსკვნით: "ვაჰმე, შვილებო, ვაჰმე, შვილებო!..."

V

ვეფხვი, იოთამის მეგობარი, რაღა იქნა? იჯდა დანიშნულ ადგილას გაუნძრევლად დაყუნთებული და თვალებს აწყალებდა მეგობრის მოსასვლელ გზასა. ერთს ადგილას იყო ტკიპივით მიკრული. აღარც საჭმელი აგონდებოდა

ვეფხვს და აღარც სასმელი. მიცემულს პირობას არ ჰღალატობდა, ელოდებოდა თავის კეთილის მყოფელს. უცადა ერთი კვირა, უცადა ორი, - თვე, - ორი, ოთხი, მთელი წელი, ხმებოდა ვეფხვი და დნებოდა ერთ ადგილას დაკერებული, იოთამი არსადა სჩანდა. ჩამოდნა, როგორც ცვილი, დაეღვენთა დედამიწას. ვეფხვის ძვალების და ლეშის ნაღვენთისა ამოვიდა დეკა ქუჩად, დაყუნთებულ ვეფხვის სახედ, რომელიც აღარც იზრდება, აღარც პატარავდება, არცა ხმება. ვეფხვის მსგავსად ამოსულს დეკას მხარს უმშვენებს ზამთარ-ზაფხულ აყვავებული, დაუჭკნობელი პირიმზე - ყვავილი მთისა.

1909 წ.

მოკვეთილი

დრამა ხუთ მოქმედებად

(ფშავლების ცხოვრებიდან)

მოქმედნი პირნი:

შუშანა - ცხვრის პატრონი.

ივანე - მწყემსი შუშანასი.

გიორგი - გარეშე მწყემსი.

შალვა - ძმისწული შუშანასი.

ჩონთა - გამოჩენილი მოლაშქრე.

მოქრისი - დედა ჩონთასი.

მზევინარი - ცოლი ჩონთასი.

გულქანი - ბიძაშვილი ჩონთასი.

ბახა.

ღვთისო - ბიძაშვილი ბახასი.

ჯავარა - დედა ბახასი.

საზანდარი.

მოლა - მუსა.

გულსუნდა - ქალიშვილი მუსასი.

ხევისბერნი, დროშიონნი, მლოცავნი, ლაშქარი ფშავლებისა და ქისტებისა, დასტურნი.

(მოქმედება სწარმოებს მთაში. ქოხში ყველის გუდები აწყვია, ქანდარაზე ცხვრის ტყავები ჰკიდია, ცეცხლზე ყურიანი ქვაბია ჩამოკიდებული, ხორცი იხარშება, კედელზე თოფ-იარაღი ჰკიდია).

მოქმედება პირველი

გამოსვლა პირველი

შუშანა და ივანე

შუშანა (ივანეს)

მემრე, მემრე, დაიწყე კი და აღარ გაათავე. გადახვედით ქისტეთში ლაშქარი, მემრე რა მოხდა?

ივანე

ეჰ, მამა გიცხონდა, შენც ბალღივით, რაც არ არი, იმას გაჰყვები, კაცს გულზე ცეცხლი მეკიდება, შენ ქისტეთში გალაშქრებისას მკითხავ. ძალიან ფინთად გაირყვნა ეგ მგელი, არ ვიცი, საით მაუარო მაგას. ოცდაათის წლისა ვიქნები, ხუთმეტი წელია ცხვარს დავსდევ და ჯერ ასეთი ზარალი არ მამრგებია. ერთს კვირაში ოცი სული, ღმერთია?!

შუშანა

მაგას ნუ იტყვი, ეგ აღარა სთქვა, მადლობა უფალს, დაილოცოს იმის მადლი და სახელი. რა ვუყოთ, ხან ესრე იქნება, ხან ისრე, მაშ მგელმა რა ქნას ე, კაცო, თუ ან ჩვენ არა გაგვტაცა, ან სხვასა, ხომ დაირჩვა მშიერა. ჩემი ცხვარი იღუპება, შენი ხო არა, შენი ორიმც ერიოს იმ ოცში.

ივანე

მართალია, ორია ჩემი. შენ რო არ გენანება შენი საქონელი, მე მენანება-და.

შუშანა

მართალსა ამბობ, არა სტყუი, მაგრამ ტირილითა და გლოვნითა მტერნი რო არ შაგვიბრალებენ! ტირილით ველარას ვუშველით, ჯავრობით ჩვენ ცხვრებს ველარ დავაცოცხლებთ. შენ ერთი ზარალი ჰნახე და იმით სჯავრობ, მე ოცი მინახავ, შენზე ხუთის წლით მაინც ვიქნები უფროსი, თუ ოცით არა. გული შათელილი მაქვ, შვილო, ბევრის საცრის პურ მიჭამავ, ბევრსა ვარ გადმონაყარი - იმ ლექსისა არ იყოს. ამას თავი დავანებოთ, მემრე, ჩახვედით შარშან ქისტეთში?

ივანე

რაღა იქნებოდა, ჩავედით. დროშიონნი მთაზე გავსწირეთ, ქვეით მოდებული იყო ხაროვანი, გამოვარჩიეთ ერთი ორმოცამდე ხარი და დავირეკეთ. მწყემსები მაშინვე დაფრთხენ, დაიქცენ სოფლისაკე, ოღონდაც პირდაპირ ვნახეთ, რომ ჩამაიწყეს ქისტიშვილებმა ჩამოდენა, ზოგი საით მაალიპლიპებდა თოფს, ზოგი საით. ოჰოო, ვსთქვი, ახლა სჭირს და ახლა გამოჩნდება, ვინც ბიჭია. ზოგები ხაროვანს გამოვაყოლეთ და ერთი ოცდაათამდე ბიჭი მტრის მოსაგერებლად დავსდეგით უკან. ბელადად ჩონთა გვყვანდა.

შუშანა

ბეჩავ, ვაჟავ, კაი ყმა კი არი, ღვთის მადმა, გაჭირების დროს! ბევრჯელა ვყოფილვარ იმასთან იმ არე-მარეებში.

ივანე

დაიცა, გიამბობ. კარგია და ეგრე! ჩვენ ტიტველს ალაგას მოვხვდით, იქ ქუჩის მეტი არაფერი იყო, ვერას აიფარებდა კაცი. მოგვისხდენ ძაღლები პირდაპირ არყიანში და მოგვაყარეს თოფები. კიდევ კარგი, რომ შორს ვიყვენით, თოფები ვერ აწევდა, თორო სუ ერთიან ამოგვჟუჟავდენ. ქვეით სამ ელგუჯა და ჩონთა დარჩნენ. ელგუჯას გაარტყეს თოფი და წამააქციეს. მე ის მიკვირს დღესაც, ჩონთამ შაიგდო ზურგზე, თან დაჰკივლა "შენს მარჯვენას, ძმაო, ძაღლებს არ ვათრევინებო", და გამოსწია პირ-აღმე, რო სიმაგრეში მოვფარებიყვენით!

შუშანა

ჰაი, ვენაცვალე იმის სულთა, კაი ლაშარი-ჯვრის ყმაა.

ივანე

გამოგვიდგნენ ისინიც, მაგრამ ცუდად დაუჯდა იმათ იმ

არყიანშიით გამოსვლა; რამდენჯერაც მოგვეწივნენ, იმდენჯერ გავაბრუნეთ, ერთი ხუთიოდ მკვდარი კი წაიღეს, სამი-ოთხი დაჭრილიც იქნებოდა. საფშავო მიჯნას რომ გადმოვსდით, სხლიტეს იმათაც იმედი და მიბრუნდენ... ძაღლებია, არ შაგვარჩენენ. ძალიანაც დაიგვიანეს, რო ფშავის ხევი არაით დააზიანეს.

შუშანა

არიან, მოუსვენარნია, დაუდეგარნია. თუ ჩვენც ეგრე არ ვუყავით, არ გამოდგება, ცოლებადაც მოგვინდომებენ. კაი ყმა ნუ დაულიოს ღმერთმა ჩვენ ლაშარი-ჯვარსა. ვაჟკაცი თავს ხო ასახელებს, სოფელსაც და ხატსაც. ჩონთას, ჩემის ფიქრით, უნდა ჰყვანდეს მოკლული ქისტი ოცდაოთხი მაინც. გაგიმარჯოს, ეგ მაგათა ჰჟუჟავს! ისინიც უკრაჭუნებენ კბილებს, მაგრამ შენ მითხარ დრო, რო ცხვარმა მგელი შაჭამოს. კაი ვაჟკაცია. ცოტას ერთი მიზეზი აქვ: ქალის გულისათვი ვაჟკაცმა სახელი როდი

უნდა გაიფუჭოს. დიაცი მითხარ შენ, წუტი დიაცი, იმის გულისად აუგი ათქმევინოს თავის თავზე ვაჟკაცმა.

ივანე

მე ეგ არ ვიცი, რას ამბობ? რა დიაცი, ვინ დიაცია?

შუშანა

ჩონთამ მათურელს ბახას ცოლი წაართო, მეორე წელია შინა ჰყავ.

ივანე

როგორ ცოლი, რას ამბობ, კაცო, ჯვარდაწერილი ცოლი?

შუშანა

ვსთქვათ, ჯვარდაწერილი არ იყო, მაგრამ ხელდადებული იყო ბახაისადა და ჩონთამ კი გაიტაცა.

ივანე

ჰო, ეგ სხვა საქმეა, ალბათ ქალსაც უნდოდა და რა ექნა?! ეგ არაფერი, დედა ვაცხონე ჩონთასი, იცის მგელმა. აი მე ეგეთი მგელი მიყვარს, ჩემო შუშანავ, ისითა კი არა, ცხვრებს რო მიჭამს. შენ დიაცი არაფერი გგონია, კარგი დედაკაცი კარგი რამ არი და უხეიროს კი ღმერთმა მშვიდობა მისცეს. მაგას როგორ იტყვი, დიაცი რა არიო. ეხლა მე დედაკაცი მყავ, უკაცრავად ვარ ამ სიტყვაზე, რო არ მამწონდეს, ერთს დღეს არ შავინახავდი შინ, ჭიტლაყი და იმისი ჯანი! ცოცხლად ჯოჯოხეთში ვამყოფო ჩემი თავი, განა გიჟი ვარ? სისწორისას ვამბობ, თამარ-ნეფის მადმა...

შუშანა (ღიმილით)

მე იმას კი არ ვამბობ, ჯიუტო, დედაკაცი არაფერიაო. მე ჯერ ამას ვამბობ - რაზედაც ხელი არ მიუდის ვაჟკაცს, თუნდ რიყის ქვა იყოს, ხელი არ უნდა მიაწვადოს, და მემრე დედაკაცს?!

ივანე (იცინის)

ხა, ხა, ხა! დედაკაცს უნდა მიაწვადოს ხელი ვინც ბიჭიადა! შენი არ ვიცი და მე კი აღსარებასავით გეტყვი - დედაკაცივით გულს არა გამინათლებს. ლაშარს რო ვიყო, სუ იმათკე მიჭერავ თვალი, სმაც მავიწყდება, ჭამაც, ხა, ხა, ხა!

შუშანა

მეტის მეტი - რეტის რეტიო, ბუმბულავ, ნათქომია ძველთაგან. ლექსი მაინც არ გაგიგონია: "ღვინო კი მათრობელი სჯობ, ძაღლი თეოზე მყეფარი, ვაჟკაცი ამო-

გემო სჯობ, რო გაჭირდება - მჭეხარი, ჩალად არა ღირს ვაჟკაცი დიაცთ მიმყოლი, მკვეხარი”.

ივანე

ვამბობ, თორო განა მართლა ეგრეა. ვის მამაძაღლს ჩემს თავად ჩემი ქედანა და ჭრელია არ ერჩივნოს, რაც ქვეყანაზე დედაკაცებია, ჩემს დედაკაცს გარდაია, ხა, ხა, ხა!.. შენ ხომ ეგ ლექსი მითხარ, კარგი, მაშ თუ ეგ უთქომ ძველებს, ესეც ხო იმათ ნათქომია: “ვაჰმე ხინკალო, ხინკალო, მემრე მარწყვასთან წოლაო”. ხა, ხა, ხა!

შუშანა

ჰაი, შე კუდიანო, ისივ საით მამასწარ, ხა, ხა, ხა! გავტყდები, რა იქნება, გატეხილი ვიყო. აბა ხორცი ნახე, ძალიან არ მოგვეხარშოს.

(ხმა გარედან: “თეო, აქ რას წამოსწოლიხართ, ამ ქოხის კარებს, წადით ცხვართან, წადით! ოჯახის-შვილებო, შინა ხართ?”)

ორივენი ერთად

შალვა, შენა ხარ? მოდი, ბიჭო. რა სტუმარივით, უცხოსავით გარეთაით იძახი!

გამოსვლა მეორე

იგინივე და შალვა

შალვა

(შემოდის, ცალ ხელში თოფი უჭირავ და მეორე ხელში მგლის ტყავი)

მე ვარ და კარგიცა ვარ. ვერ ამოგყარე იმ ჩვენი დამღუპავის მგლის ჯავრი!

ივანე (გაკვირვებით)

ბიჭოს! ყოჩაღ, აი გენაცვალე მა თვალებში! (წამოდგება და ჰკოცნის შალვას) გენაცვალე, კლოვ მტრის თავი მოგცეს ღმერთმა! აი შენი ჭირიმე, აბა, მაჩვენე ე ტყავი აქა.

შალვა (ტყავს აძლევს ივანეს)

აჰა, დაიჭი, აი ჩვენი მტერი. მკვდარზე მაინც ამაიყარე ჯავრი.

შუშანა

ღმერთმა ხელი მოგიმართოს, შვილო, კლოვ ხარი-ირემი მოგაკვლევინოს რქიანი.

ორივენი ერთად (შალვას)

საით რას მაიგდე ხელად?

შალვა

საშავარდნის თავს გადმაუშვი ცხვარი, მე კლდის თავზე ვიჯე, ერთიან ცხვარი რამღაც შამოაფრთხო. წამოვდეგ ფეხზე, გავიხედე, ოღონდაც ეს მგელი დასჯაჯგურებია ამ ჭედილას დუმაზე, ეზიდება პირთავქვე, ის ფიქრი ჰქონდა, ამ კინჭუხებში ჩავითრევო; მე ხმა, კრინტი არ ამოვიღე, მაშინვე შამოვზიე ჩახმახს, თოფი გავარდა, ბოლი მამეცალა და ვნახე, რომ, სადაც ვესროლე, იმას ცოტა ქვეით ლოდებში კუდი ჩნდა. ოჰო, ვსთქვი, მიამა გუნებაში.

ივანე

რაში მოჰხვედრიყო?

შალვა

ილლიაში სჭირდა, სიპტყივ იდგა.

შუშანა

მემრე ჭედილა ძალიან არი დაგლეჯილი?

შალვა

არი და არც ძალიან არი. მივედ, ვნახე, პირიდან დუმის ნაჭრები გადმოსდიოდა.

ივანე

ჰაი შენი რჯული დაიქცა, შე ბოროტო, შე ძაღლო, შენა! შენ

შასჭამე განა ჩემი ცხვრები?! (თან უსრესს ყურებს, სცემს მუშტს). ვერ ამოგშხამდა?

შუშანა

მაიტა ე ტყავი აქა, არ დაჰხიო! მკვდარზე რაღა ვაჟკაცობასა სცდი, შე კაი კაცო? (იცინის). მაიტა, ვაჟო! კარგი, კარგი, ეყოფა, ცოდვა არი, რა ქნას ე, ეგეც ვაჟკაცია, ეგეცა ნადირობს, ცდილობს ლუკმა როგორმე ვიშოვო, შიმშილით არ მოვკვდეო.

ივანე

ცოდვა არი?! ვაჟკაცია?! ჩემი ცხვრები კი არ იყო საცოდავები, რო სჭამდა?! თუ ვაჟკაცია, წავიდეს ტყეში, ცოტა სარჩო გაუჩენია ღმერთსა, იშოვნოს და ჭამოს, ჩემს ოფლს რას ეტანება? იმისთანა ვაჟკაცები ფეხებზე მკიდია, რო მზაზე სხვისა სარჩოს იტაცებენ.

შუშანა

მაიტა, მაიტა, ვნახო ერთი, ხვადია თუ ძუკნა?..

ივანე (აძლევს ტყავს)

აჰა, ნახე, რაკი არ აგიყენებს მაგისი ტყავი, რაც ცხვრები დაგიჭამა.

შუშანა

არა უშავ, მაიყვანეთ ჩემთან ჩემი მონადირე ბიჭი (უსვამს ხელს თავზე, უწყობს ბეწვსა). ძუკნა ყოფილა ეს მამაძაღლი, რა კარგი ყურები ჰქონია, რა კარგი ტოტები ჰქონია ამ ქურდ-ბაცაცას, ამას! მოკლეს ეხლა და როგორღა უნდა ინადიროს?! (ივანეს და შალვას) ლეკვები ჰყოლია, იმიტომ უზარალებია ცხვარი.

შალვა

ლეკვების დედაა, ძოღან იმ საშავარდნეს პირდაპირ რო ლეკიანია, იქით წკავ-წკავი მოდიოდა. მგონია კიდეც გიამბე, ივანე?

ივანე

ჰოო, სთქვი, მართალია.

შუშანა

ეგრეა. აი ეს ხო ნადირია, მგელია, მტაცებელია, მჭამელი სხვისა სარჩოსი - და როგორ უყვარს თავის შვილები, მოგეკლეინათ შვილების გულისათვი, ეგებ იმათ რამ მიუტანო, სიმშილით არ დამეხოცნენო... აბა მოდით, გავამტყუნოთ, რა ექნა მაშ ამ ბეჩავსა? მართალია, გვაზარალა, გული გვატკინა, მაგრამ მაინც ისივ იმას

ვიტყვი: რა ქნას, ნადირია, ჩვენ ამაზე მდიდრები ვართ, მეტი ჭკვა გვაქვ, მეტი მოხერხება, ამან ემის მეტი არა იცის, ეს დაუწერია ამისთვის ღმერთსა.

შალვა

მართლა, ბიძავ, გამიგონია, ღვთისაგან აქვ შაწერილიო.

შუშანა

მამაჩემმა იცოდა, იმ მამიჩემის ცხონებამ, ქორი რო ქათამს გაიტაცებდა, თუნდა იმის ცხვირწინაით, ხელს არ აუქნევდა: წაიღოს, მონადირეაო. აბა, მამაჩემი თვითონაც მონადირე იყო განთქმული და ალბათ იმით თუ ებრალებოდა, თავის თავი აგონდებოდა, იცოდა, როგორიც არი მონადირის გული. დედაჩემმა დაუწყის წყევა-კრულვა: შე სულელო, შე გადაყრუებულო, რამდენიც დაჰბერდი, იმდენი თავშიით ჭკვა გამოგეცალაო. რად

წააღებინე ქორს ე ქათამიო! - მეწადა, მინდოდა და იმიტომაო.

შალვა

მაშ სიზმარს არ დაეჯერება, ბიძავ?! მე რო წუხელ საკვირვლად ცხადად ვნახე და არ გიამბეთ კი - დაიცა რაზე ამიხდებაო, ვიფიქრე ჩემთვი. ერთი შოლტი საქალმე მეჭირა ხელში, უნდა ქალმები დამეკეთა იმისა, ვაბრუნებდი ხელში, ბეწვი როგორიღაც სხვანაირი ესხა, არ იყო საქონლის ტყავი, მაინც კი უნდა ქალმები დამეკეთა. დღეს რო გავატყავე ეს მგელი და ცხვირში ხელი მოვავლე, ავსწიე მაღლა, ტყავმა ქანძურობა დაიწყო, მაშინვე ის სიზმარი მომაგონდა. დიდება, შენთვისა, ღმერთო, ცხადად ადგა ფეხზე.

შუშანა

სიზმარი, შვილო, დაცდაზეა.

ივანე

ნამდვილია, ეგრეა, უნდა ალღო, მხარო აართვა სიზმარს; სიზმარი უმხრო არ არი.

შალვა

ეჰ, შენი ჭირიმე, ჩემო თოფო, უთუოდ კაი თოფი გამამადგა, ივანე, ეს თოფი, ძალიან კაი პირი აქვ, ძალიან შხამიანი. (თან სწმენდავს თოფს).

ივანე

კაი ფასიც მიეც, ციცის ტერფალიანი მაჟარი კარგია.

შუშანა

რა მიეც? აბა მაჩვენე. (შალვა აძლევს თოფს შუშანას).

შალვა

ოცი თოხლი და ათი მამგე ცხვარი.

შუშანა (სინჯავს თოფს)

კაი რკინაა, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს. ჰაი გიდი, დროებავ, ჩვენს მამა-პაპას მშვილდ-ისარი, ბოძალდი ჰქონია თოფად და აბა სად ესა და სად ისა: "თოფმა სთქვა - ჩემსა წამალსა შვიდ-პირად უნდა დუღილი, - შორს ვიცი კაცის სიკვდილი, ზედ ვიცი ჭექა-ქუხილიო". თოფით ომს ლაზათი კი აქვ, მაგრამ ტყვია ოხერი ბევრს კაი ყმას აფუჭებს წინასწრობით. სწადიან თავი სცადოს, მაგრამ სანამ საქმე საქმეზე მიდგება, სანამ მკლავს გაჰრჯის, მანამდე ჰკლავს. ვაჟკაცის საცდელი ხმალია, მკლავიც ხმალში გამოჩნდება და გულიც.

ივანე

ეჰ, აბა ჩემი თოფიცა ვნახო. (ეწვდება კედელზე ჩამოკიდებულ თოფს). ამასთან შენი მაჟარა ვერ მოვა, ძმისო, ეს სხვა ჯურაა...

შუშანა

ეგ სხვა რკინაა, ჩარმაა. ნათქომიც როა ლექსი: "თოფჩი თოფი სჯობ ხირიმი, მემრ ჩარმა გვარშარეულიო". (კულისებში ტირილის ხმა ისმის: "ვაჰმე, თქვენი ჯავრი! თქვე რჯულ-ძაღლებო, გაწყდეს თქვენი ხსენება, ღმერთმა ნურა კარგი გახილებინოსთ, დაგლახტოსთ და დაგშამათოსთ იმ გმირმა კოპალამ!").

ყველანი (ერთხმად)

ეს რა ამბავია? (წამოდგებიან ფეხზე).

შუშანა

დედაკაცის ხმაა. რაღაც ცუდი ამბავია.

ივანე

ილანძღება.

შალვა

გაჯავრებულია, ვინ უნდა იყოს ამ დროს? (ხმა გარედან: “სად ვინა ხართ, აღარავინა ხართ ქრისტიანი!”).

ყველანი

მოდი, შინა ვართ, ვინა ხარ?

გამოსვლა მესამე

იგინივე და გულქანი

გულქანი

(აქვს დასისხლული პირი, ხელში თოფი უჭირავს).

ვაჰმე, ამამვარდა გული!

ყველანი

რა არი? რა ამბავია, ქალო?!

გულქანი

დაიცათ, სული ამამაქცეინეთ, თქვენი ჭირიმეთ. (დაეყრდნობა თოფს ტუჩზე).

შუშანა

ეგ რა ამბავია შენ თავს? ეგ რა არი?

ივანე და შალვა

თქვი ჯერა და მემრე დაისვენე. რა ამბავია?

გულქანი

თუ კაცები ხართ, არც თქვენა გცალიანთ დასასვენებლად და არც მე: ქისტებმა აგვიკლეს, კაცის ჭაჭანება არ არის სამთოებში; მაზლი მამიკლეს - ელიზბარი. (ქვითინებს).

შუშანა

ვაჰ შენ, ჩემო თავო, ნუმც გამიგონავ!

ივანე

ღმერთმა ჩემს მტერს მისცეს! საწყალი ელიზბარი!

შალვა

ვაჰ დედას მტრისას!

გულქანი

ჩონთაის ბინა სუ აიკლეს, საქონი გარეკეს, მზევინარიც წაიყვანეს. ღმერთმა ეგები კარგი არ აჩვენოს, ეგებ დაულიოს წილ-ბოლო იმ ჩვენმა მთავარ-ანგელოზმა, იმ ტურფამ თამარ-ნეფემ ბახასა, ის მაუძღვა წინ ქისტებს.

შუშანა

ჯავრი ჰქონდა. აი დავწვი იმის გამდელი, შამირცხვა იმის ვაჟკაცობა! მემრე რა ჰგულავ?

ივანე

უყურე, უყურე შენ იმ ძაღლს, მოღალატეები შინაითაც გაგვიჩდენ?

შალვა

გარჯულდა გაურჯულებელი.

გულქანი

უკეთურს მზევინარის ხელში ჩაგდება უნდოდა, მაგრამ ტყუილად, ქისტი ჯოყოლა დაჰპატრონდა იმას... ეგებ არა კეთილი ნახოს იმ შავის მიწის ჩამოშაშლელმა... მეც ხანჯრით დამჭრეს, ქალს გავები, არ ვანებებდი, ელიზბარისად მაინც მარჯვენა კი არ მოვაჭრეინე... ეს თოფიც იმისია, გამოვიტაცე.

შუშანა

სად იყო ჩონთა?

გულქანი

კაცები სუ ქორწილში გაიკრიფნენ, ამაღამ ნეფიონი მაუვა ყეინიაანთ. ცუდი მხარი ეტყვის, მაგრამ საით რას უშველს, იმას ვინ შაატყობინებს?

შუშანა

ნუ ვგვიანობთ. აბა, ბიჭებო, თოფი მაისხით.

გულქანი

აჩქარდით, თქვენი ჭირიმეთ, გზა შავაჭრათ, თუ ვეცადენით, წინ მოვასწრობთ. ისინი ფშავლების

სალაშქრო გზაზე წამოვლენ.

ივანე

წავიდეთ, წავიდეთ, ნუ ვგვიანობთ!

შალვა

მე მზასა ვარ, არიქათ, სირცხვილს ნუ ვჭამთ!

შუშანა

ეგ რჯულძაღლები, მე ვიცოდი, რო შარშანდელს ჯავრს არ შეგვარჩენდენ. (ისხამენ ყველანი იარაღებს).

ივანე

წავიდეთ, რასაც ვიზამთ, ვიზამთ! აი დედას იმათსა, რომ

იქ ვერ მოვასწარით!

შუშანა

ჩქარა, შალვავ, ქალმების სწორებისა არ არის, ჩოხა შამაიკვალთე!

გულქანი

აბათ, თქვენი ჭირიმეთ, ძმა-ძმისადა და ემ დღისადაო. (გადიან ყველანი).

(ფარდა)

მოქმედება მეორე

გამოსვლა პირველი

(სცენა წარმოადგენს დარბაზს. შუა ცეცხლია. გარშემო გოდრები და კოდები სდგას. მარცხნით და სამხრეთისაკენ კარებია. ზემოთ კიდობანი სდგას, ქვემოთ დედა-ბოძის გვერდზე თუნგი და თულუხია. კაჩხაზე თოფ-იარაღია, ზემოთ თარო. ბოძზე კალათა ჰკიდია ჯამ-კოვზის შესანახი).

მოქრისი

(ზის კერის პირას, გვერდით აკვანი უდგა, ფეხით აკვანს არწევს, თან წინდასა

ჰქსოვს).

დაიძინე, შვილო - ტკბილო, დაიძინე, პატარავ, ნანაა-ნანაა, არ შაგაჭმევ შვილსა, მგელო, ნანავ-ნანა, კატავ, აცხა, კატავ, აცხა, შენ აკვანში არ დაგაწვენ, ნანავ-ნანაა. თაგვიც მორბის კუდაბზიკა, ნანავ-ნანაა, მე დავწვები, მე

დავწვები - მოიმღერის, ნანაა, არ დაგაწვენ, არ დაგაწვენ, ჩემს შვილს სძინავს კაკანაში, ნანავ-ნაა! (იძახის) ქალო, მზევინარო, სადა ხარ?

მზევინარი

(შემოდის სამხრეთით კარებიდან. პირისახე შუბლამდე და ორივე ხელები

შეხვეული აქვს).

რა გინდა, დედამთილო?

მოქრისი

ხბორები სად არიან?

მზევინარი

ჭალაში სძოვენ, კარგა არიან.

მოქრისი

თვალი გეჭიროს, დედა-შვილობას, მგელი არ მიგვიწვდეს, რაც ვიზარალეთ, ისაც გვეყოფა ზარალად. არა ჰნახე კაცი?

მზევინარი

ვნახე

მოქრისი

არა გითხრა-რა?

მზევინარი

ხმაც არ გაუცია, განა არ იცი იმის ამბავი! შავი ნახშირის

ფერი ედო, სწორედ არც კი შემომხედა. ცხენი ბალახზე დააბიო კი მითხრა, თითონ ელიზბარის სატირლად წავიდა.

მოქრისი

აბა, მაგ ჩემთავმამკვდარს, სრულ იმას ჩავჩიჩინებ - დაანებე, შვილო, თარეშობას თავი, თვისი სარჩო საკმაო მოგცა ღმერთმა, იმას მაუარეო. არა, დედავო, ჩემი ლაშარი-ჯვარი რასაც მიბრძანებს, ისე უნდა მოვიქცეო. ჩვენის ბატონის ბრძანებას ვერ გადავალო. გადაიმტერა მთელი საურჯულოვე.

მზევინარი

შენ დედა ხარ, ჯერ შენ არ გიგონებს, მე - ცოლს რას გამიგონებს?!

მოქრისი

მაიტანს თითო-თითო მაუნათლავის მყრალს მარჯვენას და მიაკრავს კოშკზე. არ იცოდა, რომ მოეკითხებოდა? აი ეხლა შენ რადა გაქვს ჩაჭრილი ხელები?! აგერა კიდევ ბეჩავი ელიზბარი, მოუკვდა ჩემი თავი, როგორი ცოლ-შვილი, როგორი დედა გაწირა! (წუწუნებს).

მზევინარი

მე განა ესე მოვრჩებოდი, დედამთილო, ჩვენს ფშავლებს რო არ მოესწრო! სალაშქროს ყელს რომ გადავედით, ბახა მომიბრუნდა, მოსტყდეს იმას მარჯვენა, და მითხრა: აბა სადა გყავ შენი სახელიანი ქმარი, ეხლა გიშველოსო. შენ ხო ცოცხალი დამმარხე, ქუდი მომხადე, აღარც შენ უნდა იცოცხლოვო, თუ იცოცხლებ, სასიცოცხლო არ უნდა იყოო და მომიქნია ხმალი, ცხვირ-პირში მიმარჯვებდა. მე პირზე ხელებს ვიფარებდი და ის კი ხმლითა მცემდა. ამ დროს

მდევარი მოგვეწია, თოფების ხმა მოისმა. ყველანი აირ-გაირივნენ და მეც თავს ვუშველე.

მოქრისი

ის მაშინებს, შვილო, ვაი თუ ქრისტიანის სისხლში გაერიოს, ურჯულო მაინც ურჯულოა. არ გაუშვებს ცოცხალს, შამააკვდება ის არსამყოფო ბახა: ქისტებისა კი არა, უფრო იმის ჯავრი ექნება, იმ მზებნელის, იმ პირშავის. რა ხელობა დაუჭერია ჯერ, რა ხელობა?! ქისტებს უძღვება წინ ფშავში სათარეშოდ!

მზევინარი

მეხი დაეცა იმას თავზე, უგერგილო უგერგილობას ჩაიდენს ნიადაგ!

გამოსვლა მეორე

იგინივე, ივანე და გიორგი

(ივანე და გიორგი შემოდიან ხელგადახვეულები. მთვრალები არიან).

ივანე

მშვიდობა სახლსა.

გიორგი

აგაშენოსთ ღმერთმა.

მზევინარი

თქვენც მოხვედით მშვიდობით. (ადგება ფეხზე).

ივანე

გაგახაროს ღმერთმა.

გიორგი

გიცოცხლოს ქმარ-შვილი.

მოქრისი

უკაცრავად, შვილებო, მე კი ფეხზე ვერ აგიდეგით: სიბერე ძნელი ყოფილა.

ივანე (მოქრისს)

შენ ვინ დაგემდურება, დედა ხარ ჩვენი, როგორა ხართ, ხო არა გიჭირსთ?

მოქრისი

ღმერთმა გაცოცხლოს, ჩემო შვილო, ვყრივართ დღესნამდე.

გიორგი

ხომ არა წაგიხდათ?

მოქრისი

არა წაგვხდომია, გადღეგრძელოს, ჩემო შვილო.

მზევინარი

რაც წაგვიხდა, ის რაკი არა კმარა ზარალად!

გიორგი (ჩაფიქრდება)

ჰო, ჰო, ვიცი... ვიცი... ეგ არაფერი, ქმარი გყვანდეს

ცოცხალი, თორო მტრის ჯავრს არ შაგაჭმევსთ. მართლა, მზევინარო, გუშინ მტერ-მოყვარე ბახა ვნახე, ცხვარში ვიყავ, არაგვის ჭალაზე გზაზე მოდიოდა ცხენ-და-ცხენ, ისეთი ფერი ედვა, როგორც ნახშირი; თავ-პირზე ყაბალახი ჰქონდა მოხვეული, მაგრამ მაინც ვიცან. იმან მგონია ვერ შემამჩნია, გორის პირზე ვიყავი წამოწოლილი.

მზევინარი

მოუსავლეთს წავიდეს. მემრე, ბიჭებო, როგორა ხართ ან ერთი ან მეორე?

გიორგი

რა გვიჭირს, ვართ.

ივანე

დავდივართ, კარგსა ვსომთ და კარგსა ვჭამთ.

მოქრისი

ცხვარში ვინღა დაუყენეთ, ბიჭო, რო თქვენ საქეიფოდ დასდიხართ?

ივანე

ეჰ, დედა-შვილობას, ცხვრის დარდი ვისა აქვ! ცხვარი არხეინადა სძოვს მთაზე... ჩონთა სად არი? რამდენი ხანია აღარ მინახავ!

გიორგი

მართლა, დედილო, სად არი ჩონთა?

მზევინარი

იმის გზისა რა გაიგება! დილას განთიადისას ცხენი შაკმაზა და წავიდა.

მოქრისი

უდროოდ დამაბერა შვილმა, შვილებო, უდროოდ. ეს თვალები მაგის გზის ცქერაში ჩამომიწყალდა. ნეტავი გვეტყოდეს, სად მიდის, ან შინ როდის დაბრუნდება.

ივანე

ვენაცვალე კარგს ყმას.

გიორგი

ვაჟკაცის წესია.

ივანე (მღერის, გიორგი ბანს ეუბნება)

მაშინ კარგია კაი ყმა, რო დილა ბინდზე დგებოდეს.

გიორგი

(იმეორებს ამ სიტყვებს, ივანე ბანს ეუბნება).

ივანე

იცვამდეს გრილსა რკინასა, ომს ვიზამ, ემზადებოდეს.

გიორგი (იმეორებს)

ივანე

ლურჯაი ჰხრავდეს ლაგამსა, ტოტითა ტოტზე დგებოდეს.

გიორგი (იმეორებს)

მოქრისი

ბეჩავი, შვილო, ელიზბარი! სირცხვილია, მეზობლები გაიგონებენ. ერთმანერთის გამსუბუქება არ არი კარგი: ჩვენი ჭირი მაგათ ლხინად მიაჩნიათო, იტყვიან.

გიორგი

ხანგავლილია, არა უნდა-რა.

ივანე

ეჰ, დედა-შვილობას, განა ჩვენ აქ დავრჩებით, ჩვენაც დავიხოცებით. ის უფრო ცოდვა არ არი, რო მემღერებოდეს და არ ვიმღერო? ეჰ, დარჩეს თუნდა, არაფერი უშავს... მაშ რატომ არას შაგვასმევთ, დედილო, არაყანი, ვიცი, გეგულებიან?!

მზევინარი

რაღა არაყი გეჭირვებათ, ისეც მთვრალები ხართ, ბიჭო.

ივანე

დაგავიწყდა განა, მზევინარო, ჩემი სიკეთე! რა მინდოდა, რა მომარბენდა ამ თავმკვდარს, რატომ არ წაგაყვანინეთ ბახასა და ქისტებსა. დაიცადე, დაიცადე, კიდევ მოდგება ქაჩალი მექუდის კარზე!

გიორგი

ახლა ჩონთა იტყვის, დედაკაცა მყავ, ცოლი და შვილიო. ვისაგან - ისიც ვიკითხოთ. თუ შენ არა, ხო ვიცი...

ივანე

ჰო, მართალია, მე და ჩემმა ღმერთმა, ხა, ხა, ხა.

გიორგი

აბა, ეხლა რაღას იტყვი მზევინარო, არ არი ეგრე? (ორივენი იცინიან).

მოქრისი

შნოზე ყოფნა არა სჯობია? აკი დათრობა არ უხდება ვაჟკაცსა.

ივანე

მოკლას ხარი თივამ!.. რა ვქნათ, ჩემო დედილო, შენი სულის ჭირიმე, მწყემსი ხალხი ვართ, ათასში ერთხელ ძლივძლივობით დავეხრწევით შავს მთასა, შავს კლდეებსა, ჩამოვალთ სოფლად და თუ მაშინაც თვალი არ

გავახილეთ, რას ვეგვანებით!

გიორგი

ნუ, დედა-შვილობას, ნუ დაგვძრახავთ.

ივანე (მღერის)

ძმობილს ენაცვალოს ძმობილი... (უცებ ხელს იფვარებს პირზე, აგონდება მოჭრისის დარიგება). ღმერთო, შენ მაპატიე!

გიორგი (სიცილით)

რა არი, კაცო, რაღა ენა მუცელში ჩაგივარდა, თუ დაიწყე, დაამთავრე კიდეც.

ივანე

დროს უნდა მიჰყვეს კაცი, ძმაო. (გიორგი თავს დაჰკიდებს). როგორცა ვხედავ, აქ ჩვენ არას მოგვიტანენ. აბა ნახე, თუ ძმა ხარ, ჩვენს ჩარექაში აღარა გვიდგა-რა?

გიორგი

მგონია კიდევ დაგვრჩა ცოტაოდენი, თითო ყანწი ეგები მაინც გამოგვივიდეს. (ჰსინჯავს ჩოხის ქვეშ ყურით ქამარზე დაკიდებულს ჩარექას და იხსნის). აჰა, ძმაო, ნახე.

ივანე

მოიტა აქა (ართმევს ჩარექას და აჭანჭყარებს). ვენაცვალე შენს ბარაქას, როგორ ბარაქიანი ყოფილა ეს დალოცვილი! კიდევ მდგარა.

მოქრისი

შვილო, მზევინარო, აბა მაინც არ იშლიან კი, წადი, ბარემ, მოუტანე სუფრა, არაყიც ჩამოუსხი.

ივანე (გახარებული)

ჰოი, გენაცვალე მაგ ტკბილს სულში, ჩემო დედილო! უნდა ვაკოცო თვის დედას. (მიდის და ეხვევა ყელზე).

მოქრისი

ბებერი-ღა ვარ, შვილო, ბებერი...

გიორგი

აი შენი ჭირიმე, ჩემო ბებო, რო ეხლა თხოვნა აგვისრულე და ამაზე მეტად აღარ დაგვაღონე.

მზევინარი (სდგება და მიდის კიდობნისკენ)

საით ჩამაუსხა, დედამთილო?

მოქრისი

გოზაურშიით ჩამაუსხი, განა კი მეზოგება, შვილო, თქვენთვინ ე მწარე წყალი, მაგრამ ძალიან დაითვრებით, არ დამენახება მთვრალი კაცი. ბებერას კაცას კიდევ უხდება, ვაჟკაცს კი აუშნოვებს, დედაშვილობამ.

მზევინარი

ვაჰმე, მწარე წყალი რაღა დასაზოგავია? იქნება ამათ ის იფიქრონ, არ ემეტებათ ჩვენთვინაო. (ჩარექაში გოზაურიდან არაყს რომ ჩამოასხამს, ვარცლიდან იღებს გრძელს სუფრაზე ხმიანდის ნატეხს, ყველს და მოაქვს სტუმრების წინ).

ივანე და გიორგი (ერთად ართმევენ რა სუფრას)

ღმერთო, ნაწილის გამჩენო, შენა სწყალობდე ჩონთასა და იმის ყოფა-ცხოვრებას.

მოქრისი

ღმერთმა გიშველოსთ.

მზევინარი

გაცოცხლოსთ ღმერთმა.

გიორგი (მზევინარს)

აი ეხლა ვართ კარგა, როგორც კაცს მაუხდება. ემაგრე, აი! მადლობელი ვართ. შენ ჩვენის გულის მოგებას ეცადე, თორო შენს ქმარს კიდევ დასჭირდება ჩვენი თავი. წამოდგება კიდევ ლაშარის გორზე ხალხის წინ და დაიწყებს ვეფხვივით რუხრუხს: "ჩვენი ლაშარი-ჯვარი

ქისტეთზე გალაშქრებასა ბრძანებს და გაემზადენით, ვისაც კი გული გერჯისთო. გაუწყრეს ეს ლაშარი-ჯვარი, ვინც გულს ძალა დაატანოთ. არ გეპატიჯებათ, ვისაც გული არ გეუბნებათო”. ჩვენც მაშინ იმას ვიტყვით: არ გვერჯის გული და ვერც წამოვალთო, ვერ გაგმოგყვებითო. ვნახოთ, თუ შენს ქმარს მაშინ მარტოკას არ მოუნდეს ქისტეთს ჩაკჩაკი.

ივანე

ჰო და ჰო, მე და ჩემმა ღმერთმა, უთუოდ არა სტყუი, გიორგი.

მზევინარი

არა გინდა, დედისშვილო, ჩემი კაცი მარტოკა რა ცოტას დაჩაკჩაკებს, ნუ გეშინიანთ, იმას გზა არ აერევა.

გიორგი

სუ, ვაჟო, არცა რა ისითაა, როგორც შენ მაგწონ.

მზევინარი

მე მამწონ თუ არა, ეგ სხვა არი და ის კი ვიცი, რო გზა არ აერევა.

ივანე

მარტოკა მაინც რას იზამს, თუნდა გზაც არ აერიოს?

მზევინარი (ღიმილით)

მოახერხებს კიდევ რასმე.

ივანე

მტერს ნურა კარგი, მარტოკამ ბევრი ვერა მოახერხოს-რა. (ასხამს ყანწში არაყს და აწვდის გიორგის). აბა, გიორგი, ძმაო, ჩამამართვი ე ყანწი.

გიორგი

კაის ხელს უჭირავ.

ივანე

ჰა, ვაჟო, დაიჭი! (აწვდის ყანწს).

გიორგი

რაღა ბევრს მაპატიჟებ, განა მემრე ველარ მოვესწრობი, დალიე და დავლევ.

ივანე

რაკი შენ არ დაჰლევ, დავლევ კი არა, ღმერთსაც გავაგდებინებ. (ილოცება). დიდება ღმერთსა, დიდებული ღმერთი შაეწიოს ჩონთას, იმის ცხოვრებას, ბარაქა მისცეს! (გიორგის) გაგიმარჯოს შენც! (დედაკაცებს) გაგახაროსთ თქვენც!

მოქრისი

ღმერთმა გაცოცხლოს, ჩემო შვილო!

მზევინარი

გადღეგრძელოს ღმერთმა! (ივანე უსხამს არაყს გიორგის და აწვდის).

გიორგი

დიდებული ღმერთი შაეწიოს ამ ოჯახს, კიდევ თქვენც,

აქა ბრძანებულთ. (მოქრისს) მოიხსენოს კურთხევით შენი ძმა ბეწინა, დედილო, გაანათლოს იმისი სული! (ივანეს) კაი ვაჟი იყო და სახელიანადაც მოკვდა.

ივანე

ღმერთმა მაიხსენოს! ვიცი, ქისტეთს ლაშქარში მოკვდა, გაგიმარჯოს, რო ის კაი ყმა იყო. ცოტად კიდევ მახსოვს, მე პატარა ვიყავი, ის დახარებული ვაჟკაცი იყო მაშინ.

მოქრისი (ამოიკვნესებს)

მოიხსენოს ღმერთმა, იმის მოსვლამდე გაცოცხლოსთ თქვენ კი... იმის სიკვდილმა მომიკლა მე გული და ეხლა ამ წყლულზე კიდევ წყლულს ჩონთა მიმატებს. ვაჰმე, გული რადმე შემომკვნესის, საწყინარი მხარი მეუბნება, მისნად გადამაქცია შვილზე ფიქრმა... დამცინებთ კიდეც ბებერს.

ივანე

ჩვენ აქით არსად წავალთ, მინამ ჩონთა არ მოვა. იმას არა უშავს, დედილო, ტყუილად გეუბნება ცუდი მხარი. (ილოცება) ღმერთმა ადღეგრძელოს ჩონთა.

გიორგი

ღმერთმა გაგიგონოს, ამინ, ადღეგრძელოს.

მოქრისი

თქვენც გადღეგრძელოსთ, ჩემო შვილებო. (მზევინარს) შენ, შვილო, ხბორებს მიჰხედე, მგელი არ ოს მიგვიწვდეს.

მზევინარი

ეხლავ, დედამთილო, ვაჰმე, მე სრულაც გადამივიდა

გულიდან! (აგდებს აკვანს და გადის, შემოდის გულქან წინდის ქსოვით).

გამოსვლა მესამე

იგინივე და გულქანი

გულქანი (მოქრისს გაკვირვებულის კილოთი)

დიდიავ! ჩონთა მოდის.

მოქრისი

სადა, შვილო?

ივანე და გიორგი

მარტოკაა?

გულქანი

არა, წყალს გამოხდა და პირაღმე შემოემართა, ვიღაც კაცი მოჰყავს, ცხენი ცხენზე ჰყავს გამობმული. (გიორგი და ივანე გაიცქირებიან დასავლეთის მხრით კარებისაკენ).

გიორგი (ივანეს)

გაჰხედე, ჩონთაა! (ივანე უცქერის). ნამდვილად ის არის. ჩვენ ნუ დავენახვებით, აქ სამ დავიმალნეთ, ვნახოთ, რა ამბავი იქნება.

ივანე

კარგი იქნება. სად დავიმალნეთ?

გიორგი

აი გოდრებს უკან გადავძვრეთ. (ორივენი საპურე გოდრების უკან იმალებიან).

გამოსვლა მეოთხე

იგინივე, ჩონთა და ბახა.

(ჩონთა დერეფანში შემოდის და თან ბახა მოჰყავს თავპირგასისხლული, თოკით უკან ხელებგაკრული, ჩონთა იარაღებს დერეფანში დაჰკიდებს).

ჩონთა (დერეფნიდან)

დედავ! არა ხართ არავინ შინა? გამოჩნდით კარში!

მოქრისი (დგება ხანხალით)

ვაჰმე, წელი! ჩონთავ, შვილო, შენა ხარ? (გადის

დერეფანში, სახლის კარები ღია რჩება, ასე რომ ყველაფერი სჩანს). ეგ ვინღა მოგიყვანია?

ჩონთა

ძაღლისა, დედავ, განა რამ იკითხვის?!

ბახა

ჰაი, ჩონთავ, ჩონთავ! შაგრჩეს, შაგრჩეს! გახსოვდეს კი ეს დღე. გახსოვდეს, ღმერთი ციდან ყველაფერსა ჰხედავს!

ჩონთა

დიაღაც რომ ჰხედავს. (დედას). შენ, დედავ, წადი და როგორც იცოდე ძაღლებისათვის სალაფავი, სწორედ ისეთი აადუღე და გამოიტანე, რომ ამ ძაღლს გეჯით დავუდგა.

მოქრისი

დაანებე თავი, დედა გენაცვალოს, შვილო, გაუშვი, წავიდეს თვის გზაზე.

ჩონთა

მანამ ჩემის მამა-პაპის წესს არ დავუყენებ ამ ძაღლს, მანამდე ვერ გავუშვებ; მემრე წავიდეს და იაროს ქვეყანაზე. მაშ განა შინ შავინახავ! მაგას რომ მირჩევა, დედავ, იცი კი ვინ არის ესა?

მოქრისი

რა ვიცი, შვილო, ფშაველს კი ჰგავს, სხვა მე არაფერი ვიცი.

ჩონთა

რო იცოდე, მაგას კი არა, მადლობასაც მეტყოდი, მაგრამ არ იცი და ნიადაგ მაგას მირჩევ.

მოქრისი

ვინ არის, დედა-შვილობას, იქნება დიდი რამ დანაშაული აქვს ჩვენთან?

ჩონთა

ქისტების წინამძღვარი. ამას შენი რძალი უფრო იცნობს, ცნობის ლიშანი ხელებზედაც ეტყობა.

მოქრისი

ჰო, ჰო, გავიგე, შვილო, გავიგე. ვინ იცის, შვილო, იქნება თითონაც ენანება, აღელვებული კაცი ათასს რასმე ჩაიდენს.

ბახა

ბახას ჯერ ისეთი საქმე არ ჩაუდენია, ბოლოს ენანოს. მე სასინანულო არა ჩამიდენია. ეგ მალამო ჩემის წყლულის წამლად არ არი, სამადლო არა მიჭირს-რა. დედავ, შენს შვილს მაგას კი ნუ ურჩევ, თუ ვაჟკაცია, ის ურჩიე - მამკლას და ჩემი თავსისხლიცა ზღოს.

მოქრისი (ჩონთას)

გაუშვი, დედა-შვილობას! შენ დამარხე დედაშენი, შვილო, ეგ ეყოფა მაგას სირცხვილადაც, მაგაზე მეტი სასჯელი მაგას არ უნდა, ხო წაგირთმევია ცხენიც, იარაღიც და ხელებშაკრული შინ მაიყვანე. ან შენ რაღას ეძებ მეტსა?

ჩონთა

ჯერ კიდევ აკლია, ეგ ცოტაა... (ბახას). მოგკლა? იქნება

სიკვდილი გირჩევნია სირცხვილის ჭამას? თუ მაგდენიც იცი, ღორო, ფშავის ხევს რადა ჰყიდი ქისტებზე? მაგაზე მეტი სირცხვილი სხვა რომელია?

ბახა

შენ თითონ ღორო და უნამუსოვ, შენგან ვყიდი, - შენის მეტი არც-ვინ გამიყიდია ქისტებზე.

ჩონთა

ხელები გაქვს შაკრული და არაფერი გეზღვის, თორო მე ვიცოდი, როგორც გაზღვეინებდი...

ბახა

მაშ რატომ არ გამიხსნი ხელებს და რატომ არ მაზღვევინებ? სირცხვილი შენთვის, სირცხვილი!

ჩონთა

ადრე მოინდომე?! ჯერ მოითმინე კიდევ. (მოქრისს) დედავ, შენ, რაც გითხარი, ის გააკეთე.

მოქრისი

კარგი ერთი, დედა-შვილობას.

ჩონთა

შენი რძალი სად არის? (ბახა ამ დროს იჩმუჩნება, ცდილობს თოკიდან განთავისუფლდეს, მღელვარება ეტყობა სახეზე).

მოქრისი

ხბორებთან წავიდა. (გვერდზე გასცქერის). აგერ, მოდის

კიდეც.

იგინივე და მზევინარი

(აღელვებული გაივლის, იცნობს ბახას, მაგრამ არც ქმარს, არც ბახას ხმას არა სცემს).

ჩონთა (მზევინარს)

შენ, ეი, წადი, ცხენები ბალახზე წაასხი!

ბახა

(რა დაინახავს მზევინარს, ჰღელდება, იწევს და იხსნის ხელებს, მიეტანება ბოძზე ჩამოკიდებულს თავის იარაღს და ჩამოიღებს).

დიაცურად ყოფნას ჩვეული არა ვარ! (ხმალს იძრობს

ქარქაშიდან). ჩონთავ, სიცოცხლე ან სიკვდილი!

(გიორგი და ივანე გამოვლენ საფრიდან და გადუდგებიან ორივეს შუაზე).

ივანე

რას სჩადით, კაცებო, სირცხვილია თქვენთვის!

გიორგი

ბახავ, ხმალს ნუ იღებ, ჩააგე ქარქაშში.

ჩონთა

სადიაცევ, ხმალსაც იღებ ჩემზე?! (იძრობს ხმალს და ყუით იბრუნებს). გაუშვით, ნუ იჭერთ, პირით შენი ხმალი და ყუით ჩემი…

მოქრისი (ჩონთას)

შენის ვაჟკაცობის ჭირიმე, შვილო, მოითმინე, გაუგონე თავის მშობელს დედას!

ივანე (ჩონთას)

ჩონთავ, შენს ვაჟკაცობას არ ეკადრება. განა ჩონთას ხმალი წარამარად უნდა ამოდიოდეს ქარქაშიდან? ვაჰ, დედას მტრისას! არ მეგონა, თუ შენც მალე ასჩქარდებოდი.

ჩონთა

სასიკვდილოდ არ ამომიღია მე ხმალი. მარჯვენა მომტყდეს, თუ მე მაგის სისხლში გავერიო... არა, უნდა ყუითა ვცა თავში და ცნებაზე მოვიყვანო. ქათამს თუ თავში არ დაჰკარი, საფქვავს "აქშა-აქშაობით" არ

დაანებებს თავსა. აქამდის ჩემს ხელში არ იყო, თუ სიკვდილი მინდოდა მაგისა, ვინ იყო დამშლელი?

ივანე

ჩვენ ყველათა ვნახეთ ჩვენის თვალით, რომ შენს ხელთ იყო და შინაც მაიყვანე შაკონილი. მაგაზე მეტს სასჯელს ღმერთიც ვერ მაიგონებდა დიდის დანაშაულისათვის. თუ ესმის მაგას, ეგ ეყოფა სასჯელად, ეგ სიკვდილია მაგისათვის და ცდილობს კიდეც თავი შამოგაკლას... მაგრამ ნუ, ნუ! ჩვენ რაკი გავიგეთ, ვითომც მთელს ფშავის ხევსა სცოდნია.

გულქანი (ჩონთას)

შენ, ეი, კერპო! ჩააგე ხმალი და წამოდი შინ. (ბახას) შენ, ძაღლო, მაინც ძაღლად იცხოვრებ და ძაღლად გადაჰღრძები. გაგიწყრეს მამიჩემის სალოცავები! იმათ

მოღალატე ხარ და სამაგიეროს გადაგიხდიან. არ შაგარჩენენ ფშავის ხევის რბევას... მოღალატევ, მამა-პაპათა საფლავ-სამარის მაგინებელო, ლაფი შენს ულვაშს! (ჩონთას). წამოდი, შინ წავიდეთ! წამო, რას უყურებ, რაღა გინდა იმ უბედურისაგან, რას გამოელი? წავიდეთ! (ებღაუჭებიან ჩონთას ივანე, გულქანი და მოქრისი, შემოჰყავთ სცენაზე).

ჩონთა

საკვირველია, ღმერთმანი. რას მეზიდებით, რას მებღაუჭებით, მე არსად გავიქცევი...

ივანე

ვიცით, განა არ ვიცით.

გულქანი

გავიგეთ, მაგრამ სჯობია შინ იყო.

მოქრისი

შვილო, რად დამაღონე, გენაცვალოს დედა, შენმა ელდამ ლამის გადამიტანოს. დედა ვარ, შენი მშობელი, გამიგონე.

ჩონთა

კარგი, აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი, წადით და ყველაფერი ჩააბარეთ, იარაღი, ცხენი და უნაგირი, წავიდეს; მე ის აქ მუშად, ყმად და მოჯამაგირედ არ მომიყვანია. ხოლო რომ ძაღლის სალაფავზე არ დამაბმეინეთ, ეგ თქვენი ბრალია. ჩემის მამა-პაპის წესი არ ამასრულებინეთ და მაგის მოპასუხედ თქვენ უნდა იყოთ ხატთან და ღმერთთან.

ივანე

რაც შენ საქმე დაგიმართნია ბაჩასათვის, სალაფავის ჭამაზე მეტია.

გულქანი

და-ძმობამ, ეგრე სჯობია. ეგ ეყოფა მაგას სირცხვილად.

მოქრისი

ეგრე, გენაცვალოს, შვილო, დედა, ეგრე სჯობია.

ივანე

ჰო, გენაცვალე სულში, მოდი, გადმოგეხვიო. გაკოცო. (ეხვევა და ჰკოცნის). გიორგი იქვეა, იმ ძაღლს არ ეშვება; კიდევ იზიდება და იჭერს, მაგრამ მომაკვდავმა რა ქნას, ფეხები მაინც არ გაიქნიოს! (ყველანი გარეთ გადიან, ხმა ისმის გარედან: "წადი, წადი, კარგი, გეყოფა მაგდენი

საუბარი!”).

ჩონთა (მარტოდ)

ჰო, ჩემი ბრალიც ბევრია. არც სამართლიანად მე მოვიქე. სხვის დანიშნულთან მე რა მესაქმებოდა, მაგრამ გულია ეს ოხერი დამნაშავე. მამეწონა, შამიყვარდა. გაბეჩავება გავბედე. რეტიანს ცხვარს დავეფერე. საქმე ვეღარ გავიგე. მარტო ერთი საფიქრალი ეგ ოხერტიალი დიაცი გამიხდა. მე რო ვიყო ბახას ადგილას, იქნება უარესი საქმე ჩამედინა. არა სტყუის, ვის არ მოსწონ და არ უყვარს თავისი თავი, ვის არ ეძვირება თავისი ნამუსი! გული, ეს გული არ ემტერება ბახას, მაგრამ საქმე ბოლოს ისე მოვიდა, უნდა ვემტერო... უნდა, უნდა! დასასჯელია მაინც. რატომ არ ეცადა თითონ ამოეყარა ჯავრი? ქისტებს მისევს... აქა მტკივა მე გული!..

გამოსვლა მეხუთე

(გულქანი შემოდის)

ჩონთა და გულქანი.

გულქანი

რაღასა ჰბობოქრობ? შენ ძალიან თავსაც ნუ გამოიდებ, თორემ ხმალსაც შემოგხსნი, კარგადაც გაგსილაქავ. (უღირებს ხელს სიცილით და ებღაუჭება ხმალზე). შენ მართლა თავიც მოგწონს, შამაიხსენ ე ხმალი! შენ რა ღირსი ხარ ხმლისა. შე სადიაცევ! მოიტა ხმალი ჩქარა, თორო მოგაშორე თავი!

ჩონთა

აი დედაკაცის ჭკვა! შენ გული გემღერება და ჩემსას არა ჰკითხულობ. მოიცა, თუ ღმერთი გწამს, ჩემო გულქანო, სამასხარაოდ არა მცალიან.

გულქანი

რა გაჯავრებს მაშ, ბიჭო, რას მიჰქარავ?! ეხლავე დაგათირებ, ჩემი ძმის მზემა. (იყოფს ჯიბეში ხელს და ამოაქვს ჯიბიდან მუჭით თხილი). მოიტა აქ შენი ახალოხის ჯიბე. (ებღაუჭება ახალოხის ჯიბეზე და უყრის თხილსა). ხა, ხა, ხა! შენ რომ ყველა ჩემსავით გიცნობდეს, ვინ-ღა იტყოდა იმას - ჩონთა ავკაციაო. შენ ხო ბალღივით თხილ-კაკლით სათირები ხარ! რაც უნდა გამწყრალი იყო, მაინც გაგაცინებ, მაინც. (სჭიდებს ხელს ხელზე, ჩონთა ხელს მოუჭერს). ვაჰმე, ხელი ნუ მომტეხე, აგრემც თავს შემოგევლები, გამიშვი და კიდევ თხილს ჩაგიყრი. არ გატყუებ, მიშველოს ღმერთმა.

ჩონთა

აჰა! (უშვებს ხელს). მოიტა ჩქარა, ამოიღე.

გულქანი

მაშ განა კი მოგატყუებ, ვაჟო! აჰა, ეს ერთი მუჭა და აჰა ესეც კიდევ მეტი. ეს ერთი მუჭა მეტი იმაში იყოს, ხვალ რომ ლაშარს წავალთ, ცხენზე შენ უნდა შამოგიჯდე.

ჩონთა

უყურე ცერცეტს! ჩემი ცხენი მეც ვერა მზიდავს, შენ მაგოდენა კიდობანი საით-ღა უნდა გათრიო?

გულქანი

ჩემს ჭირს, თუ არ შამამისომ, განა თავისი ცხენი არა მყავს, შევკაზმავ თავის დურმიშხანს, ავმხედრდები ზედ და თუ ბიჭი ხარ, მომეწევი შენის საქებურის მიმინოთი.

ჩონთა

თუ ცხენი გყავს, შენ კარგო და პატიოსანო, რადღა გინდა სხვის მუნათი?

გულქანი

ლაშარს სრულ თემნი აპიროობენ შაყრას, მგონია ბახა უნდა მაიკვეთონ, თუ არ ჩაქოლეს... შენ ხო, ვიცი, პური გშიან. ჩემ ჯალაფნი ხინკალს აკეთებენ, ჩვენს გავიაროთ.

ჩონთა

მე პური არა მშიან, ჩემო დაო, დაღალული ვარ, ძილი სუყველას მირჩევნია.

გულქანი

ბევრს ნულარ ამბობ, არ გამაჯავრო, წავიდეთ, ნუ გეშინიან, ბახა მანდ აღარ არის, დიდი ხანია გავგზავნეთ.

წავიდა, მაგრამ ვაი იმ წასვლას, რო ის წავიდა. (ეჯაჯგურება ჩოხის კალთაზე და მიათრევს კარებისაკენ). ფეხებს ნუ ხირებ, წამოდი აქ შენა! თორო სილა ყბაში! (უღერს მარჯვენა ხელს და მარცხენას ჩოხის კალთიდან არ აშორებს).

ჩონთა

ხათაბალა თუ გინდათ, ეს არის კიდევ! (გადიან).

(ფარდა)

მოქმედება მესამე

გამოსვლა პირველი

ბახა, ჯავარა - დედამისი, ღვთისო - ბიძაშვილი ბახასი.

(სცენა: დაბურული ტყეა. სიჩუმეა. ბახა მარტოკა სჩანს. ხანჯარი აქვს ამოღებული

და ხელში იტრიალებს).

ბახა

ერთმა წუწკმა დიაცმა რამოდენა სირცხვილი მაჭამა. საით გადავეკიდე, საით წავაწყდი! განა ფშავის ხევში დაილია სხვა ქალი, მაგრამ ალბათ ჩემი წერა ესაა! (იმარჯვებს გულში ხანჯარს, უნდა დაიცეს). არა, არა, მოდი თავს დავანებებ. ამით ჩემი ცოლი და ჩონთა უფრო ბევრსაც გაიცინებენ. საეშმაკოდ რად უნდა გავხადო ჩემი სული და ხორცი! მე არა ვარ ფშავის ხევის მოღალატე, ღმერთო, ხო შენ იცი! მე მარტო ჩონთას მტერი ვარ, მაგის ჯავრს ვერ ამოვირეცხ გულიდან. თუნდა მთელი ფშავის ხევის სალოცავებიც ეცადნენ. ჰოი, შე უსამართლოვ, შე უნამუსოვ, ცოცხალს მმარხავ განა?! თითქოს ის არ

მეყოფოდა სირცხვილად - ცოლი წამართო, ხელშეკონილი მიმიყვანა და ასეთი გაწბილებული და დაჩაგრული დამაყენა თავის კარებზე. მე ცოცხალი აღარა ვარ. მე ორჯელ მოკლულს რომ იტყვიან, სწორედ ისა ვარ. განა სიკვდილი, თავის მოკვლა ძნელია, აი ეს ხანჯარი (იმარჯვებს გულში წვერით). ამის მეტი კი არ უნდა, ერთს საათს უკან აღარ ვიქნები, სულ დამავიწყდება მტერიც და მოკეთეც. მაგრამ ჯავრი მტრისა იქაც...

ღვთისო

(შემოდის, თოფი ჰკიდია მხარზე და სასწრაფო მხარიღლივ).

ეი, ეი, რას სჩადი, შე სულელო! (მიეტანება ხანჯარზე). ხანჯარს რას ემასხარები? (ეტანება ხანჯარზე). არ იცი, რომ წვერიდან დაწყებული ტარამდე სიკვდილია?

ბახა

ვინა ხარ, ბიჭო, შენ?

ღვთისო

მე? ღვთისო ვარ, ველარ მიცნობ?

ბახა

ჰო, ღვთისო, შენა? შენ ჩვენი ღვთისო ხარ? რას დადიხარ, ბიჭო, ამ ტყეებში?

ღვთისო

მე სანადიროდ დავდივარ და შენი კი, არ ვიცი, რას აკეთებ აქ? ან ამ ხანჯარს რას იტრიალებ და რასა ჰბუტბუტებ თავისთვის? შენ იქნება ეშმაკმა გიტომა?

ბახა

შენ ნადირობა დახვალ, მე შეშობა ვარ წამოსული. ხანჯარი ისე ამოვიღე. წნელები უნდა მომეჭრა.

ღვთისო

მე განა არ გითვალთვალე, ღმერთი არ გაგიწყრეს, საეშმაკოდ არ გაჰხადო თავი. განა არ ვიცი, შენ რაც გაწუხებს, რაც გადარდებს? რაღას ჰყოყმანობ? ჯერ მგონი თოფი თვისიცა გაქვს, თუ არა-და აი თოფი, აჰა სასწრაფო, აჰა საპირისწამლე! (იხსნის და აძლევს). წადი, მტრის ჯავრს ნუ შესჭამ. შე კაი კაცო, თავის მოკვლა რამ მოგაგონა, ახლა მაგით გინდა გაალაღო მტერი?! ვინც მოსაკლავია, ვინც შენ მოგკლა, წადი და შენ ის მოკალ, თუ ცოდვა იყოს, ჩემმა კისერმა ზღოს. (იცემს ქედზე ხელს).

ბახა

ჰა, ჰმ, მოვკლა? განა ვიკადრებ მაგას. თავს მივეპარო და ქურდულად მოვკლა? თავის-დღეში მაგას არ ვიზამ და სხვაფრივ კი ვეცდები. ვეცდები, მანამ ცოცხალი ვარ; სულ ეგ იქნება ჩემი საფიქრალი, გადავეგები და ამოვიყრი მტრის ჯავრს. არ იცი, ღვთისო, არ გამოგიცდია, რა ცეცხლის ალი ტრიალებს ჩემს გულში, როგორ მეჯავრება. თავიც შამჯავრდა, ჩალად აღარ მიღირს ჩემი თავი!

ღვთისო

ვინც როგორ მომექცევა, ძმაო, მეც ისე მოვექცევი, რა ვქნა. ჩონთამ შენ როდის დაგიძახა -შენი საცოლე მიმყავ და, თუ ბიჭი ხარ, მოდი, წაიყვანეო. შენც მიდი, მიარტყი თოფი და უთხარ: ჩემს გამაუნამუსოებელს მე ცხელს ტყვიას მივართმევო. თორო რასა ჰგავ, მართლაც რო იფიქროს კაცმა?! ხვალ ლაშარს თემნი იყრებიან და აქა-იქ

ყურსა ვწევ, შენ მოგიკვეთონ. თუნდ მკვდარი, თუნდ შინ მიუსვლელიო. მაშინ რაღაა შენი სიცოცხლე?!

ბახა

შაიყარნენ, მამიკვეთონ, არა უშავს. ქვეყნის სამართალს რა ვუთხრა მაშინ, რო მარტო მე მამიკვეთონ და ჩონთა კი არა!.. იმას როგორ არ იფიქრებენ, მე ცოდვა თუ რამ მაძე კისერზე, თუ მე მოღალატე ვარ, ჩონთასაგან ვარ, იმისაგან, იმისაგან! ღმერთმა ჰკითხოს ჩონთას!

ღვთისო

ხვალ, მე იმას გირჩევ, ხატში არ მოხვიდე. აღელვებული ხალხია. მოკვეთას აღარ დაუცდიან, იქნება ჩაგქოლონ, ხომ იცი, რაკი ფშავლები აყაყანდებიან, უერთოდ აღარ დადგებიან.

ბახა

რომ ვიცოდე, ორიათას ნაჭრად გამჭრიან, მაინც არ დავდგები ხატში მოუსვლელი. მომკვეთონ, ჩამქოლონ, მზასა ვარ. მე სხვა საქმეცა მაქვს იქ. საქვეყნოდ ვინც შამარცხვინა, იქვე საქვეყნოდ უნდა ვაზღვევინო. რაო, რა ბრალსა მდებენ? თავის გამაბიაბრუებელს სამაგიეროს რად უხდისო? შამირცხვეს მაგათი სამართალი!

ღვთისო

არა, გაიგონე! სამაგიეროსად შენ არავინ გაგამტყუნებდა. მაგიერის გადახდა წესია, რჯულია, სახელია. მართალია, ჩონთა ხალხს უყვარს, ლაშარი-ჯვრის იმედს ეძახიან. რო შენის ხელით გადაგეხდეინა იმისი დანაშაული, ხმასაც არავინ ამოიღებდა. ხალხი იმაზე ჰღელავს, ბახამ ისეთი საქმე ჩაიდინა, ანდერძადაც არ გაგონილაო, არადროს არა ქნილაო. ხო გესმის, ეს სად სცემს?

ბახა

ვიცი. განა მე ქისტები ფშავის ხევს მოვუსიე, - მარტო ერთს კაცს.

ღვთისო

მაინც და მაინც არ არის ვაჟკაცის საკადრისიო. შენ ერთზე გამოალაშქრე ისინი და იმათ სხვებსაც ავნეს. შენმა შამოქნეულმა ხმალმა სხვაც ხო გაკენწლა? არა, სტყუი მაგას კი, შენი ვარ და პირში იმიტომ გეუბნები, უხერხული, უმსგავსი საქმეა. მაგრამ ჩვენ ერთობლივ საგვარეულომ ხვალ ფხა უნდა გამოვიჩინოთ, ეგ ნალი მთელს საგვარეულოსა ჰხვდება, მთელი თემის და გვარის ჭუჭყია. თუ მოკვეთაა, ჩონთაც უნდა მოიკვეთოს, ჩვენ ამაზე უნდა დავდგეთ.

ბახა

მე ჩონთას ხვალ თითონ უნდა გავუსწორდე... თითონ ჩემმა ხელმა თუ არ აზღვევინა, გული არ დამასვენებს, გული მომკლავს.

ღვთისო

შარს, თუ გინდა, მე ჩამოვაგდებ დროს შევურჩევ, მიზეზს მე მივცემ, და როცა საქმე საქმეზე მოვა, შენ შენსას ეცადე მაშინ.

ბახა

მე მაინც ჩემსას ვეცდები, თუნდა ხმაც არავინ ამოიღოთ. მთელი ფშავის ხევის ქალსა და კაცს უნდა ვაჩვენო - ბახას თავის ხელით შაუძლიან თუ არა ჯავრის ამოყრა. უთუოდ საქმე უსისხლოდ არ გათავდება. შენა ჰნახავ, თუ არა. შენ ნუ გგონია - ჩონთა ხომ ბიჭობს გულით - მე ისა მჯობდეს გულით, ვერა! მკლავით კი მჯობია; მაგრამ ხომ იცი: თუ

გულია, მკლავიც არის მაშინ, თუ გული არ არის, ცარიელი მკლავი ვერას იზამს. შენ იქნება ისა გგონია, მე მეშინოდეს ჩონთასი. არა, ლაშარი-ჯვრის გამარჯვებამ, ასე არ მაშინებს მე ჩონთა, როგორც აგერ იმ კლდეს, გაღმა რო დგას, არ აშინებს ის ყორანი, ეხლა რომ ზედ დაჯდა. მანამ ამ საქმეს დამმართებდა კი, ხათრი მქონდა. ლაშქრობასაც ვყოფილვარ იმასთან და ეხლა კი აღარც მახათრებს. მაგრამ არ მინდა სისხლი დავიდვა კისრად.

ღვთისო

მაგრამ, შენ რომ ერთი დრო გქონდა კარგი და ვერ მოიხმარე, ეგ დიდი სირცხვილია შენთვის. ხელშაკონილი კი არ უნდა გაჰყოლიყავი თან, მანამ დრო გქონდა, ეგ ხანჯარი, ეხლა რო გულში იმარჯვებ, ჩონთასათვის უნდა გემარჯვა, მაშინ დაგიკოცნიდი მარჯვენას.

ბახა

ჯერ შენ ბალღი ხარ კიდევ, გამოუცდელი. ჰფიქრობ - არ ვცდილობდი. მაშინ აღარ ვზოგავდი ჩონთას სასიკვდილოდ, მაგრამ ის თითონ განა უხელ-ფეხო იყო: ხმალი დამკრა ყუით მკლავში და ხანჯარი ჩამაგდებინა. მერე პირდაპირ ძალ-ღონეზე ფარი დამკრა თავში და წავიქეცი. ხელ-ფეხი შეკონილი მქონდა, გონზე რომ მოვედი. შამეძლო არ გავყოლიყავ, მაგრამ მე სხვა ფიქრი მქონდა: სულ ხელ-ფეხშეკრული ხო არ ვეყოლებოდი, ერთხელაც იქნებოდა გამიხსნიდა ხელებს და თავისვე კარებზე, რომ იმ უნამუსოსაც ენახა და ვენახე, მინდოდა იმათ ორთავესი დასჯა. ვაი, რო არ იქნა. არ მოვიდა საქმე ხერხად! ხვალ თუ ხვალე-ზეგ ისევ ის იქნება. ჰმ!.. მე განა მიწა მიმიღებს, განა სამარე, ჩემთვის გათხრილი, პირს არ შაიკრავს, მე რო მაგათი ჯავრი გამყვეს თანა და ისე მოვკვდე?!

ღვთისო

თუნდა სამარემაც პირი არ შაიკრას, სამარემდე ვინ მიგიტანს? ზედაც არ შემოგხედნებ მე თითონ და სხვა უარესს გიზამს.

გამოსვლა მეორე

იგინივე და ჯავარა

ჯავარა

(შემოდის, ზურგზე გუდა ჰკიდია და ხელში შუბი უჭირავს ჯოხის მაგივრად).

ეს ვის ხმაურობაა? ვინა ხართ? (აშტერდება ორივეს, თითქო ჯერ ვერ ამცნევს და ათვალიერებს).

ღვთისო

ჩვენა ვართ, რძალო, მტერად არ ჩაგვთვალო.

ბახა

დედაჩემია!

ჯავარა (წყრომით)

ჰო, აქამდის კი დედაშენი და ეხლა აღარ. რას დახვალ, ბიჭო, შე უკეთურო, აქათ-იქით, რო ვეღარ გაიგე თავისი სახლის კარები! აღარცა რას შინ არიგებ, აღარც გარეთ. ერთი უნამუსო დიაცი გაგიხდა ჭირად. შამირცხვეს, შამირცხვეს ეგეთა ვაჟკაცობა, რო მტერს ვერ დაჰხვდეს! თუნდა მკვდარი, თუნდა შინ მიუსვლელიო.

ღვთისო

ხვალ-ზეგამდე მოგვითმინე, რძალო, ისიც იქნება.

ჯავარა

როდემდის თმენა?! ჯერ მე, დედაკაცს, ესეთას დროულსა მკლავს გული... ეხლა სახატოდ ჭალაზე მომდინარი ხალხი თქვენს მოკვეთაზე ამბობს, ქალი და კაცი, სხვა სასაუბრო დაჰლევიათ.

ბახა

არ არის კი, დედავ, რო შენი ბრალიც არ იყოს... შენ კარგა გულზედა მსომდი; მეუბნებოდი: ვინც შენ მოგკლა, წადი და შენც ის მოკალო, წაველ და მეც მოვკალ, შენი სიტყვა არ დავლახე.

ჯავარა

უყურე უგუნურს! განა მე ის გითხარ, ქისტებთან დაიჭირე ზავიო, ურჯულოს ეძმობილეო, - წადი,

გადმორეკე ქისტები და ქვეყანა ააკლებინეო! ნიადაგ ეწყინება ხალხს, ნიადაგ მოგკითხვენ, ხატის და რჯულის გამტეხო! ეგ რამ მოგაგონა, ეგ რამ მოგაფიქრა?!

ბახა

ჯავრმა, მტრის ჯავრმა.

ჯავარა

განა სხვაფრივ არ შაგეძლო ჯავრის ამოყრა?..

ბახა

არ შამეძლო, გაჯავრებულმა იმ-ბაშად ვეღარაფერი მოვიგონე. მე ერთის კაცის ასაკლებად წამოვასხი ქისტები, განა ქვეყნის დასაღუპავად!

ჯავარა

ის როგორ არ იცი: მგელი როცა ცხვრის ფარაში შაერევა, ერთს არ დასჯერდება და სხვასაც პირს მიატანს.

ბახა

მაინც ჩემი ბრალი არაფერია, ბრალი მგელს ედება.

ჯავარა

აი ამ უკეთურის თავის მართლებას უყურეთ ჯერ! (ბახას). შენ არ გეჭირა ჯაჭვით ის მგელი, რად გაუშვი? ჰაი, შვილო, შვილო! ვერ მოიქე, ბახავ, კარგა. - კარგი, ეგ რაც არის არის, შინ მაინც არ წამოხვალ? წავიდეთ! არა ჰნახავ თავის ბეჩავს ქოხს, იქნება ცეცხლი ვინმე მოუკიდა! (ამ დროს ყორანი გადმოივლის და თავზე დასჩხავლებს). აი დაკნელება და დანელება შენის ხმისა! შენ-ღა გვაკლიხარ

და შენც უნდა გვიქადო ჩვენი უბედურება! ადე, წავიდეთ! შინ წავიდეთ!

ღვთისო (ბახას)

ადე, დაუჯერე დედას, ადე, რაღასა ჰფიქრობ? თავში უნდა გეფიქრა. თავს სინანული სჯობია ბოლო დროს დანანებასო - ტყუილად არ არი ნათქვამი.

ბახა (წამოდგება ფეხზე. წყრომით)

არა, მე შინ ვერ წამოვალ. შინ?! არა, არადროს! ღმერთთან ფიცი მაქვს. მშვიდობით იყვენით, ხვალ ლაშარსა გნახავთ. (გადის მარჯვენისკენ).

ღვთისო

მოიცა ცოტა ხანს, მინდა კიდევ რამ გითხრა. (ბახა ყურს არ

უგდებს, მისდევს ისიც თან).

ჯავარა

შვილო, ბახავ, ბახავ! (მიიფარებს თვალებზე ხელს და ქვითინებს).

(ფარდა)

მოქმედება მეოთხე

გამოსვლა პირველი

ჩონთა, ბახა, ღვთისო, ჯავარა, მზევინარი, ხევისბერი იანვარა, ხევისბერი ჭუჭა, დროშიონნი, შუშანა, მესაზანდრე, მლოცავნი, საგვარეულონი ბახას მხრით, გულქანი

(სცენა წარმოადგენს მაღალს გორაკს, ხეებით დაჩრდილულს, ხალხი, ქალი და კაცი, სხედან, ზოგნი ფეხზე დგანან, ზოგნი თამაშობენ, ჰსვამენ სასმელს ყანწებით. სდგას დარბაზი სიპი ქვით დაფარული და ნანგრევი ყორეები მოსჩანს. ყორეებზე სანთლები ანთია, წინ ქადა-პურები აწყვია. იქვე ანთია სანთლები და აწყვია ხმიანდები, ტყავები და ქადები).

შუშანა

დაუკარ, საზანდარო, დაუკარ და ერთი კარგი შაირიც დამღერე!

ხალხი

დაუკარ, დაუკარ, თუ არა და სტვირს დაგიმტვრევთ!

საზანდარი

(ჰბერავს გუდას, უკრავს სტვირს და თან დამღერის):

შაირი ვიცი იმდენი,
როგორც ვარსკვლავი ცაზედა.
თითონ რაჭველი გახლავარ,
მთიდან გადმოველ მთაზედა;
დამიხვდა ჯარი ლეკისა,
როს დავსდექ ქართლის გზაზედა.
მიკივლეს: ტყვედ წამოგვყეო,
თორემ თავს მოგჭრით წამზედა!
რადა, ბატონო, ვუთხარი,
ნეტა მიწყრებით რაზედა?!
ლაშარის-ჯვარში მივდივარ,
ბატონს ვეახლო კარზედა,
ვალხინო ფშავლის შვილები,
ფარ-ხმალი ჰშვენით ტანზედა.
არ გამიგონეს, იწყინეს,

მეც ხელი ვიკარ ხმალზედა,
თორმეტი მოვკალ, ბელადსა
სისხლი ვადინე ყბაზედა;
ხმალს კი სისხლისა, რომ გითხრათ,
წვეთი არ ეკრა ფხაზედა.

(ხალხში სიცილი ისმის).

შუშანა

ყოჩაღ, საზანდარო, ყოჩაღ, რაკი ხმალზე სისხლი არ ეკრა. უთუოდ სულ გაგიჟლეტია ლეკები. აბა, საკარგ-ყმოდ არაყი გერგება. აბა, ჰა, დალიე, შაგერგება! (აწვდის ყანწს).

საზანდარი (ართმევს ყანწს)

კი დავლევ... გაცოცხლოსთ და გადღენძელოსთ ყველა, შაგეწიოთ წმინდა ლაშარი-ჯვარი და წმინდა თამარ-

დედოფალი.

საერთო ხმა

გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს!

საზანდარი

(აძლევს ცარიელს ყანწს შუშანას)

ასე მტერი დაგეცალოს... დალიე. დამალეინე, სული ნუ დამალეინე... კიდო გითხრა? დალიე. დამალეინე ერთი, მეორე, მესამე; ესეც რო გაგვითავდება, რაღა ვქნათ, შენი კვნესამე! (ამ ბოლოს სიტყვას რომ ამბობს, თან სტვირს ააყოლებს).

შუშანა

(ადგება, მიუახლოვდება და კაფიას ამბობს)

შენ მარტო სტვირი დაუკარ, ძმობილო! (საზანდარი სტვირს უკრავს და შუშანა დამღერის უკან ხელებდაწყობილი):

ვინა სთქვა, გაგვითავდება,
ლაშარს ვართ. განა რაჭასა?!
ვენაცვლე ლაშარი-ჯვარსა,
იმის ხმალს. იმის მაჯასა.
ყველას უხვს აძლევს წყალობას
და ტანზე აცმევს ფარჩასა...
სამოცის ცხენის კახური
აქვე გვიდგია დარბაზსა,
თორმეტი კოდი ლუდითა,
გაგება უნდა ამასა.
მოხუცმა კაცმა გაჯობე,
აღარ გაჩუქებ აბაზსა!

საერთო ხმა

გაუმარჯოს, გაუმარჯოს! (სიცილი). სათამაშო დაუკარ, საზანდარო, სათამაშო! (შუშანას) ბიძავ, შენი სულის ჭირიმე, აბა ერთი ჩამოთამაშდი!

შუშანა

ვაი თქვენს შუშანას, დავბერდი, კაცებო, რაღა-დროს ჩემი ხანხალია!

საერთო ხმა

არაფერი უშავს, არა!

შუშანა

რაღა იქნება. დაუკარ, საზანდარო!

საზანდარი

ქვე რავა არ დოუკრავ, თუ იცეკვებ! (უკრავს).

შუშანა (იხდის ქუდს)

ღმერთო და ჩემო ლაშარი-ჯვარო, ჩემო თამარ-ნეფეო, (იცქირება მარცხნისკენ, სადაც კოშკი და გალავანი მოსჩანს, თამარ-დედოფლის სალოცავი) ნუ შემრისხავთ, ნუ მიწყენთ, გაუმარჯვე ამ ჩვენს ფშავლებსაც! (საერთო ხმა: "გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს!" თამაშობს. თამაშობას რომ ათავებს, ამბობს). თქვენის გამარჯვებისა, ქუდოსან-მანდილოსანნო, გაცოცხლოსთ, გაამოსთ თქვენი წუთისოფელი!

საერთო ხმა

შაგრჩეს მუხლები! სამუხლე მიგვირთვით შუშანას!

გულქანი (მიუტანს ყანწს)

შენ იმასა სჩიოდი, ბიძავ, მუხლი აღარ მამდევსო, და ფეხებს კი არ აკარებ მიწას.

შუშანა

ვაი შენს შუშანას! სადღაა, შვილო, მუხლი, წავიდა, მორჩა! (ილოცება). გაგიმარჯოსთ კიდევ ყველათა. შაგეწიოსთ იმის მადლი და დავლათი, ვის კარზედაცა სდგეხართ. (გულქანს) გაგახაროს შენც, შვილო!

გულქანი

ღმერთიმც შენს თავს მიცოცხლებს და შენს შვილებსა!

ხმა

ალავერდი ვისთანა ხარ, შუშანავ?!

შუშანა

(ადებს ხელს გულქანს მხარზე ღიმილით)

უთუოდ, ჩემო ქალო, მოგერგო, ნუ გამაწბილებ.

საერთო ხმა

ჰო, რაღასა ჰყოყმანობ?!

გულქანი

ვინა ყოყმანობს? თქვენ დაუკარით, თუ არ ვითამაშებ, აქ არ გამოჩნდება?! (საზანდარს). ეე, ძმობილო, სტვირის პატრონო, დაუკარ! (საზანდარი უკრავს, გულქანი თამაშობს, თამაშობას რომ გაათავებს, გადახტება და

ქალებს ეფარება).

საერთო ხმა

გიშველა ღმერთმა, გიშველა! სამუხლე აკლია!

ივანე

აბა, სამუხლე, ქალო! ჯარასავით რო ტრიალებ და აამტვერე აქაურობა, არაყიც დალიე, ე!

გულქანი

მეტი რა ღონეა, რაკი მაკისრებთ. (ართმევს ყანწს და ცალს მუხლზე ჯდება). გაგიმარჯოსთ, ლაშარი-ჯვარის ყმანო, მტრის დავლათი ნუ მოგრიოსთ, თქვენი ამჯობინოს თქვენის მტრისას! (და გადაჰკრავს, ყანწს ივანეს გადუგდებს და პირზე ხელს მიიფარებს). ოო, ჩავიწვენ

ლაშნი! ე მაგით როგორა ჰსიამოვნობთ! სიმწარით?

ივანე

არ იყო მაშ ტკბილი?! (საერთო სიცილი).

გამოსვლა მეორე

იგინივე და ჩონთა

(ჩონთა შემოდის სრულ იარაღში ჩამჯდარი)

ჩონთა

წყალობა ხატისა, ფშავლებო!

საერთო ხმა

ჩონთაა, ჩონთა მოვიდა (ქალებში ჩურჩული ისმის, ხშირად ახსენებენ ჩონთას, წამოიშლებიან ყველანი ფეხზე, შუშანა წინ ეგებება).

შუშანა

(ორივე ხელებს მიაგებებს და შემოჰხვევს ყბებზე)

ჰაი, შე უხეირო ფშაველო, შენი მწყალობელი იყოს! მოგცეს წყალობა ემ ბატონის დავლათმა! რა ვქნა, გაკოცო? ერთი გული მეტყვის - ნუ აკოცებო. მაგრამ უნდა გაკოცო, რა ვქნა, გული თავისას არ დაიშლის! (ჰკოცნის).

1 ფშაველი

შენთანაც წყალობა ხატისა! (ეხვევა და ჰკოცნის).

2 ფშაველი

შენთანაც წყალობა ხატისა, ჩონთავ! (ჰკოცნიან ერთმანეთს).

3 ფშაველი

შენთანაც წყალობა ჩვენის ბატონისა! (ჰკოცნიან ერთმანეთს).

ქალები

მოხვედ მშვიდობით! წყალობა ლაშარი-ჯვრისა!

ჩონთა

გაგახაროსთ ღმერთმა, თქვენიმც მწყალობელია!

შუშანა

უთუოდ გული იმას მეუბნება - ამბავი აღარა გკითხო.

ჩონთა

რადა, შენ გენაცვალოს ჩონთა, მითომ კი არა მაქვს-რა დანაშაული.

შუშანა

აბა გულში ჩაიფიქრე, კარგად ჩაიფიქრე... ჰო, მიჰხვდი?! თუ კარგი ხარ, სუ კარგი უნდა იყო, თუ არა-და, ნახევარი კარგი, ნახევარი ცუდი - ეგ როგორღაც არ მამწონ.

ჩონთა

გავიგე. გავიგე, რასაც მეუბნები, რა ვქნა, შავცდი. შაუმცდარი მარტო ღმერთია. რაც გინდა მიყავით: ხმალი თქვენი - კისერი ჩემი.

შუშანა

უხეირო დიაცის გულისად ვაჟკაცმა ცუდი როგორ უნდა ათქმევინოს ქვეყანას თავის თავზე, ვაი დედას მტრისასა! აბა ჩამამართვი ეს ყანწი. (ჩოხთა ართმევს). მაინც გვიყვარხარ, მაინც გულს შენზე ვერ გამოვიცვლით, მაგრამ მე გული როგორღაც მეთანაღრება, ღარღლი მაქვს გულში.

ჩოხთა

არა უშავს. ჩოხთა გენაცვალოს! როცა მოწმენდილს ცაზე ღრუბელი გაჩნდება, ქარი შაუბერავს და გააქროებს.

შუშანა

(იცინის, ეხვევა და ჰკოცნის)

გენაცვალოს შუშანაი, მაგას არა სტყუი, ეგ ნამდვილია.

ივანე

სადღეგრძელო იყოს შენი, ჩონთავ!

ჩონთა

შენსამც ჭირს შავეყრები, მადლობელი! (ჩაბალახის პირს დასწევს).

ივანე

დროშიონნი, დროშიონნი მოვიდენ! (ყველანი ფეხზე წამოიშლებიან).

გამოსვლა მესამე

იგინივე და დროშიონნი, დროშას ამალა მოჰყვება სცენაზე

საერთო ხმა

გაუმარჯოსთ დროშიონთ, გაუმარჯოს ლაშარი-ჯვარს!

მედროშენი

გაგიმარჯოსთ ყველას, გაგიმარჯოსთ!

შუშანა

(მიეგებება დროშას ქუდმოხდილი)

გაუმარჯოს ჩვენს ლაშარი-ჯვარს, გაუმარჯოს დროშას! (უსხამს არაყს და ასმევს ყველასა).

საზანდარი (ივანეს)

ქვე საიდან მოიტანეს დროშა? დროშა ხატში უნდა ესვენოს...

ივანე

ერთი თვის წინათ, ძმობილო, დროშას წააბრძანებენ და დაავლევენ ყველგან, ვისაც კი ლაშარი-ჯვრის ბეგარი აძე: დროშიონნი წავა თუშეთს, ქისტეთს და სხვაგან.

საზანდარი

კი გევიგე, მარა რას კრეფენ ხალხიდან, რას?

ივანე

მოიცა, მამა გიცხონდა. რა დროს მაგის გამოკითხვაა. უყურე რა ამბავია!

დროშიონნი

გაუმარჯოს ლაშარი-ჯვარს, გაუმარჯოს თამარ-ნეფეს!

ივანე

(აქედან ხმას აძლევს)

გაუმარჯოს!

საზანდარი (ქუდმოხდილი)

გაუმარჯოს!

(დროშიონნი თავის ამალით მიდის დარბაზში)

გამოსვლა მეოთხე

იგინივე და ხევისბერი იანვარა

(იანვარა შემოდის ქუდმოხდილი სცენაზე, ხელში სისხლიანი ხანჯარი უჭირავს).

იანვარა

(ავლებს თვალს ხალხს მრისხანედ)

ეი, ხალხნო, ვის გაკლიათ საწირავი, მოიტანეთ, მინამ ხალხი აირევა და მეც მოცლითა ვარ! საქმე ბევრია, მემრე მოცლა აღარ გვექნება!

შუშანა (იანვარას)

რით არ მოგწყინდა მაგოდენა საკლავების ხოცა?.. მოდი აქ, არაყი დალიე.

იანვარა (მიდის)

დავითვრები, ეე!

შუშანა

დაითვრები კი არა, გადაითვრები! დაიჭი ყანწი! (იანვარა ართმევს). ხევისბერი ხო არა ცხონდება! რამოდენა საკლავის ცოდვა გაძე.

იანვარა

ვენაცვალე ჩემს ლაშარი-ჯვარს, იმასაც სისხლიანი ხმალი არტყია! (ილოცება). დიდება შენდა, დიდო ლაშარის-ჯვარო, დიდება შენდა, დიდო თამარ-ნეფეო, პირო ნათელო, ხმელეთის დამრიგებელო, დიდება შენდა, გმირო კოპალაო, ლაღო იახსარო, ფუძის მთავარ-ანგელოზო. საქართველოს მყოლო ანგელოზო, თქვენის

სახელის ჭირიმე, თქვენი უღური მოახმარეთ, თქვენი კაბის კალთა დააფარეთ, საცა თქვენი სახელი დაიძახონ, მოეხმარენით ემ ზედაშის პატრონსა და ყველა აქა კრებულთა. გაუმარჯოს!

საერთო ხმა

გაუმარჯოს!

იანვარა

(გადასცემს შუშანას თასს და თვითონ მარცხენა კარებს მიჰმართავს, რომელიც ღიაა).

გაიგონეთ, ხალხნო! ვისაც ქადა-საწირავი გაქვთ, მაიტანეთ, ნუღარ აგვიანებთ! (იტყვის რა ამას, გამობრუნდება ხალხისაკენ). დროშიონნიც ჯერ ისევ პურ-უჭმელნი გვყვანან.

გამოსვლა მეხუთე

იგინივე და ჯავარა

(შემოდის, ხელში ქადა-ხმიანდი უჭირავს. ხმიანდზე რამდენიმე პატარა კვერებია და გარდიგარდმო ადევს ხელით ჩამოქნილი კელაპტარი. დასდგება ხევისბერის წინ).

იანვარა

(ათვალიერებს, აცქერდება, ხალხში ხმა ისმის: ``ჯავარა, ბახას დედა!”)

ჯავარა არა ხარ შენა?

ჯავარა

ვარ, შენი ჭირიმე.

იანვარა

მიკვირს, რომ შვილისად არ გამოგიტანებია ქადა-საწირავი. უფრო სიხარულით ჩამოვართმევდი. განა თქვენ კიდევ გაგევლებათ ხატის კარზე, თქვე უწამებელნო, თქვე ხატ-ღმერთის მაგინებელნო! წაიღე, გასწი, თვალით აღარ მეჩვენო!

ჯავარა

დიაღამც ჩვენ დავაშავეთ, შენის თვალების ჭირიმე, ქადა-საწირავმა რა დააშავა?

იანვარა

თუკი შენმა ძუძუმ უბედურმა, უკეთურმა ძუძუმ

დააშავა, რომ შვილის მაგივრად გველის წიწილა გაზარდა, შენი ხელები კი არ იქნება დამნაშავე ამ ქადა-პურების ცხობაში? არ ვენდობი არც მაგ ხელების ნამოქმედარს, არც იმ კერას, საცა ხატში მისატანად ეს ტაბლაა შემზადებული, არც იმ ბუდეს ვენდობი, საცა ბახაისთანა ბარტყები იზდებიან! წყეული იყოს ერთიც და მეორეც!

ჯავარა

ვაჰმე! რადა, ჩემო იანვარო, რად იტყვი მაგისთანა ქართულს? შენ ხო კარგად იცი სუყველა, რაც როგორ არის.

ჩონთა (ხალხიდან)

მოდი, მამა-შვილობას, დაუთმე, არაფერი უშავს, ჩვენის ლაშარი-ჯვრის გულისად, ნუ გაუთახსირებ ღვთის ვედრებას.

იანვარა

მარჯვენა მამტყდეს მაშინ, როცა ქვეყნისა და ჩემის ლაშარი-ჯვრის ორგულს ან საკლავი დავუკლა და ან სანთელი მოუნთო! რას ამბობ, რასა! სად გაგონილა? სადა თქმულა? (ჯავარას). წადი, წადი, თქვენთან თემს სხვა საქმეცა აქვს. ახლავ გაიგებთ იმასაც, ამ ცოტა ხანს შემდეგ.

ჯავარა

მოდი, ნუ იზამ მაგას, შენს სულს ენაცვლება ჯავარაი, ჩემო იანვარო, ჯერ ისეც გული მაქვ მოკლული შვილის უკეთურის ქცევითა და ეხლა თქვენ უნდა მოჰკლათ... დღეს ჩემს შვილსაც ენანება თავისი ბრიყვული მოქცევა. კაცნი იმით დაუყენებიხართ თავის მსახურად ღმერთსა და ხატებსა, რომ შეგვარიგოთ, გვიშუაკაცოთ, - განა თქვენ უფრო უნდა გზაზეით გადაგვყაროთ?!

იანვარა

არა, ტყუილი საუბარია, ენას ტყუილად ჰღალავ! წაიღე იქვე, საითაც მოიტანე, აქ შენ საწირავს არა აქვს ბინა.

ჯავარა

მაშ ეგ არი, გადამიწურე შენც წყალი! (მიბრუნდება დარბაზისაკენ). ჩემო ლაშარის-ჯვარო, ჩემის მამის სალოცავო, ჩვენო მხსნელო და მფარველო, (მიბრუნდება მარცხნისაკენ) ჩვენო თამარ-ნეფეო, განა საჭირო არ არის ჩვენი ბეჩავი ზღვენი თქვენთვის? მე კი გამიმეტებია სულითა და გულით ეს ქადა-პურები, ეს სანთელ-საკმელი, არა ვარ თქვენი ორგული, თქვენ იცით, როგორც შამინახავთ, არ დამკარგავთ, არ გამირისხდებით! (გაბრუნდება და მიდის ტირილით, შორი-ახლოს სდგება, სცენიდან არ გადის. ხალხში ჩურჩული ისმის: ``არ მიიღო ხევისბერმა. ბახას მოკვეთას უპირობენო'').

გამოსვლა მეექვსე

იგინივე და მზევინარი

(მზევინარი შემოდის მარცხენა კარებით. მოაქვს საკმელი, ჩარექი არაყით და ქადა-ხმიანდი, ზედ სანთელი და კელაპტარია, მარჯვენა კარებიდან შეოდიან ღვთისო, ბახა და რამდენიმე მისი საგვარეულო).

მზევინარი

(მოაქვს ტაბლა და აწვდის)

ეს ჩარექა კი დამიცალე, ჩემო იანვარო.

იანვარა

(ჩარექას აწვდის შუშანას)

ამ ჩარექას მე ეხლავ დავცლი და შენ კი, შენ გეუბნები, ჩიქილა მრუდადა გხურავს, უნდა გაისწორო!

მზევინარი

(ისვამს თავზე ხელს)

მე ჩიქილა კარგადა მხურავს, ვაჟო!

იანვარა

არა გხურავ კარგად... წადი და გაისწორე. (მზევინარი პირზე ხელს მიიდებს, თითქო მიხვდა, და გაბრუნდება).

ჩოხთა

(შუშანას სიცილით)

იანვარამ ხელდახელ არ მიცდინა დედაკაცი, იმ უჯიშომ მართლა თავზე ხელი არ მაისო? ის სად ეუბნება და ბრიყვმა ვერ გაიგო...

შუშანა

რა ვიცი, მაგის გულისად მთელი ფშავის-ხევი კი შესძარ ე ჩემო ძმაო-და, თუ ეგეთი ბრიყვი იყო, რატო წინადვე არ იცოდი და არ მოერიდე?

ჩონთა

ძმობამ, რომ მაგისათვის არც ეხლა მოვერიდები.

შუშანა

(აწვდის ყანწს არაყით)

აბა მაშ დალიე ესა და ადღეგრძელე ჩვენი ლაშარის-ჯვარი. (ამ დროს ღვთისო მოდის ბარბაცით მთვრალი და წაეწვდება ყანწს, ებღაუჭება, მაგრამ შუშანა არ ანებებს).

ღვთისო (შუშანას)

შენ, ეი, ბერიკაცო! განა რო დაბერდება კაცი, ჭკვა უნდა დაკარგოს? მოიტა ე ყანწი აქ! ჩონთა ვინა გდია, რომ მაგას ასმევ მარტოკას, აქ ვერა ჰხედავ, რო სხვა ლაშარის-ჯვარის ყმანიც არიან? აი თუნდა მე თვითონ, მეკი არა მწყურიან არაყი? (ჩონთა იცინის).

შუშანა

შენ ვინა ხარ, ბიჭო, ან ვისი ხარ?

ღვთისო

მე, მგელუნაათ ღვთისუნა თუ გაგიგონია, ისა ვარ, გეჯურაის შვილი.

შუშანა

მამაშვილობამ, ვირი ყოფილხარ! (ღვთისო იცქირება ჩონთასაკენ).

ჩონთა

(შუშანას ღიმილით)

იქნება უნდა მართლა მაგ საწყალს, დაალეინე, კაცო, მადლია.

ღვთისო

მატლებმა შეგჭამონ შენ, შე მოუნათლაო, თათარო.

(იძრობს ხმალს და უქნევს ჩონთას, ასე რომ ქუდს გაჰკენწლავს მხოლოდ. ჩონთა არ იძვრება ადგილიდან).

ჩონთა (სიცილით)

აბა, მოდი, რა ქნას კაცმა, მგელუნაათ ღვთისუნაც ხმლით მეტევება!

ივანე და შუშანა

(იჭერენ ღვთისოს და გაჰყავთ განზე)

რასა სჩადი, შე რეგვენო, ვის უქნევ ხმალსა? (შუშანა ართმევს ხმალს ღვთისოს). ამ ხმლის ღირსი არა ხარ შენ!

ბახა

(მორბის, გაიწვდის ხმალს და გაიმაღლებს, წინ მიეგებება

კეტით, რომელსაც იქვე

ადგილობრივ აიღებს, გულქანი)

გულქანი

აბა, გაბედე და დაჰკარი, შე ძაღლო, მაგ თავს შუაზე გაგიტყრობ!

ბახა (გულქანს)

შენ დედაკაცი ხარ, მომეცა, გზა მომეც! (ყველანი ადგებიან ფეხზე, ჩონთა, მხოლოდ ჩონთა ზის არხეინად).

საზანდარი

ქვე აქ სისხლი დაიქცევა, პატიოსანი პურის ჭამა ქვე გაამწარეს, ვიღაცები მოცვივდენ.

იანვარა

(მიესევა ბახას და გაუშლის სილას, ხოლო ხმლიანს ხელს დაუჭერს. ბახას მომხრენი იწევენ ჩონთასკენ, გარედან ხმაურობაზე მოიკრიბება ხალხი ყვირილით: ``რა ამბავია!'' დაიჭერენ ბახას მომხრეებს, რომელთაც შიშველი ხმლები უპყრიათ).

შენ განა ღირსი ხარ აქ მოსვლისა და მემრე ხმლის ამოღების ლაშარის-ჯვრის კარზე? მოიტა ხმალი, გაუშვი! (ბახა ხმალს არ ანებებს).

ბახა

მოვკვდები და ხმალს ვერ დაგანებებ. მომკალით, მაინც ხომ უნდა მომკლათ ამ ცოტა ხანში და ბარემ ეხლავე გამათაოთ, ის მირჩევნია! სისხლი სწყურიან ჩემს ხმალს. უსისხლოდ ქარქაშში ვეღარ ჩავაგებ. (ხალხში ჩოჩქოლი

ისმის).

იანვარა (ჰყვირის ხმამაღლა)

დაუძახეთ ჭუჭას, მოვიდეს და დროშაც მოაბძანონ!

მზევინარი

ნუ დაახოცინებთ ერთმანერთს, გააშველეთ, თქვენი ჭირიმე.

ჯავარა

ეხლა იძახი, შე უნამუსოვ, დააშველეთო, როცა ხალხი ერთურთში აჰრიე? ეს სულ შენი ძაღლობისა ხდება, შენ მიკლავ შვილს, შე ეშმაკის წილ-კერძო! (ეწვდება ქვას და უნდა დასცეს თავში).

გულქანი (ჯავარას)

ჰეი, შე ქოფაკო, რასა სჩადი?! (უჭერს ხელს).

იანვარა

აი კიდევ უბედურება!

ჩონთა (წამოდგება აღელვებული)

ეს რა ამბავია, ეს ვინ არის, რომ ჩემს ცოლსა ჰკლავს?!

გულქანი (მოვარდება)

ნუ გასჯავრდები, შენს თვალებს ენაცვალოს გულქანი. დედაკაცების ჩხუბია. (ეხვევიან ჩონთას და იჭერენ, ამ დროს შემოდის ჭუჭა დროშით, სამი დასტური მოჰყვება თან, მოჩხუბარნი ხმლებს აგებენ და ქუდებს იხდიან).

გამოსვლა მეშვიდე

იგინივე, ჭუჭა და დასტურები

(დროშას შუაზე დააყენებენ და მოჩხუბარნი თავ-თავიანთ მხარეს გადგებიან).

ჭუჭა

მოგერიათ განა მტრის დავლათი, რო ახლა ერთმანერთს უპირობთ გაჟლეტას, ფშავლებო! მტერი ცოტაა საომარი, ერთმანერთს არა ჰხოცდეთ? მართალია, შუღლი და ჩხუბი მაუდის ჩვენს ლაშარის-ჯვარს, მაგრამ ერთმანერთში არა. თუ რა ვის გასაყოფი და სადაო გაქვს, ვეღარ დაიცადეთ ცოტა ხანი კიდევ, რო გაგვერჩიენით? ვინც თემის სამართალს არ დაჰყაბულდებით, ყველას გზა ხსნილი გაქვთ; მემრე წადით, რაც გეწადოსთ, ის ჩაიდინეთ. აქ რო მოჰსულხართ კი, თემის სამართალს უნდა დაუცადოთ.

წადით და ლუდი მოიტანეთ, თასები მოაყოლეთ თანა, კელაპტრები მოანთეთ! (დასტურები გადიან და ცოტა ხანს უკან შემოიტანენ ლუდიანს ტაგანს და ორს დიდრონს ვერცხლის თასს და კელაპტრებს. აავსებს და აწვდის ერთს იანვარას, მეორეს ჭუჭას. ორივეს ანთებული კელაპტარი უპყრიათ ხელში).

ჭუჭა

ხალხნო ქუდოსანნო და მანდილოსანნო, სმენა იყოს და გაგონება: დღეს ყველას თავი-თავს მოგიყრიათ ბატონის კარზე, ჩვენი ლაღის ლაშარის-ჯვარის დარბაზის წინ. დღეს-აქამომდე არც გვინახავს და არც გაგვიგონია ანდერძად, რომ თავის ყმათაგანს ვისმე თავის ბატონისად სამსახური დაეკლო თუ ზღვნით და თუ ხმლით; წელს კი მოვესწარით ასეთს ამბავს და ნეტავი მე კი მანამდე მოვმკვდარიყავი, მანამ ჩემი ყურები გაიგონებდა ამ ამბავს.

ხალხის საერთო ხმა (მარჯვნით)

სიკვდილი იმას, ვინც შენ სიკვდილს განატრებს!

ჭუჭა

მამითმინეთ, თქვენი ჭირიმე! ლაშარის-ჯვრის დროშას ერთმა უგუნურმა ლაფი ესროლა, მაგრამ კიდევ კარგია, რომ ვერ მიუწვდინა, ჩვენის ბატონის დროშა ისევ უჭუჭყო დარჩა. იმ უკეთურმა, იმ შაჩვენებულმა, იმ არ-გასაჩენმა მთელს ფშავის-ხევს ჩირქი მოსცხო, რატომ არ მოსტყდა ის მარჯვენა, რომლითაც ის ხმალსა ჰლეესავს, რატომ მანამდე არ დაეშრიტა თვალები, მანამ მტერს ფშავლების სალაშქრო გზაზე გამაუძღვა, თავის ძმების სავალს გზაზე სხვები ავლივა.

საერთო ხმა (მარჯვნით)

ბახაა! ჩავქოლოთ, ჩავქოლოთ!

ჭუჭა

მაიცადეთ, თქვენ გენაცვალოსთ ჭუჭა, ნუ აჰგორნიგდებით, ნუ ასჩქარდებით, გულისთქმას სადავე დაუჭირეთ... იცით თვითონ, ვინც არის ისა, იმის სახელის თქმა მეზარება... ის ბახაა... ჩვენ ჩაქოლვაზე მეტი სასჯელი გვაქვს გულში გადაწყვეტილი... ბახა ჩვენი აღარ არი, აღარ არი ლაშარის-ჯვრის ყმა, აღარ არი ფშაველი... ბახა რაც არის, თვითონ გაიგოს, თვითონ შაიგნოს.

საერთო ხმა (მარჯვნით)

მოკვეთილი იყოს ჩვენგან, მოკვეთილი!

ხმა

(მარცხნით, საგვარეულო ბახასი)

მოიკვეთოს ჩონთაც!

ჭუჭა

სმენა იყოს, ხალხნო! (ბახას ეტყობა მღელვარება, თავდაკიდებული სდგას ერთს ადგილას). ჩვენო ლაშარის-ჯვარო, ჩვენო თამარ-დედოფალო, ჩვენ ვიკვეთთ ჩვენს ერთს დროს ძმად ნამყოფს, დღეს მოღალატეს ღვთისას და ერისას. ერთს დროს ესეც ემსახურებოდა თქვენს დროშას, მაგრამ დღეს შეაგინა თქვენი დროშა და თქვენი სახელი. შეგინებული იყოს თვითონ, წყეული, შაჩვენებული და მოკვეთილი!

საერთო ხმა

ამინ, ამინ!

ჭუჭა

ვინც ამას იქით ბახასთან ან გაიაროს მკვდარზე, ან ცოცხალზე, ან თავის სახლში გაატაროს, გზაში შეყრილს გამარჯვება უთხრას, ესე დაიქცეს იმისი ყოფა-ცხოვრება! (აქცევს თასს, მასთან ერთად იანვარაც).

საერთო ხმა

ამინ, ამინ, დაიქცეს!

ჭუჭა

ასე გაქრეს (აქრობენ ორივე კელაპტრებს) იმის სახსენებელი, ღვთისა და ემ ბატონის რისხვა გაჰყვეს იმას შვილითშვილამდე.

საერთო ხმა

ამინ, ამინ!

საერთო ხმა (მარცხნით)

ჩონთაც, ჩონთაც!

ჭუჭა

სმენა იყოს! ჩვენო ბატონო, ლაშარის-ჯვარო, დიდო თამარო, საქართველოს დამრიგებელო, თავი შეგაწყინეთ ამდენის ჩვენის ცოდვილის ენით და საუბრით, ნუ შაგვისაწყინდებით!.. სმენა იყოს! ამ საქმეს ერთი სხვა საქმე აბია კიდევ კუდად. მაინც კარგი ყმანი ხართ ლაშარის-ჯვრისანი, სიკეთე მოგწყინდებათ მალე. როგორც უყვარხართ თქვენის სამსახურით თქვენს ლაშარის-ჯვარს, ისე საყვარელნი უნდა დაჰრჩეთ ბოლომდე... მე პირველმა, მეშვიდედ რო გავილაშქრეთ ქისტეთზე, ლაშარის-ჯვრის იმედი მოვაქვივნე ჩონთას და

დღესაც ამასვე ვეძახი, ამ სახელს ვერ ავხდი, მაინც იმედია ისევ ლაშარის-ჯვრისა, მაგრამ თითონ დააზადიანა ცოტას თავისი სახელი.

რამდენიმე ხმა (მარჯვნით)

მართალია, არა სტყუი!

რამდენიმე ხმა (მარცხნით)

მოსაკვეთია, მოსაკვეთი! მიზეზი ეგ იყო.

ჭუჭა

რადგანაც თავისი თავი, თავისი სახელი არ ეზოგება, ნურც ჩვენ დავზოგავთ. წელს დაზარალებულია და სხვა წელს ხარი უნდა დავუკლათ.

საერთო ხმა (მარჯვნით)

სიმართლისად სინათლე ნუ გამოგილიოს, ჭუჭავ, ეგრე სჯობია... გაუმარჯოს ლაშარის-ჯვარს, გაუმარჯოს იმის საყმოს!

ჭუჭა

თანახმანი ხართ?

საერთო ხმა

რაობით არა, შენი ჭირიმე, ვართ, ვართ!..

ჭუჭა

მაშ კიდევ გაუმარჯოს ჩვენს ლაშარის-ჯვარს, იმის ხმალს, იმის სამართალს!

საერთო ხმა

გაუმარჯოს!

ჩონთა (წამოდგება წინ)

ლაშარის-ჯვრის ყმანო და ხატის მსახურნო, ორი სიტყვა მათქმევინეთ, თქვენი ჭირიმეთ... ერთს ხარს მადებთ ვალად და ვიდებ კიდეც იმით, რომ არ არის, რო დანაშაული არა მქონდეს. დღეს ჩვენის ლაშარის-ჯვრის დროშის წინა ვსდგევარ და ჩემმა ენამ სწორედ უნდა ამოთქვას გულის პასუხი... მეც თქვენი ჭირის ნაცვალი ვიყო და ჩემი საქონიც თუნდა ხუთიც დაკალით, ხოლო მოდი ბახას... ჰო, ბახას ნუ გავიმეტებთ ეგრე! (ამ დროს ღვთისო ბახას ხელს სცემს გვერდში და გულს იმჯიღავს). მოდი, ნუ მოიკვეთთ და სხვა რამ სასჯელი დავსდვათ. იქნება ეხლა კიდეც ენანებოდეს თავისი ჩანადინარი საქმე.

ბახა (მორბის აჩქარებით)

მეც მათქმევინეთ... მეც მათქმევინეთ! კაცნო, ერთხელ მაინც აღარ ამინთია სანთელი აქა, ერთი საკლავი მაინც აღარ დამიკლავ ხატისთვის? სირცხვილი და სიცილი! მევე შამარცხვინე და დამცინი, (ჩონთა ჭუჭასკე იცქირება). შე ურჯულოვ, შე უღმერთოვ! (იძრობს ხმალს და წვერით გაუქანებს გვერდში. ჩონთა წაბარბაცდება და ტანს შეიმაგრებს. ხმალს აიძრობს და წვერით მიწაზე დააბჯენს. ხალხში ჩოჩქოლია. ბახა მირბის და კარებს რომ მიუახლოვდება, შემობრუნდება). მე მოგიკვეთე, თუ ფშავლებმა არ მოგიკვეთეს. ეხლა დაიწვინე მზევინარი მკლავზე, იხარეთ და იცინეთ ჩემზე! (გავარდება გარეთ).

ჩონთა

სად მიჰრბი, რეგვენო, სად? აქ მოდი, აქ! (ჩონთა ცდილობს, რომ თავი შეიმაგროს, სუსტდება, მაგრამ თავს

იმაგრებს, იჭერენ, ჭუჭა, იანვარა, შუშანა მხრებში უსხედან, ხალხში მღელვარება ისმის, ქალები ტირიან).

ჭუჭა

რა ქნა მაგ უღმერთომ, დროშაც არ შაგვიგინა?

იანვარა

მიწა გასქდეს და ჩაგიტანოს, ბახავ!

შუშანა

ძაღლო, ძაღლო! ცოდვა არ არი ჩონთა შენის უკეთურის, წყეულის, ჭუჭყიანის მარჯვენით კვდებოდეს?! გასქდი, ცაო, და ჩაიტანე ხმელეთი თან!

ჩონთა (ღიმილით)

რასა ჰკრთებით? მე რა მიჭირს? მე არ მოვკვდები. მადლობა ღმერთს, თუ ჩემის ლაშარის-ჯვრის დროშასთან მაინც ვკვდები. (ჭუჭას). ჭუჭავ, დროშა მოიტანეთ აქ, ვემთხვიო, მაგის სახელს ვენაცვალე. (დროშა მოაქვთ, ჩონთა გუმბათზე ჰკოცნის) მიყვარდი და შენთანაც ვკვდები, ახლა სხვებმა შაგიყვარონ, სხვანი გემსახურნენ! (მიესვენება მხარ-თეძოზე).

ჭუჭა

დასრულდა, ღმერთმა გაცხონოს, მიგიბარა შენმა მეუფემ, შენმა ლაშარის-ჯვარმა. (ყველანი ცოტა ხანს გაჩუმდებიან და ერთბაშად ამოიქვითინებენ).

(ფარდა)

მოქმედება მეხუთე

გამოსვლა პირველი

(სცენა სწარმოობს ქისტეთში, გარეთ მთაში ბახა და მისი დედა

ჯავარა სხედან ერთად).

ბახა

აბა, დედავ, ძალიან რო სტიროდი და იმდუღრებოდი, სააქაოდ როცა გამოვემგზავრეთ, რა გქონდა სატირალი? რა გვიჭირს. კარგადა ვართ; პური აქაც არის, ვაჟო, წყალი. გაიძახი გიჟივით: ვაჰმე, ჩემო ფშავის-ხევო, ვაჰმე, ჩემო ფშავის-ხევო! ქისტეთი რით არი ნაკლები შენს ფშავის-ხევზე? აქ უკეთესი მთებია, აქაც ცივი წყაროებია, მაშ რაღას სწუწუნებ, შე საწყალო?

ჯავარა

ვენაცვალე ჩემს ფშავის-ხევს, ის მაინც სხვაა... აქ მე, შვილო, მარტო ვგევივარ ცოცხალს, განა ცოცხალი ვარ, განა ცოცხალია ჩემი გული?! ე ქისტის კაცები განა მეკაცებიან, ან დედაკაცები მედედაკაცებიან? ქაჯებად მიჩანან თვალში. სუ, დედა-შვილობას, მაგას როგორ ამბობ, ცოდვა არ არი: ვაჰმე, ჩემო საორბევ, ჩემო დეკიან-გორო! ვაჰმე, ჩემო არაგვო, შენი ხვივილი ვეღარ გავიგონე, ეს მესამე წელი მიდის. ნეტავი ერთხელ კიდევ მაჩვენა იქაურობა თვალით; აქ როგორ უნდა დავიმარხო, ვისთან უნდა დავიმარხო, სადაური სად მოვკვდე! მადლობა შენთვის, უფალო, ალბათ ეს იყო ჩვენი წერა, ეს იყო ჩვენი ბედი, ვაჰმე! (გულში მჯიღს იკრავს). დედა-შვილობას, აღარ თუ მოგაგონდება მაშ თავის ქვეყანა, თვისი სალოცავები, აღარ თუ გინდა იქ ყოფნა, თვის ძმებში, თვის თემში?

ბახა

ჰაი დედავ, დედავ! ძნელად სათქმელს როგორ ადვილად იტყვის კაცის ენა, მე განა სისხლის მაგივრად ძარღვებში წყალი მიდგა და გულის მაგივრად მკერდში ქვა მიძე? ისევ მიყვარს თვისი ქვეყანა. მაგრამ იმას რო აღარ უყვარვარ! აღარ გახსონს, როგორც თავმომწონე ბიჭს პატარა ჩალა მიეკრას ჩოხაზე და საჩქაროდ იმან მოიცილოს, ისე მომიშორეს, მომკვეთეს, დამპალს სხალივით გადამაგდეს?.. განა ხალხის სამართალი, დედავ, მუდამ მართალია? როგორ თუ თავის ნამუსს იცავო, თავის ვაჟკაცობას აფასებო, აიღეს და შემარისხეს ხატსა და ღმერთსა, ის წყლული ჯერ აქვეა (გულზე ხელს იდებს) ღრმად ჩაკვეთილი; ამ წყლულს წამალი უნდა ჯერ, მორჩენა. დედა ხარ ჩემი და, თუ შენ არა, სხვას ვის უნდა ვუთხრა მართალი: მე რო ჩონთას ჯავრი არ ამომეყარა, არ დავდგებოდი მაინც ფშავში, გადავიკარგებოდი სადმე, მაგრამ ეხლა კი მედგომილება ჩემს ქვეყანაში.

ჯავარა

ვაჰმე, დიდი ცოდვა ჰქენ, შვილო, ის, დიდი!

ბახა

არ იცი, დედავ, როგორ გული მტკიოდა ჯერ წინათ და ახლა მაშინ როგორ ამემღვრია სისხლი, დროშასაც აღარ შევუნახე ხათრი, როცა ის წამოდგა ხალხში და ამბობდა, დამცინოდა: ნუ იკვეთთ ბახას, სხვაფრივ დასაჯეთ, იქნება კიდეც ენანება ეხლა თავისი ჩანადინარი საქმეო.

ჯავარა

არა, შვილო, მაშინ ის გულით ამბობდა, ის არ დაგცინოდა, ვინ ჩონთა და გულის ცინება! შენ არ მოუკვდე დედას, მაგას ეჭვით ამბობ.

ბახა

იმის სულმა ზღოს... მე კი მას აქეთ ძლივს ამოვიქციე სული, ძლივს დავსდეგ კაცის გონზე... მანამდე ლაფად ქცეული ჩემი თავი, კაცად იქცა მას შემდეგ, რაც იმას სასიკვდილოდ დავეც ხმალი. ისევ შემიყვარდა ჩემი თავი. ჯავრი ძნელია!

ჯავარა

ვისა და რის გულისად, ერთი უნამუსო დიაცის გულისად!.. ოჰ, ნეტავი ის კი მაჩვენა თავ-თავად დაგლეჯილი, გველივით თავწაჭეჭყილი, მე მაშინ მომირჩებოდა გული. იმდენი ჩონთას ბრალი არ იყო, რამდენიც იმ უნამუსოსი, ის თითონ გადაჰკიდებიყო ძალი-ძალად, როგორც მემრე გავიგე...

ბახა

ჰო, მანამ ჩონთა ცოცხალი იყო, მანამდე ჩემი გულიც სხვა იყო, სხვარიგადა სწუხდა, რომ ის “უნამუსო” ჩონთასთან წვებოდა და ეხლა კი, რაკი ჩონთა აღარ არის, აღარც ბევრს ჩემი გული ნაღვლობს, ვინც უნდა ითრიოს... კარგი იყო, რაკი ქრისტიანის სისხლში გავერიე, ისიც ზედ დამეკლა, მაგრამ არ იყო დრო და ადგილი... ცოლი აქაც იშოვება.

ჯავარა

ეველრე, შვილო, ღმერთს, რომ ეგ ცოდვა გაპატიოს, ცოდვად ეგაცა კმარა, ღმერთმა დაგიფაროს.

ბახა

არა, დედავ, ჯერ საკმარისი არ არის ეგ სისხლი, კიდევა მჭირს იქ სხვების ჯავრიცა. ერთმა კაცმა მრავალი შემაჯავრა. გადმოვლენ კიდევ ფშავლები ქისტეთს სათარეშოდ. ჩემი მშობელი ქვეყანა ეხლა ქისტეთია და

უნდა აქ ვიბრძოლო.

ჯავარა

ღმერთმა მე კი ნუ მომასწროს, შვილი, იმ დღეს, რომ შენ ქისტებს ეშველებოდე და ფშავლებს ხმლით ეტევებოდე.

ბახა

მალე მოესწრობი იმასაც, დედავ. რაკი მთები ჩამოშრა, ფშავლებს აეშლება სათარეშოდ საღერღელი, მაგრამ არ იციან, რომ მოკვეთილი აქ იმათთვის ალამაზებს დავითპირულს. (ამოსწევს და ჩააგებს).

ჯავარა

ვაი შენს დედასა, შვილო! ვაი ჩემს სულსა, ჩემს გაჩენის დღესა! შენ იქნება ქისტების რჯულიც მიიღო, იქნება

ამოირეცხო გულიდან თუ რამ ფშავლებისა გაკრია!

ბახა (გაჯავრებით)

ეჰ, შენ ის გელანდება, რაც თავის დღეში ბახას ფიქრადაც არ მოუვა თავში. ვინ მატანს ძალას, რო რჯული გამოვიცვალო?! მაშინ ნუღარ ვიყო ცოცხალი, გასქდეს მიწა და თან ჩამიტანოს, როცა ბახამ, თუნდა მთელი ქისტეთი ხანჯრით დამადგეს თავსა, თუნდა ხემწიფედ დამსვან და თვითონ სანთლად აენთნენ ჩემს წინ - მე ეგ მოვიქმედო.

ჯავარა

(გადასდებს ჯარას გვერდზე და ორივე ხელებს თვალებზე მიიფარებს)

ცუდი ნიშნები მიდგება... როგორღაც არ მამწონ, შენ რო

მოლა-მუსას ქალი გინდა მზევინარის ფეხზე დააყენო.

ბახა

ნეტავი იმ ძაღლს კი არ მოიგონებდე და თუნდა მამკლა. ახლა რა არის საკვირველი? მიყვარს და უნდა დავაყენო კიდეც. შენ სულ ნიშნები გაგონდება, სულ მკვდრებში ხარ გართული. ეს ძმები ვნახე წუხელ სიზმარში, ეს მამაშენი ვნახეო, ეს დედ-მამანი. რაღა ქისტეთს რო გადმოვსახლდით, აქ აგესივნენ ისინი. შინ როცა ვიყავით, მაშინ ეგრე ხშირად არა სინჯავდი მკვდრებსა! წელში ორჯელ თუ სამჯერაც მოგეჩვენებოდენ, ეხლა კი მუდამ ღამე სინჯავ და მუსაიფობ იმათთან.

ჯავარა

ჰოდა მეც ეგ მიკვირს, შვილო, მეც ეგ მიღრღნის გულსა, რა ამბავია, რა დამემართა! ალბათ ჩვენის უკეთურობით თუ

დავაღონეთ ისინიცა. წუხელაც ვნახე მამაშენი. როგორ დაღონებული იყო ის ბეჩავი! ჩამოგლეჯილ-ჩამოწეწილი, არც ხმალი იმის ტანზე, არც ფარი, არც ხანჯარი. მიკვირდა კიდეც: იარაღს არც როდის არ მოიშორებდა ტანზეით, სახე დაკაწრული ჰქონდა და სისხლი ჩამოსდიოდა. ვითომ ისევ ლაშარი-ჯვრის ხევისბერად კი იყო. რა არი, შე ბეჩაო, სადა სძვერ ეკლებში და ჯაგებში, რო ეგრე გადაკაწრული სახე გაქვსო? - ვკითხე. - ლაშარსა მცესო, მითხრა... წამოველ თქვენ სანახავად, ქისტეთს არინ შენი ცოლ-შვილიო, მითხრეს. რად დაანებეთ სახლს თავი, რაზე გამიტიალეთ და გამიოხრეთ ჩემი ამაგიო?!

ბახა (გვერდზე)

საწყალი ბებერი! არა სტყუის. სიზმარშიაც ჰბოდავს, ესაუბრება ვისაღაც, მოჰყვება ტირილს, მერე ელდანაკრავი წამოდგება, შტერივით იცქირება გარშემო... (ჯავარას). ცოტა იფიქრე, დედავ, ცოტა იდარდე და

მკვდრებიც ეგრე აღარ დაგაღონებენ. იმათ იციან, რო შენ დადარდიანებული ხარ და უფრო თავის მოსვლით ჯავრს გიათკეცებენ.

ჯავარა

არა, შვილო, იმათ თითონაც ეჯავრებათ, თითონაც დაღონებულებია, ალბათ იმიტომ ანებებენ თვის მყუდრო ბინას თავს და მოდიან ამ შავსა და ბნელს ქვეყანაში... ჩემს ძმებსაცა ვხედავ. მთა გვინდა აქ საცხვრედ დავიჭიროთო. ცხენხეთქით მოცვივდენ გუშინ-ღამ, სრულ ოფლში იყო იმათ ცხენები დაბანილები. არც ამბავი მკითხეს, არც ერთი, არც მეორე. ვეხვეწე, დაისვენეთ, თქვენი ჭირიმე, პური ჭამეთ და ისე წადითო, - არა, გვეჩქარება, შორი გზა გვაქვს სავალიო.

ბახა

რატო მეც არა ვსინჯავ, მეც რატომ არ მეცხადებიან? მეც იმათი სისხლი და ხორცი არა ვარ?!

ჯავარა

ალბათ, შვილო, გაჯავრებულებია შენზე და იმიტომ. (იხედება მარჯვნისაკენ). ნისლები მოდის, ღამდება კიდეც. ვინ იცის, ის ცხვარ-ძროხანიც წამივლენ, დამეკარგებიან. (დგება, ებჯინება ჯოხს). ვაჰმე, წელი! ვაჰმე, მუხლები!

ბახა

კლდეებს სამ მოეფარებოდენ. (ჯავარა გადის). საწყალი დედა! ჩემი ჯავრი ჰკლავს საცოდავს, თავისთავი აღარ ახსოვს. მებრალება, თორო ეხლავ კაი სანახავს გავაჩენდი. ცოტა რო შამობინდდება, დედაჩემი ამაზე ჩამოატარებს საქონელს; ბევრი კი არა არის-რა საჭირო, აი ჩემი ნაბადი

(ჰკეცს) ასე რომ დავკეცო და აქ გზის პირას დავაყუდო, იმას ეს მამაჩემად მოეჩვენება და გაუბამს საუბარს, იწყებს ფიცილს, მოჰყვება წუწუნს: ``არა, კაცო, დაიჯერე, ქრისტიანი ხარ; ისეთი დანაშაულიც არა გვაქვს-რა, რამდენიც ბრალი დაგვადო კისრად თემმა. სახლ-კარს იმით დავანებეთ თავი, რო აღარ გვედგომილებოდა, მკვდრებს ცოცხლებში რა გვესაქმებოდაო''. მოჰყვება საცოდავი ამისთანაებს. ეს ადვილი იყო, მაგრამ მეშინიან, ვაი თუ ჭკუიდან შესცდეს. ცხადად და სიზმარში, როცა მარტოკაა, სულ იმათ ელაპარაკება, თავს მართლულობს, მეც ბრალსა მხდის. (ამ დროს შემორბის გულსუნდა, მხარზე აქვს გადაკიდებული თოკის მსგავსად დაწნული ყვავილები, წინდას ჰქსოვს).

გამოსვლა მეორე

ბახა და გულსუნდა

ბახა

ოჰ, გულსუნდავ, შენა? გეძებდი და გნახე კიდევაც.

გულსუნდა

აქ რას დაიარები შენა, შე ეშმაკო?

ბახა

ღმერთსა ვფიცავ, არ გეხუმრები. შენი ნახვაც მინდოდა ჩუმად, მინდოდა ერთი-ორი სიტყვა კიდევ მეთქვა შენთვის. ეს რაღა აგითრევია? ყვავილისათვის ყვავილები რაღა საჭიროა? (ჰკიდებს ყვავილებს თოკზე).

გულსუნდა

გაჩუმდი, გაჩუმდი, გეყოფა! მე მწყინს, მაგისთანა

სიტყვებს რომ მეტყვი.

ბახა

არა, მაინც, შენის დედ-მამის სულის განათლებას, ეს რის მანქანაა? (ჰკიდებს ხელს ყვავილების ღარადელას). უსაქმოს საქმე გაგიჩენია.

გულსუნდა

ეს იცი რა არის? ცხვარს რო ვაძოვებ მთებზე, ამ ყვავილებს ცხვრები უწყალოდ სთელენ, ნეტავი სჭამდენ მაინც. მე გავჯავრდი, ცოტას მაინც ღარადად ავასხამ, ცხვარს ფეხით არ ვათელვინოვო.

ბახა

სულელო! მაშ ის თუ გინდა, რო ყვავილებსა სჭამდენ

ცხვრები? ეხლა შენც ყვავილი ხარ, გულსუნდავ, ყვავილი გაზაფხულისა, უფლის მადლმა, ჩემს გულად კი, იქნება სხვისთვის ეკლის ბურჯი იყო, მაშ განა მეც უნდა შაგჭამო?!

გულსუნდა

ვინ შაგეჭმევა მერე, რო შამჭამო? შენ არ იცი მამაჩემს მოლა-მუსას როგორი მჭრელი ხმალი აქვს?..

ბახა

შენ იქნება არც კი იცი, რო მამაშენი თანახმაა, რო იმასთან საუბარი მქონდა მე?..

გულსუნდა

ტყუილებია. შენ მამაჩემი ეგრე ადვილად არ

დაგთანხმდებოდა. შენ ხო გიაური ხარ!

ბახა

ვარ. ქრისტიანი ვარ და თქვენ ურჯულოებს გეძახით.

გულსუნდა

ჩვენ თქვენ გეძახით ურჯულოებს. როგორ იქნება, როგორ მოხერხდება?

ბახა

ღმერთი ხო ერთი გვყავს, შენი ჭირიმე. შენს გულს ვენაცვალე, ჩემო გულსუნდავ, ხო ერთმა ღმერთმა გაგვაჩინა, თუ სხვაფრივ არ გეწუნები. (ხვევს ყელზე ხელს).

გულსუნდა

(იფარებს ლოყაზე ხელს)

სუ! იქით იყავი, არავინ დაგვინახოს!..

ბახა

შენი ჭირიმე, მითხარ ან ჰო, ან არა. დააყენე ერთზე რაზედმე ეს ჩემი გული. ჰოს მეტყვი, მოვკვდები შენთვის, არას მეტყვი და არც ის გამიკვირდება: მაინც ციდან და დედამიწიდან ``არას'' მეტი მე არაფერი მესმის.

გულსუნდა

დავსხდეთ მაშ, დავსხდეთ. (და პირველად თითონ ჯდება ერთის ლოდის პირას, ბახაც დაეშვება. ხელი ისევ გადახვეული აქვს ყელზე). რა გითხრა, გიაურო, როგორ

გითხრა? (მიიფარებს ორივე ხელებს თვალებზე და ჩაფიქრდება), ოჰ, უჰ! დედავ! არ ვიცი საით რას ამესივ-გადამესივე!

ბახა

(იწევს მკლავით თავისკენ)

სთქვი, გაბედე, ნუღარ ჰყოყმანობ! შენც ხო ჩემთვის ურჯულო ხარ. თუკი მე გთვისობ, მე ცოლად გირთავ, შენ რატომ აღარ უნდა მითვისო, თუ გიყვარვარ? ჰა, სთქვი რამ, თუ გწამს შენი რჯული, ეს არის გული გასქდა!

გულსუნდა

ჰოო! ჩვენს რჯულზე მოინათლები?

ბახა

ახლა შენ მე მატყუებ, გულსუნდავ! გულით ამბობ მაგას? არა მგონია. ალბათ არ გიყვარვარ, თორო მაგას არ იტყოდი!

გულსუნდა

მიყვარხარ, თორო მაგას არ გეტყოდი; განა ან აქ შენთან მოვიდოდი, ცხვარს თავი გავანებე, რო გიცანი, ვინც იყავი... ნეტა შენ კი არ გადმოსთესლებულიყავი ამ ჩვენს ქვეყანაში-და!

ბახა

არაფერს დაგიშლის, ღვთის მადლმა, ჩემი გადმოთესლება. იქნება გეჯავრები და იმიტომ?

გულსუნდა

მეჯავრები, მაშ არ მეჯავრები?!

ბახა

მართლა გეჯავრები, შენი ჭირიმე? სწორე მითხარ! (მოსწევს მკლავით უფრო თავისკენ და ჰკოცნის. გვერდზე). თვალწარბში მტკნარი მზევინარია!

გულსუნდა

კარგი, გეყოფა, გეყოფა! რაღაც ფეხის ხმა ისმის. (წამოხტება გულსუნდა და ნაკოცნს პირიდან კაბის სახელოთი იწმენდს). ჰე, ჰე მოვიწმინდე ისევ შენი კოცნა!..

ბახა

ისე ვერ მოიწმენდ, რო ჩემმა კოცნამ ფესვი არ გაიდგას,

ზედ ხე არ გამოვიდეს და ხილი არ მოისხას! (ამ დროს კულისებში ფეხის ხმა და ქვის ჩხრიალი ისმის, ბახა მიწოლილია. გულსუნდა შორი-ახლოს სდგას და ისევ წინდასა ჰქსოვს, შემოდის სრულ იარაღში ჩამჯდარი მოლა-მუსა).

გამოსვლა მესამე

იგინივე და მოლა-მუსა

მუსა (აღელვებული)

აქედან რაღაც საუბარი მომესმა! ბახავ, შენ?

ბახა

მე ვარ, სწორედ. რა ამბავია, უცხო ამბავი ხომ არაფერია?

მუსა

უცხოზე მეტია. (გულსუნდას) შენ, ქალო, რას გასჩუმებულხარ აქ და ცხვრისათვის თავი გაგინებებია? წადი ჩქარა, გაირეკეთ ცხვარი შინათკე, სხვა მწყემსებსაც შეატყობინე, - მტერი მოდის-თქო, სიმაგრეში შადით ყველანი!

გულსუნდა

მართლა, მამავ? ვაჰმე, რა ცუდი ამბავია!

მუსა

ცუდია თუ კარგია, ეგ არის, წადი ჩქარა!

გულსუნდა

ეხლავე, ეხლავ! (გარბის აჩქარებით).

ბახა

საიდან გაჩნდენ ასე უცბად, მერე ჩვენ კი არ გვინდა მომზადება? (წამოხტება ფეხზე). რაღას უცდით?!

მუსა

მე, რაც მოსამზადი იყო, ყველაფერი მოვამზადე. მდევარი მოვაგროვე, ეხლავე აქ მოვლენ ისინიც და ჩვენ აქ უნდა დავიჭიროთ თავდარიგი. თუ ყოჩაღად მოვიქეცით, იქნება ისე ვაზარალოთ დღეს ფშავლები, რომ სამუდამოდ დასწყევლონ ქისტეთში სალაშქროდ სიარულის სურვილი.

ბახა

იქნება ტყუილი იყოს?!

მუსა

ნამდვილია, მწყემსებმა გატეხეს ხმა: მთას იქით ამოვიდენ და იქ გადასახედში გორის ცხვირში დაისვენესო. მთელი მძიმე ლაშქარიაო. ეგ არ ვიცი - სოფლის აკლება უნდათ, თუ მარტო საქონლის გატაცება. იმათ ჰგონებიათ - ამ დროს აქ ვერავინ დაგვინახავსო, მაგრამ ნადირმა რა იცის, მონადირე საით ეპარება, ქისტებსაც ძაღლი თვალი უზისთ.

ბახა

რაკი ამ დროს მთაზე ამოსულან, უთუოდ სოფელში ჩამოუსვლელი არ დადგებიან.

მუსა

ყოჩაღ, ბახავ! ყოჩაღ! სწორეს ამბობ. აბა შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ, როგორც გაირჯები, როგორც თავს მოაწონებ და შეაყვარებ ქისტებს. ვიცი, შენც გერევა მაგათზე გული, შენც გაშლილის მკლავით მოიქნევ ხმალს. მართალს ამბობ - სოფლის აკლება აქვთ ფიქრად და მე მაგათი ომის წესი კარგად ვიცი. (ამ დროს კულისებში ხმა ისმის: ``გაირეკეთ ჩქარა, გაირეკეთ, მოიდა მტერი''). ლაშქარს ორად გაჰყოფენ და ეხლა მთას ნისლი აკრია, ამ ნისლს ჩამოჰყვებიან ხევ-ხევ, მეორენი იქნება ან გაღმითზე ან გამოღმა გვერდას მოჰყვენ. (ხმაურობა ისმის გარეთ, ჟღაჟღუვი, აღმოსავლეთის კარებიდან შემოდის ქისტების ლაშქარი, თოფებით და იარაღებით მორთული).

გამოსვლა მეოთხე

იგინივე და ქისტები

მუსა

ყოჩაღ, მარდად მოხვედით.

ქისტები

მაშ რაღას დავუგვიანდებოდით!

ბახა

არაფერი ამბავია?

1 ქისტი

ჯერ არაფერი ხმა არ არის...

2 ქისტი

მთას ნისლი აქვს მობმული...

ქისტები

ნამდვილია, არაფერი ჩანს.

მუსა

ძალიან კარგი. არაფერი უშავს. თქვენ როგორც მე დაგარიგოთ, ისე მოიქეცით. ისინი სწორედ ამ ხევს ჩამოჰყვებიან და ჩვენც აქ გზა შევუკრათ. მე რამდენიმე კაცით აქ შევუკრავ გზას; ეს საღამოც ახლოვდება, იქნება ზედ შაგვეფეთნენ. შენ, ბახავ, რამდენიმე კაცით წადი და ზევით ფერდაზე შადექით, რომ იქიდან საგორავი მოსცეთ.

ბახა

ძალიან კარგი, და თუ აქ ომი მოხდა, იცოდეთ, მეც აქა ვარ, იქნება ჩვენ აგვცდენ და პირდაპირ მოვიდენ, მაშინ განა

აქ კაცი არ იქნება საჭირო?!

მუსა

სწორეა. ნამდვილია. მაგრე, მაგრე, თუ თქვენ აგცდა მტერი, თოფის ხმაზე გაიგებთ, რომ მტერი აქ არის, და მოგვეშველეთ მაშინ.

ქისტები

კარგია, კარგი, მაშ, მაშ!..

ბახა

აბა ვინ მოდიხართ ჩემთან?.. (გამოერჩევა რამდენიმე კაცი და მიჰყვება). წავიდეთ, მომყევით! ქვით კი არ მინდოდა ჯავრის ამოყრა, მაგრამ რა გაეწყობა!

მუსა

ნუ სწუხარ, იქნება ხმლითაც მოგინდეს ბრძოლა. მე ვფიქრობ, რომ თქვენთვისაც თოფი და ხმალი საჭირო იქნება.

ბახა

ნეტავი აგრე იყოს! (ქისტებს). წავიდეთ, გვიანობის დრო აღარ არის! (მიდიან შუალა კარებიდან).

მუსა

თქვენ, ჩემო ქისტებო, აქ ჩემთან უნდა იყვნეთ. ჩვენ აქ უნდა ვიომოთ და ან სახელი და ან სიკვდილი! თქვენ ეს იცოდეთ, მანამ არ მოგიახლოვდებათ მტერი, თოფებს ნუ დასცლით და მერე ხმალი.

ქისტები

ჩვენც მაგას ვფიქრობთ...

1 ქისტი

მაშ თოფს იმ დროს ვინ დაუწყებს მეორედ ტენას!

2 ქისტი

ოჰ, რა ყისმათია, თუ მართლა ამაზე მოვიდენ!

3 ქისტი

ისინი დაარხეინებულები იქნებიან და შაიძლება სუყველას თავები გავსჭრათ.

მუსა

უკეთესი ბედი და უკეთესი დრო ჩვენ აღარ გვექნება. მაშ ნუღარ ვგვიანობთ, ნუ ვხმაურობთ, ჩაუსაფრდით. (ასაფრებს ყველას და თითონაც უსაფრდება. დასავლეთის მხრით კარებიდან შემოდის ერთი გუნდი ფშავლების ლაშქრისა, წითელჩოხიანები. ხელში შიშველი თოფები უპყრიათ, ფარებით და ხმლებით არიან მოკაზმულნი).

გამოსვლა მეხუთე

იგინივე და ფშავლების ლაშქარი

იანვარა

ოჰ, როგორ ჩამოეხვია ეს ნისლი, ეს ოხერო!

ივანე

ძალიან ცუდი ამინდია, ცუდი დრო დაგვიდგა.

3 ფშაველი

მე არ ვიცი, სადა ვართ ეხლა ჩვენ.

4 ფშაველი

რა დაინახოს კაცმა, სად ან საქონელია, ან კაცი!.. (ამ დროს ჩასაფრებული ქისტები ესვრიან თოფებს).

იანვარა

ჰოი, თქვე რჯულძაღლებო, აქა ხართ განა? (რამდენიმე ფშაველი იქცევა. ნისლი აიწევს. ხმლით გადმოეშლებიან ქისტები, რამდენიმე თოფი ფშავლების მხრითაც გავარდება და ხმლებით ერევიან ერთმანეთში, იანვარა მკლავში დაჭრილი ფარს იბღუჯავს). არ აგისრულდებათ

წადილი, ძაღლებო, არა! (ესევიან ქისტები, მაგრამ ხმლით იგერიებს. ოთხი კაცი კვდება ფშავლების მხრით, ხოლო ერთი ქისტებისა. ამ დროს ზევით კლდის თავიდან ხმა მოისმის).

ჯავარა

ბახავ, სადა ხარ, შვილო, ჩახოცეს ფშავლები. ვაჰმე, ჩამოგიდნით! უშველე, შვილო, მაგ ურჯულოებმა გაწყვიტეს ხალხი! (შემოდის ამ დროს ჭუჭა დროშით ხელში იმავე მხრიდან და მოსდევს მეორე გუნდი ლაშქრისა, შუალა კარებს რომ დაუახლოვდება, ამ დროს შემორბის ბახა სცენაზე, იმას ქისტის ლაშქარი მოსდევს, მაგრამ მეორე გუნდი, რომელიც ჭუჭას მოსდევს, არ უშვებს იმას, ხმლებით უდგებიან).

ჭუჭა

გაისარჯენით, ლაშარის-ჯვარის ერთგულნო! (ხმალამოწვდილი მოიწევს ქისტებისაკენ, მოლა-მუსა და სხვები მიესევიან, დროშა უნდა წაართონ).

ჯავარა (იკაწრის სახეს)

ბახავ, სადა ხარ, წაიღეს ჩვენი დროშა, შვილო, ამოწყვიტეს ფშავლები, შვილო!

ბახა (ესმის ხმა. ქისტებს)

სად იწევთ, სად! არ გეყოფათ, რაც ხალხი დაგიხოცნიათ?! (იგერიებს ხმლით ქისტებს). ვინ დაგანებებს ლაშარი-ჯვრის დროშას? (უქნევს ხმალს ერთს ქისტს და აქცევს). თქვე რჯულძაღლებო!

მუსა

ჰა, შე მოღალატევ. ტყუილად არ არის ნათქვამი: ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევსო. შენც აქ მოკვდი! (ურჭობს გულში ხანჯალს. ამ დროს იანვარაც დაჭრილი წაიქცევა მკვდარ ბახასთან ერთად).

ჯავარა (მაღლიდან)

შენც მოკვდი, შვილო, მოგკლეს! მეც მოვკვდები, ერთად წავიდეთ, ერთად! (გადმოვარდება კლდიდან).

(ფარდა)

1894 წ.